

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ვერა წერეთელი

„განათლება ანტიკურ საბერძნეთსა და რომში“
(ანტიკური ლიტერატურული წყაროების მიხედვით)

ფილოლოგიის (კლასიკური ფილოლოგია) დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი
დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
პროფესორი ნინო ჩიხლაძე

ქუთაისი 2013

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი -----	3
თავი I. განათლების კონცეფცია ანტიკურ საბერძნეთსა და რომში-----	11
თავი II. განათლება ანტიკურ ეპოსში -----	37
თავი III. სწავლა-აღზრდა და ანტიკური ლირიკა -----	91
თავი IV. განათლება ანტიკურ დრამაში -----	103
თავი V. განათლება ანტიკურ პროზაში -----	137
თავი VI. ანტიკური ელემენტები განათლების თანამედროვე სისტემაში ----	174
დასკვნა -----	187
ბიბლიოგრაფია -----	192
შემოკლებები-----	212

შესავალი

განათლების საკითხი ყოველთვის, ყველა ეპოქაში, ყველა ტიპის საზოგადოებაში აქტუალურია და დიდ ინტერესს იწვევს. განათლების საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დღეს, როდესაც ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარეობს განათლების მაღალი ხარისხის ძიების და ინოვაციების სტრატეგიების შემუშავების პროცესები. განათლებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების კეთილდღეობისა და დემოკრატიული ცნობიერების ჩამოყალიბებისთვის. სამეცნიერო მიღწევები, ტექნოლოგიური ცვლილებები, კულტურისა და ხელოვნების განვითარება თანამედროვე სამყაროში შეუძლებელია განათლების სრულყოფილი სისტემის გარეშე. სახელმწიფოს კეთილდღეობა, არსებითად, დამოკიდებულია მაღალი პასუხისმგებლობის მქონე, განათლებულ მოქალაქეებზე, რომელთაც გაცნობიერებული აქვთ ქვეყნისათვის საკუთარი პროფესიული საქმიანობის მნიშვნელობა. განათლებას უმნიშვნელოვანესი ფუნქცია აკისრია უკეთესი მომავლის უზრუნველყოფისა და სახელმწიფოს დინამიური განვითარების საქმეში.

ახალმა დრომ ახალი მოთხოვნები წაუყენა განათლების სისტემას. ის მოქნილი და მრავალფეროვანი უნდა იყოს, რომ უზრუნველყოს საზოგადოებისათვის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი უნარ - ჩვევებისა და კომპეტენციის მქონე კადრების მომზადება. პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში სახელმწიფო ძლიერებას მეტად აღარ განსაზღვრავს მხოლოდ სამხედრო ძალა და ენერგორესურსების ფლობა. უმთავრეს ეროვნულ სიმდიდრედ სხვადასხვა უნარებით დაჯილდოებული ადამიანები იქცნენ. იაპონიის ან შვეიცარიის სიმდიდრის მთავარი წყარო ბუნებრივ რესურსებს კი არ ემყარება, არამედ მათ მოქალაქეთა დაოსტატებას, განათლებას და სამუშაო დისციპლინას (ბრაგი 1992: 15-16).

1999 წლის ივნისში ევროპის ოცდაცხრა ქვეყნის განათლების მინისტრებმა ხელი მოაწერეს ბოლონიის დეკლარაციას, რომლის მიზანი უმაღლესი განათლების საერთო ევროპული სივრცის შექმნაა. დღეისათვის ბოლონიის პროცესის წევრია 46

ქვეყანა (თუნიგი ... 2005:8). საქართველო პრეტენდენტთა რიცხვს 2005 წლის მაისში შეუერთდა.

ბოლონის დეკლარაციის ძირითადი აქცენტი თავსებადი და იოლად გასაგები აკადემიური ხარისხების სისტემის ევროპის მასშტაბით შემოღებაა. 2000 წლის იანვარში ევროპის კომისიის წინადადებით პრინციპულად გადაწყდა კვლევისა და ინოვაციის ევროპული სივრცის შექმნა, რომლის მიზანია ევროპაში ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკისა და მისი განვითარებისათვის სათანადო პირობების უზრუნველყოფა. ასევე, მის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს სტუდენტთა, მასწავლებელთა და მკვლევართა მობილურობის განვითარება, საერთო ევროპული განათლების ხარისხიანი სისტემის შემუშავება (თუნიგი ... 2008: 24-25).

საქართველოს განათლების სისტემაც ძირეული რეფორმის წინაშე დგას დღეს. განათლების რეფორმა საქართველოში ძლიერი და თანამედროვე სახელმწიფოს განვითარების აუცილებელი წინაპირობაა. ამ რეფორმის მიზანია ქართული საგანმანათლებლო სივრცის ბოლონის პროცესთან მიერთება. ამით ჩვენს ქვეყანას ეძლევა რეალური შანსი, განათლება ევროპულ სტანდარტებს მიუახლოვდეს. ამავდროულად, ეს ურთულესი ამოცანაა, რომელიც მთელი რიგი ევროპული სტანდარტების შესრულებასთან არის დაკავშირებული.

გვინდა რა დავიკავოთ ღირსეული ადგილი ევროპულ ოჯახში და შევუერთდეთ განათლების საერთო ევროპულ სივრცეს, განათლების სისტემის რეფორმირებისას საქართველომ უნდა გაითვალისწინოს მსოფლიოში წამყვანი და წარმატებული საგანმანათლებლო ცენტრების გამოცდილება.

საქართველო ცდილობს დაიცვას ქვეყნის ნაციონალური თვითმყოფადობა, მოახდინოს ნაციონალური საგანმანათლებლო სისტემის ადაპტაცია და მისი საერთო ევროპულ კონტექსტში ჩასმა. მსგავსი ორმაგი, ეროვნული და ზოგადევროპული პერსპექტივა უკვე დიდი ხანია წარმატებით სარგებლობს მთელ რიგ ევროპულ ქვეყნებში.

განათლების რეფორმამ უნდა უზრუნველყოს, რომ ჩვენმა მომავალმა თაობამ იმავე ენაზე იმეტყველოს, რა ენაზეც მეტყველებს მთელი სამყარო, მაგრამ უნდა იმეტყველოს, როგორც საკუთარი კულტურის შვილმა და არა როგორც უფესვებო არსებამ.

საქართველო აქტიურად ცდილობს, თავისი წვლილი შეიტანოს ამ პროცესებში, მზად იყოს ევროპული ინტეგრაციისა და უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის შექმნით წარმოქმნილი ახალი გამოწვევებისათვის და ახალ შესაძლებლობებს ეფექტური, სისტემური და კოორდინირებული თანამშრომლობით უპასუხოს, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებისა და კარგი ცვლილებების შეტანის დიდი სურვილით.

ამ პროცესში აქტიურად არის ჩართული აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც უძველესი, მაგრამ მუდმივად განახლებადი უმაღლესი სასწავლებელია.

ევროპულ კულტურას ფესვები ბერძნულ–რომაულ ცივილიზაციაში აქვს გადგმული. ანტიკური ცივილიზაცია ასაზრდოებს ევროპული კულტურის თითქმის ყველა სფეროს. აღსანიშნავია, რომ 21–ე საუკუნის ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში არსებობს არა მხოლოდ ცალკეულ ელემენტთა თანხვედრა განათლების ანტიკური სისტემიდან, არამედ შეინიშნება მთელი სისტემის მსგავსება. უკვე კარგა ხანია თანამედროვე პროცესების პრიზმაში არ შესწავლილა განათლების ანტიკური სისტემა. რადგან განათლება მუდმივად განახლებადი პროცესია – ყველა თაობას თავისი სურვილები, მოთხოვნები და მიზნები მოაქვს, კიდევ ერთხელ საჭიროდ ჩავთვალეთ საკითხი დაგვეყენებინა და ახალი სტანდარტების და მოთხოვნების გათვალისწინებით შეგვესწავლა. შევეცდები, ანტიკურ ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით განვიხილო ანტიკური განათლების ძირითადი კონცეფცია, პრინციპები და ყველა ცალკეულ შემთხვევაში დავადგინო ამ პრინციპების თანამედროვეობასთან მიმართება.

შეიძლება ვინმე შემოგვედავოს, რომ განათლების სისტემის შესწავლა სულ სხვა, ანუ განათლების მიმართულებების პრეროგატივაა, მაგრამ ჩემს ნაშრომში აქცენტი კეთდება არა ზოგადად ანტიკური ეპოქის განათლების სისტემაზე, არამედ მის წარმოსახვაზე ლიტერატურულ წყაროებში. განვიხილავ არა საერთოდ განათლების სისტემას, არამედ იმას, თუ როგორაა ის დაფიქსირებული ანტიკური ეპოქის ავტორებთან.

შევეცდები ვაჩვენო, ცალკეულმა ჟანრმა რა პრიორიტეტები გამოკვეთა განათლების სფეროში. მაგალითად, რატომ ირჩევენ პლატონი და არისტოტელე

ლიბერალურ განათლებას თავიანთი პროზაული ნაწარმოებების „სახელმწიფოს“ და „პოლიტიკის“ მთავარ თემად; განათლების რა მეთოდებზე ლაპარაკობს არისტოფანე თავის კომედიებში; როგორი განათლების მიღების შემდეგ ჩამოყალიბდნენ ჰომეროსის ეპოსის გმირები მისაბამ პატრიოტებად და განსწავლულ ადამიანებად; რატომ იციან სოფოკლესა და სენეკას ტრაგიკულმა პერსონაჟებმა ძალიან ბევრი რამ. შევხები ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა: როგორ უწყობდა ხელს განათლების საკითხებზე მსჯელობით ანტიკური ლიტერატურა კულტურული ღირებულებების ჩამოყალიბებას, დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე ორიენტაციას, პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი განათლების მიღებას, პიროვნული პოტენციალის რეალიზებას, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარებას, მაღალი ხარისხის განათლების შეთავაზებას დაინტერესებულ პირთათვის, განათლების სისტემის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფას. ეს ის საკითხებია, რომლებიც ძალიან აწუხებს თანამდროვე განათლების სისტემით დაინტერესებულ ყველა პირს და რომელიც უმაღლესი განათლების შესწავლის მიზანია.

ცნობილია, რომ არისტოტელე რეალურ ცხოვრებაშიც ეწეოდა აღმზრდელილობით საქმიანობას. მან უდიდესი როლი ითამაშა ჭაბუკი ალექსანდრე მაკედონელის გონებრივ განვითარებაში. ალექსანდრე დიდად აფასებდა მის ამაგს და აცხადებდა, რომ „მამამისს უმაღლის სიცოცხლეს, ხოლო არისტოტელეს მას, რაც სიცოცხლის ღირსად ხდის“.

მაგრამ მე ის მეთოდები, რასაც ანტიკური ეპოქის მასწავლებლები იყენებდნენ თავიანთ მოღვაწეობაში მაინტერესებს იმდენად, რამდენადაც მინდა გავიგო, აისახა თუ არა ისინი მხატვრულ ლიტერატურაში. რადგანაც, ხშირად რეალობა და ის, რაც მწერლობაში აისახება, სცილდება ერთმანეთს. მაგალითად, ძვ. წ. ა. V საუკუნეში ესქილემ, სოფოკლემ, ევრიპიდემ, არისტოფანემ სცენაზე ქალის კულტი დაამკვიდრეს. აჩვენეს ქალი, რომელიც პრეტენზიას აცხადებს მმართველობაზე, მართავს ქვეყანას წლების განმავლობაში და არაფრით არ უნდა მისი დათმობა (კლიტემნესტრა). ასევე, არისტოფანეს „ლისისტრატეში“ ქალები აუჯანყდებიან მამაკაცებს. პროტესტის ნიშნად ისინი სახლებს ტოვებენ და უარს აცხადებენ საოჯახო საქმის გაკეთებაზე. ხოლო არისტოფანეს კომედიაში „ქალები

თესმოფორიების დღესასწაულზე” ქალები საერთოდ წაართმევენ მამაკაცებს სახელმწიფოს მართვის სადავეებს. მაგრამ ამ პერიოდის საბერძნეთის რეალურ ცხოვრებაში ეს ყველაფერი წარმოდგენილი იყო, ქალის სტატუსი და საზოგადოებრივი მდგომარეობა არც თუ სახარბიელო იყო. შესაბამისად, ზემოთ თქმული იყო მხოლოდ ავტორთა თამამი განცხადებები და ოცნებები, მოგვიანებით ცხოვრებაში რეალიზებული, მათ ეპოქაში კი მოკლებული ყოველგვარ რეალურ საფუძველს.

ამიტომაც იყო, რომ დისერტაციის პირველ თავად გამოვყავით: „განათლების კონცეფცია ანტიკურ რომსა და საბერძნეთში”, ხოლო შემდგომ თავებში კი ვაჩვენებთ, როგორ აისახა ეს რეალობა მხატვრულ ლიტერატურაში, რამდენად ადეკვატურია რეალურ ცხოვრებასთან მიმართებაში ის, რაზეც ავტორები საუბრობენ თავიანთ ნაწარმოებებში. ხოლო ნაშრომის დამამთავრებელ თავში „ანტიკური ელემენტები განათლების თანამედროვე სისტემაში“ კიდევ ერთხელ შევეცდებით ლიტერატურიდან მიღებული დასკვნების რეალურ ცხოვრებასთან (ამჯერად თანამედროვესთან) მისადაგებას.

თემა აქტუალურია არა მხოლოდ ანტიკური განათლების ახალი ასპექტებით წარმოჩენის, არამედ, თანამედროვეობასთან მიმართების დადგენის თვალსაზრისითაც. თემაზე მუშაობისას გავითვალისწინე ის საფრთხეები, რომელიც 21-ე საუკუნის პრინციპებით ანტიკური ეპოქის განათლების წარმოჩენას შეიძლებოდა მოჰყოლოდა და მაქსიმალური სიფრთხილით შევეცადე, ზედმეტი ხელოვნურობით თავს არ მომეხვია ის, რაც არ უფიქრიათ ანტიკური ეპოქის ავტორებს.

ანტიკური ლიტერატურული წყაროების მიხედვით ანტიკური განათლება მონოგრაფიულად და **კომპლექსურად შესწავლილი არ ყოფილა**. ქართული სამეცნიერო ლიტერატურა ნაკლებად დაინტერესდა საერთოდ განათლების საკითხებით ანტიკურობაში, თუ არ გავითვალისწინებთ რისმაც გორდეზიანის, ირინე დარჩიას, ნანა ტონიას და სხვათა დიდ ღვაწლს საერთოდ განათლების საკითხებზე მუშაობისას გამოთქმული საინტერესო მოსაზრებებით და ამ კონტექსტში ანტიკურობის ციტირებებით. უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში ძველბერძნული განათლების სისტემას სხვადასხვა კუთხით იკვლევენ შემდეგი

მკვლევარები: 1. ჰარვი იუნისი – Yunis Harvey. (2003). *Written Texts and the Rise of Literature Culture in Ancient Greece*. Cambridge University Press. მკვლევარი განიხილავს ბერძნული ლიტერატურული კულტურის აღმავლობას, რასაც ეფუძნება ძველბერძნული განათლება. 2. სტენლი პორტერი – Porter Stanley E. (2001). *Handbook of Classical Rhetoric in the Hellenistic Period 330 B. C.-A.D.400*. Brill. განიხილავს ელინისტური ეპოქის კლასიკური რიტორიკის სახელმძღვანელოებს. 3. ნიკოლას ვლახოსი – Vlachos Nicholas P. (1936). *Hellas and Hellenism: A Social and Cultural History of Ancient Greece*. Ginn and Company. ავტორი მიმოიხილავს ანტიკური საბერძნეთის სოციალურ და კულტურის სფეროს. აქვე საუბრობს განათლების სისტემაზე და აღნიშნავს, რომ სწორედ ასეთი სრულყოფილი სისტემა განაპირობებდა ბერძნული საზოგადოების განვითარების მაღალ დონეს. 4. ჯოშია ობერი – Ober Josiah. (1989). *Mass and Elite in Democratic Athens: Rhetoric, Ideology, and the Power of the People*. Princeton University Press. მკვლევარი წარმოგვიდგენს დემოკრატიული ათენის საზოგადოების დაბალ ფენებსა და ელიტარულ წრეს, დაწვრილებით საუბრობს ათენის ელიტარული წრის განათლებაზე. 5. რიჩარდ ბროსიო – Brosio Richard A. Land P. (2000). *Democratic Education. Philosophical Scaffolding for the Construction of Critical Democratic Education*. New York: Peter Land. შეეხება ათენურ განათლებას, რომელიც დემოკრატიულ სულს უნერგავდა ახალგაზრდა ბერძნებს და ამტკიცებს განათლების უმნიშვნელოვანეს ფუნქციას ქვეყნის განვითარების საქმეში. რომაულ განათლებას შეისწავლის შემდეგ მეცნიერთა შრომები: 1. მაიკლ კლარკე – Clarke M.L. (1956). *The Roman Mind: Studies in the History of Thought from Cicero to Marcus Avrelus*. Harvard University Press. მკვლევარი საუბრობს რომაული აზროვნების განვითარებაზე ციცერონიდან მარკუს ავრელიუსამდე. 2. ობრეი გუინი Gwynn Aubrey. (1926). *Roman Education from Cicero to Quintilian*. Clarendon Press. ავტორი განიხილავს რომაულ განათლებას ციცერონიდან კვინტილიანუსამდე. 3. ჯოზეფ ბოლდსონი – Baldson J. P. V. D. (1979). *Romans and Aliens*. Vol.10. University of North Carolina Press. ავტორი განიხილავს რომაელებს სხვა ხალხებთან მიმართებაში. ხაზგასმულია ის თვისებები, რაც განასხვავებდა რომაელებს უცხოელებისაგან. 4. კლაივ სკიდმორი – Skidmore Clive. (1996). *Practical Ethics for Roman Gentleman: The Work of Valerius Maximus*. University of Exeter Press. ნაშრომი განიხილავს რომაელი ჯენტლმენის ეთიკის

ნორმებს, სადაც განათლებას უპირველესი ადგილი უჭირავს. მკვლევარი გვაწვდის ინფორმაციას რომელი ჯენტლმენების განათლების მაღალ დონეზე. ეს ნაშრომები ეფუძნება ფაქტობრივ მასალებს. შედარებით მცირეა ლიტერატურულ წყაროებზე დაფუძნებული შრომები, თუმცა მათგან გამოვყოფდი შემდეგს: 1. ჰ. ბენსონი – Benson H. H. (2000). *Socratic Wisdom: The Model of Knowledge in Plato's Early Dialogues*. New York: Oxford University Press. 2. ა. ბერნი - Burn A. R. (1936). *The World of Hesiod: A Study of the Greek Middle Ages, C. 900-700 B. C.* London: Kegan Paul, Trench, Trubner & Co. 3. ტ. ბრიკჰაუსი - Brickhouse T. Nicholas D Smith. (2000). *The philosophy of Socrates*. Boulder Co: Westview press. 4. ს. ბროდი - Broadie S. (1991). *Ethics with Aristotle*. New York/Oxford. 5. ჯ. გრიფინი - Griffin J. (1983). *Homer on Life and Death*. Oxford: Clarendon Press. 6. ჰ. კლარკე – Clarke H.W. (1989). *The Art of the Odyssey*. Wauconda, IL: Bolchazy-Carducci.

ნაშრომის მიზანია ანტიკურ ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით აჩვენოს, განათლების რა სისტემა მოქმედებდა ანტიკურ საბერძნეთსა და რომში და გამოკვეთოს ის პრიორიტეტები, რომლებიც თანამედროვე განათლების სისტემის საფუძველი გახდა; გაარკვიოს, რა იმეძკვიდრა მისგან განათლების ევროპულმა სისტემამ, რომლის ზოგად ტენდენციებსა და სტანდარტებს ეყრდნობა თანამედროვე საქართველოს განათლების სისტემაც.

ანტიკური განათლების ლიტერატურაში ასახვის საკითხი კომპლექსური სახით **პირველად** იქნება წარმოდგენილი და განხილული, რაც აქამდე მონოგრაფიული შესწავლის საგანი არ ყოფილა. შევეცადე, სრული სურათი შემექმნა, მაგრამ უფრო მეტი ყურადღება მიმექცია შედარებით ნაკლებად შესწავლილი საკითხებისათვის, ან უკვე შესწავლილი წარმომეჩინა ახლებური მიდგომებითა და თვალსაზრისით, შემღებისდაგვარად, საუნივერსიტეტო სივრცეში დღეისათვის აღიარებული სტანდარტის გათვალისწინებით. **ნაშრომის მეცნიერულ ორიგინალობად** მივიჩნევ იმას, რომ განვიხილავ, თუ როგორ აისახა განათლება ანტიკური ლიტერატურის ცალკეულ ჟანრში თეორიულ პლანში და პერსონაჟებში.

ნაშრომი შეიძლება გამოადგეთ არა მხოლოდ ლიტერატორებს, ისტორიკოსებს, ფილოსოფოსებს, არამედ ფსიქოლოგებსაც. სადისერტაციო ნაშრომში გამოთქმულ თეორიულ მოსაზრებებს აქვთ მეცნიერული ღირებულება როგორც ქართული

ფილოლოგიური მეცნიერებისათვის, ისე კლასიკური ფილოლოგიისათვის. იგი დახმარებას გაუწევს ამ საკითხით დაინტერესებულ მეცნიერებს, სტუდენტებს და მკითხველებს. დასკვნები შეიძლება გამოყენებულ იქნას უმაღლეს სასწავლებლებში ანტიკური ლიტერატურის სალექციო კურსების, სპეცკურსებისა და სპეცსემინარებისათვის, სახელმძღვანელოების და მონოგრაფიების შედგენისას.

კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე, სხვადასხვა მეთოდოლოგიის გამოყენება დამჭირდა. ძირითადად ვიყენებ სოციოლოგიურ, ისტორიულ–შედარებით მეთოდებს, ლიტერატურული პროცესის სინქრონული და დიაქრონული ანალიზის პრინციპს; გათვალისწინებული იქნება ანტიკურ ეპოქის განათლების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურა და განათლების ამსახველი მასალები ანტიკური ავტორების შემოქმედებიდან. მათი შეჯერების თუ შედარებით–შეპირისპირებითი მეთოდების გამოყენებით მიღებული იქნება დასკვნითი დებულებები.

სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს კომპიუტერზე აწყობილ 212 გვერდს, რასაც თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა (351 ერთეული, რომელთაგან უახლესი 2012–2013 წლებით თარიღდება) და შედგება შესავლის, 6 თავისა და დასკვნისაგან.

თავი I. განათლების კონცეფცია ანტიკურ საბერძნეთსა და რომში

ყველა პროფესია ადამიანისაგან მოდის,

მხოლოდ სამი მოდის ღმერთისაგან –

მასწავლებელი, იურისტი და ექიმი.

ჰიპოკრატე

დიდი ბერძენი ტრაგიკოსი, ევრიპიდე ამბობდა: „აღზრდა რთული საქმეა და მისი პირობების გაუმჯობესებაზე ზრუნვა ადამიანის წმინდა მოვალეობაა, რადგან არ არსებობს უფრო მნიშვნელოვანი საქმე, ვიდრე საკუთარი თავისა და ახლობელთა განათლება“. აღზრდის პროცესი დროში განსაზღვრულია, ხოლო განათლების მიღებას ადამიანი სიცოცხლის ბოლომდე არ წყვეტს. ანტიკურ საბერძნეთსა და რომში ბევრს ფიქრობდნენ და აკეთებდნენ განათლების სისტემის დახვეწისა და სრულყოფისათვის და შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელი გადასახედიდან ის უნიკალურიც კი არის.

აღზრდის კონცეფცია პოლისების ეპოქის საბერძნეთში გულისხმობდა ფიზიკურად და სულიერად სრულყოფილი ადამიანის აღზრდას, რაც, საფოიდან მოყოლებული, ცნობილი კომპოზიტით *καλοκαγαθία* (მშვენიერი და კარგი) გამოიხატებოდა (გორდეზიანი 2007: 235). სწავლა–აღზრდის თითქმის მთელი ციკლი კერძოდ ხორციელდებოდა, სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებები კი მხოლოდ სპარტასა და კრეტაზე იყო (შდრ. პაუელი 1994: 273–322).

ტრადიციულად, ათენური განათლება იყოფოდა ორ ნაწილად: გონების წვრთნა (*μουσική*) და სხეულის წვრთნა (*γυμναστική*). ათენელი ვაჟი სწავლას 6-7 წლის ასაკში იწყებდა. ის სკოლაში ერთგულ მონას მიჰყავდა, რომელსაც ეწოდებოდა *პედაგოგი* (*παιδαγωγός*). მისი მოვალეობა იყო, თვალყური ედევნებინა ბავშვისთვის მთელი დღის განმავლობაში. პედაგოგს არანაირი შეხება არ ჰქონდა სწავლების პროცესთან. ის პასუხისმგებელი იყო ვაჟისათვის მოქცევა, კარგი მანერები და მორალი ესწავლებინა. ამის გამო პედაგოგად, ჩვეულებრივ, ირჩევდნენ ისეთ მონას, რომელიც გამოირჩეოდა კარგი ქცევებით, სანდოობით და ზრდილობით. ამ პიროვნების მიმართ ნდობა ძალიან მაღალი იყო. მაგალითად, სიკინოსს, თემისტოკლესის ვაჟის პედაგოგს, დაევალა საპასუხისმგებლო მისია - ქსერქსესისთვის სალამისის ომის

დაწყების წინ მნიშვნელოვანი შეტყობინება მიეტანა.

რომის დაარსებიდან პირველი ხუთი საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობდა ბრძოლა გადარჩენისათვის, დამოუკიდებლობისათვის. სამხედრო ხელოვნების გარდა დროს არაფერს უთმობდნენ. როცა არ იბრძოდნენ, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით იყვნენ დაკავებულნი. ძვ. წ. ა. 272 წელს რომაელების მიერ შეპყრობილ განათლებულ ბერძენ მონას, ტარენტუმს წარჩინებულთა შვილების კერძო მასწავლებლობა დაევალა (ბალდსონი 1979 : 116–118).

როდესაც ტარენტუმმა თავისუფლება მოიპოვა, მან აიღო მისი ბატონის სახელი და ცნობილი გახდა, როგორც ლუკიუს ლივიუს ანდრონიკუსი. იგი აგრძელებდა რომში ცხოვრებას და მოიპოვა საუკეთესო მასწავლებლის სახელი. ლივიუსი სწავლებაში იყენებდა ბერძნულ მეთოდებს. მან თავის რომაელი მოსწავლეებისათვის გადათარგმნა ჰომეროსის „ოდისეა“ ლათინურ ენაზე და ლექსი ძველი სატურნული მეტრით გამართა. იგი თავადაც წერდა პოემებს ლათინურ ენაზე. საყურადღებო ფაქტია, რომ პირველი მასწავლებელი ამავდროულად პირველ რომაელ ავტორად მოგვევლინა. მასწავლებლის პრაქტიკულმა მიზანმა - აღეზარდა განათლებული მოსწავლეები, სათავე დაუდო მსოფლიოში ცნობილ ერთ-ერთ უძველეს და საუკეთესო მწერლობას. მომდევნო თაობის წარმომადგენელმა ენიუსმა (ძვ.წ.ა. 239-169 წწ.), რომაული პოეზიის მამამ, გააფართოვა ეროვნული ლიტერატურის საფუძვლები (გუინი 1926: 11–17, კენიონი 1932: 45–49). ადრეული პერიოდის რომაულ განათლებაზე ჩვენ ძალიან მწირი ინფორმაცია მოგვეპოვება, თუმცა ცნობილია, რომ ეს სისტემა მჭიდრო კავშირში იყო patria potestas-ის ინსტიტუტთან, რომლის თანახმადაც, ოჯახის უფროსს ჰქონდა სრული უფლება მის შვილებზე.

ამ თავზე მუშაობისას განსაკუთრებული ყურადღება მივაქციე რამდენიმე საინტერესო საკითხს: როგორი იყო ძველ საბერძნეთსა და რომში განათლების საკითხებში სახელმწიფოს ჩართულობა; სასკოლო განათლების ეტაპები; სასწავლო პროგრამა; წახალისების ფორმები; როგორ საკლასო ოთახებში ტარდებოდა მეცადინეობები. ცალკე ყურადღება დავუთმე ქალთა განათლებას; პროფესიულ სასწავლებლებს; განათლების საფეხურებს; განსაკუთრებით გამოვყავი განათლების კონცეფციები ანტიკურ საბერძნეთსა და რომში. ქვემოთ უფრო დეტალურად წარმოვაჩენ ამ საკითხებს.

განათლების საკითხებში სახელმწიფოს ჩართულობა. ა) საბერძნეთი: ათენში არსებობდა ეტაპობრივი აღზრდის კონცეფცია (ლაიცესტერი 2000: 17). სახელმწიფო მოითხოვდა, რომ ყველა ვაჟს ესწავლა წერა-კითხვა (გოგონების განათლების შესახებ იხ.ქვემოთ). მშობლებს უნდა ამოერჩიათ სკოლა და სწავლის ქირა გადაეხადათ. სკოლა იყო კერძო დაწესებულება და სკოლის მასწავლებელი – არც ისე დაფასებული პროფესია. მას ხშირად პრობლემები ექმნებოდა გასამრჯელოს აღებისას, მიუხედავად იმისა, რომ ეს გასამრჯელო იმდენად მცირე იყო, თვით ღარიბ ოჯახებსაც კი შეეძლოთ გადახდა. უმეტესად ვაჟები წერა-კითხვის შესწავლით არ კმაყოფილდებოდნენ, მუსიკა და გიმნასტიკა ლიბერალური განათლების უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენდა და ეს საგნები ისწავლებოდა არა გრამატიკულ, არამედ ცალკე სკოლებში (ვესტი 1994: 13-38).

ყველას შეეძლო გაეხსნა სკოლა და არ იყო აკრძალვა კურიკულუმში საგნების შეტანაზე. თუმცა, თავდაპირველად, არ იყო სახელმწიფო სკოლები, არსებობდა კანონები კერძო სკოლათა რეგულირებისათვის. მოგვეპოვება ჰეროდოტოსის ცნობები ერთ-ერთი ასეთი სკოლის არსებობის შესახებ ძვ. წ. ა. 494 წ. კუნძულ ქიოსზე. ასევე ცნობილია, რომ როცა 480 წელს ათენელები იძულებულნი იყვნენ სახლები მიეტოვებინათ სპარსეთის ომის დასრულებამდე, ტროეძელებმა არა მარტო მისცეს მათ თავშესაფარი, არამედ სკოლაში სწავლის გადასახადიც გადაუხადეს (პლუტ. პარ. ბიოგრ. 10). ასევე ცნობილია, რომ პერიკლესის დროს ფილოსოფოსმა ანაქსაგორამ ფული დაუტოვა საკუთარ ქალაქ კლაზომენეს თავს იმისათვის, რომ მისი გარდაცვალების დღე სკოლაში დასვენების დღედ გამოეცხადებინათ (ძვ. წ. ა. 431-404). ბეოტიას, რომელიც შედარებით ჩამორჩენილად ითვლებოდა, სკოლები პატარა ქალაქებშიც კი ჰქონდა (მაჰაფი 2009: 54). თუკიდიდესი ზიზღით მოიხსენიებს, რომ შეიჭრნენ მიკალესუსში ბარბაროსი ჯარისკაცების ურდოები, რომელთაც ქალაქის სკოლაში მოკლეს ყველა ვაჟი. ძვ. წ. ა. III საუკუნეში უკვე მოგვეპოვება ცნობები სკოლების განსაზღვრულ შეწირულობებზე არა მარტო საბერძნეთში, არამედ მცირე აზიაშიც. არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩნდა ხელნაწერი, რომელზეც დაფიქსირებული იყო ევდემუსის საჩუქარი. ეს იყო დიდი რაოდენობით ფული – მუდმივი შეწირულობა მილეტუსის სკოლისათვის, სადაც ხალხის დადგენილებით, ეს თანხა ხმარდებოდა სხვადასხვა

ინვენტარის შექმნას. არსებობდა სკოლის საბჭო, რომელსაც ევალებოდა ფინანსების ადმინისტრირება, მასწავლებლების დანიშვნა და დაწესებულების გენერალური მენეჯმენტი. დადგენილებაში ასევე განსაზღვრული იყო მასწავლებელთა ხელფასები, რომელიც ძალიან მცირე იყო. მაგალითად, ოცდაათი დრაქმა თვეში ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთათვის და ორმოცი დრაქმა დაწყებითი კლასების პედაგოგებისათვის. ამ თანხით ძალიან გაუჭირდებოდა მასწავლებელს თვიდან თვემდე თავის გატანა. ძვ. წ. ა. V საუკუნეში ფლოტში მეზღვაურის ანაზღაურება იყო უმეტეს შემთხვევაში დღეში ერთი დრაქმა, რაც ნიშნავს თვეში ოცდაათ დრაქმას და თუკი ჩვენ გავითვალისწინებთ ფართო მოხმარების საქონლის ფასს, უნდა ვივარაუდოთ, რომ მასწავლებლის პროფესია მილეტუსში არც ისე შემოსავლიანი ყოფილა. თეოსში უფრო მაღალი ანაზღაურება ჰქონდათ მასწავლებლებს. მაღალი დონის მასწავლებელი წელიწადში 600 დრაქმას იღებდა (რობინსონი 1933: 89–111).

კლასიკური პერიოდის სკოლა კერძო დაწესებულებას წარმოადგენდა და სახელმწიფოსგან არც აღიარება ჰქონდა და არც დაფინანსება. მასწავლებელი ხელფასს იღებდა მოსწავლეების მიერ გადახდილი თანხიდან (დობსონი 1932: 28–32). ცნობილია, რომ ალკიბიადესმა სცემა სკოლის მასწავლებელი იმიტომ, რომ მას არ გააჩნდა ჰომეროსის სახელმძღვანელო, თუმცა ეს ცნობა მოკლებულია ავთენტურობას და არც ის შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ ასეთი ფაქტი ტიპური იქნებოდა მაშინდელი საზოგადოებისათვის დემოსთენესი დასცინოდა მის მეტოქე ემინესს, რადგანაც ის იყო მასწავლებლის შვილი და თავად ასისტენტობას უწევდა მამას სკოლაში. ის წერს: „შენ მამას ეხმარებოდი სკოლაში მონური საქმეების შესრულებაში, მელანის აწმენდასა და მოსაცდელი ოთახის დაგვაში (დემოს. გვირგ. შეს. 258); ერთი კომიკოსი პოეტი თავის მეგობარზე წერდა: „ის ახლა ან მკვდარია ან, შესაძლოა, სკოლის მასწავლებელი გახდა“.

სპარტაში სახელმწიფო ბავშვის დაბადებისთანავე აწესებდა მასზე კონტროლს. უპირველეს ყოვლისა, მას უტარდებოდა გასინჯვა – შემოწმება და რაიმე ფიზიკური ნაკლის, ან სერიოზული დაავადების აღმოჩენის შემთხვევაში, ხდებოდა მისი გარიდება ჩაკეტილი სპარტანული საზოგადოებისაგან. ხოლო, თუ ის სრულიად ჯანმრთელი აღმოჩნდებოდა, უბრუნებდნენ ოჯახს, სადაც შვიდ წლამდე რჩებოდა და იზრდებოდა მშობელთა და სპეციალურად დაქირავებული ძიძის

მეთვალყურეობით. 7 წლიდან კი იწყებოდა სახელმწიფო აღზრდა და 30 წლამდე გრძელდებოდა. სპარტანელი ვაჟები ძალიან მკაცრ პირობებში, სპეციალურ საერთო საცხოვრებლებში ცხოვრობდნენ (დობსონი 1932: 10–25). კრიპტია (სპარტელი ჭაბუკების უფლება– ყოველწლიურად მონაწილეობა მიეღოთ ჰელოტების დარბევაში და მათგან ყველა საეჭვო პირი მოეკლათ) მშვენივრად უმუშავებდა მათ ამტანობას. იგულისხმება: ზამთარში ფეხშიშველი სიარული, ძილი საწოლის გარეშე, საკუთარი თავის მომსახურება მოსამსახურეთა გარეშე, ღამით და დღისით ხეტიალი მთელ ქვეყანაში.

სპარტანული კონსტიტუციის შექმნას მიაწერენ ნახევრად მითიურ პიროვნებას ლიკურგუსს, რომელსაც ასევე მიეწერება განათლების სისტემის შექმნა.

სპარტანელ მოზარდთა კვების რაციონი ძალიან მარტივი იყო. მთელი დღის განმავლობაში ისინი მიირთმევდნენ ბულიონსა და შავ პურს. ერთ სტუმარს, სპარტანული სადილის მიღების შემდგომ ასეთი რამ უთქვამს: „აი, რატომ არ ემინიათ სპარტელებს თურმე სიკვდილისო.“ 7 წლის ასაკში ვაჟები სახლს ტოვებდნენ და ერთიანდებოდნენ დივიზიებში, სადაც ისინი ცხოვრობდნენ ერთად დღე და ღამე. დივიზიიდან გამოარჩევდნენ ერთ ვაჟს, რომელიც ყველაზე კარგად მოიქცეოდა და მას Bouagor (მწყემსი) ეწოდებოდა. მასვე ევალებოდა დივიზიაში დისციპილის დამყარება. ძირითადი კონტროლის გამწევი იყო Paidonomos, რომელსაც ჰყავდა სპეციალური დამხმარეები, ე.წ. „მემათრახეები“. ფიზიკური დასჯა იქ იყო ჩვეულებრივი მოვლენა და ძალიან ხშირად ამას სასტიკი ხასიათიც ჰქონდა. სპარტაში ისჯებოდა ინდივიდუალიზმი, ინიციატივა, ვაჟებს ასწავლიდნენ მონურ მორჩილებას. შედეგად, სპარტაში იყო „ძალიან ბევრი დიდებული მეომარი, თუმცა ძალიან ცოტა დიდებული გენერალი“ (რობინსონი 1933: 111–124).

ბ) რომი: რომში განათლება სავალდებულო არ იყო. იმპერიის დაარსების პირველ ეტაპზე სახელმწიფო არ ერეოდა განათლების საკითხებში. ოჯახის უფროსს შეეძლო აეკრძალა, ან ნება დაერთო შვილებისათვის განათლება მიეღოთ. ცოტა მოგვიანებით უკვე იმპერატორები ჩაერივნენ განათლების სისტემის ფუნქციონირებაში. მაგალითად, ახ.წ.ა. 376 წელს სპეციალური ედიქტით განისაზღვრა მასწავლებელთა ხელფასი – რიტორიკის მასწავლებელს აუცილებლად ორმაგი ხელფასი უნდა ჰქონოდა, ვიდრე სხვა საგნის პედაგოგს. თუმცა მასწავლებელთა დანიშვნაში

სახელმწიფო არ იღებდა მონაწილეობას. ახ.წ.ა. 425 წელს თეოდოსიუსმა და ვალენტინიანმა გამოსცეს ედიქტი, რომლის თანახმადაც, კერძო პირებს არ შეეძლოთ სკოლის გახსნა სახელმწიფო ავტორიზაციის გავლის გარეშე (მიმოხილვისათვის იხ. კლარკე 1956).

ანტიკურ სამყაროში მასწავლებლები განსხვავდებოდნენ კვალიფიკაციისა და ხარისხის თვალსაზრისით. ცალკეული კომუნის და დასახლების წარმომადგენლები ცდილობდნენ მოეწვიათ ცნობილი და გამორჩეული მასწავლებლები. გარკვეული პერიოდიდან განისაზღვრა მასწავლებელთა მაქსიმალური რაოდენობა ამა თუ იმ დასახლებული პუნქტისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ არცთუ სახარბიელო იყო მათი ხელფასი და მას განსაზღვრავდა მოსწავლეთა რაოდენობა. მასწავლებლებს კონკურენციის პირობებში უწევდათ მუშაობა და დიდ ძალისხმევას იჩენდნენ, რომ როგორმე მოსწავლეები შეეგროვებინათ.

სასკოლო განათლების ეტაპები. ა) **საბერძნეთი:** ბერძნულ გრამატიკულ სკოლებში ისწავლებოდა მარტივი მათემატიკა. ბერძნული რიცხვების სისტემა იყო ძალიან რთული (კენიონი 1932: 4–22). მოსწავლეები საწყის ეტაპზე საანგარიშოებზე მეცადინეობდნენ. მათ ასწავლიდნენ ფლეიტაზე დაკვრასაც, თუმცა მელოდია, აუცილებლად, მშვიდი უნდა ყოფილიყო. უფრო პოპულარული ინსტრუმენტი იყო ლირა. ხშირად ლირას სიმღერას ააყოლებდნენ ხოლმე. აქედან მომდინარეობს ტერმინი „ლირიკული“, ანუ ესაა სიმღერა, დაწერილი ლირის აკომპანიმენტით შესრულებისათვის. ზოგჯერ ჯენტლმენის განათლება მოიცავდა ხატვასა და ფერწერასაც, თუმცა, ისე როგორც მუსიკა, ის უპირატესად, მდიდართა ვაჟების შესწავლის საგანი იყო მხოლოდ.

ბერძნებს სჯეროდათ, რომ „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია“, ამიტომ ფიზიკურ კულტურას დიდ ყურადღებას უთმობდნენ. 12 წლის ასაკიდან ვაჟები შედიოდნენ გიმნასტიკურ სკოლებში, რომლებიც სპეციალურ შენობებში – პალესტრებში იყო განთავსებული. გიმნასტიკური სკოლის აღზრდის პროგრამას განსაზღვრავდა ტერმინ პენტათლონის შინაარსი. ესაა ხუთი გიმნასტიკური სახეობის გაერთიანება: სირბილი, ჭიდაობა, ხტომა, დისკოსა და შუბის ტყორცნა. სავარაუდოდ, აქ ცეკვაც ისწავლებოდა. (გიბელი 1980: 12–25).

ათენელი ვაჟები მუსიური სკოლების დამთავრების შემდეგ განათლებას

გიმნასიონებში აგრძელებდნენ. **γυμνάσιον** („შიშველი“) ფუძის შემცველი ეს ტერმინი, დაკავშირებული იყო ვარჯიშთან. ცნობილია, რომ ჭაბუკები ვარჯიშისას შიშველები იყვნენ, რაც ვაზური ფერწერის ნიმუშებშიც დასტურდება (გორდეზიანი 2007: 237). თუმცა, გიმნასიონებში ასევე ხდებოდა ვაჟთა ინტელექტის დახვეწა. ათენში სამი გიმნასიონი არსებობდა: ლიკეიონი, აკადემია და კინოსარგოსი (თუუ 2001: 23–40). გიმნასიონები ფინანსდებოდნენ გიმნასიარქოსების მიერ. ეს უკანსკნელნი იყვნენ ათენის შეძლებული პირები, რომლებსაც, გარდაცვალების შემდგომ, იმ სკოლების კედლებში კრძალავდნენ, რომელთაც ფინანსურ მხარდაჭერას უწევდნენ.

ბ) რომი: რომში ვაჟი პირველ რამოდენიმე წელს ატარებდა დედის მზრუნველობის ქვეშ, რომელიც მას მცირე გაკვეთილებსაც უტარებდა და თან ათამაშებდა. როგორც კი ვაჟი ბავშვობის ასაკიდან გამოვიდოდა, მთელს პასუხისმგებლობას მის აღზრდაზე მამა იღებდა. ძვ.წ.ა. III საუკუნის ბოლოსათვის, სავარაუდოდ, მხოლოდ მამა ითავსებდა მასწავლებლის ფუნქციას. მამისაგან სწავლობდა ვაჟი წერა-კითხვას, სირბილს, ცურვას, ფერმაში მუშაობას. მამას ის ზოგჯერ დაჰყავდა ფორუმებზე სახალხო გამოსვლების მოსასმენად.

ადრეულ პერიოდში ვაჟებს ასწავლიდნენ თავიანთი ქვეყნის შესახებ ლეგენდებს, რომლებიც გარკვეულ ისტორიას გადაცემდა მათ. სავარაუდოდ, ამ ლეგენდებს ლექსის ფორმა ჰქონდათ და სატურნული მეტრით იყო გამართული. მათ ვაჟები ზეპირად სწავლობდნენ და შემდგომ ან დეკლამაციურად წარმოთქვამდნენ, ან მღეროდნენ. არ ხდებოდა ნატიფი ხელოვნების შესწავლა, თუმცა მოგვეპოვება ცნობა, რომ გაიუს ფაბიუსმა მიიღო პიქტორის წოდება მას შემდგომ, რაც მოხატა სალუსის ტაძრის ფრესკა ძვ.წ.ა. 302 წელს. კაპიტოლინის მგელი (Lupa Capitolina) (ძვ.წ.ა. 296 წ.) არის დასტური იმისა რომ, რომელი ხელოსნები ნამდვილად არ ჩამოუვარდებოდნენ ოსტატობით თავიანთ ბერძენ თანამედროვეებს. ცნობილია, რომ პირველი სკოლა გახსნა სპურიუს კარვილიუსმა, გათავისუფლებულმა მონამ, რომელიც ცხოვრობდა ძვ.წ.ა. III საუკუნეში. თუმცა, ლეგენდები შეიცავს ინფორმაციას სასკოლო ცხოვრების შესახებ გაცილებით უფრო ადრეულ პერიოდშიც. მაგალითად, ცნობილია, რომ რომულუსი და რემუსი დადიოდნენ გაბიუმის სკოლაში.

სადღესასწაულო დღეებში სკოლა იხურებოდა. საზაფხულო არდადეგები საკმაოდ ხანგრძლივი იყო და 4 თვე გრძელდებოდა.

ღარიბი ოჯახების შვილები დაწყებითი განათლებით შემოიფარგლებოდნენ. შემდგომ ისინი იძულებულნი იყვნენ, თავიანთ ოჯახებს მატერიალურად დახმარებოდნენ, ამიტომ აღარ ეცალათ სწავლის გასაგრძელებლად. ადრეული ქორწინებები ჩვეული მოვლენა იყო, 12 წელი ლეგალიზებული ასაკი იყო. პრივილეგირებული ოჯახის შვილები კი აგრძელებდნენ ლიტერატურის შესწავლას. ბერძნულ–რომაული განათლების ადრეულ პერიოდში ძირითადად ჰომეროსს, ხოლო მოგვიანებით რომაულ ლიტერატურასაც ასწავლიდნენ, განსაკუთრებით, ვერგილიუსსა და ციცერონს.

თანდათანობით ლათინურენოვან ავტორთა შერჩევის პროცესში ტექსტის თუ ავტორის ათვისების 4 ეტაპი გამოიკვეთა: 1. lectio - ტექსტის უზადო კითხვა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო რთული მეტრული სისტემით გამართული ტექსტების შემთხვევაში; 2. enaratio - განმარტება, რაც გულისხმობდა მთელი ნაწარმოების და მისი ცალკეული ნაწილების ინტერპრეტაციას, ავტორის ბიოგრაფიის, მასთან მოხსენიებული ისტორიული, გეოგრაფიული, მითოლოგიური მასალის ანალიზს; 3. emendation - კრიტიკული ანალიზი, რომლის მიზანი იყო ტექსტის ღირსებებისა და ნაკლოვანებების გამოვლენა, სადაც საჭიროდ მიიჩნევდნენ, შესაძლებელი იყო მისი ჩასწორებაც კი; 4. Judicium - კრიტიკული შეჯამება და დასკვნების წარმოდგენა.

სასწავლო პროგრამა. ა) **საბერძნეთი:** თავდაპირველად, ბერძენ მოსწავლეებს ასწავლიდნენ ანბანს, რომლის ნიმუში დაცულია ათენეოსთან. შემდგომ მოსწავლეები ითვისებდნენ ხმოვნებისა და თანხმოვნების შერწყმას და ბგერების წარმოთქმას. მოგვიანებით ისინი სწავლობდნენ წერას კარნახების საშუალებით. ბავშვებს ასევე ზეპირად უნდა ესწავლათ პოეზიის ნიმუშები. რადგანაც წიგნების რაოდენობა შეზღუდული იყო, ხშირად მასწავლებელი კარნახობდა მათ პოეტურ ქმნილებებს (კენიონი 1932: 1–37).

ართიმეტიკაში მათ ძალიან მარტივი გაკვეთილები უტარდებოდათ. თავდაპირველად თითებზე სწავლობდნენ დათვლას, შემდგომ საანგარიშოებზე. ბერძნები იყენებდნენ გაცილებით რთულ მათემატიკურ აღნიშვნებსა და სიმბოლოებს, ვიდრე რომაელები და ეს შეუძლებელს ხდიდა თუნდაც ძალიან მარტივი გაანგარიშებების ფურცელზე გაკეთებას. ისინი იძულებული იყვნენ

გამოყენებინათ სხვადასხვა ხელსაწყო, როგორცაა საანგარიშო და აბაკუსი (კენიონი 1932: 1-37).

ათენში ვაჟები ზეპირად სწავლობდნენ დიდი პოეტების, განსაკუთრებით, ჰომეროსისა და ჰესიოდეს შემოქმედებას. ჰომეროსის „ილიადასა“ და „ოდისეას“ იზეპირებდნენ. ისინი ასევე ეცნობოდნენ სიმონიდესს. ვაჟებს ევალეზოდან გრძელი პასაჟები გადმოეცათ შესაფერისი მიმიკითა და ჟესტიკულაციით. ჰომეროსის პოემების გარდა, ასევე ისწავლებოდა სხვა დიდი დრამატურგებისა და პოეტების ნაწარმოებები. მასწავლებელი რთულად გასაგებ პასაჟებს საგანგებოდ უხსნიდა მოსწავლეებს (რობინსონი 1933: 139-142). ციტირებებს დიდი დრო ეთმობოდა და ისინი აუცილებლად მხატვრულად უნდა წაეკითხათ მოსწავლეებს. მუსიკა ისწავლებოდა ცოტა მოგვიანებით და მას ჰქონდა დიდი ესთეტიკური დატვირთვა.

სპარტაში განათლება იყო, ძირითადად, ფიზიკური. იგი, ძირითადად, შედგებოდა მძლეოსნობისა და გიმნასტიკური ვარჯიშებისაგან. უმცროსები ვარჯიშობდნენ სირბილში, ხტომაში, ბურთის თამაშში; მოზრდილები სწავლობდნენ დისკოსა და შუბის ტყორცნას, ჭიდაობასა და კრივს. ეს ყველაფერი ემსახურებოდა ვაჟთა სხეულის გაკაჟებას, რომ მათ აეტანათ ყოველგვარი გასაჭირი ომში. იგივე მიზანს ემსახურებოდა ცეკვაც, რომელიც პირველ ეტაპზე ისწავლებოდა. ფაქტობრივად, ეს იყო იგივე საბრძოლო ცეკვა, მეომართა ბრძოლის იმიტაცია. ხშირად ის სრულდებოდა საჭურველში გამოწყობილი ვაჟების მიერ, ფლეიტის აკომპანიმენტით (ვესტი 1994: 13-38).

ხელოვნების დარგებიდან მუსიკას ეთმობოდა დიდი ყურადღება. ვაჟები სწავლობდნენ სოლოში, ან გუნდში მღერას. ჰომეროსის პასაჟებს კითხულობდნენ მუსიკის თანხლებით, მღეროდნენ ცნობილი პატრიოტი პოეტის, ტირტეოსის სიმღერებს. ეს პოეტი სპარტაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ასევე ვაჟები ზეპირად ასრულებდნენ ლიკურგუსის კანონებს. შესაძლოა, სპარტელების უმეტესობას შეეძლო წერა-კითხვა, თუმცა, არსადაა ნახსენები, რომ სახელმწიფო განათლების პროგრამაში შედიოდა წერა- კითხვის სწავლება. ცნობილია რომ, ძალიან ცოტამ იცოდა არითმეტიკის ელემენტები .

ბ) რომი: ანტიკურ რომში მასწავლებლები იყვნენ ან ბერძნები, ან რომაელები, რომლებიც ბერძნულ მეთოდებს იყენებდნენ. ბერძნები, რომლებიც, სავარაუდოდ, გამოირჩეოდნენ თავიანთი განათლების მაღალი დონით, ყურადღებას არ

უთმობდნენ უცხო ენების შესწავლას (რილინგერი 1990: 56–59). თემისტოკლესმა, რომელიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში სპარსეთთან იყო დაკავშირებული, სპარსულის შესწავლა მხოლოდ გადასახლების ბოლო წლებში დაიწყო, თავისი კარიერის მიწურულში (საბერძნეთში მხოლოდ ეროვნულ ლიტერატურას ასწავლიდნენ, მაგრამ რომში ძვ.წ.ა. II საუკუნეში ელჩებს შეეძლოთ ბერძნულად მიემართათ სენატისათვის თარჯიმნის დახმარების გარეშე). სკოლაში ბერძნული ენა და ლიტერატურა ძირითადი საგანი იყო, უფრო მეტიც, თეორეტიკოსები დაობენ იმაზე, თუ რომელი ისწავლებოდა ჯერ, ბერძნული თუ რომაული. ეს იყო რომაელთა ინოვაცია, რომ უცხო ენაზე გადმოცემული იდეების გაგების უნარი გამოემუშავებინათ მოსწავლეებისათვის.

დიდი ყურადღება ეთმობოდა ციტირებებს სკოლებში (დობსონი 1932 : 110–124). მოსწავლეებს ევალეზობდათ გარკვეული პასაჟების მხატვრულად წაკითხვა. ისინი იზეპირებდნენ ნაწყვეტებს პოემებიდან, მაგრამ არა იმ დოზით, როგორც ეს ხდებოდა საბერძნეთში, სადაც სტუდენტებს შეეძლოთ „ილიადასა“ და „ოდისეას“ ზეპირად გადმოცემა. რომაელ სტუდენტებს ასევე ევალეზობდათ პოემების პროზაულად გადაკეთება, ესეების დაწერა, უტარდებოდათ შემოქმედებითი კარნახი: მაგალითად, ესოპეს იგავ-არაკს წაუკითხავდნენ მათ ერთჯერ და ავალეზდნენ, დაეწერათ შინაარსი. ხშირად მათ უწევდათ ბერძნულიდან ლათინურად თარგმნა, რასაც უფრო ლინგვისტური ვარჯიშის მიზანი ჰქონდა, ვიდრე ლიტერატურული სტილის გამომუშავების.

გრამატიკის სწავლებას ძალიან დიდი ადგილი ეთმობოდა ძველ რომში. სავარაუდოდ, ლექსთა თხზვას ასწავლიდნენ ჰეკვიან ვაჟებს. ცნობილია, რომ ციცერონი საკმაოდ ახალგაზრდა იყო, როცა თარგმნა არატუსის პოემები და ლათინური ჰექსამეტრით გამართა ლექსი; პერსიუსმა 16 წლის ასაკში დაწერა პოემები; პლინიუს უმცროსმა ბერძნული ტრაგედია დაწერა 14 წლის ასაკში; ცნობილია, რომ ნერონს ლექსთა თხზვა იზიდავდა ბავშვობიდან; ჩვენამდე მოაღწია ხელნაწერმა სიგელმა, რომელიც დომიტიანმა გადასცა 12 წლის ვაჟს, ბერძნული ლექსის წერისათვის ახ.წ. ა. 94 წელს.

გრამატიკოსთა სკოლის გავლის შემდგომ, ახალგაზრდებს შეეძლოთ სწავლა განეგრძოთ რიტორთა სკოლებში, სადაც 3–4 წელი ეთმობოდა ლიტერატურის გაღრმავებულ შესწავლას, პრაქტიკულ ვარჯიშს ორატორობაში, მოკლე და

შთამბეჭდავი სიტყვების წარმოთქმის გამომუშავებას, ინსცენირებულ დასაცავ, ან საბრალდებო სიტყვებზე ვარჯიშს, ვრცელი საზეიმო სიტყვების ფართო აუდიტორიის წინაშე წარმოთქმისათვის საჭირო სქემებისა და ხერხების შესწავლასა და პოლიტიკური აზროვნების კულტურის გამომუშავებას. ფილოსოფიის შესასწავლად რომაელები საბერძნეთში მიემგზავრებოდნენ, რადგანაც, სჯეროდათ, რომ სწორედ ათენში იყო შესაძლებელი ფილოსოფიის ღრმად და საფუძვლიანად შესწავლა (დაწვრილებით იხ. დომინიკი 1997: 112–119).

წახალისება. ა) საბერძნეთი: სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ანტიკურ საბერძნეთში ტარდებოდა შეჯიბრებები სხვადასხვა უნარებში და გამარჯვებულები პრიზებით ჯილდოვდებოდნენ. ხშირად პრიზებს სახელმწიფო აფინანსებდა. შეჯიბრები ტარდებოდა კითხვაში, ციტირებებში, ხატვაში, ლირაზე დაკვრასა და ზოგად განათლებაში. ასე რომ, ვაჟებს ჰქონდათ სწავლის სტიმული და არანაირი ცნობა არ მოგვეპოვება, რომ მათ ეზარებოდათ სწავლა (დობსონი 1932 : 25-59).

სპარტაში კი ახალგაზრდებს შორის ეწყობოდა შეჯიბრებები, რომლებიც ძალიან წააგავდა უიარაღო ომს (დობსონი 1932: 10–25).

ბ) რომი: რომაელები ფიქრობდნენ, რომ აუცილებელია მოსწავლეთა წახალისება უკეთესი შედეგის მისაღებად. თუმცა, მასწავლებელმა თავად უნდა გადაწყვიტოს, როგორ მიუდგეს თითოეულ მოსწავლეს. ზოგი ზარმაცი მოსწავლისათვის შედეგის მომტანად მხოლოდ მკაცრი მოპყრობა მიაჩნდათ. რომელი მასწავლებლები ფიზიკურ დასჯასაც არ ერიდებოდნენ, თუკი ამის საჭიროებას ხედავდნენ. მასწავლებლები მიიჩნევდნენ, რომ ზოგიერთი მოსწავლისათვის სწავლის ხარისხის გაუმჯობესებისათვის მასტიმულირებელი ძალა მხოლოდ როზგის შიში შეიძლება ყოფილიყო. ამიტომაც, მათ ჰქონდათ სპეციალური ტყავის მათრახები და გამოყოფილი იყვნენ მონები, რომლებიც ხელში იჭერდნენ დასჯილ მოსწავლეებს, როცა მათ მასწავლებელი მათრახით სცემდა.

თუმცა, მასწავლებლების განსაკუთრებულ სიმპათიას იმსახურებდნენ ის მოსწავლეები, რომლებიც შექების შედეგად აუმჯობესებდნენ სწავლის ხარისხს. ასეთი მოსწავლეებისათვის ისინი შექებას არ იშურებდნენ და მიიჩნევდნენ, რომ მათგან ძალიან მაღალი შედეგის მიღწევა იქნებოდა შესაძლებელი (ბონერი 1977: 45–56).

ქალთა განათლება. ა) საბერძნეთი: სპარტაში ქალთა განათლებას გარკვეულ

ყურადღებას უთმობდნენ. ლიკურგუსს, პლუტარქოსის ცნობით, ჰქონდა თავისი მოსაზრება გენდერული თანასწორობის შესახებ. მაგალითად, მისი აზრით, იყო ზოგიერთი საქმიანობა, რაც ქალისათვის უფრო შესაფერისი იყო და ქალებს, ისე როგორც მამაკაცებს, უნდა მიეღოთ ფიზიკური წვრთნა და სხეული გაეკაჟებინათ. თუმცა, მას მაინც მიაჩნდა, რომ დედობა ქალის უპირველესი მოვალეობა იყო. ასე რომ, ქალები, კაცების მსგავსად, უნდა აღეზარდათ სუფთა ჰაერზე და მიეჩვიათ ვარჯიშებისათვის. გოგონები სახლში ცხოვრობდნენ, მაგრამ დადიოდნენ გიმნასიონებში, სადაც ისინი ვარჯიშობდნენ სირბილში, ხტომაში, ჭიდაობაში და ასევე სწავლობდნენ დისკოსა და შუბის ტყორცნას (პომეროი 2002: 73–81). რა თქმა უნდა, ეს ვაჟებისაგან განცალკავებით ხდებოდა, თუმცა იყო შემთხვევები, როცა ისინი ვაჟებთან ერთად ცეკვავდნენ. ფიზიკურმა დატვირთვამ ერთი ძალიან კარგი შედეგი მოუტანა ქალებს: ისინი მთელს საბერძნეთში გამოირჩეოდნენ ფიზიკური მშვენიერებით, მათ ხასიათითაც გამოარჩევდით სხვა ქალებისაგან, ისინი განსაკუთრებულად დამოუკიდებლები იყვნენ (პომეროი 2002: 80–94). თუმცა ლიტერატურაში, ან ხელოვნების სხვა რაიმე დარგში მათი განათლება არ ხდებოდა. ანუ სპარტანულ განათლებას ჩვენ, შესაძლოა, თამამად ვუწოდოთ ომისათვის მზადება (პაუელი 1994: 34).

ბ) რომი: რომში სკოლები, ძირითადად, ვაჟებისათვის იყო განკუთვნილი. გოგონები სკოლებში არ დადიოდნენ. მათ დედები ასწავლიდნენ სხვადასხვა საოჯახო საქმეს. ისინი სწავლობდნენ ყველანაირ ხელსაქმეს, რაც მათ დაქორწინების შემდეგ გამოადგებოდათ. მათი განათლების შემადგენელი კომპონენტები იყო: მუსიკა, კერვა და კულინარიული საქმიანობა.

მხოლოდ მდიდარი ოჯახები ქირაობდნენ ბერძენ მონებს თავიანთი ქალიშვილებისათვის. ეს დაქირავებული მოახლეები ბერძნულ ენას ასწავლიდნენ რომაელ გოგონებს. ხშირ შემთხვევაში, ისინი თავიანთ აღსაზრდელებს ასწავლიდნენ წერა–კითხვასაც (შდრ. გარდენი 1955: 60–67).

საკლასო ოთახი. ა) **საბერძნეთი:** ანტიკურ საბერძნეთში საკლასო ოთახები გათვალისწინებული იყო ინდივიდუალური და მცირე ჯგუფში მუშაობისათვის. ეს იყო მყუდრო და მოხერხებული ადგილი სამუშაოს შესასრულებლად. საკლასო ოთახი გაწყობილი იყო ძალიან სადა ავეჯით: მაღალი სკამი მასწავლებლისათვის და პატარა სკამები ვაჟებისათვის. მათ მერხები არ გააჩნდათ, ვაჟებს უწევდათ

მუხლებზე დაედოთ დაფები წერის დროს. ძვ.წ.ა. IV საუკუნემდე ვაჟები ცვილის დაფებზე სტილებით კაწრავდნენ, ხოლო ძვ.წ.ა. IV საუკუნიდან ისინი უკვე მელანსა და ლერწმის კალამს იყენებდნენ საწერ საშუალებად.

ბ) რომი: რომში სკოლისათვის სპეციალური შენობა არ იყო გამოყოფილი. იმ ადგილს, სადაც ტარდებოდა გაკვეთილები ეწოდებოდა pergula, რაც ნიშნავდა გადახურულ შენობას, რომელსაც ცალი მხარე ღია ჰქონდა. მასწავლებელი იჯდა მაღალ სკამზე (cathedra), მისი ასისტენტი – ტაბურეტზე, ხოლო მოსწავლეები გრძელ სკამებზე ისხდნენ. მერხები არ ჰქონდათ და დაფებს მუხლებზე იწყობდნენ. საკლასო ოთხეშში ნახავდით ცნობილი ავტორების ბიუსტებს, კედლები კი მორთული იყო დაფებით, რომლებზეც ისტორიული და მითოლოგიური პასაჟები იყო გამოსახული (რილნგერი 1989: 45). ზოგიერთი ასეთი ნახატი შემორჩენილია, თუმცა ძალიან მცირე ფრაგმენტების სახით. მათგან ყველაზე ცნობილია კაპიტოლიუმის მუზეუმში დაცული Tabula Iliaca, რომელზეც ტროას ომის სცენებია გამოსახული.

სამხედრო განათლება. ა) **საბერძნეთი:** თვრამეტი წლის ასაკში ათენელები უკვე სრულწლოვნად ითვლებოდნენ და ირიცხებოდნენ ეფებიაში, სადაც სავალდებულო სამხედრო წვრთნას გადიოდნენ. სამწუხაროდ, ძალიან მცირე ცნობები მოგვეპოვება იმის შესახებ, თუ რა აქტივობები ტარდებოდა ეფებიაში (სამხედრო აღზრდასთან დაკავშირებით იხ. კარასი 1981). ათენის კონსტიტუციაში ერთი თავი აქვს დათმობილი მათზე საუბარს. მოგვეპოვება ძვ.წ.ა. 333 წლით დათარიღებული ხელნაწერები, სადაც მოხსენიებულია ეფებიები. ამ დროისათვის 1000 ეფებია არსებობდა, მაგრამ მათი რიცხვი სწრაფად შემცირდა, ძვ.წ.ა. 276 წლისათვის მთელი ათენური ტომებიდან მხოლოდ 29 ერთიანდებოდა ამ დაწესებულებაში. ეს ფაქტი შეიძლება აიხსნას იმით, რომ თავდაპირველად, სამხედრო სამსახური სავალდებულო იყო ყველასათვის და მოგვიანებით, ის უკვე ნებაყოფლობითი გახდა. ამასთანავე, ჯარში უცხოელების მიღებაც დაიწყო. იმპერიის პერიოდში ეფებიებში უცხოელების რაოდენობამ გადააჭარბა ათენელებისას. ძვ.წ.ა. IV საუკუნეში სამხედრო სამსახური სავალდებულო იყო 18 დან 20 წლამდე ასაკის ახალგაზრდებისათვის. პირველი წლის განმავლობაში ისინი ქალაქში სწავლობდნენ სხვადასხვა წესებსა და კანონებს. მეორე წელს იგზავნებოდნენ საზღვრების დასაცავად, რა თქმა უნდა, უფროსი ოფიცრის ზედამხედველობის ქვეშ.

ეფებიაში ჩარიცხვის აუცილებელი რიტუალი იყო ფიცის დადება. ეს ფიცი

ამგვარად ჟღერდა: „ვფიცავ, არასოდეს შევარცხვინო წმინდა იარაღი და არ დავტოვო ჩემი ადგილი ბრძოლისას. ვფიცავ, ვიბრძოლო ჩემი ღმერთებისათვის და ჩემი კერიისათვის მარტომ და სხვებთან ერთად. ვფიცავ, ჩემი სიკვდილის შემდეგ სამშობლო დაკნინებული კი არ დავტოვო, არამედ უფრო მძლავრი და ძლიერი. ვფიცავ, შევასრულო ბრძანებები, მომდინარე ქვეყნის მძლავრი ხელმძღვანელებისაგან. ვფიცავ, დავიცვა სახელწიფოს როგორც ამჟამად მოქმედი, ისე მომავალში მიღებული კანონები. ვფიცავ, არ დავუშვა ამ მამისეული კანონების შერყევა და ჩემი ფიცის მოწმეებად ვიხმობ...” (ჩამოთვლილია ღმერთები) (გორდეზიანი 2007: 238).

ძვ.წ.ა. IV საუკუნის ბოლოს სამხედრო სამსახური აღარ იყო სავალდებულო.¹ ძვ.წ.ა. IV საუკუნეში ათენს უკვე აღარ ჰქონდა პოლიტიკური მნიშვნელობა და სამხედრო წრთვნა ჩაანაცვლა ინტელექტუალურმა განათლებამ. ახალგაზრდები გიმნასიონებში ესწრებოდნენ ფილოსოფოსების, რიტორებისა და გრამატიკოსების ლექციებს. ამგვარად, განათლების ხასიათი მთლიანად შეიცვალა: თუკი თავდაპირველად, მას დემოკრატიული საფუძვლები ჰქონდა და დიდი აქცენტი კეთდებოდა სამხედრო წვრთვნაზე, ეხლა უკვე ეფებიები გადაიქცა ახალგაზრდების თავშეყრის ადგილად, სადაც მდიდარი ათენელები იკრიბებოდნენ და განათლების სხვადასხვა საკითხზე მსჯელობდნენ (შდრ. რილინგერი 1990). ძვ.წ.ა. V საუკუნეში ათენელებს გაუჩნდათ უმაღლესი განათლებისადმი მოთხოვნა, რაც, გარკვეული თვალსაზრისით, სოფისტური განათლებითა და მოგვიანებით, ფილოსოფიური სკოლებით შეივსეს.

ბ) რომი: რომის იმპერიის დაარსების საწყის პერიოდში რომაულ განათლებასაც სამხედრო ხასიათი ჰქონდა. ვაჟები ეუფლებოდნენ იარაღის ტარებასა და საბრძოლო ხელოვნებას, რადგანაც რომის სახელმწიფოს მთვარი მიზანი იყო დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა. სამხედრო ხელოვნების გარდა, სხვა ხელოვნების შესასწავლად დრო არ რჩებოდათ რომაელებს. მნიშვნელოვანი გარდატეხა რომაელთა განათლებაში მოხდა ძვ. წ. ა. 272 წელს, როცა რომში სამხედრო განათლება ლიტერატურის სწავლებამ ჩაანაცვლა (მიმოხილვისათვის იხ. გუინი 1926: 34–46).

¹ მისი ხანგრძლივობა ერთი წლით განისაზღვრა.

პროფესიული სასწავლებლები. ა) **საბერძნეთი:** ანტიკურ საბერძნეთში გარკვეული ყურადღება ეთმობოდა სპეციალურ და პროფესიულ განათლებას (კოული 1931: 81–102). სპეციალურ სასწავლებლებში ხდებოდა მედიკოსთა, ხუროთმოძღვართა, ხელოსანთა და ა.შ. მომზადება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ბერძნები, ძირითადად, ვაჭრობასა და ხელოსნობას თავისუფალი მოქალაქეებისთვის შეუფერებელ საქმიანობად თვლიდნენ და მიიჩნევდნენ, რომ ხელოსნობა აფერხებს ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას. ათენის ღარიბი მოსახლეობა იძულებული იყო დაკავებულიყო ხელოსნობით. სოკრატე მოქანდაკის შვილი იყო და თვითონაც მუშაობდა ხელოსნად, მაგრამ, ეს მას ხელს არ უშლიდა, ყოფილიყო მდიდარი და არისტოკრატიული კლასის წევრი.

ბ) **რომი:** რომში პროფესიული სკოლების არსებობა არაა დადასტურებული. რომელიც ახალგაზრდები პროფესიულ განათლებას, ძირითადად, ოჯახებში იღებდნენ. ვაჟები მამებისაგან სწავლობდნენ ფერმერულ საქმიანობას, სხვადასხვა ტიპის ფიზიკური სამუშაოების შესრულებასა და საბრძოლო, თუ სამუშაო იარაღების გამოყენებას (მეიერი 1960: 32–34).

უმაღლესი განათლება. ა) **საბერძნეთი:** ნიჭითა და მონდომებით გამორჩეული ახალგაზრდები სწავლას განაგრძობდნენ ფილოსოფიურ თუ რიტორიკულ სკოლებში, სადაც ისინი იღრმავებდნენ ცოდნას და სწავლის დასრულების შემდგომ, საზოგადოებაში ღირსეულ ადგილს იჭერდნენ.

ათენში დემოკრატიის განვითარებას ჰქონდა მნიშვნელოვანი ეფექტი: მან ცოდნის წყურვილი გაუღვიძა ხალხს და შედეგმაც არ დააყოვნა (ობერი 1989: 156–160). მრავალმხრივმა შესაძლებლობებმა და მუდმივმა დისკუსიებმა დიდი როლი ითამაშა ადამიანის გონებრივ განვითარებაში. თვითმართვადი სახელმწიფოს მოქალაქე, ყოველი ინდივიდი თავს გრძნობდა მნიშვნელოვან ფიგურად და ცდილობდა, საზოგადოებაში მისი ადგილი დაემკვიდრებინა. ისინი მუდმივად სრულყოფილებისაკენ მიისწრაფოდნენ. გაჩნდა მოთხოვნა სრულყოფილ განათლებაზე და შესაბამისად, გაჩნდნენ ადამიანები, რომლებიც ზრუნავდნენ ახალგაზრდა თაობის განსწავლულობაზე. ბერძნული სამყაროს სხვადასხვა კუთხიდან, უპირატესად სიცილიიდან, მოდიოდნენ პროფესიონალი მასწავლებლები, რომლებიც ყველა საგანში განსწავლულები იყვნენ. მათ „სოფისტებს“ ანუ „სიბრძნის მასწავლებლებს“ უწოდებდნენ (სოფისტებთან დაკავშირებით იხ. უოთერფილდი

2000).

სოფისტების სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლამ რევოლუცია მოახდინა აღზრდა – განათლების სფეროში. სოფისტები იყვნენ პროფესიონალი მასწავლებლები, რომლებიც, ძირითადად, მოდიოდნენ მცირე აზიის ბერძნული კოლონიებიდან და იტალიის იმ ნაწილიდან, რომელიც Magna Graecia სახელწოდებით არის ცნობილი. ისინი ცდილობდნენ ადამიანებისათვის ესწავლებინათ, თუ როგორ გამხდარიყვნენ თავიანთი ქვეყნის წარჩინებული მოქალაქეები.

სოფისტები ასწავლიდნენ ასტრონომიას, გეომეტრიას, არითმეტიკას, გრამატიკასა და ლიტერატურას; მზად იყვნენ ნებისმიერ კითხვაზე პასუხი გაეცათ და დამახსოვრების ისეთი სისტემა ჰქონდათ შემუშავებული, რომ ორმოცდაათსიტყვიანი ჯაჭვი ერთხელ რომ მოესმინათ, შეეძლოთ მისი გამეორება. მათი საყვარელი საგანი იყო მათემატიკა, განსაკუთრებით კი, გეომეტრია. მოდაში შემოვიდა მათი სააზროვნო, ლოგიკური ამოცანები და მათი ამოხსნის გზები, რომლებიც ევკლიდემ თავის ტრაქტატში გააერთიანა. ისინი ასწავლიდნენ გეოგრაფიასა და ისტორიას, თუმცა ყველაზე პოპულარული მაინც იყო რიტორიკის შესწავლა. როგორც აღვნიშნეთ, ამ პერიოდში ადამიანი ცდილობდა ადგილი დაემკვიდრებინა სამყაროში და რადგანაც პოლიტიკა და სასამართლო ცნობადობის მიღწევის იოლი გზა იყო, ორატორულ ხელოვნებას სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანი ეუფლებოდა (შდრ. უატსონი 2001: 139-161). სოფისტები ასწავლიდნენ ხალხს, როგორ შეემკოთ მათი გამოსვლები მაღალფარდოვანი ფრაზეოლოგიით, როგორ ემოქმედათ აუდიტორიის გრძნობებზე და, რაც მთავარია, როგორ ეკამათათ სხვადასხვა საკითხზე.

სოფისტები რეგულარულ გაკვეთილებს ატარებდნენ რიტორიკაში. ფასი დამოკიდებული იყო კურსის ხანგრძლივობაზე. სოფისტი მასწავლებლები სტუდენტებს აძლევდნენ გარანტიას, რომ კურსის დასრულების შემდგომ მოიგებდნენ ნებისმიერ სასამართლო პროცესს. ისინი დადიოდნენ ქალაქიდან ქალაქში და ლექციებს უკითხავდნენ მათ, ვისაც შეეძლო სწავლის საფასურის გადახდა. ეს თანხა ხანდახან ძალიან მაღალიც იყო (უატერფილდი 2000: 203–205). მაგალითად, არისტიპუსი ათას დრაქმას ითხოვდა ჩატარებული ლექციების კურსის სანაცვლოდ; ისოკრატესიც ამავე თანხას იღებდა. ცნობილია ფაქტი, რომ როდესაც

დემოსთენესმა მას 200 დრაქმა შესთავაზა მთელი კურსის მეხუთედი ნაწილის მოსასმენად, ისოკრატესმა უპასუხა: „მე ვერ დავყოფ ჩემს სალექციო კურსს ნაწილებად!“ (პლუტ. ორატ. ცხოვრ. X, 4). ზოგი ღარიბი სტუდენტი მთელ ღამეს ათევდა მუშაობაში, მაგალითად, წისქვილში, იმისათვის, რომ შეეგროვებინათ თანხა და დილით სოფისტების ლექციებს დასწრებოდნენ.

ყველა პროფესიონალი სოფისტისაგან განსხვავებით, სოკრატე არ იღებდა გასამრჯელოს ჩატარებული გაკვეთილების სანაცვლოდ. ამან ის სრულ სიღარიბემდე მიიყვანა. მიუხედავად ამისა, იგი აგრძელებდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. სოკრატე ხშირად შეაჩერებდა გამვლელებს და დაუწყებდა რაღაც პრობლემაზე დისკუსიას. სოკრატემ განავითარა სწავლების მისეული მეთოდი. ამ მეთოდს „დიალექტურ“ მეთოდს უწოდებენ და მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ სტუდენტი იმავე ენერგიას ხარჯავს, რასაც მასწავლებელი (მიმოხილვისათვის იხ. ბრიკვაუსი 2000: 54–68). ანუ მასწავლებელი მოსწავლეებს უსვამს უამრავ შეკითხვას და ცდილობს, თავად მიიყვანოს ისინი სწორ პასუხამდე. სოკრატე ფიქრობდა, რომ მას საღმრთო მისია ჰქონდა დაკისრებული – ადამიანთათვის გონება გაენათებინა და ისინი სწორი აზროვნებისაკენ წაეყვანა. პრაქტიკულად, ყველაფერი, რაც ჩვენ მის შესახებ ვიცით, არის მისი ორი მოწაფის – ქსენოფონისა და პლატონის დამსახურება. ისინი სოკრატეს ზეგავლენას განიცდიდნენ. ისოკრატესმა, გორგიასის მოწაფემ, დააარსა პოლიტიკური რიტორიკის სკოლა, სადაც პოლიტიკური ფილოსოფია წამყვანი დარგი იყო, მაშინ როცა პლატონი ათენში დაბრუნდა და დააარსა აკადემია (მიჩელინი 2003: 8–15).

პლატონი მისი სიცოცხლის ბოლო 40 წლის განმავლობაში თავის საკუთარ სახლში უტარებდა ლექციებს მოსწავლეებს აკადემუსის ტყეში. პლატონის გარდაცვალების შემდგომ (ძვ.წ.ა. 347 წ.), მისმა ძმისშვილმა სპეუსიპუსმა მემკვიდრეობით მიიღო მისი მამული, რომელიც შემდგომ მან დაუტოვა საკუთარ მოსწავლეებს. ლიცეუმი იყო არისტოტელეს მიმდევრების თავშეყრის ადგილი, რომელიც ასევე კერძო საკუთრებას წარმოადგენდა. ეპიკურელთა სკოლამ დაიწყო ფუნქციონირება ეპიკურესის ბაღში, რომელიც ფილოსოფოსთა ერთ–ერთ მიმდევარს ეკუთვნოდა გარკვეული პერიოდის მანძილზე (საიდი 1999: 79–96). როგორც ჩანს, მხოლოდ სტოიკოსებს არ გააჩნდათ კერძო საკუთრება. ეს სკოლები საერთო სამმოს წარმოადგენდა და მათ ჰქონდათ ერთი საერთო მიზანი: ცოდნის შეძენა და გადაცემა

სტუდენტებისათვის. ამ სკოლებში მოდიოდნენ მოსწავლეები საბერძნეთის ყველა კუთხიდან უმაღლესი განათლების მისაღებად. მათი წყალობით, ათენი ინარჩუნებდა, სულ მცირე, ქრისტესშობამდე ფილოსოფიური აზროვნების ცენტრის ფუნქციას.

რეგულარული სოფისტური სკოლები ძვ.წ.ა. IV საუკუნეში ჩამოყალიბდა ორ დიდ გიმნასიონში. ერთის ხელმძღვანელი იყო პლატონი, მეორის – არისტოტელე, პლატონის მოსწავლე. მანამდე სოფისტები იქ უტარებდნენ მოსწავლეებს გაკვეთილებს, სადაც კი სწავლამოწყურებულ ახალგაზრდებს ნახავდნენ ერთად შეკრებილს. გასაოცარ ენთუზიაზმს ანთებდნენ ისინი ახალგაზრდებში. მათი გავლენით უსაქმურმა ახალგაზრდებმა ქვიშაში გეომეტრიული ფიგურების ხატვა დაიწყეს. მოსწავლეები იმდენად მოხიბლულები იყვნენ სოფისტთა გაკვეთილებით, რომ მათ მიჰყვებოდნენ სხვადასხვა ქალაქებში. არა მარტო ახალგაზრდობა, ზრდასრული ხალხიც აიყოლიეს სოფისტებმა. „გადმოცემის თანახმად, დიდმა პერიკლესმა ნახევარი დღე გაატარა ერთ-ერთ მასწავლებელთან დებატებში ერთი უბედური შემთხვევის განხილვისას: ცხენი ემსხვერპლა გასროლილ შუბს და გაჩნდა შეკითხვა: ვინ იყო დამნაშავე? - შუბი, ადამიანი, რომელმაც ის ისროლა, თუ რბოლის ზედამხედველი?“ (რობინსონი 1933: 145).

წიგნების კითხვა პოპულარული გახდა ხალხში. პლატონი თვლიდა, რომ ფილოსოფოსთა შრომები ხელმისაწვდომი უნდა ყოფილიყო ყველასათვის, ამიტომ ხდებოდა წიგნების გადაწერა სპეციალურად ეგვიპტიდან შემოტანილ პაპირუსებზე (კენიონი 1932: 33–78).

სოფისტებისაგან გამორჩეული იყო პროტაგორასი ადბერადან (ძვ.წ.ა. 480-410 წწ.). ის თავის თავს უწოდებდა „ღირსების“ მასწავლებელს და ამ ღირსებაში გულისხმობდა არა მორალს, არამედ იმ თვისებებს, რომელიც ადამიანს საშუალებას მისცემდა საზოგადოებაში ღირსეული ადგილი დაემკვიდრებინა. იგი 40 წლის განმავლობაში მოგზაურობდა მთელს საბერძნეთში, კარგა ხნით ცხოვრობდა ათენში და დიდი პოპულარობა მოიპოვა თავისი ლექციებით. პლატონი, მუიხედავად იმისა, რომ სოფისტების პრინციპებს ეწინააღმდეგებოდა, პროტაგორასს ყველგან დიდი პატივისცემით მოიხსენიებდა და ნათლად აღწერდა, თუ რა ვნებათაღელვას იწვევდა მისი ყოველი გამოჩენა ათენელ ახალგაზრდებში.

სოკრატე გადმოგვცემს, ერთ დილას ჰიპოკრატემ როგორ მიუბრაზუნა კარზე,

შევარდა შიგნით და ყვიროდა ბოლო ხმაზე: „პროტაგორასი ჩამოვიდა” (პლატ. პროტ. 310, 315). ჰოპოკრატემ სოკრატე წაიყვანა მასთან შესახვედრად. როცა მივიდნენ კალიასის სახლში, სადაც იმყოფებოდა პროტაგორასი, იქ დახვდათ მოწაფეთა ბრბო, უმეტესად უცხოელები ანუ ის ხალხი, რომელიც პროტაგორასს დაყვებოდა ერთი ქალაქიდან მეორეში. აქვე იყვნენ ცნობილი ათენელები: კრიტიასი, ალკიბიადესი და პერიკლესის ორი ვაჟი, პროდიკუსი კეოსიდან, ევნოსი პაროსიდან, და ჰიპიასი ელისიდან (დობსონი 1932: 51).

სოფისტების სწავლებას ცუდი მხარეებიც ჰქონდა (შდრ. უათერფილდი 2000: 67–68). მათ ხალხს ჩამოუყალიბეს ზედაპირული ცოდნის მიღების სურვილი. სოფისტების გავლენის ქვეშ მოქცეული პოლიტიკოსები თავგამოდებით ამტკიცებდნენ იმას, რაც შესაძლოა, არ ყოფილიყო მართალი და ამ მეთოდების გამოყენებას ისინი ამართლებდნენ ეროვნული ინტერესებით. სოფისტები ძალიან ბევრს მსჯელობდნენ მორალზე, ცდილობდნენ პასუხი გაეცათ შეკითხვაზე: როგორ უნდა იპოვოს ადამიანი ბედნიერება? ზოგი ამბობდა, ინსტიტუტებს უნდა მიჰყვესო, სხვანი- კარგი ცხოვრებით უნდა იცხოვროსო. რა არის კარგი ცხოვრება? ნიშნავს ეს - საზოგადოებრივი წესების დაცვას? თუ ის უნდა აკეთოს ინდივიდმა, რასაც თავად თვლის სწორად? კამათი ამ საკითხებზე ყოველთვის იყო მწვავე და არგუმენტირებული.

სოფისტურ შეხედულებებზე დაყრდნობით, ცნობილმა ორატორმა ისოკრატესმა ჩამოაყალიბა ἐγκύκλιος παιδεία–ის („წრიული” ანუ „ზოგადი აღზრდა”) კონცეფცია (გორდეზიანი 2007 : 235). აქედან წარმოიქმნა ტერმინი *ენციკლოპედია* და საფუძველი ჩაეყარა საცნობარო ლიტერატურის შექმნას, რაც მიზნად ისახავდა საზოგადოებაში ზოგადი განათლების დონის ამაღლებას.

უნდა ითქვას, რომ სოფისტებმა თითქოს ხასიათი შეუცვალეს ბერძნებს. მათში ჩაკლეს სახელმწიფოსათვის თავდადების სურვილი. ხალხმა პირადი ინტერესები წამოსწია სახელმწიფო ინტერესების წინ. ათენელებიც კი გაზარმაცდნენ და უკვე ერჩივნათ დაქირავებულ მეომრებს ებრძოლათ მათ ნაცვლად. მდიდართა სასახლეების ბრწყინვალეობა მეტოქეობას უწევდა საზოგადოებრივი ძეგლების მშვენიერებას. ძვ. წ. ა. IV საუკუნე საბერძნეთის ისტორიაში ინტრიგების, შურისძიებებისა და არაკეთილსინდისიერი დიპლომატიის საუკუნედაა ცნობილი. თითოეული კაცი თავად წერდა კანონებს და ის მტკიცე ჯაჭვი, რომლითაც შეკრული

იყო მთელი ქალაქ-სახელმწიფო, ნელ-ნელა მოეშვა.

მართალია, სოკრატემ, პლატონმა და არისტოტელემ სოფისტური მოძღვრების ნაკლოვანი მხარეები მწვავედ გააკრიტიკეს, მაგრამ სწავლების სოფისტურმა მეთოდებმა ღრმა კვალი დატოვეს სააღმზრდელო პრაქტიკაში (შდრ. მიჩელინი 2003: 40–50).

პერიკლესის იდეალი იყო, ათენი ყოფილიყო საბერძნეთის „განათლების ცენტრი“ და ამ იდეალს უდაოდ შეესხა ხორცი. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ათენელებს არ ჰყოლიათ ბადალი „გონებამახვილობაში, გულმოდგინებასა და გემოვნებაში“ (რობინსონი 1933: 150). ათენელი მოქალაქე იყო კარგი პოლიტიკოსი, იურისტი, და რა თქმა უნდა, მეომარი ან მეზღვაური. ყველაფერი, რასაც ის აკეთებდა, იყო შესრულებული დიდი მონდომებით, საქმის დიდი სიყვარულითა და ენთუზიაზმით. ეს მას ეხმარებოდა ახალგაზრდული სულისა და მხნეობის შენარჩუნებაში. ათენელები, როგორც წესი, მისდევდნენ სპორტს. მათ შეეძლოთ სიმღერა, ცეკვა, ლირაზე დაკვრა. ახასიათებდათ განათლების მიღების წყურვილი და მუდმივად განიხილავდნენ ადამიანის არსებობის არსს.

თუკი სპარტანული განათლება სახელმწიფოს მიერ იყო რეგულირებული და მიზნად ისახავდა ქალაქის მცველი მოქალაქეების აღზრდას, რასაც ჩვენ შეიძლება პროფესიული სწავლაც ვუწოდოთ, ამის საპირისპიროდ, ათენურ განათლებას „ინდივიდუალისტური სული ჰქონდა“. მისი მიზანი იყო ხასიათისა და გემოვნების ჩამოყალიბება.

ათენში ფილოსოფიური სკოლების არსებობამ ნიადაგი მოუმზადა უნივერსიტეტის დაარსებას საბერძნეთში. ალექსანდრე მაკედონელმა ახალი ტალღა მოიტანა საბერძნეთის ისტორიაში. მიუხედავად იმისა, რომ მაკედონელი მამის, ფილიპეს მსგავსად, დიდ პატივს სცემდა საბერძნეთს, ცივილიზაციის ცენტრი ათენი ვეღარ იქნებოდა. ძვ.წ.ა. 332 წელს, ალექსანდრეს სიცოცხლეში, დაარსდა ალექსანდრია, იგი მალევე გახდა განათლების ცენტრი. მას უზარმაზარი რესურსები და შესაძლებლობები გააჩნდა.

პტოლემოს სოტერმა (ძვ.წ.ა. 283 წ.) დააარსა ალექსანდრიის მუზეუმი. მისმა ვაჟმა- პტოლემოს ფილადელფუსმა (ძვ.წ.ა. 247 წელს) გაამდიდრა და გააფართოვა იგი. ამ მუზეუმის თავდაპირველი ფუნქცია იყო არა ის, რომ სასწავლო დაწესებულება ყოფილიყო, არამედ იქ უნდა წარმართულიყო სამეცნიერო კვლევა-

ბიება. ძვ. წ.ა. III საუკუნეში აქ მიმდინარეობდა მეცნიერული მუშაობა ფილოლოგიაში, მათემატიკაში, ასტრონომიაში, მექანიკაში, ანატომიასა და ბუნებისმეტყველებაში. მდიდარი ბიბლიოთეკა და უმაღლესი განათლების მისაღებად საჭირო პირობები იზიდავდა სწავლულებს ბერძნული სამყაროს ყველა კუთხიდან. აქ ისინი საუნივერსიტეტო ცხოვრებით ცხოვრობდნენ. მუზეუმთან ახლოს იყო ბიბლიოთეკა, სადაც დაახლოებით ნახევარი მილიონი წიგნი ინახებოდა. ალექსანდრიაში იყო მხატვრული ტექსტების ფილოლოგიური კვლევის პირველი მცდელობა. ცოტა მოგვიანებით მეორე სასწავლო ცენტრი გაიხსნა მცირე აზიაში - პერგამონი, რომელსაც, ძვ.წ.ა. III საუკუნის ბოლოს ჰქონდა უმდიდრესი ბიბლიოთეკა. ასევე განათლების კერა დაარსდა ანტიოქიაში, სადაც დაარსდა მუზეუმი და ბიბლიოთეკა. იყო შედარებით უფრო ნაკლები მნიშვნელობის საგანმანათლებლო კერებიც: პელა, კოსი და როდოსი.

ამდენად, განათლების ზემოთ განხილულ სისტემაში, ფაქტობრივად, სამი საფეხური გამოიყოფოდა: 1. ელემენტარული ანუ საბაზისო, რომელიც აძლევდა საწყის ცოდნას წერა - კითხვის, არითმეტიკის, ფიზიკულტურისა და მუსიკის სფეროში; 2. ზოგადსაგანმანათლებლო, რომელიც ელინისტური პერიოდიდან მოყოლებული ე. წ. გიმნასიონებში ხორციელდებოდა. აქ, ძირითადად, ისწავლებოდა ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცნობის დისციპლინები: გრამატიკა, რიტორიკა, მათემატიკა, მოგვიანებით სპორტი და მუსიკა; 3. უმაღლესი საფეხური, არსებითად, აჯამებდა უკვე მიღებულ განათლებას უმაღლესი ფილოსოფიური განზოგადების დონეზე (გორდეზიანი 2007 : 238-239).

თანდათანობით ათენმა დაკარგა პოლიტიკური ძალაუფლება, თუმცა იგი კვლავ ინარჩუნებდა სწავლა-განათლების კერის ტრადიციულ იმიჯს. სამწუხაროდ, მიიღეს რა მონაწილეობა მითრიდატეს პირველ ბრძოლაში, ათენი ალყაში მოექცა. მოსახლეობის დიდი ნაწილი დახოცეს, აკადემიისა და ლიცეუმის ხეები დაჭრეს და შენობები დაარბიეს (მიმოხილვისათვის იხ. საიდი 1999). მან მოგვიანებით კვლავ მოახერხა აღედგინა მისი ბრწყინვალება.

ბ) რომი: რომში უმაღლესი განათლება მხოლოდ მდიდარი ოჯახის შვილებისათვის იყო ხელმისაწვდომი. დიდი პოპულარობით სარგებლობდა იურიდიული და რიტორიკული განათლება. თექვსმეტი წლის ასაკიდან შეძლებულ ოჯახთა ვაჟები რიტორიკულ სკოლებში იწყებდნენ რიტორიკის დაუფლებას. ასეთ სკოლებში

ისწავლებოდა რიტორიკული დეკლამაცია, სამართალი, ფილოსოფია, მითოლოგია და ისტორია.

ნიჭითა და მონდომებით გამორჩეული მოსწავლეები საბერძნეთში მიემგზავრებოდნენ სწავლის გასაგრძელებლად. იქ ისმენდნენ ფილოსოფოსთა ლექციებს, ეცნობოდნენ სიძველეებს და შემდეგ ბრუნდებოდნენ სამშობლოში.

უნდა აღინიშნოს, რომ უმაღლესი განათლების მიღების შემდგომ რომაელები, ძირითადად, პოლიტიკურ საქმიანობას მიჰყოფდნენ ხელს. თვინათ განათლებას აქსოვდნენ ორატორულ სიტყვებში, რომლითაც ისინი გამოდიოდნენ სენატში, სახალხო კრებებსა და სასამართლო პროცესებზე (კლარკე 1996: 100–109).

ბერძნული სისტემის გავლენა რომაულზე. ძვ. წ. ა. III საუკუნის შუა პერიოდში რომაულმა განათლებამ განიცადა პრინციპების ცვლილება ბერძნულ ცივილიზაციასთან კონტაქტის შედეგად. ლივიუსი იყო პირველი პროფესიონალი მასწავლებელი, რომელიც ბავშვებს ასწავლიდა ბერძნულ ლიტერატურას. პოეტი ენიუსი მაღალი წრის ოჯახის წევრებს ბერძნულ ენას ასწავლიდა. ის წერდა წიგნებს გრამატიკაზე, მართლწერაზე, წარმოთქმაზე, მეტრზე, მას მიაწერენ ასევე ბერძენი ავტორების თარგმანების ოთხტომეულს. ეს ასევე, მიგვანიშნებს იმაზე, რომ რომის საზოგადოებაში არსებობდა მხატვრული ლიტერატურის მოთხოვნილება (შდრ. ჰარდი 1962: 68–70). უნდა ხაზგასმით ითქვას, რომ ძველი რომაული განათლება მთლიანად კი არ შეიცვალა, არამედ გაჩნდა ტენდენცია, დაეხვეწათ და შეეესოთ ის ბერძნებისგან შეთვისებული სალიტერატურო კულტურით. ამის წინააღმდეგ გაილაშქრა კატომ (ძვ.წ.ა. 234–149 წწ.). ის ყოველგვარი ინოვაციის წინააღმდეგი იყო და ეჭვის თვალით უყურებდა ყველაფერს უცხოურს (კენიონი 1932:77–78).

ემილიუს პაულუსი კი, პირიქით, მხარს უჭერდა ბერძნული კულტურის შეთვისებას (პლუტ. ემილ. პაულ. ცხ. 6). მან მისი ორი ვაჟი ფაბიუსი და სკრიპიო თავად აღზარდა ძველი რომაული ტრადიციის მიხედვით, თუმცა ბერძნებს ბაძავდა გრამატიკის, რიტორიკის, ხატვის, ლოგიკის და სხვა საგნების სწავლებისას (კენიონი 1932: 78–80). მან რომში ჩამოიტანა ბერძნული წიგნების კოლექცია და ათენელებს სთხოვა, მისთვის გამოეგზავნათ ფილოსოფოსი, რომელიც თავის თავზე აიღებდა ვაჟების უმაღლეს განათლებას. ძვ.წ.ა. 100 წლიდან, დაახლოებით 2 საუკუნის განმავლობაში, რომაული განათლება ბერძნულ კალაპოტში მიედინებოდა. ბერძნული გავლენა შეიმჩნეოდა ადრეული ბავშვობის პერიოდის სწავლა-

განათლებაზეც კი. მაღალი კლასის ოჯახები ბერძენ ძიძებს მასწავლებლებად ქირაობდნენ. 7 წლიდან 16 წლამდე რომელი ვაჟების განათლება ძალიან ჰგავდა მ.წ.ა. მეხუთე საუკუნის ათენელ ვაჟთა განათლებას, რომელიც პედაგოგის ზედამხედველობით ხდებოდა. დაწყებით სკოლას Ludus (თამაში) ეწოდებოდა. ხოლო შემდგომი ეტაპის სკოლას ეწოდებოდა schola (თავისუფალი საქმიანობა).

საბერძნეთმა უდიდესი გავლენა იქონია რომში განათლების სისტემის ჩამოყალიბებაზე. რომაელებს არაერთგვაროვანი დამოკიდებულება ჰქონდათ განათლების სისტემის ელინიზაციის მიმართ: ერთნი ფიქრობდნენ, რომ ბერძნულ კულტურასთან ზიარება რომს თვითმყოფადობას დაუკარგავდა, მეორენი კი, უფრო პროგრესულად მოაზროვნე ნაწილი, ხვდებოდა, რომ განათლების სისტემის ელინიზაცია რომაელებისთვის ძალიან სასარგებლო იქნებოდა. დრომ აჩვენა, რომ ამ ყველაფერს კარგი შედეგი მოჰყვა - რომაულმა კულტურამ მალევე მიაღწია ელინურ სიმაღლეებს.

მეტი თვალსაჩინოებისთვის შევეცადე, ზემოთ ჩამოთვლილი ელემენტები სქემატურად წარმომედგინა (იხ. ცხრილი 1, 2, 3).

აღზრდა-განათლების მრავალი კონცეფცია შეიქმნა ანტიკურ საბერძნეთსა და რომში. სოფისტების, სოკრატეს, პლატონის, არისტოტელეს, ისოკრატესის განათლების კონცეფციების შესწავლა ნათელს ხდის, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების ამ სფეროს ანტიკურ ეპოქაში. მომდევნო თავებში უკვე ვისაუბრებთ იმაზე, თუ როგორ აისახა ეს კონცეფციები ლიტერატურის სხვადასხვა ძირითად ჟანრში: ეპოსში, ლირიკაში, დრამასა და პროზაში; ხოლო მე-6, დამამთავრებელ თავში ვაჩვენებთ რა ანტიკურ ელემენტები იმემკვიდრა განათლების თანამედროვე სისტემამ.

ბერძნული (ათენური) განათლება

ცხრილი 1.

სწავლების მიზნები და ძირითადი ელემენტები	განათლების სახე	სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება	სასწავლო პროგრამა	სწავლის შედეგები და კომპეტენციები	შენობა და აღჭურვილობა	სწავლის შეფასება
ფიზიკურად და სულიერად სრულყოფილი ადამიანის აღზრდა.	მუსიური და გიმნასტიკური განათლების შერწყმა.	მოსწავლეთა მოსწრება განიხილება, როგორც სწავლების წარმატების საზომი ერთეული. სწავლის ინდივიდუალური ტიპების ვარიაციები გათვალისწინებულა. სტუდენტზე ორიენტირებულობის პრინციპებიდან გამომდინარე, სწავლების უმთავრეს მიზნად მიჩნეულია მოსწავლეთა გაცნობიერება და მათ მიერ პროფესიონალიზმის უმაღლესი დონის მიღწევა.	ართმეტიკა, მუსიკა, მხატვრული ლიტერატურა, ფერწერა, სირბილი, ჭიდაობა, ხტომა, დისკოსა და შუბის ტყორცნა, ცეკვა, (უმაღლესი განათლება-ფილოსოფია, რიტორიკა).	დამოუკიდებლად და ჯგუფში მუშაობის უნარი; მშობლიურ ენაზე ზეპირი და წერიტი კომუნიკაცია; ზოგადი საბაზისო ცოდნა; ანალიზისა და სინთეზის უნარი; კრიტიკული და თვითკრიტიკული მიდგომა; ახალი ედეების გენერირების უნარი; ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი; შემოქმედებითი მიდგომა; კრიტიკულ დიალოგში ჩართვა.	მყუდრო, მოხერხებული საკლასო ოთახები სადა ავეჯით. (მხოლოდ სკამები ჰქონდათ მოსწავლეებს და ცვილის დაფებს მუხლებზე იწყობდნენ, რომელზეც სტილებით კაწრავდნენ).	შეჯიბრები კითხვაში, ციტირებებში, ხატვაში, ლირაზე დაკვრასა და ზოგად განათლებაში და გამარჯვებულთა დაჯილდოვება სხვადასხვა პრიზებით.

ბერძნული (სპარტანული) განათლება

ცხრილი 2.

სწავლების მიზნები და ძირითადი ელემენტები	განათლების სახე	სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება	სასწავლო პროგრამა	სწავლის შედეგები და კომპეტენციები	შენობა და აღჭურვილობა	სწავლის შეფასება
ვაჟთა სხეულის გაკაჟება, რათა მათ აეტანათ ყოველგვარი გასაჭირი ომში.	ფიზიკური	სტუდენტები ვერ ახდენენ შესამჩნევ გავლენას სწავლებისა და სწავლის მეთოდებზე.	მძლეოსნობა, გიმნასტიკური ვარჯიშები, სირბილი, ხტომა, ბურთის თამაში, დისკოსა და შუბის ტყორცნა, ჭიდაობა, კრივი, საბრძოლო ცეკვა, მუსიკა.	საუკეთესო მეომართა აღზრდა, რომელთაც აქვთ ჩამოყალიბებული მონური მორჩილების უნარი; ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი; შეგუებულობა.	სპეციალური საერთო საცხოვრებელი ძალიან მკაცრი პირობებით.	შეჯიბრებები ახალგაზრდებს შორის.

რომაული განათლება

ცხრილი 3.

სწავლების მიზნები და ძირითადი ელემენტები	განათლების სახე	სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება	სასწავლო პროგრამა	სწავლის შედეგები და კომპეტენციები	შენობა და აღჭურვილობა	სწავლის შეფასება
<p>მოსწავლეთა კარგ ორატორე-ბად ჩამოყალიბება.</p>	<p>უმეტესად ჰუმანიტარული.</p>	<p>სტუდენტზე ორიენტირებულობის პრინციპებიდან გამომდინარე, სწავლების უმთავრეს მიზნად მიჩნეულია მოსწავლეთა გაცნობიერება და მათ მიერ პროფესიონალიზმის უმაღლესი დონის მიღწევა.</p>	<p>მხატვრული ლიტერატურა, რიტორიკა, ფილოსოფია, არითმეტიკა, უცხო ენა-ლიტერატურა(ბერძნული); სირბილი, ცურვა.</p>	<p>პოლიტიკური აზროვნების კულტურის გამომუშავება; მშობლიურ და უცხო ენაზე ზეპირი და წერილობითი პრეზენტაციების უნარი; ანალიზისა და სინთეზის უნარი; მოკლე და შთამბეჭდავი სიტყვების წარმოთქმის უნარი; პრობლემების გადაჭრის უნარი; მეორე ენის ცოდნა; მულტიკულტურალიზმისა და მრავალფეროვნების პატივისცემა; კრიტიკული შეჯამებისა და დასკვნის გაკეთების უნარი.</p>	<p>გადახურული შენობა, რომელსაც ცალი მხარე ჰქონდა ღია. ძირითადი ინვენტარი- მერხები და მუხლებზე დასაწყობი დაფები. კედლები მორთული ათასგვარი თვალსაჩინოებებით.</p>	<p>შეჯიბრებები სხვადასხვა საგანში და გამარჯვებულთა სიგელებით დაჯილდოვება.</p>

თავი II. განათლება ანტიკურ ეპოსში

ეპოსი მსოფლიო ლიტერატურაში ერთ-ერთი ყველაზე უფო ძველი და გავრცელებული ჟანრია, რომლის არსის დეფინიციაც კარგა ხანია მეცნიერთა შესწავლის საგანია არისტოტელედან მოყოლებული. შევეცდები, გამოვკვეთო ჟანრის სპეციფიკის ჩემი თემისათვის საინტერესო მომენტები, რომლებიც, ვფიქრობ, ეპიკოსებს ამ ჟანრში პესონაჟთა განათლებულობის წარმოჩენის დიდ საშუალებას მისცემდა: 1. ეპოსი მეტწილად ჰეროიზებულ ადამიანებზე მოგვითხრობს (დაწვრილებით იხ. როლიგი 1978:115, 159).² ვფიქრობ, ამგვარი დეფინიციის საშუალებას მკვლევარებს აძლევს ეპოსის გმირების არა მხოლოდ ფიზიკური მომზადება და მათ მიერ ჩადენილი საგმირო საქმეები, არამედ განათლების გარკვეული დონე, რომლის ილუსტრირებასაც ქვემოთ შევეცდები; 2. „პოეტიკაში“ არისტოტელე ეპოსისათვის დამახასიათებლად თვლის გავრცელებულობას (μυκηος). ამ შემთხვევაში იგულისხმება არა მხოლოდ ფიზიკური მოცულობა, ან შესასრულებლად საჭირო დროის მოცულობა, არამედ მოქმედების დროის მოცულობა. ეპოსში წარმოდგენილი ინფორმაცია არ არის შეზღუდული სამოქმედო დროით, ამიტომ მან შეიძლება დაიტოს არაერთი მოვლენა და ინფორმაცია. შესაბამისად, ეპიკური ჟანრის ნაწარმოებებში ხშირად მოთხრობილია გმირების თავგადასავალი ცხოვრების ხანგრძლივი დროის მანძილზე, თუნდაც დაბადებიდან გარდაცვალებამდე. ამიტომ ეპიკოსებს საშუალება ეძლევათ სიუჟეტის განვითარებასთან ერთად, გმირების შესახებ მოგვაწოდონ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია, მათ შორის, მოგვითხრონ იმაზეც, თუ რა განათლება აქვთ მათ გმირებს მიღებული; 3. ეპოსი, თუკი მისი თემა სერიოზულია და ამაღლებული, ეძღვნება ღირსშესანიშნავ მოვლენათა და ფიგურათა წარმოჩენას (არისტ. პოეტ. 1448^b 30). ამგვარ პერსონაჟებში, სავარაუდოდ, არისტოტელე განათლებულ ადამიანებსაც გულისხმობს; 4. არისტოტელეს მიხედვით, ეპიკოსი ლექსით გვაწვდიდა არა რაიმე წმინდა ისტორიულ ამბავს, ქრონიკას, კონკრეტული ისტორიული პირის ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გადმოცემულ მშრალ ბიოგრაფიას, არამედ მნიშვნელოვანსა და ტევად ინფორმაციას. ამიტომ ეპიკოსები ყურადღებას

² არისტოტელე არ გამორიცხავს არაჰეროიკული პოეტური ნაწარმოებების არსებობასაც. მაგალითად, თავად ჰომეროსს, არისტოტელეს თქმით, შეუქმნია „მარგიტესი“, ბურლესკური პოემა.

ამახვილებდნენ პერსონაჟთა განათლების ხარისხზე; 5. ეპოსს შეუძლია გადმოსცეს ერთსა და იმავე დროს მომხდარი მრავალი მოვლენა, რაც მას საშუალებას აძლევს ასახოს სამყაროს ურთიერთმიმართებები მთელი მრავალფეროვნებით, მრავალრიცხოვანი და მრავალგვარი ჩანარების საშუალებით გამუდმებით უცვალოს მსმენელს განწყობილება (არისტ. პოეტ. 1459^b 29).³ ამ ტიპის ჩანარებში ეპიკოსებთან ხშირად ვპოულობთ ინფორმაციებს ჩემთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით.

ამ თავში ცალკე გამოვყავი ჩემთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით, ერთი მხრივ, ინფორმაცია იმ პერიოდებზე, რომლებშიც ეპიკოსებს მოუწიათ ცხოვრება და მოღვაწეობა, ან რომელთაც ისინი აღწერენ თავიანთ პოემებში, რომ უკეთ მეჩვენებინა, როგორი განათლების მიღება შეეძლოთ ეპიკოსებს, ან მათ პერსონაჟებს, ეპოქების შესაბამისად („განათლებული” ეპოქები); მეორე მხრივ, ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა განათლება ჰქონდათ (ან შეიძლება ჰქონოდათ) თავად ეპიკოსებს მიღებული და ამის განზოგადების საფუძველზე დამედგინა, რა ტიპის განათლება შეიძლებოდა მიეღოთ ამ პერიოდის ადამიანებს ზოგადად (*განათლებული ეპიკოსები*) და ბოლოს წარმოვაჩინ, როგორ აისახა ეს ყველაფერი ეპიკოსთა ლიტერატურულ გმირებში (ეპიკოსთა ინტელექტუალური პერსონაჟები).

„განათლებული” ეპოქები. პირველ რიგში შევხები მიკენურ ეპოქას, რადგანაც ჰომეროსის პოემებში გადმოცემული ტროას ომის ამბები სწორედ ამ ეპოქას განეკუთვნება და ჰომეროსი აუცილებლად შეეცდებოდა პერსონაჟები ამ დროისათვის დამახასიათებელი ნიშნების მატარებლები ყოფილიყვნენ. მიკენი, როგორც კონტინენტური საბერძნეთის უმთავრესი დასახლება ძვ. წ. ა. XVII- XVI საუკუნიდან უკვე არსებობს. როგორც ჩანს, მიკენში კრეტა და მინოსური კულტურა გავლენის უმთავრესი წყარო იყო. აქაველი მმართველები მინოსური კულტურის უდიდესი თაყვანისმცემლები იყვნენ. მათი სასახლეები კრეტული ნაწარმით არის დამშვენებული. არ არის გამორიცხული, რომ ისინი კრეტიდან იწვევდნენ ოსტატებს, რომელნიც მიკენელებს მინოსური ხელოვნების საიდუმლოებებს შეასწავლიდნენ. შესაძლოა, არსებობდა სპეციალური პროფესიული სასწავლებლებიც. ამას ადასტურებს ამ ეპოქის მიკენური და საერთოდ, კონტინენტურ საბერძნეთში

³ არისტოტელეს აზრით, ეს ეპიკოსის დიდი უპირატეობაა. ამას არისტოტელე გამოხატავს ტერმინით „დიდებულება” (μεγαλοπρεια), რომელსაც ის სხვაგან აღარ გამოიყენებს.

აღმოჩენილი ნაწარმის საოცრად რაფინირებული ხასიათი. რ. გორდეზიანის აზრით, მისი შემქმნელი უთუოდ კრეტელი ხელოსნები უნდა ყოფილიყვნენ. ამ პროდუქციაში ყურადღებას იქცევს: ოქროჭედური თასები, დიადემა და ოქროსაგან ნაკეთები შროშანი, მიკენური ოქროს ნიღბები, ძვირფასი მეტალებით ინკუსტრირებული ხანჯლები. სხვადასხვა ცხოველთა თავის ფორმის რიტონებს აშკარა პარალელები ეძებნებათ კრეტაზე. ძვ. წ. ა. XV საუკუნის მეორე ნახევრიდან კი, მინოსური კრეტის დაქვეითების შემდგომ აქაველთა ერთი ნაწილი კრეტაზე იწყებს დასახლებას და კნოსოს სასახლის მდიდარი ტრადიციების მემკვიდრე ხდება. ბერძნული დამწერლობა სწორედ აქ აღმოცენდა და B-ხაზოვანის სისტემა გვიჩვენებს საოცარ ერთიანობას კრეტასა და კონტინენტურ საბერძნეთში. დამწერლობა იწყება მინოსური ეპოქიდან (შდრ. გორდეზიანი 1988: 50–51). მინოსურ სასახლეებში აშკარად იყო ადგილი დატოვებული სცენისათვის და მაყურებლისათვის. შესაძლებელია, აქ თეატრალური წარმოდგენებიც იმართებოდა და ეს მიკენურ ეპოქაშიც შენარჩუნდებოდა. ამავე დროს სასახლეების ფერწერულ ტილოებზე გამოსახულია მომღერალ ქალთა გუნდები. რადგანაც ისინი პირს ადებენ, ე.ი. მღერაინ. შესაბამისად, სავარაუდოდ, განვითარებული იქნებოდა პოეზიაც და ვფიქრობ, ეს გაგრძელდებოდა მიკენურ ეპოქაშიც.

ამ ეპოქაში შექმნილი აკროპოლისის ნაგებობის კედლების აგებას ზეადამიანური ძალის მქონე კიკლოპებსაც კი მიაწერდნენ (კასტლედენი 1990: 20). ბუნებრივია, ასეთი გრანდიოზული მშენებლობის წარმოება მხოლოდ არქიტექტურის, მათემატიკური გაანგარიშებების კარგად მცოდნე ადამიანებს შეეძლოთ.

მიკენურ საბერძნეთში საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა აღრიცხვიანობის საკითხი (სკარი 2003 : 26). ზუსტი ფიქსაციისაკენ სწრაფვა მიუთითებს სასახლის კანცელარიის მუშაობის მაღალ დონეზე. ეს კი აუცილებლად მოითხოვს არითმეტიკის ცოდნას, რასაც, სავარაუდოდ, ისინი სკოლებში იღებდნენ.

ლეგენდები მიკენურ ეპოქას უკავშირებენ პოეტ ორფევსის და მისი მოსწავლის, მუსეოსის სახელს. ამავე ეპოქას მიაკუთვნებენ ლეგენდები ლინოსს, რომელსაც ჰერაკლეს მასწავლებლადაც კი მოიხსენიებენ. ამგვარად, მიკენურ ეპოქაში მასწავლებლისა და მოსწავლეების არსებობა უკვე ამ პერიოდის მითებშია დადასტურებული.

რადგანაც ჰომეროსი ისტორიულ მოვლენებზე წერს, ის ვალდებულია იმ ეპოქის ტენდენციები გაითვალისწინოს, რომელზედაც წერს. თუმცა ავტორი, ნებით თუ უნებლიეთ, ამჟღავნებს იმ ეპოქის თავისებურებებს, რომელსაც ის ეკუთვნის. შესაბამისად, საინტერესო იქნება გეომეტრიული რენესანსის ეპოქის მიმოხილვა, რადგანაც ჰომეროსი ამ ეპოქის ხელოვანია.

დაახლოებით ძვ. წ. ა. X-IX საუკუნიდან იწყება გეომეტრიული რენესანსის ეპოქა. ამ პერიოდში შეიქმნა პოლისი, რომლის მართვაში მისი ყველა თავისუფალი წევრი იღებდა მონაწილეობას (გორდეზიანი 1988: 71–72). როგორც ჩანს, მოსახლეობა განათლებული იყო, რადგანაც ქვეყნის მართვა გარკვეულ უნარ-ჩვევებს მოითხოვს. ისინი უნდა გამოსულიყვნენ საჯარო მოხსენებებით, უნდა დაესაბუთებინათ თავიანთი პოზიციის მართებულობა, დაერწმუნებინათ მოსახლეობა, მათი მოსაზრებებისათვის მხარი დაეჭირათ. ყოველივე ეს კი მხოლოდ განათლებულ ადამიანს შეუძლია. როგორც ჩანს, განათლების მიღება მხოლოდ ერთეულებისთვის კი არ იყო ხელმისაწვდომი, არამედ, მას საყოველთაო ხასიათი ჰქონდა. შესაბამისად, პოლისის ყველა თავისუფალი წევრი თანაბარი უფლებით სარგებლობდა ქალაქ-სახელმწიფოს საქმეთა მართვაში.

ბერძენთა ფსიქოლოგიაში აგონისტური სულის ჩამოყალიბება გეომეტრიულ ეპოქას უკავშირდება. ძვ. წ. ა. 776 წლიდან იწყება ოლიმპიური თამაშების მნიშვნელოვანი რეორგანიზება, რადგანაც ადამიანებს გაუჩნდათ სურვილი, ჰქონოდათ ერთგვარი სტიმული, რომ უფრო მეტი ემუშავათ, ევარჯიშათ და მეტად დაეხვეწათ თავიანთი შემოქმედება (დაწვრილებით იხ. დეგერ–ჯალკოცი 2006 :583–586). ამიტომ დაადგინეს, რომ ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ ჩაეტარებინათ პოეტური ფესტივალები, შეჯიბრებები სიმღერასა და სპორტის სხვადასხვა სახეობებში, ფიზიკური თუ გონებრივი შესაძლებლობებით ერთმანეთს შერკინებოდნენ და საუკეთესო გამოერჩიათ.

ამ პერიოდის ბერძენთა განათლების მაღალ დონეზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ მათ შექმნეს ფონეტიკური დამწერლობა. ფინიკიურ კონსონანტურ ანბანს ხმოვნები დაუმატეს და მოახდინეს მისი ფონეტიზაცია. ამ გამარტივების გამო, ბერძნული ანბანი ხელმისაწვდომი გახდა ყველასათვის და, შესაბამისად, გაფართოვდა წერა-კითხვისა და განათლების გავრცელების მასშტაბები.

ჰესიოდეს მოღვაწეობის ხანა ემთხვევა დიდ ცვლილებებს საბერძნეთის

ისტორიაში. ძვ. წ. ა. VIII- VII საუკუნეებში იწყება დიდი საკოლონიზაციო მოძრაობა, რომელმაც მოიცვა იტალია, სიცილია, სამხრეთ გალია, ჩრდილოეთ ესპანეთი, თრაკიული სანაპირო, შავი ზღვის მისადგომები და მცირე აზია. ბერძნებმა შეითვისეს უცხოელთა კულტურა, რამაც მათი განათლების დონე სულ სხვა სიმაღლემდე აიყვანა (მიმოხილვისათვის იხ. პენგლასი 1994: 199–203). ისტორიულმა ვითარებამ პიროვნებათა როლის გაზრდას შეუწყო ხელი. საკოლონიზაციო მოძრაობის კვალდაკვალ გაიზარდა პიროვნების როლი და საჭირო გახდა ისეთი ლიდერის არსებობა, რომელიც უხელმძღვანელებდა ხალხის უსაფრთხო გადაყვანას საკმაოდ დიდ მანძილზე. მათ ასევე, მშვიდობიანი მოლაპარაკება უნდა ეწარმოებინათ უცხო ტომებთან. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, არ მოგვეპოვება რაიმე ცნობა იმის შესახებ, რომ ბერძნებს ბრძოლა ეწარმოებინათ ადგილობრივ ტომებთან, მათი დამკვიდრება ახალ ტერიტორიებზე და ადგილობრივ მოსახლეობასთან შერწყმა ხდებოდა უმტკივნეულოდ, მშვიდობიანად, ზედმეტი სისხლის ღვრის გარეშე. ამ ყველაფერს, ნიჭთან ერთად, გარკვეული ინტელექტიც ჭირდებოდა. ჩემი აზრით, ამ პერიოდში პიროვნების როლის გაზრდას, ისტორიულ ვითარებასთან ერთად, ხელი შეუწყო ადამიანთა განათლების დონის ამაღლებამაც.

შემდეგი ეპიკოსი პოეტი, აპოლონიოს როდოსელი, მოღვაწეობდა ელინისტურ პერიოდში. ელინისტურ სახელმწიფოებში წარმოიქმნა დიდი ფილოლოგიური ცენტრები, რომლებიც ინტენსიურ ლიტერატურულ მუშაობას ეწეოდნენ. ისინი ხელს უწყობდნენ ელინური პერიოდის ბერძნული ლიტერატურის შესწავლისა და კრიტიკული გამოცემის საქმეს, ასევე ემსახურებოდნენ ელინისტურ სამყაროში ახალი, ფილოლოგიური საქმიანობის აღმოცენებას (ბეიე 1982 : 15–19). ელინისტურ ეპოქაში განვითარებული ფილოლოგიური საქმიანობის დასტურია კალიმაქოსა და აპოლონიოს როდოსელს შორის გამართული ცნობილი ლიტერატურულ-თეორიული სახის კამათები. ისინი თავიანთ მოსაზრებებს უპირისპირებდნენ ერთმანეთს და არგუმენტირებულად ასაბუთებდნენ მათ შეხედულებებს, რაშიც კარგად გამოვლინდა მათი ფილოლოგიური უნარ-ჩვევები (ურუშაძე 1975: 6–7)

ამ პერიოდში განსაკუთრებით ვითარდება მეცნიერება. მეცნიერების დარგები მკაფიოდ გამოეყო ერთმანეთს. ელინისტურ ეპოქაში იქმნება ცნობილი მიმართულებები ფილოსოფიურ აზროვნებაში: ეპიკურიზმი, სტოიციზმი, სკეპტიციზმი; პითაგორელთა, პლატონის, არისტოტელეს, ჰიპოკრატეს სამეცნიერო

ნაშრომები; ვითარდება დარგობრივი მეცნიერებები: მედიცინა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, ენათმეცნიერება, ლიტმცოდნეობა. მათემატიკის სფეროში შექმნილი ევკლიდესის „ელემენტების“ მნიშვნელობა დღესაც ფუნდამენტური სახელმძღვანელოა მათემატიკოსებისათვის. ასევე, არქიმედესმა შექმნა საინტერესო ნაშრომები მექანიკის სფეროში. ბერძენ ავტორთა ტექსტები სისტემურად გადაიწერებოდა, დგინდებოდა, ხდებოდა მათი კომენტირება და ფილოლოგიური კვლევა.

ელინისტურ პერიოდში გამოჩნდა პირველი მსოფლიო რუკა. გეოგრაფიული ხასიათის ნაშრომები შეუქმნიათ ერატოსთენესსა და, ცოტა მოგვიანებით, სტრაბონს. განვითარდა ასტრონომია. ელინისტური პერიოდის ასტრონომის, არისტარქოს სამოსელის მიერ იქნა პირველად წამოყენებული თვალსაზრი ჩვენი სამყაროს ჰელიოცენტრულობის შესახებ (დაწვრ. იხ. ლოიდი 2004: 2–12).

ბერძნებს გაუჩნდათ დიდი ინტერესი მეცნიერების ხვადასხვა სფეროში და ეს ნათლად აისახა მხატვრულ ლიტერატურაში. ავტორები არ ერიდებიან თავიანთ შემოქმედებაში საკუთარი განათლების გამომჟღავნებას და ამიტომაც, მხატვრული ნაწარმოებებიც გაჯერებულია სამეცნიერო ინფორმაციით. ამ პერიოდის ავტორთა მიერ მხატვრულ ნაწარმოებებში უამრავი მოვლენის, ფაქტის და დეტალის შესახებ ინფორმაციის ჩართვა ოდნავ „ვნებს“ ნაწარმოების მხატვრულ მხარეს და ასუსტებს ერთიანობის განცდას, თუმცა ავტორთა მრავალ სფეროში განსწავლულობის წყალობით მხატვრული ნაწარმოები ხშირად ხდება სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებისათვის საკმაოდ სანდო წყარო.

ვერგილიუსის, ოვიდიუსისა და ჰორაციუსის მოღვაწეობის პერიოდი ემთხვევა რომის ისტორიაში გარდატეხის ეპოქას. რომი არისტოკრატიული რესპუბლიკური წყობიდან მონარქიულ წყობილებაზე გადადის. ქვეყნის სახელმწიფოს ფაქტობრივი მმართველი გახდა გაიუს ოქტავიანუს ავგუსტუსი, რომელმაც 29 წელს იმპერატორის ტიტული მიიღო.

დამყარდა საყოველთაო და ხანგრძლივი მშვიდობა (pax Romana). რომის იმპერიის გარეგნულმა სიმშვიდემ და სტაბილიზაციამ ხელი შეუწყო ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებას, კულტურის აყვავებას. დიდი ყურადღება მიექცა განათლებას, რაზეც მიგვანიშნებს ის ფაქტი, რომ პალატიუმზე აპოლონის ტაძართან დაარსდა მსოფლიოში პირველი საჯარო ბიბლიოთეკა,

რომელსაც სათავეში ჩაუდგა ცნობილი ორატორი და ისტორიკოსი გაიუს ასინიუს პოლიონი. მანვე შემოიღო პირველად ე.წ. რეციტაციები - მწერალთა და პოეტთა ნაწარმოებების საჯარო კითხვა-განხილვა, რასაც იმდროინდელ ლიტერატურულ ცხოვრებაში დიდი სიცოცხლე შეჰქონდა და სავარაუდოდ, საზოგადოების განათლებულობაშიც დიდ როლს ითამაშებდა.

განათლებული პრინციპსი, ოქტავიანუს ავგუსტუსი ხელოვნებასა და მწერლობას უმძლავრეს იარაღად მიიჩნევდა და ცდილობდა, ეს იარაღი ახალი ხელისუფლების სამსახურში ჩაეყენებინა (მდრ. ადმონდსონი 2009:91–100). იმპერატორი გარს იკრებდა ნიჭიერ და განათლებულ ხალხს: მწერლებს, პოეტებს, ხუროთმოძღვრებს და ხელს უწყობდა მათი ნიჭის განვითარებას: გულუხვად ასაჩუქრებდა მათ და საუკეთესო პირობებს უქმნიდა თავიანთი ხელოვნების დასახვეწად. ამ საქმეში დიდი როლი შეასრულა განათლებულმა და მდიდარმა ადამიანმა - გაიუს კილნიუს მეცენატმა (მიმოხილვისთვის იხ. ნაითი 1944: 2–34).

ავგუსტუსის ხანის მწერლები, პოეტები და ხელოვნების სხვა დარგის წარმომადგენლები სწავლობდნენ და შემოქმედებითად ითვისებდნენ კლასიკურ ბერძნულ კულტურას და ქმნიდნენ მაღალმხატვრულ ქმნილებებს.

განათლებული ეპიკოსები. ჰომეროსის პოემები საინტერესოა არა მხოლოდ მხატვრული თვალსაზრისით, არამედ როგორც ისტორიული წყაროები, რომლებშიც დღემდე თავიანთთვის სასარგებლოს პოულობენ ისტორიკოსები, გეოგრაფოსები, რიტორები, ეთნიკური და სხვა დარგის სპეციალისტები. ჰომეროსის პოემებში დაფიქსირებული უზარმაზარი ცოდნა სრულიად განსხვავებულ სფეროებსა და სხვადასხვა საკითხებთან მიმართებაში გვაძლევს იმის მტკიცების საშუალებას, რომ იგი იყო არა მხოლოდ დიდი შემოქმედი იყო, არამედ მრავალმხრივ განათლებული ადამიანი.

ჰეროდოტოსი, თუკიდიდესი, სტრაბონი ჰომეროსს გეოგრაფიული მეცნიერების ფუძემდებლად და ისტორიის ყველაზე სანდო ინფორმატორად აღიარებდნენ. ჰომეროსი კარგად იცნობდა ქვეყნების გეოგრაფიასა და ისტორიას, რაც მას საშუალებას აძლევდა, მშრალად კი არ აღეწერა ისტორიული მოვლენები, არამედ სიღრმისეულად გადმოეცა სათქმელი. არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურა, რომ ძვ. წ. ა. XIII საუკუნის ეგეოსის ზღვის აუზში არსებული ისტორიულ-გეოგრაფიული ვითარება ძლიერ ახლოს არის იმასთან, რასაც ჰომეროსი

ავვიწერს თავის პოემებში (საკითხის მიმოხილვისთვის იხ. გორდეზიანი 2011: 70–78)

მკვლევარები მიიჩნევენ, რომ ჰომეროსი ეყრდნობა წარსულის ამსახველ სავსებთ რეალურ ინფორმაციას (იგულისხმება ძვ. წ. ა. II ათასწლეულის მეორე ნახევრის ძირითადი ისტორიული მონაცემები) და მას, საკუთარი პოეტური პრინციპებიდან გამომდინარე, პოემაში საკმაოდ ზუსტად ასახავს. ამაზე მიანიშნებს ბევრი რამ. მაგალითად: პოემებით მოხიბლულმა დილეტანტმა არქეოლოგმა, შლიმანმა აღმოაჩინა ტროა თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე. მან სპეციალურად შეისწავლა ძველი ბერძნული ენა და გაჰყვა „ილიადაში“ გადმოცემულ მარშრუტს; ტიმ სევერინმა გაიარა ის მარშრუტი, რომელიც უნდა გაეგლო ტროადან წამოსულ ოდისევსს კუნძულ ითაკამდე და ბევრი საინტერესო რამ აღმოაჩინა: იმ ადგილას, სადაც ჰომეროსი აღწერს კიკლოპის გამოქვაბულს, სევერინის ექსპედიციას დახვდა გამოქვაბული, რომელიც ძალიან ჰგავს ჰომეროსის მიერ აღწერილს და დღესაც კიკლოპის გამოქვაბულს ეძახიან (ჰომ. ოდ. IX. 182-190). ძნელი სათქმელია, ასე ერქვა ამ გამოქვაბულს და ჰომეროსმა აღწერა, თუ ჰომეროსმა რომ აღწერა, იმიტომ დაერქვა, მაგრამ ფაქტია, რომ ასეთი გამოქვაბული ნამდვილად არსებობს. იმ ადგილას, სადაც ჰომეროსი აღწერს ქართა კუნძულს, საიდანაც ქართა მეფემ, ეოლოსმა ოდისევსს და მის თანამგზავრებს გამოატანა სხვადასხვა ქარებით სავსე ტომარა, რომ მათ ოდისევსის ხომალდისათვის ხელი არ შეეშალათ (ჰომ. ოდ. X. 19-24), ექსპედიციას დახვდა კუნძული, რომელსაც აქვს თავწაკრული ტომრის ფორმა. მას დღესაც ეძახიან ქართა კუნძულს (καρπίδος). რა თქმა უნდა, ექსპედიციას არ შეხვედრია მოგზაურობისას ქარიბდა და სკილა, მაგრამ სამაგიეროდ, იმ ადგილებში, რომელთაც ჰომეროსი მათი დასახლების ადგილად წარმოგვიდგენს, წააწყდნენ ჩანჩქერსა და ვიწრო სრუტეს, რომლებიც დღეს ისე აბრკოლებენ ხომალდთა გადაადგილებას, როგორც ჰომეროსის პოემებში ქარიბდა და სკილა.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჰომეროსს კარგი გეოგრაფიული და ისტორიული განათლება ჰქონდა მიღებული, რამაც მას საშუალება მისცა, შეექმნა მაღალმხატვრული პოემები, რომელშიც დიდია მწერლის ფანტაზიის ხვედრითი წილი, მაგრამ ამავდროულად ნაწარმოებები გაჯერებულია რეალური, ფაქტობრივი ინფორმაციით.

ჰომეროსმა კარგად იცის ბერძნული ენის გრამატიკა. მისი პოემების ენა საოცრად მოქნილია. ჰომეროსი იყენებს გრამატიკული კატეგორიების ყველა

შესაძლებელ ფორმას, ამა თუ იმ ლექსიკური ფორმატის მრავალრიცხოვან ფონეტიკურ ვარიანტსა და სიტყვათშეთანხმებების სხვადასხვა ტიპებს (გრიფინი 1983: 34–35).

ასევე, მდიდარია ჰომეროსის ლექსიკა. მისი ლექსიკონი შედგება არა მარტო ჩვეულებრივი ლექსიკური ფორმატივებისაგან, არამედ ჰექსამეტრული სალექსო სტრიქონის ცალკეულ მეტრულ სეგმენტებზე მორგებული მყარი ფორმებისა და სიტყვათშეთანხმებებისაგან. ჰიპოთეზის დონეზე არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ აქილევსი შეიძლება იყოს პელაზგი, ხოლო დაქტილური ჰექსამეტრი - კავკასიური, კერძოდ, კოლხური წარმოშობის (ბერაძე 1944: 140). შესაბამისად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჰომეროსმა კარგად იცოდა არა მხოლოდ ბერძნული, არამედ მეზობელი და იმ ხალხების (მათ შორის, უძველესი კოლხური ტომების) მითოლოგია, სალექსო საზომები და სხვა, რომლებთანაც ბერძნებს უძველესი დროიდან ჰქონდათ კავშირები.

ჰომეროსი გეომეტრიული ეპოქის შვილია, ამიტომაც, ბუნებრივია, კარგად იცნობს გეომეტრიულ ხელოვნებას. ამის საუკეთესო დასტურია ის საოცარი სიმეტრიულობა, რაც მის პოემებში ვლინდება. პოემათა მთელი ნაწილი აგებულია წრიული კომპოზიციის, პარალელური დაყოფის, ურთიერთგადაწვნის, გარკვეულ ფორმულებს დაქვემდებარებულ პრინციპებზე. ეს იმას სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ჰომეროსი ხელოვნურად ცდილობდა გარკვეულ, წინასწარ გაწერილ ფორმულებზე მოერგო პოემის სიუჟეტები. ის იყო თავისი დროის შვილი, მაგრამ ამავე დროს, ეს იყო მისი სტილი, ხედვა, აზროვნების შემოქმედების ბუნებრივი პროცესი. წინააღმდეგ შემთხვევაში, პოემაში არ ექნებოდა ყველას და ყველაფერს, ყველა დეტალს მკაცრად განსაზღვრული ადგილი, როცა ერთი რიამეს შეცვლა და გადაადგილება მთელი სიმეტრიისა და ერთიანობის დარღვევას გამოიწვევდა. ამიტომაც რჩება ჰომეროსის სამწერლობო ტექნიკა და მისი შემოქმედება დღემდე ყველა მწერლისათვის აღუმატებელი მიზანძვის და აღფრთოვანების საგნად. თუმცა მას აუცილებლად ექნებოდა შესწავლილი გეომეტრიული ხელოვნების ის უზოგადესი პრინციპები, რომლებიც ამ ეპოქის ყველა ხელოვანთან გვხვდება (მგალითად, გავიხსენოთ ფერწერული ტილო *ოდისევსის ხომალდის დაღუპვა*) და ჰომეროსი ამ თვალსაზრისით არ არის გამონაკლისი.

ჰომეროსს, სავარაუდოდ, მიღებული აქვს მუსიკალური განათლება, რაც

ვლინდება პოემათა აკუსტიკურ ეფექტში. „ილიადა“ და „ოდისეა“ რეციტაციებით სრულდებოდა. ამ ეფექტს ეპიკოსი პოეტი სხვადასხვაგვარად აღწევს. იგი იყენებს ბგერწერის პრინციპებს და ურთიერთკონტრასტული ჟღერადობის მქონე სიტყვების ჩანაცვლებით ახერხებს განწყობის შეცვლას პოემებში (შდრ. ჩერჩი 1951: 3–12). ჰომეროსი მუსიკას ქმნის ჰექსამეტრული სტრიქონების, დაქტილური ტერფების, ორ და მეტმარცვლიანი სიტყვების, ნარნარა თანხმოვნებისა და მჟღერი ხშულების გამოყენებით. ამბის არა მარტო შინაარსობრივად, არამედ აკუსტიკურადაც ოსტატურად გადმოცემას უდაოდ ჭირდება მაღალი დონის მუსიკალური განათლება.

პოემებში ყურადღებას იპყრობს ოპტიკური ზემოქმედების მოსახდენად გამოყენებული საშუალებები, რომლებიც გადმოცემულ ამბავს ფერწერულობას ანიჭებენ. ჰომეროსი ენობრივი და სტილური კლიშეებისა და პლასტიკურ-ფერწერული ინტერპრეტაციის ურთიერთშერწყმით ახერხებს იმას, რომ მკითხველი სცენას არა მხოლოდ ტექსტუალურად, არამედ, ვიზუალურადაც აღიქვამს.

ჰომეროსის ეპოსში მსჯელობის, არგუმენტირების ძლიერი სული ტრიალებს. თითქმის ყოველი გადაწყვეტილება, ყოველგვარი ნების განცხადება რაღაც წინამავალი მსჯელობის შედეგია. ჰომეროსი კარგად ფლობს ორატორულ ხელოვნებას. „ილიადასა“ და „ოდისეაში“ წარმოთქმული მრავალი სიტყვა მჭევრმეტყველების ბრწყინვალე ნიმუშად შეიძლება მივიჩნიოთ (იხ. ქვემოთ). რიტორიკის ზემოქმედებასა და კანონზომიერებებზე მსჯელობის დროს ანტიკური ეპოქის ავტორებს ხშირად მაგალითად მოჰყავდათ ისინი, ხოლო, ოდისევსის მიერ აქილევსთან ელჩობისას წარმოთქმული სიტყვა ორატორული ხელოვნების კლასიკურ ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს (ჰომ. ილ. IX. 225-306).

მეორე დიდი ეპიკოსი, ჰესიოდე (მე-9–8 საუკუნეთა მიჯნა), ცხოვრების მასწავლებელია. ის ადამიანებს აძლევს მრავალ რჩევა-დარიგებას ცხოვრების თითქმის ყველა სფეროსთან დაკავშირებით. ამ ფუნქციის შესრულება მხოლოდ მრავლისმცოდნე, განათლებულ ადამიანს ხელეწიფება. რა განათლება შეიძლება ჰქონოდა თავად ჰესიოდეს? ის დიდაქტიკური ჟანრის ფუძემდებელია. ჰესიოდე პირველი პოეტია, რომელმაც საკუთარი ზემოქმედება ხმამაღლა თავისად აღიარა და არა ჰომეროსის მსგავსად, მუზების დამსახურებად („რისხვას, ღმერთქალო, უგალოზე

აქილევსისა” (ჰომ.ილ. I. 1)⁴. ჰესიოდემ ხმამაღლა განაცხადა: „მათ (მუზებმა) ერთხელ ლამაზი სიმღერა ასწავლეს ჰესიოდეს” (ჰეს. თეოგ. 29). ამას, გარდა ობიექტური მიზეზებისა (მაგალითად, პიროვნების როლის გაზრდა), ექნებოდა სუბიექტური მიზეზიც: თვითდაჯერებულობა და საკუთარი თავის რწმენა. ეს კი, ჩვეულებრივ, ბევრ სხვა რამესთან ერთად, კარგ განათლებასაც მოაქვს.

უპირველესად უნდა ითქვას, რომ ჰესიოდე კარგად იცნობდა მითოლოგიას. მან მოახდინა ღმერთთა ფუნქციების პირველი სისტემატიზაცია და ჰომეროსთან ერთად, დაიმკვიდრა სისტემატიზატორის და ბერძენთა რელიგიის შემქმნელის სახელი (შდრ. პენგლასი 1994: 50–59).

ყურადღებას იპყრობს ჰესიოდეს არგუმენტირებული მსჯელობა პოემებში, მისი აზრის ლოგიკური დასაბუთება. პოეტი ასევე მრავლად ჰყვება არაკებს და აანალიზებს მათ. აქ კარგად ჩანს მისი კრიტიკულ-ანალიტიკური უნარ-ჩვევები.

ჰესიოდე ცხოვრების სხვადასხვა მოვლენასთან დაკავშირებით იძლევა რჩევა-დარიგებებს, რომელნიც, შესაძლოა, გარკვეულ თემატურ ჯგუფებად იყოს დაყოფილი: სტუმართმოყვარეობა, მეზობლები, ქონების დაცვა, ადამიანური ურთიერთობები, ადამიანის ქცევის სხვადასხვა მხარე და ა.შ.

ჰესიოდე კარგად იცნობდა როგორც კავკასიურ, ისე აღმოსავლურ ფოლკლორს. ღმერთთა თაობების ჰესიოდესეული კლასიფიკაცია აშკარა მიმართებას გვიჩვენებს ძველადმოსავლურ წარმოდგენებთან ღმერთთა თაობების შესახებ, რომლებიც შუმერულ ტრადიციამდე ადის. მეცნიერები ასევე ადასტურებენ ჰესიოდეს თეოგონიის მიმართებას ხეთურ-ხურიტულ მითოლოგიურ ტრადიციასთან.

აპოლონიოს როდოსელის განათლებასთან დაკავშირებით საკმაო ცნობები მოგვეპოვება. იგი ელინისტური, ანუ ალექსანდრიული ეპოქის მეცნიერი და ეპიკოსი პოეტი იყო, რომელიც ძვ. წ. ა. III საუკუნეში მოღვაწეობდა. აპოლონიოსი ალექსანდრიის ბიბლიოთეკის გამგის, კალიმაქოსის მოწაფე იყო. კალიმაქოს კვირინელი (დაახ. 315–240) ალექსანდრიზმის დიდი წარმომადგენელი, პოეტი და გრამატიკოსი, დიდი ერუდიციის ფილოსოფოსი, ერთ-ერთი პირველი ფილოლოგი იყო. მას „სწავლულ” პოეტად მოიხსენიებდნენ.⁵ მთელი მისი ცხოვრება მეცნიერებასა და პოეზიასთან იყო დაკავშირებული. კალიმაქოსის სკოლიდან

⁴ ციტატები ჰომეროსის „ილიადიდან” მომყავს რ. მიმინოშვილის თარგმანის მიხედვით (1979).

⁵ „განსწავლულობა” იყო ალექსანდრიელ ლიტერატორთა ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი.

გამოვიდნენ ელინისტური ეპოქის ისეთი დიდი მოღვაწენი, როგორებიც არიან: ერატოსთენოსი, არისტოფანე ბიზანტიონელი, აპოლონიოს როდოსელი და სხვები. აპოლონიოსმა კალიმაქოსისაგან შეითვისა მეცნიერული მუშაობის მეთოდები და მისგანვე გადმოიღო დებულება, რომ პოეზია მჭიდრო კავშირში უნდა იყოს მწიგნობრობასთან. აპოლონიოსიც აქტიურად იყო ჩართული ფილოლოგიურ საქმიანობაში, სადაც მას უაცილებლად დასჭირდებოდა ფილოლოგიური უნარ-ჩვევების ცოდნა, რაც მას, ალბათ, კალიმაქოსისაგან შეუთვისებია. ცნობილია ასევე მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის არსებული ლიტერატურული ხასიათის პაექრობა. ისინი თავს ესხმოდნენ ერთმანეთს გამკილავი და ღვარძლიანი ეპიგრამებით (ურუმაძე 1975: 6–7). აპოლონიოსის მოსაზრებებს იზიარებდა პოეტი თეოკრიტოსიც. აპოლონიოსი იძულებული გახდა დაეტოვებინა ალექსანდრია და კუნძულ როდოსზე გადასახლებულიყო. მან იქ სახელი მოიხვეჭა და იგი როდოსელ მოქალაქედ აღიარეს. ბრწყინვალედ ასწავლიდა იქ და როდოსელთაგან მოქალაქეობა და პატივი დაიმსახურა. ასევე აღსანიშნავი ფაქტია, რომ, მიუხედავად წარსული მტრობისა, აპოლონიოსი კალიმაქოსის გვერდით დაკრძალეს. ეს ხაზს უსვამს ელინისტურ ეპოქაში მასწავლებლისადმი ხაზგასმულ პატივისცემას.

აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკა“ არგონავტების მითზე აგებული მონუმენტური პოეტური ნაწარმოებია, რომელშიც ყველაზე თანმიმდევრულად და ვრცლადაა დამუშავებული თქმულება ოქროს საწმისზე. ასევე, „არგონავტიკა“ უძველესი და ბერძნულ წყაროებში ყველაზე უფრო ვრცელი თხზულებაა ქართველურ ტომთა დასავლური გაერთიანების – აია კოლხეთის შესახებ. აპოლონიოსის მიერ მოწოდებული ცნობები საკმაოდ ნათელ წარმოდგენას გვაძლევს არათუ საქართველოს, არამედ მსოფლიო მასშტაბით ერთ–ერთი უძველესი ქალაქის ქუთაისის შესახებ (დაწვრ. იხ. ურუმაძე 1993: 27–29, 61–69).

აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკა“ საინტერესოა არა მხოლოდ როგორც მაღალმხატვრული ნაწარმოები, არამედ ის არის ისტორიული და გეოგრაფიული წყარო. ძალიან ბევრი დარგის წარმომადგენელი ამ პოემაში პოულობს მისთვის საჭირო ისეთ ინფორმაციას, რომელსაც, ხშირ შემთხვევაში, სხვაგან ვერ ნახავს. არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურეს, რომ მის მიერ აღწერილი მრავალი ისტორიული თუ გეოგრაფიული დეტალი რეალობას შეესაბამება. მაგალითად, დაწვრილებით აღწერს ეპიკოსი მდინარე თერმოდონტსა და მის მიდამოებს

(აპ.როდ.2,134–145). შესაძლოა, ნაწარმოების მხატვრულობას „ვნებდეს” ყოველი დეტალის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაციის მოწოდება ტექსტში, მაგრამ მათ დიდი მნიშვნელობა აქვთ სხვადასხვა დარგის მეცნიერებისათვის და აქ ნათლად ჩანს ავტორის განათლება და უზარმაზარი ცოდნა. აპოლონიოსმა კარგად იცის მითოლოგიაც, ისტორიაც და მათ ოსტატურად უთანხმებს ერთმანეთს.

ვერგილიუსმა განათლება ჯერ ქალაქ მედიოლანუმში, შემდგომ კი რომში მიიღო. მან შეისწავლა რიტორიკა, ფილოსოფია და იურისპრუდენცია. იმ ხანებში ახალგაზრდა რომაელებს ძალიან იტაცებდა სამოსამართლო მჭევრმეტყველება, თუმცა ცნობილია, რომ ვერგილიუსი მჭევრმეტყველების ნიჭით არ გამოირჩეოდა. იგი ფართო საზოგადოების წინაშე უხერხულად გრძნობდა თავს (შდრ. მიმინოშვილი 1976: 5–20)

ოქტავიანე ავგუსტუსი კარგახანს ამაოდ ცდილობდა მის გარშემო შემოკრებილ ლიტერატორთა წრეში გაეღვიძებინა სურვილი – შეექმნათ დიდი ეპიკური ტილო, რომლის მთავარი გმირი იქნებოდა თავად ავგუსტუსი. ოქტავიანემ დიდი ხნის დაკვირვების შემდგომ ვერგილიუსს დააკისრა ეს მისია. ეპიკოსს უნდა დაეწერა მხატვრული ნაწარმოები, სადაც ასახული იქნებოდა რომის გმირული წარსული, რომელი ხალხის სიდიადე და ამავე დროს, გაამართლებდა ოქტავიანეს საშინაო და საგარეო პოლიტიკას. ავგუსტუსის კარზე მრავალი ნიჭიერი პოეტი მოღვაწეობდა, მაგრამ ოქტავიანემ არჩევანი შეაჩერა ყველაზე ნიჭიერ და განათლებულ ვერგილიუსზე.

როგორც ჩანს, ვერგილიუსი კარგად იცნობს ჰომეროსის შემოქმედებას – ჰომეროსის პოემების ზეგავლენა აშკარაა ვერგილიუსის „ენეიდაში”. ეს ვლინდება ნაწარმოების კომპოზიციასა და მხატვრულ ხერხებში, შედარებებში. თუმცა ის ბრმად არ მისდევს ჰომეროსის სქემებს. რომაელმა პოეტმა საკუთარი ნიჭისა და ერუდიციის წყალობით მოახერხა მარალმხატვრული ნაწარმოების შექმნა. ვერგილიუსი კარგად იცნობს ტროას ციკლის მითებს, რომელთაც ის ამუშავებს მის პოემაში; ამჟღავნებს ფსიქოლოგიის კარგ ცოდნას გმირთა განცდების გადმოცემისას.

კვინტუს ჰორაციუს ფლაკუსს, გადმოცემის თანახმად, განათლებული მამა ჰყავდა და შვილის კარგად აღზრდისთვის არაფერს ზოგავდა. ჰორაციუსის ოჯახი რომში გადასახლდა, რათა ვაჟისთვის კარგი განათლება მიეცათ. ჰორაციუსი ორბილიუსის სკოლაში მიაბარეს. ჰორაციუსმა იქ ბერძნულ-რომაული განათლება

მიიღო, გაეცნო ბერძნულ მწერლობას, ბერძნულ ორიგინალში დაეუფლა ალკეოსის, საფოს, სიმონიდესისა და პინდაროსის შემოქმედებას; ხშირად ისმენდა სახელოვანი მჭევრმეტყველის, ციცერონის მიერ წარმოთქმულ საჯარო სიტყვებს.

უმაღლესი განათლების მისაღებად ჰორაციუსი ფილოსოფიური განათლების ცენტრში, ათენში გაემგზავრა, სადაც შეისწავლა ფილოსოფია, რიტორიკა და ბერძნული პოეზია. ჰორაციუსის მსოფლმხედველობა განსაზღვრა ეპიკურელ და სტოელთა ფილოსოფიური სკოლების ეთიკურმა მოძღვრებებმა (ურუშაძე 1981: 5–10).

ჰორაციუსის ტრაქტატიდან „პოეტური ხელოვნება“ კარგად ჩანს, რომ ის იცნობს ბერძენ თეორეტიკოსთა თხზულებებს: არისტოტელეს „პოეტიკას“, ელინისტური ხანის პოეტის ნეოპტოლემოს პარიონელის ტრაქტატს „პოეზიისათვის“, ციცერონის მოძღვრებას ორატორული ხელოვნების შესახებ (ლოსევი 1979: 339).

ამავე ტრაქტატში ჰორაციუსი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კარგი განათლება აუცილებელია ჭეშმარიტი პოეტისათვის. მან აუცილებლად უნდა მიიღოს ფილოსოფიური განათლება; იგი ცხოვრებას უნდა უკვირდებოდეს და სინამდვილეს ცხოვრებისეულად ასახავდეს (ჰორ. პოეტ. ხელ. 295-311). ნებისმიერ კაცს შეუძლია ლექსის თხზვას მიჰყოს ხელი, მაგრამ ჰორაციუსი იძლევა გაფრთხილებას, რომ არ შეიძლება წერას მიჰყოს ხელი ადამიანმა სიბრძნისა და ცოდნის გარეშე (ჰორ. პოეტ. ხელ. 379-390). ბუნებრივი ნიჭი ხელოვანისათვის არაა საკმარისი, თუ თან საგულდაგულო წვრთნა არ ახლავს; მაგრამ არც წვრთნა ეყოფა პოეტს და ხელოვანს, თუ თანდაყოლილი ნიჭი არ გააჩნია. ხელოვნებას აუცილებლად ორივე კომპონენტი სჭირდება (ჰორ. პოეტ. ხელ. 407-418).

ოვიდიუსის მამა მხედართა წოდებას (ექვიტების ფენას) ეკუთვნოდა და საკმაოდ მდიდარი კაცი იყო. მას სურდა, თავისი ვაჟებისათვის კარგი განათლება მიეცა და ისინი სახელმწიფო სამსახურისათვის მოემზადებინა. იმ დროისათვის დიდი პატივით სარგებლობდა იურიდიული და რიტორიკული განათლება. სამოსამართლო მჭევრმეტყველების შესასწავლად მამამ შვილები რომში გაგზავნა. ორატორულ ხელოვნებას რესპუბლიკის ხანაში დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა, იგი მჭიდროდ იყო დაკავშირებული პოლიტიკურ ცხოვრებასთან. ავგუსტუსის მმართველობის დროს კი ორატორულმა ხელოვნებამ დაკარგა საზოგადოებრივი მნიშვნელობა: ორატორული განათლება საზოგადოების

რეალურ ინტერესებს ვედარ ემსახურებოდა, იგი წმინდა რიტორიკულ ვარჯიშობამდე დავიდა. რიტორთა სკოლაში ოვიდიუსს წრთვნიდნენ სახელგანთქმული ოსტატები ავრელიუს ფუსკუსი და პორციუს ლატრონი. ოვიდიუსი აქ დაეუფლა რიტორიკული დეკლამაციის მთავარ სახეებს - სუაზორიებსა (suasoria) და კონტროვერსიებს (controversia); შეისწავლა რიტორიკული ხერხების, აფორიზმების, შედარებების, მახვილი სენტენციებისა და ენამახვილობის სხვა ელემენტების გამოყენება; შეითვისა ასევე სამართლის, ფილოსოფიის, მითოლოგიისა, და ისტორიის საფუძვლები. ოვიდიუსს თავიდანვე იზიდავდა პოეზია, თუმცა მამა მას ურჩევდა, ხელი აეღო უსარგებლო საქმეზე და სახელმწიფო სამსახურში ჩამდგარიყო (საკითხის მიმოხილვისათვის იხ. უესტი 1995).

განათლების გასაგრძელებლად ოვიდიუსი რომიდან საბერძნეთში გაემგზავრა. ათენში იგი ისმენდა ფილოსოფოსთა ლექციებს, ეცნობოდა სიძველეებს. შემდგომ იგი წავიდა მცირე აზიაში, მოინახულა ალექსანდრია და სიცილია. ამის შემდგომ იგი, მრავლისმნახველი და განსწავლული, რომში დაბრუნდა.

ვალერიუს ფლაკუსი ახ. წ. ა. I საუკუნეში მოღვაწეობდა. ის სენატორთა ფენას განეკუთვნებოდა და იყო წევრი „თხუთმეტთა კოლეგიისა, რომელიც წმინდა რიტუალებს ადასრულებს“. ფლაკუსის პოემა „არგონავტიკა“ აპოლონიოს როდოსელის პოემის „აგონავტიკა“ თავისუფალ ინტერპრეტაციას წარმოადგენს. პოემა ოქროს საწმისის მოსაპოვებლად გამგზავრებული მინიელების ამბავს გადმოსცემს. მის ნაწარმოებში შეინიშნება, რომ ის კარგად იცნობს ჰომეროსის, პინდაროსის, აპოლონიოს როდოსელის, ოვიდიუსისა და ლუკანუსის შემოქმედებას. პოემიდან ასევე შეიძლება დავასკვნათ, რომ ფლაკუსმა კარგად იცის რელიგია. საღმრთო რიტუალებს ის დეტალურად და ხშირად აღწერს „არგონავტიკაში“ (ჰერშკოვიცი 1998: 30–37).

ეპიკოსთა ინტელექტუალური პერსონაჟები. ჩემი მიზანია, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ეპიკურ პერსონაჟთა განათლებულობის ხარისხი გამოვიკვლიო და გავაანალიზო. მართალია დიდი სიფრთხილით, მაგრამ მაინც შევეცადე, თემისათვის მეტი აქტუალობა რომ მიმეცა და საკითხებიც ახალ, სრულიად განსხვავებულ და დღემდე შეუსწავლელ ჭრილში წარმომედგინა, პერსონაჟთა განათლებულობის ხარისხი თანამედროვე სტანდარტებითა და მეთოდებით შემესწავლა. აქ განვიხილავ ეპიკოსთა ზოგადად დამოკიდებულებას განათლებასთან დაკავშირებით და

კონკრეტულად, პერსონაჟებში „ჩადებულ–ჩაშინაგნებულ“ ცოდნას, რომლებიც მათ უნარ–ჩვევებში უნდა „აღმოვაჩინო“ და შესაბამისად, მათი ინტელექტუალური დონეც დავადგინო.

შევარჩიე თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებული, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორის, ჰოვარდ გარდნერის ინტელექტის თეორია და შევეცადე, ეპიკური პერსონაჟების ინტელექტის შეფასება–დადგენისას, სწორედ ამ თეორიით შემოთავაზებული საზომები გამომეყენებინა.

გარდნერი გამოყოფს რამდენიმე ტიპის ინტელექტს: ლინგვისტურ–ჰუმანიტარულს, ლოგიკურ–მათემატიკურს, მხედველობით–გრაფიკულს, ფიზიკურ–კინესთეტიკურს, სმენით–მუსიკალურს, ინტერპერსონალურსა და ინტრაპერსონალურ ინტელექტს. გარდნერი აქვე ჩამოთვლის უნარ–ჩვევებს, რომლებიც მიუთითებენ ადამიანში თითოეული ტიპის ინტელექტის არსებობაზე (გარდნერი 1989: 4–9).

1. ლინგვისტურ - ჰუმანიტარული ინტელექტი:

- ვწერ უკეთესად, ვიდრე ჩემი თანატოლები;
- კარგად ვყვები ანეკდოტებსა და ისტორიებს;
- ადვილად მამახსოვრდება პიროვნებებისა და ადგილების სახელწოდებები;
- მიყვარს სიტყვების გამოყენებაზე აგებული თამაშები;
- მიყვარს კითხვა;
- მეხალისება რითმებითა და ენისსატეხებით გართობა;
- მაქვს მდიდარი ლექსიკური მარაგი.

2. ლოგიკურ–მათემატიკური ინტელექტი :

- განსაკუთრებით მაინტერესებს, როგორ მუშაობს მექანიზმები;
- სწრაფად ვიაზრებ არითმეტიკულ გამოთვლებს;
- მომწონს მათემატიკის გაკვეთილები;
- მომწონს კომპიუტერის მათემატიკური თამაშები;
- მომწონს ჭადრაკის თამაში;
- მსიამოვნებს საგნებისა და მოვლენების კატეგორიზაცია და იერარქიაში ჩასმა;
- მიყვარს გამოცანები და თავსატეხები;
- მაქვს მიზეზ–შედეგობრიობის მკაფიო შეგრძნება;
- აბსტრაქტულ დონეზე აზროვნება უფრო მიადვილდება, ვიდრე კონკრეტიკაზე

მიჯაჭვა.

3. მხედველობით-გრაფიკული ინტელექტი:

- მიყვარს რუქების, დიაგრამების, სქემების ამოცნობა;
- ვოცნებობ ძალიან ბევრს, მეტს, ვიდრე თანატოლები;
- მსიამოვნებს ხატვასთან დაკავშირებული სამუშაოების წარმოება;
- მეხერხება ხაზვა;
- ვხალისობ მრავალგანზომილებიანი კონსტრუქციების აგებაზე;
- კითხვისას ნახატები უფრო მიზიდავს, ვიდრე ტექსტი.

4. ფიზიკურ-კინესთეტიკური ინტელექტი:

- წარმატებული ვარ სპორტში;
- ვარ მოუსვენარი, ფიზიკურად აქტიური;
- ადვილად ვიმეორებ სხვა ადამიანის მანერებსა და ჟესტიკულაციას;
- მიყვარს საგნების დაშლა;
- მიყვარს ფიზიკურ აქტიურობასთან დაკავშირებული თამაშები;
- ფიქრისას მიყვარს სიარული ან მოძრაობა;
- მიყვარს ცეკვა.

5. სმენით-მუსიკალური ინტელექტი:

- კარგად მამახსოვრდება მელოდიები;
- ადვილად მახსენდება ხოლმე სად და როდის მომისმენია ესა თუ ის სიმღერა;
- კარგად ვმღერი;
- ადვილად ვითვისებ მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკვრის ტექნიკას;
- ხშირად ვღიღინებ ხოლმე ჩემთვის;
- ხშირად გარკვეული რიტმის მიხედვით ვუკაკუნებ ხოლმე თითებს მაგიდას;
- მგრძნობიარე ვარ გარესამყაროს ხმების მიმართ (ჩიტების ჭიკჭიკი, წვიმის ხმა და სხვა);
- მიყვარს მუსიკის მოსმენა, როცა საქმეს ვაკეთებ.

6. ინტერპერსონალური ინტელექტი:

- მიყვარს მეგობრებთან ერთად გართობა;
- ხშირად ვარ ხოლმე ყურადღების ცენტრში;
- მიყვარს, როცა ვმართავ სიტუაციებს;
- ხშირად ლიდერის როლში ვარ ხოლმე საზოგადოებაში;

- ხშირად ვაძლევ რჩევებს მეგობრებს;
- მიყვარს ბარებსა და კლუბებში სიარული;
- მიყვარს ბავშვებთან ერთად თამაში;
- მიყვარს გუნდური, კოლექტიური სპორტი და თამაშები;
- მყავს ბევრი ახლო მეგობარი.

7. ინტრაპერსონალური ინტელექტი:

- ვარ ძალიან დამოუკიდებელი;
- მიყვარს მარტო ყოფნა, მარტო დარჩენა ჩემს თავთან;
- ძალიან მსიამოვნებს ფიქრის პროცესი;
- მიყვარს ხოლმე საზოგადოებიდან განცალკავება;
- ბევრ ხალხში მალე ვიღლები და მბეზრდება;
- არ მიყვარს კოლექტიური სპორტის ან კოლექტიური სწავლის პროცესი;
- არ ვარ მაინცა და მაინც მოლაპარაკე ადამიანი;
- არ მსიამოვნებს, როდესაც მეგობრებს ვუყვები ჩემი გრძნობებისა და ემოციების შესახებ.

ჰოვარდ გარდნერი მიიჩნევს, რომ ადამიანის ინტელექტის განსაზღვრა შესაძლებელია იმ უნარ-ჩვევების მიხედვით, რომელსაც ის ფლობს. თუმცა, უნარი არის ადამიანის თანდაყოლილი (ფიზიკური და ფსიქიკური) შესაძლებლობა, პოტენციალი. ადამიანის უნარების საფუძველს ქმნის გარკვეული თანდაყოლილი თვისებები, კერძოდ, ანატომიურ-ფიზიოლოგიური თავისებურებები, ნერვული სისტემა, მემკვიდრეობითი თავისებურებანი და სხვა (გარდნერი 1989: 46-58).

უნარი მხოლოდ შესაძლებლობის, პოტენციის სახითაა მოცემული, ხოლო უნარის შემდგომი განვითარება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მიეცემა ადამიანს ამ უნარის განვითარების შესაძლებლობა (მაგალითად, შესაბამისი განათლება, ცხოვრების პირობები, მოთხოვნები და სხვა).

თუ ადამიანი აწარმოებს სათანადო მოქმედებას, ანუ მიიღებს სათანადო წვრთნას, მას თანდაყოლილი უნარიდან გარკვეული უნარ-ჩვევა განუვითარდება, ხოლო თუ მას არ ექნება სათანადო პირობები, თუ არ ისწავლის, არ იმუშავებს სათანადო მიმართულებით, მაშინ მას ეს უნარ-ჩვევა აღარ განუვითარდება.

უნარ-ჩვევა იგივე უნარია, რომელიც, ძირითადად, ნასწავლია ან წვრთნის შედეგადაა განვითარებული. იგი მოიცავს ისეთი ქმედებების განხორციელებას,

რომელიც მიზნად ისახავს სასურველი შედეგის მიღწევას.

უნარ-ჩვევების განვითარება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად. იმისათვის, რომ ადამიანი თავისუფლად იყენებდეს აზროვნების ქვედა დონეებს აზროვნების ზედა დონეზე, საჭიროა შესაბამისად იყოს გავარჯიშებული. ეს კი გულისხმობს უნარ-ჩვევების ეტაპობრივ განვითარებას. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა ადამიანმა სამი ფაზა გაიაროს. უნარ-ჩვევების ათვისების ეს ფაზებია:

- წვდომის ფაზა;
- ათვისება - გავარჯიშების ფაზა;
- ავტომატიზაციის ანუ დაუფლების ფაზა.

წვდომის ფაზა მოიცავს შესასწავლი ოპერაციის გაგებასა და მისი განხორციელების მექანიზმის გაცნობიერებას. ათვისების, ანუ გავარჯიშების ფაზაში ხდება პირველ ეტაპზე გაგებული ინფორმაციის გამოყენება პროცედურულად. ხოლო ბოლო ფაზაში ოპერაცია სრულდება სწრაფად, თავისუფლად, დამაბულობის გარეშე. ადამიანი აღარ ფიქრობს წესებსა და კანონებზე. მისი ძალისხმევა მიმართულია უნარ-ჩვევების (ცოდნის) კონტექსტის შესაბამისად გამოყენებაზე.

აქედან გამომდინარე, ადამიანს უნარ-ჩვევა აუცილებლად სათანადო განათლების მიღების შემდგომ უვითარდება. შესაბამისად, ადამიანის უნარ-ჩვევების მიხედვით, ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ მის მიერ მიღებულ განათლებაზე. განათლების სისტემის ერთ-ერთ სიახლედ შეიძლება ჩაითვალოს სწავლა-განათლებასთან დაკავშირებული ასეთი მიდგომა: „სწავლა ნიშნავს არა ინფორმაციის შეძენას, არამედ ინფორმაციის შეძენასთან ერთად, უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულების განვითარებას“. სწორედ ეს პრინციპი დაედო საფუძვლად თანამედროვე საგნობრივი პროგრამების სტანდარტებს (გარდნერი 2006: 19-25).

ამრიგად, ვფიქრობ, ანტიკური ლიტერატურის პერსონაჟების უნარ-ჩვევებს თუ დავაკვირდებით, ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმაზე, თუ რა ტიპის განათლება მიუღიათ მათ, რა სახის ინტელექტი ვლინდება მათ საქციელში.

ჰომეროსის პოემებში ძალიან ბევრი გმირია. მხოლოდ „ილიადაში“ – 956-მდე. ყველა მათგანის განხილვას, რა თქმა უნდა, ვერ შევძლებდი, მაგრამ გავითვალისწინე, რომ ეს არის არისტოკრატიული ეპოსი, რომლის გმირები, როგორც წესი, მიუხედავად იმის, რომ ხასიათით ერთმანეთისგან განსხვავდებიან და ყველა ინდივიდუალურია, ერთი ფენის წარმომადგენლები არიან, ერთ გარკვეულ

სტანდარტს მაინც ყველა ექვემდებარება: ყველანი არიან პატრიოტები, მამაცები, იციან მეგობრის, ქალის ფასი და ა.შ. მათ შორის, შეიძლება იყოს ისიც, რომ მათ თითქმის ერთნაირი განათლება შეიძლებოდა ქონოდათ მიღებული. ამიტომ შევარჩიე შედარებით გამოკვეთილი სახასიათო პერსონაჟები და მათი განათლების ხარისხის დადგენის შემდეგ მოვახდენ განზოგადებას. ეს პერსონაჟებია: აგამემნონი, ოდისევსი, აქილევსი, ნესტორი, პრიამოსი, ჰექტორი, ანდრომაქე, პენელოპე, ჰეკაბე, არეტე და სხვები. ეს პერსონაჟები სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა ასპექტით ხშირად არიან შესწავლილი, მაგრამ განათლებულობის თვალსაზრისით – არა. განსწავლულები არიან არა მარტო მთავარი გმირები, არამედ სხვა პერსონაჟებიც, რომლებიც თავიანთი საქმის პროფესიონალები არიან: მომღერლები, მოვეკვავეები, მკურნალები, სამხედრო საქმის ოსტატები, მჭევრმეტყველები...

ჰომეროსის „ილიადაში“ აგამემნონი ეპითეტების დონეზე ღირსეულად არის წარმოდგენილი, როგორც ეს აქვევლთა უზენაეს სარდალსა და უფლებებით ყველაზე მაღლა მდგომ მეფეს შეესაბამება. თუ დავაკვირდებით მის უნარ-ჩვევებს, დავინახავთ, რომ ის მრავალგვარი ინტელექტის მატარებელი პერსონაჟია.

აგამემნონი ხშირად მიდის კომპრომისზე. მისი ეს თვისება პირველივე სიმღერიდან კარგად ჩანს. ქალიშვილის გამოსასყიდად მოსულ ქრისეს თხოვნაზე, დაუბრუნოს ქრისეისი, პირველი რეაქცია უარია: „ქალს ვერ გავუშვებ, ტყვეობაში შემაბერდება, / არგოსში წავალთ, მოვაშორებ მშობლიურ მხარეს“ (ჰომ. ილ. I. 28 -30).

თუმცა, მალევე შეიცვლის გადაწყვეტილებას, როცა აღმოაჩენს, რომ კალქანტის წინასწარმეტყველების თანახმად, აპოლონი მხოლოდ მაშინ დაიცხრობს რისხვას, როცა ქრისეს დაუბრუნებენ ქალიშვილს : „მაგრამ მაინც ვთმობ, რაკი არ ჩანს ხსნა არსაიდან, / ვინძლო მხედრობას ავაცილო გაცამტვერება!“ (ჰომ. ილ. I.116-117).

კომპრომისზე წასვლისა და დანაშაულის აღიარების მეორე შემთხვევა აქილევსთან ურთიერთობაში ვლინდება. როცა აგამემნონი თმობს ქრისეს ასულს და სანაცვლოდ აქილევსის წილ ბრისეისს ითხოვს, ეს იწვევს აქილევსის გაღიზიანებას. პელიდი მას „თვალხარბსა“ და „გაუმაძღარს“ უწოდებს. იგი გადაწყვეტს, ბრძოლას გამოეთიშოს და მშობლიურ ფთიაში დაბრუნდეს. თავდაპირველად, აგამემნონი არად აგდებს მის განრისხებას, პირიქით, ცდილობს დაანახოს მას თავისი სისასტიკე და დასაჯოს იმისათვის, რომ მის აზრს შეეწინააღმდეგა: „შენი გემებით გამეცალე! მხედრობას შენსას - / მირმიდონელთა ტომს უმეფე! არად მიღირხარ!“ (ჰომ. ილ. I.

178-180).

თუმცა, მეორე სიმღერაში აგამემნონი აღიარებს საკუთარ შეცდომას, არის თვითკრიტიკული და დანაშაულებით ამბობს: „ტყვე ქალისათვის წავეკიდე ფეხმარდ აქილევსს“ (ჰომ. ილ. II. 377). ჯერა, რომ აქილევსთან შერიგებას ტროას დამარცხებისათვის გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს და დარწმუნებით დასძენს, თუკი ოდესმე შერიგდებიან, ველარაფერი ვერ ააცდენს ტროას დაღუპვას (341).

აგამემნონს „ურჩეულეს“ (483) გმირს უწოდებს ჰომეროსი. აგამემნონს შეუძლია მოისმინოს, მიიღოს და გაითვალისწინოს გონივრული რჩევები. მე-4 სიმღერაში ნესტორი სამხედრო რჩევას აძლევს აქაველებს, რაც აგამემნონს მეტად ეამება: „მისი შემყურე ცას ეწია აგამემნონი“ (ჰომ. ილ. IV. 311). ის დიდ მადლობას უხდის ნესტორს და უქებს რჩევას.

აგამემნონს არ ერიდება საკუთარი დანაშაულის აღიარებას. ის საკმაოდ თვითკრიტიკულია. მეოთხე სიმღერაში ატრევსის ძე განრისხდა, როცა დაინახა, სპა უქმად იყო და მიმართა საკმაოდ უხეშად. მეფე თანამებრძოლებს ეუბნება, რომ ნადიმზე პირველები გამოჩნდებიან, ხოლო ომში ჩაბმას კი ერიდებიან (ჰომ. ილ. IV. 338-348).

ოდისევსს არ მოეწონა აგამემნონის ეს სიტყვა და უთხრა, რომ არ იმსახურებდა ამ საყვედურს. აგამემნონმა მაშინვე უკან წაიღო მისი საყვედური და მოუბოდიშა კიდევ ოდისევსს: „მო, შევრიგდეთ, რაც მოხდა, მოხდა! /რაც ცუდი ითქვა, უკვდავებმა გადაგვავიწყონ!“ (ჰომ. ილ. IV. 358-363).

მეცხრე სიმღერაში აქაველები ხვდებიან, რომ აქილევსის ბრძოლაში ჩაბმის გარეშე ვერაფერს გახდებიან. ნესტორი აგამემნონს მიუთითებს მის დანაშაულზე აქილევსის წინაშე და სთხოვს მას, საამო ძღვენით, ალერსიანი და მეგობრული სიტყვით შეეცადოს პელიდის გულის მოგებას. აგამემნონი აღიარებს დანაშაულს: „მოხუცო, მცდარად როდი იტყვი ცოდვათა ჩემთა, / დიახ, შევცოდე!“ (ჰომ. ილ. IX. 115-116).

აგამემნონი განაცხადებს მზაობას, რომ ეს დანაშაული უზომო ძღვენით გამოისყიდოს და ყველას წინაშე ჩამოთვლის საჩუქრების სიას: შვიდი სამფეხა, ათი ოქროს ტალანტი, ოცი მოლაპლაპე კარდალა, თორმეტი ფეხმარდი ცხენი, ხელგარჯილობით განთქმული შვიდი მშვენიერი ქალი, (მათთან ერთად ბრისეს ასულიც, რა თქმა უნდა). ტროას დამხობის შემთხვევაში, ოქრო-სპილენძით სავსე

ხომალდები, და ტროელ ქალთაგან ნებისმიერი ქალი, ვისაც კი ისურვებს (ელენეს გარდა); აგამემნონი საკუთარ ქალიშვილს შერთავს მას ცოლად, რომელიც მას ესურვება, ისე რომ ძღვენსაც არ ითხოვს, პირიქით, მას მზითვად მისცემს შვიდ აყვავებულ და ხალხსავსე ქალაქს (ჰომ. ილ. IX. 122- 157).

აგამემნონი ასევე გამოირჩევა ჭკვიანური რჩევების მიცემით. მეათე სიმღერაში ის მიმართავს თავის ძმას მენელაოსს, თავმდაბლობა გამოიჩინოს მეზრძოლთა მიმართ და ზრდილობიანად, მამის სახელითა და გვარ-ტომობით მიმართოს მეომრებს და ისიც მათთან ერთად გაისარჯოს (ჰომ. ილ. X. 67-71).

მეთოთხმეტე სიმღერაში იგი ხაზგასმით ამბობს, რომ მზადაა მიიღოს ნებისმიერი ადამიანის რჩევა, ასაკის მიუხედავად. მთავარია, თავად რჩევა იყოს კარგი: „თქვას უკეთესი რჩევა კაცმა, ვინც გინდა იყოს, / ყრმა თუ მოხუცი, გამახარებს ამით დიახაც!“ (ჰომ. ილ. XIV. 107-108).

აგამემნონის თვითკრიტიკის უნარი კარგად გამოჩნდა მეცხრამეტე სიმღერაში, როცა ის აანალიზებს აქილევის განრისხების მიზეზს და აღიარებს, რომ ღმერთებმა აურიეს ჭკუა, როცა მან პელიდს ჯილდო წაჰგვარა (ჰომ. ილ. XIX. 88-89).

აქილევის შეუდარებელი ფიზიკური შესაძლებლობის, ბრძოლაში გამარჯვებისა და საუკეთესო მეგობრობის სიმბოლოა. „ილიადაში“ მისი მაკოორდინებული შტრიხია რადიკალური გადაწყვეტილებიდან ანუ არაკეთილგონიერებიდან კეთილგონიერებაზე გადასვლა, ანუ გარკვეულ კომპრომისზე წასვლა.

პირველ სიმღერაში იგი განურისხდება აგამემნონს, რომელიც გადაწყვეტს, ქრისეიდას დათმობის სანაცვლოდ სხვა მეომართა ნადავლი მიითვისოს. აქილევის მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ ბრძოლას გამოეთიშოს და მშობლიურ ფთიაში დაბრუნდეს, რადგანაც აგამემნონისაგან შერცხვენილს არ სურს მისი განძი ამრავლოს (ჰომ. ილ. I. 149-171).

ამით მან უფრო განარისხა აგამემნონი და გადაწყვიტა აქილევის მხევალი ქალი ბრისეისი მიეთვისებინა. აქილევის ავმა ზრახვამ გაუელვა თავში: ეძრო ორლესული ხმალი და აგამემნონი მოეკლა. ამ დროს მას ათენა მოევლინა და ამცნო, რომ ის ჰერას მოვლენილია და ურჩია, დაეცხრო მრისხანება, მხოლოდ სიტყვიერი შეურაცხყოფით შემოფარგლულიყო და მახვილს არ შეხებოდა (ჰომ. ილ. I. 207-214).

აქილევის მაშინვე ახერხებს თავი ხელში აიყვანოს, გრძნობები გააკონტროლოს. აქ კარგად ჩანს, აქილევის უნარი, უკიდურეს დამაბულობაში შეინარჩუნოს

გაწონასწორებულობა, არ აჰყვეს მრისხანებას და ღვთის ნებას დამორჩილდეს, რადგან, მისი აზრით, „ვინც ღმერთს მორჩილებს, მოწყალებას მისგანვე ელის” (ჰომ. ილ. I. 218).

ფეხმარდი გმირი ხაზს უსვამს, რომ ის არ აპირებს უსიტყვოდ დამორჩილდეს მეფეს. თუკი ის უსამართლობას ჩაიდენს, აუცილებლად შეეწინააღმდეგება და იბრძოლებს სამართლიანობის აღსადგენად. როგორც წესი, ძალზედ რთულია განათლებული ადამიანის დამორჩილება, რადგანაც მას გააჩნია თავისუფალი აზრი, მტკიცე პრინციპები, რომლის შელახვასაც არავის აპატიებს, თუნდაც ეს იყოს მეფე. აქილევსის ეს დაუმორჩილებლობაც ხაზს უსვამს მის გონებრივ დახვეწილობას, მისი ინტელექტუალური განვითარების მაღალ დონეს: „სხვისგან ელოდე მორჩილებას და არა ჩემგან! აინუნშიაც არ ჩავაგდებ მე შენს ბრძანებას!” (ჰომ. ილ. I. 294- 296).

აქილევსის ინტელექტზე მიუთითებს, ჩემი აზრით, მისი კულტურული ჟესტი აგამემნონის მიერ გაგზავნილი გმირების დახვედრისას. ევრიბატესა და ტალთიბიოსს დაევაღათ აქილევსთან მისვლა და ბრისეიდას წამოყვანა აგამემნონთან. თუმცა დაემორჩილნენ მეფის ბრძანებას, აქილევსის კარავს რომ მიუახლოვდნენ, შიშმა მოიცვა ისინი (ჰომ.ილ.I.332-333). აქილევსი მოკრძალებულად მიიღებს სტუმრებს და ცდილობს მათ თავი არ აგრძნობინოს უხერხულად, გმირი აღნიშნავს, რომ სტუმრები არაფერ შუაში არიან, აგამემნონია იმ გადაწყვეტილების ავტორი, რომლის შესასრულებლადაც ისინი ესტუმრნენ აქილევსს (ჰომ. ილ. I. 334-336). აქილევსი არც კი ათქმევინებს მათ დანაბარევს, თვითონ სთხოვს პატროკლოსს, გამოიყვანოს ბრისეიდა და გაატანოს ქალი ევრიბატესა და ტალთიბიოსს.

მეცხრე სიმღერაში კვლავ მრისხანებს აქილევსი და გვაფიქრებინებს, რომ ის არასოდეს დაიცხობს რისხვას. ფეხმარდი გმირი კატეგორიულად უმტკიცებს აგამემნონის მიერ გაგზავნილ ელჩებს, რომ მშობლიურ ფთიაში გაემგზავრება. ამის შესახებ ის ოდისევსს განუცხადებს (ჰომ. ილ. IX. 315-316). ფონიქსისადმი მიმართვაში იგი თითქოს იმედს აძლევს მას და ეუბნება, რომ იფიქრებს, დარჩეს თუ არა ბძოლის ველზე (ჰომ. ილ. IX. 618-619). ხოლო ბოლოს ამბობს, რომ მანამ არ ჩაერთვება ბრძოლაში, სანამ ჰექტორი აქაველთა ხომალდებს ცეცხლს არ გაუჩენს (ჰომ. ილ. IX. 651-655).

მეთექვსმეტე სიმღერაში ის კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ არ აპირებს რისხვა დაიცხროს (ჰომ. ილ. XVI. 53-55). მაგრამ, როგორც კი გმირი შენიშნავს მისი

ბრძოლაში ჩართვის აუცილებლობას, ის მაშინვე შეიცვლის მის მტკიცე გადაწყვეტილებას. აქ კარგად ვლინდება აქილევსის მიზეზ-შედეგობრიობის შეგრძნება.

მეთვრამეტე სიმღერიდან იწყება აქილევსის სრული სახეცვლილება, არაკეთილგონიერებიდან კეთილგონიერებაზე გადასვლა. ის გაიგებს პატროკლოსის სიკვდილს და თავს დამნაშავედ გრძნობს. პელიდი თვითკრიტიკულია, ნანობს თავის საქციელს, რადგან მისი ბრძოლიდან გარიდების გამო, ბევრი აქაველი დაიღუპა ბრძოლის ველზე. იგი მზადაა, დაივიწყოს რისხვა და ბრძოლაში ჩაებას, რათა შეებრძოლოს ჰექტორს და შური იძიოს, ხოლო თუკი ღმერთები სიკვდილს არგუნებენ, ის ამისთვისაც მზადაა (ჰომ. ილ. XVIII. 101-116).

თვალსაჩინოდ წარმოჩინდა აქილევსის თვითკრიტიკის უნარი მეცხრამეტე სიმღერაში აქილევსისა და აგამემნონის დიალოგში. ის დაიცხრობს რისხვას და აგამემნონსაც მოუწოდებს ამისაკენ: „მაგრამ რაც მოხდა, მწუხარენი დავესხნათ ახლა, / გული დავიცხროთ, ვით მოითხოვს გარდუვალობა!“ (ჰომ. ილ. XIX. 64-65).

ოცდამეორე სიმღერაში აქილევსის კიდევ ერთი რისხვა დაატყდა თავს ჰექტორს. ის კლავს მას და უარზეა, რომ ჰექტორის გვამი მის მშობლებს დაუბრუნოს: „შენს გვამს სვავები დაკორტნიან, ძალღნი დაფლეთენ!“ (ჰომ. ილ. XXII. 354).

ოცდამესამე სიმღერაშიც ფეხმარდი გმირი პატროკლოსის გვამს მიმართავს, რომ ჰექტორის ცხედარს არ ეღირსება კოცონით დაწვა (ჰომ. ილ. XXIII. 179-183). მაგრამ, როცა მას დედა-ქალღმერთი გამოეცხადა და აუწყა ოიმპიელთა ნება, მას დაებრუნებინა ჰექტორის ცხედარი მშობლებისათვის, უმაღ დათანხმდა აქილევსი: „მოვიდეს, ვინცა ძღვენს მთავაზობს, მიიღოს გვამი, / თუკი გადაჭრით ასე ბრძანებს ოლიმპიელი“ (ჰომ. ილ. XXIV. 139-140).

საინტერესო ცოდნას ავლენს კალქანტი, რომელსაც ასე გვიხასიათებს ჰომეროსი: „ფრთოსან ჩიტებზე მჩხიბაობით სახელგანთქმული, / წარსულის, აწმყოს და მყოფადის საქმეთა მცოდნე“ (ჰომ. ილ. I. 69-70).

მაგრამ, ამ შემთხვევაში მინდა ყურადღება გავამახვილო მისი განსჯის უნარზე. როდესაც მას აქილევსი თხოვს, თქვას აპოლონის განრისხების მიზეზი, ის ჯერ აქილევსს თხოვს, პირობა მისცეს, რომ დაიცავს, თუკი აგამემნონი გაგულისდება მასზე (ჰომ. ილ. I.74-84). აქილევსი ჰპირდება, რომ მასზე ხელს ვერავინ აღმართავს. მხოლოდ ამის მერე გაამხელს კალქანტი აპოლონის რისხვის მიზეზს: რადგანაც

ქრისეს აგამემნონმა ქალიშვილი არ დაუბრუნა, აპოლინიც გაუწყრა მათ და სანამ არ დაუბრუნებენ მამას ქრისეიდას, მანამ არ დაცხრება აპოლონის რისხვა (ჰომ. ილ. I. 93-100).

როგორც აგამემნონის შემდგომი საქციელიდან შევიტყობთ, კალქანტის წინდახედულობა ნამდვილად უცილებელი იყო. რომ არა აქილევსის მიერ დადებული პირობა, ვფიქრობ, აგამემნონი არ აპატიებდა კალქანტს ასეთი განცხადების გაკეთებას. თუმცა, აგამემნონი სიტყვიერი შეურაცხოფით შემოიფარგლა მხოლოდ და იქვე დასძენს, რომ მზადაა დასთმოს ქალი: „მაგრამ მაინც ვთმობ, რაკი არ ჩანს ხსნა არსაიდან, / ვინძლო მხედრობას ავაცილო გაცამტვერება!“ (ჰომ. ილ. I. 116-117).

აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კალქანტს გააჩნია მიზეზ-შედეგობრიობის მკაფიო შეგრძნება.

ნესტორი ყველაზე მეტად ინტელექტუალური გმირია ჰომეროსის პერსონაჟებს შორის. იგი გამოირჩევა თავისი ბრძნული რჩევებით. მასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ განათლებას თან ერთვის ცხოვრებისეული გამოცდილება, ამიტომ ის რჩევებსა თუ დარიგებებს მაგალითის ძალით ამტკიცებს. მისი რჩევა ეხება სხვადასხვა საკითხებს. მათ შორისაა სამხედრო საკითხები, რომელთა კარგად ცოდნა აშკარად ეტყობა გენერიელ გმირს. მეოთხე სიმღერაში ის აგამემნონს სამხედრო რჩევას აძლევს, სადაც კარგად ჩანს ნესტორის განსწავლულობა სამხედრო საქმეში (ჰომ. ილ. IV. 301-309). ის აგამემნონს მოუწოდებს ყოველთვის ყური უგდოს რჩევებს, რადგან გამოცდილი ადამიანის რჩევას ძალიან დიდი სიკეთის მოტანა შეუძლია (ჰომ. ილ. II. 360-368).

აგამემნონიც უწონებს მას ამ რჩევებს და საუკეთესო მრჩეველად მიიჩნევს ბრძენ ნესტორს: „ყველა აქაველს ბრძნული ბჭობით სჯობნი, მოხუცო! (ჰომ. ილ. II. 370).

მიუხედავად იმისა, რომ ნესტორს აღარ შესწევს ძალა იბრძოლოს, მას აქვს მხედრობის სიტყვით გამხნეების უდიდესი მისია. ის საუკეთესო ორატორია. გოლეულივით ტკბილი ხმით საუბრობს და მის საუბარში ჩანს უზომო განათლებულობა. პირველივე სიმღერაში გამოვლინდა, რომ ის დახელოვნებულია მჭევრმეტყველებაში. ნესტორი ცდილობს, აგამემნონსა და აქილევსს შორის წამოჭრილი უთანხობეა აღმოფხვრას. ის თითქოს ბეწვის ხიდზე გადის, ცდილობს რა არ გააღიზიანოს არც ერთი მათგანი. ამას ისე აკეთებს, რომ ორივე გმირი თანაბრად

აქოს და თანაბრად მოუწოდოს მათ დაიცხრონ რისხვა, რომ არცერთმა მათგანმა არ იგრძნოს თავი დამნაშავედ. ის მოუწოდებს აგამემნონსა და აქილევსს თანაბარ ხარისხში- მოუწოდებს აგამემნონს არ მოსტაცოს აქილევსს ქალი, იქვე აქილევსს მიმართავს მეფესთან ქიშპობას მოერიდოს. ამ სიტყვიდან ძნელი სათქმელია რომელ გმირს უფრო მეტად აქებს ნესტორი ან რომელ გმირს უფრო მეტად მოუწოდებს დაცხრომისაკენ. ის აქილევსს ეუბნება, რომ აგამემნონი მასზე ძლიერია, თუმცა აგამემნონს ეუბნება, რომ აქილევსი ყველა აქაველს აღემატება ძლიერებით. ეჭვსგარეშეა, რომ ნესტორი დახელოვნებულია მჭევრმეტყველებაში. ჩემი აზრით, ნესტორის ეს სიტყვა ანტიკური მჭევრმეტყველების საუკეთესო ნიმუშია (ჰომ. ილ. I 254-284)

ნესტორი გამოირჩევა კარგი გადაწყვეტილებებით. მან შეარჩია აქილევსისადმი წარდგენილი ელჩები და ეს გადაწყვეტილება ზუსტი და საუკეთესო რომ იყო, ამაზე მეტყველებს თვით აქილევსის შეფასება. როცა მას ელჩები ესტუმრნენ, აქილევსმა მათ მოახსენა: „აქაველთ შორის მაინც ყველას თქვენ მირჩევნიხართ!“ (ჰომ. ილ. IX. 198). როგორც ჩანს, ნესტორმა სპეციალურად შეარჩია ელჩებად ისეთი ადამიანები, რომლებიც გამორჩეულნი იქნებოდნენ დიპლომატიური ნიჭით და ამასთანავე, აქილევსის მხრიდან დიდ სიმპათიას იმსახურებდნენ.

ჰექტორი „ილიადის“ მკითხველის ყველაზე მეტ სიმპათიას იმსახურებს. მას შეუძლია თავისუფალი არჩევანის გაკეთება, ისე როგორც „ილიადის“ სხვა პერსონაჟებს. თუმცა, მის არჩევანს ყოველთვის განაპირობებს სირცხვილი თანამოქალაქეთა წინაშე და მზადყოფნა, დაუზოგავად იბრძოლოს მათ დასაცავად. ბრძოლაში ჩაბმამდე ანდრომაქე შესტირის მას, რომ არც დედა ჰყავს, არც მამა და თუ ჰექტორიც დაიღუპება, სულ მარტო დარჩება. ჰექტორი ლოგიკურად უსაბუთებს ანდრომაქეს მისი გადაწყვეტილების სისწორეს: ის თუ არ ჩაებმება ბრძოლაში, ვერ აცდება ტროელთა დაცინვას ლაჩრული საქციელის გამო (ჰომ. ილ. VI. 441-443). შესაძლოა, მტრებმა ტყვედ წაიყვანონ ანდრომაქე და ტყვეობის უღელქვემ მოუწევს გაატაროს დარჩენილი ცხოვრება (ჰომ. ილ. VI. 460-465). ანდრომაქე დაარწმუნა ჰექტორმა, რომ სხვა გზა არ არსებობდა, და ისიც უსიტყვოდ დამორჩილდა ქმრის ნებას: „ხოლო შინისკენ ადრომაქე წავიდა უბრად, / ხშირ-ხშირად უკუ მოხედავდა და ცრემლებს ღვრიდა“ (ჰომ. ილ. VI. 495-496).

ჰექტორი, ასევე, სამხედრო საქმის ცონდით გამოირჩევა. გარდა იმისა, რომ ეს

კარგად ვლინდება ბრძოლის ველზე, ჰექტორი თავადაც აღიარებს ამას აიანტთან დიალოგში: „ომიც ვიცი და სისხლიანი ხოცვა და ჟლეტა!” (ჰომ. ილ. VII. 234-237).

ჰექტორს ნამდვილად ეტყობა, რომ მიუღია გონების წვრთნა, რასაც განათლება ჰქვია.

პრიამოსს ახასიათებს განსჯის, საუკეთესო გადაწყვეტილების მიღების უნარი, რაც, ალბათ, ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან ერთად, მისი განათლების დამსახურებაცაა. მენელაოსი ითხოვს პრიამოსი მოიყვანონ და მან გადაწყვიტოს ომის ბედი, რადგანაც ცნობილია მისი განსჯის უნარი: „ხოლო მოხუცი მუდამ განსჯის წინდახედულად, / ორსავე მხარეს იგი მხოლოდ კუთვნილს მიუზღავს” (ჰომ. ილ. III. 109-110).

პრიამოსი დახელოვნებულია ორატორულ ხელოვნებაში, რაც კარგად ჩანს მის მიერ წარმოთქმულ სიტყვებში (ჰომ. ილ. XXIV. 486- 506).

„ჰიკუაჰარბი“- ასე მოიხსენიებს ოდისევსს ჰომეროსი (ჰომ.ილ. I. 311) და მართლაც, მისი გონიერება, ემთხვევა ერთად, თვალშისაცემია ჰომეროსის პოემებში.

როცა აგამემნონმა სპას მოუწოდა, გაბრუნდნენ სამშობლოში, რადგანაც გადაეწურა გამარჯვების იმედი (ჰომ.ილ. II. 140-142), სპაც გემებისაკენ გაემურა, დაიწყეს სანგრების ნგრევა და გემის საბჯენების ამოთხრა. ათენა ოდისევსს დაავალებს, აქაველებს გადააფიქრებინოს სამშობლოსკენ გამგზავრება და კვლავ ბრძოლისაკენ მოუწოდოს მათ. ათენას იმედი აქვს მისი სიტყვის ძალის. ის ხომ „მჭევრმეტყველებით ზევსის სწორია” (ჰომ.ილ. II. 169)

ოდისევსმაც გამოიყენა მისი ორატორული განათლება და სპას მიმართა. მისი სიტყვა რაციონალურ არგუმენტებს ემყარება: 1. არავინ იცის, თუ რას ფიქრობს რეალურად ატრევსის ძე, შესაძლოა მან გამოსცადა სპა; 2. რასაც ის ამბობდა, კარგად არ ესმოდა მრავალრიცხოვან მეომართა ჯგუფს; 3. თუ განრისხდა აგამემნონი, სასტიკ სასჯელს მოუვლენდა აქაველთა სპას. ოდისევსის სიტყვის ძალაში ვრწმუნდებით ყველა, რადგანაც მან მოახერხა ჯარის დამორჩილება: „ყველა დაწყნარდა, ყველამ მშვიდად მოიკალათა”(ჰომ. ილ. II. 211) .

ოდისევსი გამოირჩევა განსჯის უნარით, მეომრები ერთმანეთს ეუბნებოდნენ: „ღმერთმანი, ბევრი კარგი საქმის მოთავე გახლავს, / გზიანად განსჯის ოდისევსი, წყვეტს ბრძოლის ბედსაც” (ჰომ. ილ. II. 272-273).

ტროელი ანტენორი იხსენებს ოდისევსს, როცა ის ელენეს გამო მოციქულად იყო მიგზავნილი ტროელებთან. ოდისევსს სწორედ მისი მჭევრმეტყველებით მოუხიბლია ტროელები. ის აღნიშნავს, რომ სანამ ხმას ამოიღებდა, არანაირად განსაკუთრებული არ იყო, „ჩვეულებრივი მეომარი გეგონებოდა” (ჰომ. ილ. III. 219), ხოლო, როგორც კი ხმა ამოიღო, ყველა დარწმუნდა მის უნიკალურობაში. მისი დახვეწილი საუბარი, რომლითაც მას შეუძლია ასე მოხიბლოს აუდოტორია, უდაოდ განსწავლულობის შედეგია: „მაგრამ როგორც კი მძლავ ხორხიდან ბგერას დაძრავდა, / თოვლის ბუქივით ბაგეთაგან ბორგავდა სიტყვა! / ვინ გაბედავდა ვაჟკაცისთვის სიტყვა მოეჭრა?” (ჰომ. ილ. III. 221-223).

ოდისევსის მჭევრმეტყველება კარგად ჩანს ელჩობის ეპიზოდში. ოდისევსი გამოირჩევა დიპლომატიური და ორატორული განათლებით. მან საუბარი დაიწყო მადლობის მოხდით და აღნიშნა, რომ ისევე არაფერი აკლდა იმ სუფრას, როგორც აგამემნონის კარავში გამართულ ვახშამს (ჰომ. ილ. IX. 225-228). ამით მან აქილევსს „შეაპარა” აგამემნონის სახელი და ფრთხილობს, რომ არ გააღიზიანოს ის მისმა ხსენებამ. ეს სიტყვა, შეიძლება ითქვას, მჭევრმეტყველების საუკეთესო მაგალითია. მიმართვა არაა ემოციაზე აგებული, იგი ლოგიკურად ასაბუთებს საფრთხის არსებობას და მოუწოდებს აქილევსს აქველთა ლაშქრის ხსნისაკენ: 1. ის მიმართავს აქილევსს, თუკი აგამემნონი სძულს, სხვა აქველებმა რა დააშავეს, ისინი მაინც შეიწყალოს; 2. რადგანაც მას ერთი ქალის გამო გასჩენია რისხვა, სანაცვლოდ აგამემნონი შვიდ ქალს სთავაზობს, სხვა მრავალ ძღვენთან ერთად; 3. „ჭკუაულებმა” ოდისევსმა ასევე შეახსენა მას, რომ არ გაუშვას შანსი ხელიდან ჰექტორს შეებრძოლოს, ამით ის მოიხვეჭდა ყველაზე ძვირფასს- გმირის სახელსა და დიდებას; 4. და ბოლოს, სთხოვს, საკუთარ კარავს სცეს პატივი, რადგანაც იქ ესტუმრნენ დანაელთა ელჩები და სთხოვენ დახმარებას (ჰომ. ილ. IX. 225-642).

აქ კარგად ჩანს, რომ ოდისევსი დაუფლებულია ლოგიკურ აზროვნებასა თუ აზრის არგუმენტირებულად გადმოცემის ტექნიკას.

„ილიადას” XIX სიმღერაში, აქილევსის ბრძოლაში ჩართვის წინ ოდისევსი ურჩევს პელიდს, ისაუზმონ, მან მიიღოს აგამემნონისაგან ფიცი და საჩუქრები და ახდენს თითოეული რჩევის დასაბუთებას. საუზმე - ჯარის მოსულიერების საშუალებაა, აგამემნონის მიერ თავისი დანაპირების შესრულება კი, საბოლოო შერიგების გარანტია (ჰომ. ილ. XIX .155-172).

გმირის ხასიათის განმსაზღვრელი თვისებები განსაკუთრებით მრავალფეროვნად ვლინდება ჰომეროსის „ოდისეაში“. ჰომეროსს ოდისევსის რაციონალური აზროვნების წარმოსაჩენად შემოაქვს ახალი მეთოდი. უცხო გარემოში ოდისევსი არ ხსნის თავის ვინაობას და ყველა გამოგონილ ამბავს თავისი ვინაობის შესახებ, რის საშუალებასაც მას აძლევს ამოუწურავი ფანტაზიის უნარი. ამით ოდისევსი ახერხებს, თავდაპირველად შეიტყოს, თუ რა დამოკიდებულება შეიძლება ჰქონდეთ მოცემულ ხალხს ტროას ომის გმირის მიმართ და მხოლოდ ამის შემდგომ გადაწყვეტს, აიხსნას თუ არა ნილაბი. მაგალითად, ის ფეაკებთან მაშინ გაამხელს რომ ოდისევსია, როცა მიხვდება, რომ საფრთხე აღარ ელის (ჰომ. ოდ. IX. 19). ხოლო სასიძოვებთან მიმართებაში, როცა შეამჩნევს, რომ დადგა მოქმედების დრო, მხოლოდ მაშინ დაიწყებს მოქმედებას ოდისევსის სახელით (ჰომ. ოდ. XXII. 5-7). მელორე ევმეოსსაც არ უმხელს მის ვინაობას, სანამ არ შეიტყობს მისგან, თუ რას ფიქრობს ის მისი პატრონის შესახებ. იმდენად კარგად გამოსდის ოდისევსს ეს მეთოდი, იმდენად კარგად ახერხებს ის თავის შენიღბვას, რომ თვით ქალღმერთი ათენაც კი მოუწონებს მას ამ გამომგონებლობას: „ემმაკი და მოხერხებულობით გამორჩეული უნდა იყოს, ვინც მოინდომებს, / გადაგაჭარბოს ყოველგვარ ქვეშევშობაში, ღმერთიც კი რომ გამოგეცხადოს“ (ჰომ.ოდ.XIII. 291-292)⁶.

ოდისევსის ფანტაზიის ძალა კარგად გამოვლინდა კიკლოპთან შეხვედრისას, ის მას გაეცნო სახელით „არავინ“, რამაც წინასწარგათვლილი შედეგი გამოიღო (ჰომ.ოდ. IX, 364-369): კიკლოპმა გადაწყვიტა, არვინ შეეჭამა ყველა მისი მეგობრის შემდგომ. უკვე დაბრმავებულ პოლოიფემეს საშველად გამოეხმაურნენ კიკლოპები, რომელთაც შეკითხვაზე, თუ ვინ უპირებდა მას მოკვლას, ის პასუხობს, რომ არავინ აპირებს მის მოკვლას. ამის გაგონების შემდგომ, კიკლოპები წავიდნენ და ის მარტო დარჩა (ჰომ.ოდ. IX, 369-408).

„ოდისეაში“ გრძნეულ კირკეს ჰომეროსი მოიხსენიებს, როგორც „წამალთ მცოდნეს“ (ჰომ.ოდ. X. 276). კირკეს შეუძლია წამლებით სასწაულ შედეგს მიაღწიოს. მან ღორებად გადააქცია ოდისევსის მეგობრები მის მერ დამზადებული წამლით (ჰომ.ოდ.IX. 233-238).

მინდა ყურადღება შევაჩერო „ოდისეას“ ეპიზოდურ პესონაჟზე, ელპენორზე.

⁶ ციტატები ჰომეროსის „ოდისეადან“ მომყავს პ. ბერამის თარგმანის მიხედვით (1979).

მას პირველად X სიმღერაში ახსენებს ჰომეროსი. ოდისევსი მის მეგობრებს მოუწოდებს, დატოვონ კირკეს კუნძული და გზა განაგრძონ, თუმცა ის ვერ ახერხებს ყველას უვნებლად წაყვანას. მათ გამოაკლდათ ელპენორი, რომელსაც ასე ახასიათებს ეპიკოსი: „ფიცხელ ომშიც და ბრძნულ თათბირშიც გამოუცდელი” (ჰომ. ოდ. IX. 552-553). იგი კირკეს სასახლეში გამომთვრალიყო, დაავიწყდა კიბით დაშვება, გადმოვარდა და სული განუტევა. ამის შესახებ ოდისევსი სულთა სამეფოში მისვლის შემდგომ შეიტყობს, სადაც მას პირველად ელპენორის სული შემოხვდება. ოდისევსი გაოცებულია მისი ხილვით და ეკითხება, როგორ მოასწრო მათ იქ მისვლა. ელპენორი უყვება თავის ისტორიას და სთხოვს მას, არ დატოვოს დაუმარხავი. ოდისევსი უსრულებს კიდევ მას დანაპირებს (ჰომ. ოდ. X. 50-58).

ჩემთვის ელპენორი საინტერესოა იმით, რომ ელპენორის ამბავში გადმოცემულია შეუმჩნეველი კაცის დრამა. იგი შეიძლება ისე დაიღუპოს, რომ მეგობრებმა ვერც კი შეამჩნიონ. იგი იმდენად არ გამოირჩევა ინტელექტით. ასეთი ადამიანის ყოფნა-არყოფნა არავის აწუხებს. ჩემი აზრით, ჰომეროსს ელპენორის სახით, უნდოდა ეჩვენებინა, თუ რატომ უნდა იღწვოდეს ადამიანი საკუთარი თავი სრულყოფილად, მიიღოს განათლება და გამოცდილება. რადგან გარდაცვალების შემდეგ იგრძნოს საზოგადოებამ დანაკლისი. გაუნათლებელი და უუნარო ადამიანი კი ყოველთვის შეუმჩნეველია მისი უფუნქციობის გამო.

გონივრული რჩევების მიცემით გამოირჩევიან, ასევე, აქაველი გმირი დიომიდე და ტროელი გმირი პულიდამანტი.

„ილიადაში” კარგად ჩანს, რომ აქაველები დაუფლებულნი არიან სიმღერას. როცა მათ აპოლონს მსხვერპლი შესწირეს, ამის შემდგომ ტკბილი სიმღერით აამებდნენ მას: „მთელი დღე ჰანგით აამებდნენ უფალ აპოლონს, / ხმამაღლა პეანს უმღეროდნენ ყრმა აქაველნი” (ჰომ. ილ. I. 472-473).

სიტყვას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ილიადაში, ისე როგორც მაშინდელ საბერძნეთში იყო გავრცელებული სიტყვის ძალა. ჰომეროსი აგვიღწერს, თუ როგორ ისხდნენ მოხუცი ტროელები და ბრძოლისათვის დამაბუნებულთ სიტყვით მძლეობა კვლავ შეეძლოთ (ჰომ. ილ. III. 146-151).

არა მარტო ჰომეროსის ეპოსის ცენტრალურმა გმირებმა, არამედ სხვა პერსონაჟებმაც ბევრი რამ იციან. ჰომეროსი იცნობს თვითნასწავლ მომღერლებსა და მათაც, რომლებიც ნამდვილი პროფესიონალები არიან. მრავალი პერსონაჟი

გამოირჩევა განსაკუთრებული ცოდნით რაღაც სფეროში, მაგალითად, მკურნალობის, რაც, გარდა ბუნებრივი ნიჭისა, საგანგებო მომზადებასაც მოითხოვდა. თავისი ოსტატობით ცნობილია უებარი მკურნალი მახაონი, ასკლეპიოსის ძე (ჰომ.ილ.IV. 190-195). აღარაფერს ვამბობ საბრძოლო ხელოვნების ცოდნაზე, რომელსაც, ალბათ, ჰომეროსის გმირებმა ხანგრძლივი წვრთნის შედეგად მიაღწიეს (შდრ. გორდეზიანი 2007: 234). მამები ცდილობენ საბრძოლო ხელოვნებაში დააოსტატონ შვილები. მაგალითად, აიანტი გახარებულია, რომ მას წილად ხვდა ჰექტორს შერკინებოდა, რადგან თავდაჯერებულია და სიამაყით აღნიშნავს, რომ ის „ომის უმეცრად არ გაუზრდია მშობელ მამას სალამინში“ (ჰომ. ილ. IV. 198-199).

აღსანიშნავია, რომ ჰომეროსის პერსონაჟები არა მხოლოდ მოყვარულის დონეზე ცეკვავენ და მღერიან, არამედ, როგორც ჩანს, საგანგებო მომზადებასაც გადიან და პროფესიონალურ დონეზე ეუფლებიან ხელოვნების სხვადასხვა დარგს. ოდისევსი გააოცა ფეაკელთა ცეკვა–სიმღერამ და აღნიშნა, რომ მათ ბადალი არ ჰყავთ ხელოვნებაში (ჰომ.ოდ.VIII. 382-383).

ჰომეროსის გმირები დახელოვნებულნი არიან სპორტის მრავალ სახეობაში: ჭიდაობა (ჰომ. ილ. XXIII. 700-705), ბადროს ტყორცნა (833–835), სირბილი (790–795), შუბის ტყორცნა (XX. 99), ეტლებით შეჯიბრება (XXIII. 263), ცხენოსნობა (XXIII. 260–270), კრივი (XXIII. 660–665).⁷

ჰომეროსის ეპოსის ქალებიც, ალბათ, სხვადასხვა სასწავლებელში ეუფლებოდნენ ქალურ საქმეს. აქილევსი ასპარეზობაში გამარჯვებულ მეეტლეს აღუთქვამს ჯილდოდ „ქალურ საქმეში დახელოვნებულ ქალწულს“ (ჰომ. ილ. XXIII. 263). როგორც ჩანს, „განათლებულ ქალს“ დაფასებული და საპატიო ადგილი ეჭირა ჰომეროსის საზოგადოებაში. ასეთი ტიპის სასწავლებელში შეისწავლა, ალბათ, კირკემ საქსოვ დაზგაზე ქსოვა (ჰომ. ილ. X. 226). ასევე, კირკე იმდენად კარგად მღერის, სავარაუდოდ, სიმღერასაც პროფესიონალურ დონეზე დაუფლებულა. ეს არ ჰგავს მოყვარულის სიმღერას, ოდისევსს და მის მეგობრებს ლამის უჭირთ გაარჩიონ ის „ქალღმერთია თუ ქალი“(ჰომ. ილ. X. 28).

გარდა იმისა, რომ ჰომეროსის ეპოსის ქალბატონები ხელგარჯილობით არიან

⁷ ჰომეროსი ახსენებს ეპეიოსის სახელს, რომელიც ყველასათვის ცნობილი იყო, როგორც „მძლავრი მოკრივე“(ჰომ. ილ. XXIII. 665). შდრ. დღესდღეობით საზოგადოებაში გამორჩეულ სპორტსმენტთა საყოველთაო ცნობადობა .

გამორჩეულნი, ისინი ასევე გონებრივი განვითარებითაც გამოირჩევიან. მაგალითად, აგამემნონი ხაზს უსვამს, რომ ბრისეისს ვერავინ შეედრება, ვერც მშვენიერებით და ვერც ჭკუით. ამის გამო ის კლიტემნესტრასაც კი ურჩევნია მას (ჰომ. ილ. I. 112- 115).

ჰეკაბე გამოირჩევა საინტერესო თვისებით, რასაც განსჯის უნარი, წინდახედულობა, გადადგმული ნაბიჯის გაანალიზება ჰქვია. როცა პრიამოსი გადაწყვეტს წავიდეს შვილის გვამის გამოსასყიდად, ჰეკაბე შეაჩერებს მას და აფრთხილებს არ წავიდეს, რათა შესაძლოა მასაც გაუსწორდეს აქილევსი, ის ურჩევს მეუღლეს შორიდან დაიტვირონ შვილი, ალბათ ასეთი ბედი არგუნათ მათ ღმერთებმა (ჰომ. ილ. XXIV. 201-210). თუმცა, ჰეკაბე ვერ ახერხებს პრიამოსის დაყოლიებას, პრიამოსი აღიარებს, რომ ჰეკაბეს რჩევა გონივრულია: „მე არ უარვყოფ, დედაკაცო, შენს აზრს ჭკვიანურს“ (ჰომ. ილ. XXIV. 300-301). აქედან გამომდინარე, ცხადია, ჰეკაბეს მიზეზ-შედეგობრიობის მკაფიო შეგრძნება აქვს.

ელენე ქსოვს ფარდაგს, რაზეც ასახავს ტროელთა და აქაველთა შერკინებას (ჰომ. ილ. III. 125-128). შესაძლოა, სპეციალურ სასწავლებელში მიუღია მას განათლება, სადაც შეასწავლეს ქსოვის ხელოვნება.

არისტოტელე ჰომეროსს გმირთა ხასიათების ასახვის უზადლო ოსტატად მიიჩნევს, სწორედ იმის გამო, რომ მის პერსონაჟებს შეუძლიათ საკუთარი არჩევანის გაკეთება. როგორც არისტოტელე აღნიშნავს, „ხასიათი მოიცავს ადამიანს, როცა, როგორც იყო ნათქვამი, მის სიტყვაში ან მოქმედებაში კეთდება რაიმე მოსალოდნელი არჩევანი“ (არისტ. პოეტ. 27). აქედან გამომდინარე, ნაწარმოებში გმირის ხასიათი ვლინდება, არა მასთან დაკავშირებულ მახასიათებლებსა და ცალკეულ ეპითეტებში, არამედ პერსონაჟის მიერ საკუთარი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობაში. ამ თვალსაზრისით განიხილავს არისტოტელე ჰომეროსის გმირებს და მიაჩნია, რომ პოემაში არცერთი პერსონაჟი არ მონაწილეობს ხასიათის გარეშე. „მცირეოდენი შესავლის შემდეგ, უეცრად შემოჰყავს კაცი ან ქალი ან რომელიღაც სხვა ხასიათი და არავინ ხასიათის გარეშე“ (არისტ. პოეტ. 29). ჰომეროსის თითოეული პერსონაჟის სიტყვასა თუ მოქმედებაში ყოველთვის იკვეთება რაიმე არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა. ჩემი აზრით, განათლებათა აუცილებელია იმისათვის, რომ ადამიანმა შეძლოს დამოუკიდებლად გააკეთოს არჩევანი, მას ჰქონდეს საკუთარი აზრი და იმოქმედოს საკუთარი შეხედულებისამებრ.

ჰომეროსის პერსონაჟების განხილვამ გვიჩვენა, რომ მათ გააჩნიათ თითქმის

ყველა ის თვისება, რაც ჰოვარდ გარდნერის მიერ შემოთავაზებულ ინტელექტის თეორიაშია მოცემული. ისინი თვითკრიტიკულები არიან; შეუძლიათ დანაშაულის აღიარება; აქვთ გონივრული რჩევის მიცემის უნარი; ჰკვიანური რჩევის მიღებისა და გათვალისწინების უნარი გააჩნიათ; ფლობენ სიტყვის უკან წაღებისა და ბოდიშის მოხდის უნარს; მიდიან კომპრომისზე; აქვთ მდიდარი ლექსიკური მარაგი; მიზნუ-შედეგობრიობის შეგრძნება გააჩნიათ (სწორედ ამის გამო მიდიან კომპრომისებზე); არიან ფიზიკურად აქტიურნი; კარგ ლიდერებად გვევლინებიან; უყვართ გუნდური მუშაობა (ბრძოლა), და სხვა. შესაბამისად, მათ გააჩნიათ ყველა სახის ინტელექტი: ლინგვისტურ-ჰუმანიტარული, ლოგიკურ-მათემატიკური, მხედველობით-გრაფიკული, ფიზიკურ-კინესთეტიკური, სმენით-მუსიკალური, ინტერპერსონალური და ინტრაპერსონალური.

შესაბამისად, ისინი თავიანთი ინტელექტით არ ჩამოუვარდებიან თანამედროვე განათლებულ ადამიანებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ანტიკური პერიოდის განათლება იმავე უნარ-ჩვევებს უვითარებდა ადამიანებს, რასაც თანამედროვე განათლება უზრუნველყოფს.

როგორც აღვნიშნე, მიკენური ეპოქის ლეგენდებში მასწავლებლისა და მოსწავლის არსებობა დადასტურებულია. შესაბამისად, ჰომეროსის გმირებსაც ეყოლებოდათ მასწავლებლები, რომლებიც მათ განათლებაზე ზრუნავდნენ. მიკენურ ეპოქაში, ასევე, დადასტურებულია დამწერლობის არსებობა, შესაბამისად, ჰომეროსის პერსონაჟებს შესაძლებლობა ექნებოდათ, გაცნობოდნენ წერილობით მასალებს. როგორც აღვნიშნე, მიკენში, სავარაუდოდ, პოეზია არსებობდა, შესაბამისად, ამ პერიოდის ადამიანები სწავლობდნენ პოეზიის ნიმუშებს, რაც მათ გონებასაც უვითარებდა და, ვფიქრობ, მათ მეტყველებას უფრო ხატოვანს ხდიდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, გეომეტრიულ ეპოქაში განათლება უფრო ფართო მასებისთვის იყო ხელმისაწვდომი. მოსახლეობა პოლისის მართვაში იღებდა მონაწილეობას. ისინი ალბათ, გამოდიოდნენ საჯარო სიტყვებით და გარკვეული ორატორული განათლება ჰქონდათ. მჭევრმეტყველებაში განსწავლულობა ნამდვილად აისახა ჰომეროსის პერსონაჟებზე. ამავე პერიოდში ოლიმპიურ თამაშებს ჩაეყარა საფუძველი. ბერძნები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ფიზიკური თუ გონებრივი შესაძლებლობებით. ჰომეროსმაც შესძინა აგონისტური სული თავის პერსონაჟებს და ამით ისინი უფრო საინტერესო გახდა მკითხველისათვის.

როგორც დავინახეთ, „ილიადის“ გმირებს გააჩნიათ ყველა სახის ინტელექტი, რაც განათლების მიღების შედეგად შეიძლება გაუჩნდეს ადამიანს. ამგვარად, მათზე დაზუსტებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ განათლებულები არიან და თანდაყოლილი უნარები სათანადო წვრთნის შედეგად უნარ-ჩვევებად გადაქცევიათ.

ჰომეროსის გმირები კულტურის მაღალი დონით გამოირჩევიან, თუმცა ეს კულტურა აუცილებლად გულისხმობს შესაბამის განათლებასაც. ჰომეროსი საკმაოდ ყურადღებით ეკიდება თავისი გმირების ფსიქოლოგიას, რათა სწორად გვამცნოს, თუ როგორი აღზრდა მიიღეს მათ და როგორ მიაღწიეს რაინდობაში ასეთ სიმაღლეებს. საგმირო ლეგენდამ შემოგვინახა ცნობები აქილევსის აღზრდის შესახებ.

აღმზრდელის კლასიკური სახეა ქირონი, „ბრძენთაბრძენი კენტავრი“ (ჰომ. ილ. XI. 832), რომელთანაც დაკავშირებულია უამრავი ლეგენდა. მან აღზარდა არა მარტო აქილევსი, არამედ სხვა ბევრი გმირიც: ასკლეპიოსი, აპოლონის ვაჟიშვილი (ჰომ. ილ. XI. 219), აქტეონი, კეფალე, იასონი, მელანიონი, ნესტორი და სხვა. ქირონი იყო პელევსის მეგობარი და მრჩეველი, სრულიად ბუნებრივია, რომ პელევსმა ანდო მას თავისი ვაჟიშვილის აღზრდა. ბევრი ლიტერატურული ძეგლი წარმოგვიდგენს ქირონს. ეს იყო მრავალ დარგში განსწავლული კაცი, რომელმაც შეასწავლა აქილევსს სპორტის სხვადასხვა სახეობა და რაინდული გართობები – ნადირობა, ცხენის ჭენება, შუბის ტყორცნა, ასევე აუცილებელი ხელოვნება: ღირაზე დაკვრა, თვით ქირურგია და წამლების მომზადება. ყოველივე ეს წარმოადგენს ენციკლოპედიური ცოდნის ნიშან-თვისებებს, რომელიც გაჯერებულია, მკვეთრად გამოხატული აღმოსავლური გემოვნებით. ჩვენს წინაშეა იდეალიზირებული სახე. ჰომეროსი თვალნათლივ წარმოგვიდგენს ქირონის ამ ხელოვნებას. გავიხსენოთ ეპიზოდი ფოინიქსთან მიმართებაში, როცა საქმე ეხება იმას, თუ როგორ გაუადვილოს ოდისევსსა და აიაქსს წარმატების მიღწევა აქილევსთან ელჩობის დროს. ნესტორი ბრძნულად გადაწყვეტს გააგზავნოს მასთან ერთად ეს სახელგანთქმული მოხუცი, რომელიც შეძლებდა გულით შეეძრა თავისი ყოფილი აღსაზრდელი (და მართლაც, სინამდვილეში აქილევსი სულით შეძრული ესაუბრებოდა თავის ძვირფას „მოხუც მამას“, როგორც ის მას უწოდებს (ჰომ. ილ. IX. 607). ფოინიქსმა, რათა მიაღწიოს დამაჯერებლობა თავის თხოვნას,

საჭიროდ ჩათვალა შეახსენოს აქილევსს მთელი თავისი ისტორია. ამიტომ ის წარმოთქვამს გრძელ სიტყვას (ჰომ. ილ. IX. 434–605), რომელიც ზოგიერთი მოხუცისათვის დამახასიათებელი მრავალსიტყვაობით ხასიათდება და ჩვენთვის განსაკუთრებით ჭკუისსასწავლებელია (მაროუ 1998: 14–30).

ამდენად, ფოინიქსი მამამისის რისხვისგან თავის დასაღწევად პოულობს თავშესაფარს პელევსის კარზე, რომელმაც უბოძა მას სასაზღვრო ოლქი დოლოპოში პირად მფარველობაში. შემდეგ მეფე თავის საყვარელ ვასალს ანდობს საკუთარი ვაჟიშვილის აღზრდას. აქილევსი ჩააბარეს ფოინიქსს ჯერ კიდევ სულ პატარა. ის ისვამს მას მუხლზე, კვებავს, ასმევს, „რამდენჯერ მკერდთან დამისველე კიდევ ქიტონი, მოუქნელ ყმაწვილს მაჭარი რომ დაგექცეოდა. ბევრი ზრუნვა და ბევრი შრომა შემხვდა შენს გამო“ (ჰომ. ილ. IX. 489–492).

ფოინიქსის როლი არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ყმაწვილის მოვლით. აქილევსი ჩააბარეს მას ტროას ომში გამგზავრებამდე, რათა ფოინიქსს სამსახური გაეწია მისთვის გამოუცდელი დამლევაში. განსაკუთრებით ყურადსაღებია ორმაგი დავალება, რომელიც მისცა მას პელევსმა: აქილევსი უნდა ყოფილიყო სიტყვით რაინდი და ცნობილი საქმის კეთებით. სიამაყით წარმოთქვამს მოხუცი დამრიგებელი: „მწვრთნელად გამოგყევ, რომ საბჭოზე გებრწყინა მუდამ მჭევრმეტყველებით, მოქმედებით ყოველ საქმეში“ (ჰომ. ილ. IX. 442–443).

ეს არის ფორმულა (ჰომ. ილ. IX. 442), რომელიც გამოხატავს სრულყოფილი რაინდის ორმაგ იდეალს - ერთი მხრივ ორატორისა და მეორე მხრივ მებრძოლის, რომელსაც შეუძლია დაეხმაროს მეფეს სამართლის ქმნასა და ბრძოლაში. „ოდისეაში“ მენტესისა (ჰომ. ოდ. I. 80) და მენტორის (ჰომ. ოდ. II. 167) სახით მოვლენილი ათენა ანალოგიურ დარიგებებს აძლევს ტელემაქოსს.

ამდენად, ბერძნული კულტურის სათავეებთან ჩვენ ვხვდებით სრულიად ჩამოყალიბებული აღმზრდელის განსაზღვრულ ტიპს: კეთილშობილი ყმაწვილი ღებულობდა დამრიგებლისაგან ზუსტ რჩევებსა და ცხოვრების სწორ გეზს.

ძიძა ჰყავდა ჰექტორსაც (ჰომ. ილ. XX. 503–504). ბუნებრივია, მას დიდი წვლილი მიუძღვის მასში მტკიცე ხასიათის, კარგი მანერებისა და ეთიკური ნორმების ჩამოყალიბებაში. ასევე ძიძა ჰყავს ოდისევსსაც. ევრიკლეა შვილსაც კი

უწოდებს მას (ჰომ. ოდ. XIX. 474), შესაბამისად, ოდისევსი–დედას (ჰომ. ოდ. XIX. 500). აღსანიშნავია, რომ ევრიკლეა არის „ჭკვიანი ქალი“ (ჰომ. ოდ. XIX. 491), ხასიათი აქვს „მტკიცე და ურყევი“, არის „კლდესავით მოუდრეკელი“ (ჰომ. ოდ. XIX. 493–494). ლოგიკურია, რომ „ჭკუაუღლევი“ ოდისევსის აღმზრდელი ქალი არის „ჭკვიანი“. ტელემაქოსისთვისაც ასევე ძალიან საყვარელია მისი აღმზრდელი ევრიკლეა. ის მესაიდუმლედ გაუხდია ვაჟს. (ჰომ. ილი. II. 372–376). როგორც ჩანს ძიძა– მასწავლებლებს იმდენად დიდი პატივითა და სიყვარულით ეპყრობოდნენ, წლების განმავლობაში რჩებოდა ის აღსაზრდელის ოჯახში და თაობებს ზრდიდა.

ჰომეროსისეულ განათლებაში გამოიყოფა ორი მხარე: ტექნიკური, რომლის მეშვეობითაც ბავშვს ამზადებენ და თანდათანობით შეჰყავთ ის ცხოვრების გარკვეულ წესში და ეთიკური, რაც, ალბათ, უფრო მეტია, ვიდრე დაწერილი მორალი, ცხოვრების განსაზღვრული იდეალი (გასამხედროებულ აღზრდას შეუძლია წარმოშვას ბრძოლისუნარიანი ბარბაროსები, და ასევე შეუძლია პირიქით, მისწრაფოდეს რაინდობის დახვეწილი იდეალისაკენ) (მაროუ 1998: 14-20).

ტექნიკური მხარე გულისხმობდა იარაღის გამოყენებას, რაინდულ თამაშებსა და სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობას, მუსიკალური და ორატორული ხელოვნების ფლობას, ხოლო ეთიკური მხარე ემსახურებოდა კარგი მანერების, გონივრულობის, სიმამაცისა და წინდახედულობის განვითარებას აღსაზრდელებში. ყველაფერი ეს შენარჩუნდა კლასიკური ეპოქის განათლებაშიც. თანდათან ინტელექტუალური ელემენტები გაძლიერდა სამხედრო ელემენტების ხარჯზე. მხოლოდ სპარტაში სამხედრო ელემენტებმა შეინარჩუნა პირველხარისხოვანი მნიშვნელობა, თუმცა ისინი სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდნენ თვით მშვიდობისმოყვარე ათენშიც. აქ მათ თავიანთი გამოხატულება ჰპოვეს სპორტისადმი სიყვარულში, რაღაც გარკვეულ სპეციფიკურ ვაჟკაცურ ცხოვრების სტილში.

ბერძნული განათლების ტექნიკურმა მხარემ განიცადა სიღრმისეული ცვლილებები, მხოლოდ ჰომეროსისეულმა მორალმა შეძლო შეინარჩუნებინა თავისი უცვლელი მნიშვნელობა, როგორც ჭეშმარიტმა ესთეტიკურმა ღირებულებამ.

ჰომეროსის მიხედვით, აღმზრდელები სთავაზობენ ყმაწვილებს სანიმუშო მაგალითები აიღონ ლეგენდარული წარსულიდან, რათა მათ აღემრათ და განუვითარდეთ მეტოქეობისადმი მისწრაფება, სიცოცხლისა და სიკვდილის მეტოქეობის აგონისტური სული. მაგალითად, ფოინიქსმა, სურდა რა დაეთანხმებინა აქილეესი შერიგებოდა მეტოქეს, მოუყვანა მას მელეაგრეს მაგალითი: „ბევრი გვსმენია ჩვენ თქმულება ძველ გმირებზედაც“ (ჰომ. ილ. IX. 524). იგივე სახით ათენას, სურს რა, გააღვიძოს ბოლოს და ბოლოს, გმირული სული გაუბედავ წამოზრდილ ყმაწვილში - ტელემაქოსში, მოჰყავს მისთვის ორესტესის ვაჟკაცური შემართების მაგალითი: „გეყოს შექცევა ყრმათ საფერი, ბაღლი ხარ განა?/ ნუთუ არ იცი, ღვთაებრივმა ორესტემ ქვეყნად ვით ისახელა თავი, / რაკი შური იძია და მოკლა მშობელ მამის მკვლელი ფლიდი ეგისტე?“ (ჰომ. ოდ. I. 297-300).

გმირული მაგალითი არის ჰომეროსისეული პედაგოგიკის საიდუმლო, როგორც ახლო შუასაუკუნეებმა დასასრულს გვიანდერმა ქრისტესადმი მიბაძვა, ასევე ბერძნულმა შუასაუკუნეებმა გადმოსცეს კლასიკურ საბერძნეთს ჰომეროსის მეშვეობით „გმირისადმი მიბაძვა“. ამ თვალსაზრისით ჰომეროსი არის საბერძნეთის აღმზრდელი.

ისტორია გვიდასტურებს, რომ მისი გაკვეთილები კარგად იქნა ათვისებული: გმირული მაგალითები ფეხდაფეხ სდევდა ბერძენთა ჭკუასა და გონებას. ძალიან ბევრი ბერძენი სწავლობდა ჰომეროსისაგან - სძულებოდათ ხანგრძლივი და მქრალი ცხოვრება, სანაცვლოდ მოკლე, მაგრამ დიდებით მოსილი გმირული ცხოვრება აერჩიათ. რა თქმა უნდა, ჰომეროსი არ იყო ერთადერთი აღმზრდელი. საუკუნეების განმავლობაში კლასიკოსები ავსებდნენ ბერძნულ მორალურ იდეალს. მიუხედავად ამისა, ჰომეროსის შეხედულება განათლების შესახებ რჩება მთელი კლასიკური პედაგოგიური ტრადიციის საფუძვლად.

ჰომეროსის ეპოსის ჭეშმარიტად აღმზრდელობითი მნიშვნელობა მდგომარეობს იმ მორალურ კლიმატში, რომლითაც გარემოსილნი არიან მისი გმირები, მათი ცხოვრების წესში, სტილში. ყოველი გულისხმიერი მკითხველი ბოლოსდაბოლოს იმსჭვალება ამ ატმოსფეროთი.

ამგვარად, ჰომეროსისეული განათლება გულისხმობს ორ, ტექნიკურ და

ეთიკურ მხარეებს, რომელთა სინთეზიც განაპირობებს ისეთი სრულყოფილი პიროვნებების ფორმირებას, როგორებიც თავად ჰომეროსის გმირები იყვნენ.

ჩემი აზრით, ჰომეროსმა დაგვიხატა გმირები, რომელთაც აშკარად ეტყობათ განსწავლულობა და სწორედ ამით მოახდინა მან გამორჩეული მხატვრული სახე-მოდელის შექმნა.

ჰესიოდე ბერძნულ ლიტერატურაში დიდაქტიკურ მიმართულებას უდებს საფუძველს. ის ცდილობს, პირდაპირ გამოხატოს სუბიექტური დამოკიდებულება მოვლენათა მიმართ. ჰესიოდე უარს ამბობს საგმირი ეპოსზე და საფუძველს უდებს ახალ ჟანრს. ეს განაპირობა იმ გარდატეხამ, რაც ხდებოდა იმრდოინდელ საბერძნეთში. საკოლონიზაციო მოძრაობის ფართოდ გაშლამ, პოლისის განვითარებამ, გამოიწვია ინდივიდის წინა პლანზე წამოწევა. ყურადღება იქნა გადატანილი ადამიანის პიროვნულ ღირსებებზე. ადამიანს გაუჩნდა ცოდნის მიღებისა და სულიერი დახვეწის მოთხოვნილება. სწორედ დროის გამოძახილს უპასუხა ჰესიოდემ ახალი ჟანრით.

ფონ ვილამოვიც-მოლენდროფი დაასკვნის, რომ ჰესიოდემ მისი პოემა „სამუშაონი და დღენი“ შექმნა სახალხო დეკლამაციისათვის, რათა თანამოქალაქეებისათვის გარკვეული რჩევა-დარიგებები მიეცა და ის სასამართლოს იყენებს დიდაქტიკურ იარაღად (ფონ ვილამოვიც-მოლენდროფი 1928: 132-134). ვეიდ გერი მიიჩნევს, რომ „სამუშაონი და დღენი“ არის „სააგიტაციო სიტყვების“ ერთიანობა (შმიდტი 1986 : 52).

პერსესის სახე განიცდის ევოლუციას სიუჟეტის განვითარების კვალდაკვალ. პერსესი ყურადღებით ისმენს და ითვალისწინებს მისი ძმის რჩევა-დარიგებებს და შედეგად, მას დაარწმუნებს, რომ მზადაა იმუშაოს და საქმეში ჩაებას. კლეი ასევე ამტკიცებს, რომ პერსესის სახე ტრასფორმირდება ნაწარმოებში და ის ამ მოსაზრებით უპირისპირდება ვესტს, რომელიც მიიჩნევს, რომ პერსესს უბრალოდ ცვალებადი ხასიათი მისცა ჰესიოდემ ნაწარმოებში. „პერსესი, შეითვისებს რა ჰესიოდეს შეგონებებს, ნამდვილად იცვლება პოემის სიუჟეტის მიმდინარეობასთან ერთად. ეს ცვლილება კი გამოხატავს პერსესის განათლების დინამიურ განვითარებას“ (კლეი 1993: 25). ჰესიოდემ სპეციალურად არ გაამახვილა ყურადღება სასამართლო პროცესის აღწერაზე, რადგანაც პოემის დიდაქტიკურ მესიჯს მიეღწია ფართო აუდიტორიის ყურამდე, ვიდრე მხოლოდ სასამართლო პროცესით დაინტერესებულ

პირებამდე (კლეი 1993: 26). პოემის თითოეული საფეხური არის პერსესის სხვადასხვა გაკვეთილი (ასევე, თვით მკითხველის).

პერსესის ევოლუცია საგრძნობია 286 -ე სტრიქონიდან. ჰესიოდეს გაბრაზება მისი ძმის მიმართ თანდათან იკლებს და ის ცდილობს მისი დიდაქტიკური მსჯელობა მიმართოს „განზოგადოებული მეორე პირის მხოლოებითი რიცხვის“ მიმართ. უკვე ვეღარ ვიტყვით, რომ გულისწყრომის ობიექტია პერსესი. „თითქოს პერსესი უკვე მზად იყოს, მიიღოს სამართლიანი ძმის შეგონებანი“ (ნეგი 1982: 59).

ჰესიოდეს ძირითადი მიზანი იყო, როგორმე შთაეგონებინა ძმისათვის, შრომას დაბრუნებოდა და შეეწყვიტა სასამართლოში საჩივრების შეტანა, რაც მას დროსაც აკარგვინებდა და სახსრებსაც. ამრიგად, ის წერს პოემას „სამუშაონი და დღენი“, რათა დაუბრუნოს პერსესი მის მოვალეობებს. როცა ჰესიოდე ზოგად რჩევა-დარიგებებს იძლევა, მხოლოებითი რიცხვის მესამე პირს მიმართავს, ხოლო როცა უნდა პირადად პერსესს მისცეს რჩევა, მიმართავს მხოლოებითი რიცხვის მეორე პირს.

მკვლევარებში გავრცელებულია სამი სხვადასხვა მოსაზრება ნაწარმოებში „სამუშაონი და დღენი“ პერსესის სახის ცვლილებასთან დაკავშირებით. ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ჰესიოდეს არ შეუქმნია მთელი პოემა და ეს მისი სახის სხვადასხვაგვარობა კომპილატორებს უნდა დავაბრალოთ (კირსჰოფი, ვილამოვიცი, ვესტი). მეორენი ცდილობენ, პერსესის სიტყვების სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის გზით, აჩვენონ, რომ პერსესის სახის ევოლუცია საკმაოდ თანმიმდევრულია (ჯოუნსი, გაგარინი). ხოლო მესამე ნაწილი პერსესის სახეს პოემის დინამიურ ელემენტად აღიქვამს, რომელიც იცვლება და ევოლუციას განიცდის, იღებს რა ჰესიოდესგან დიდაქტიკურ მესიჯებს. მიუხედავად იმისა, რომ პოემის ბოლოში პერსესი სრულიად განსხვავდება იმ პერსონაჟიგან, რაც პოემის დასაწყისში იყო, ის ყოველთვის თანმიმდევრულია (კლეი, შმიდტი).

პირველი ორი პოზიცია აყალიბებს ვარაუდს, რომ პერსესი არის რეალური პიროვნება, რომლის საქციელისა და მდგომარეობის მოყოლას ცდილობს ჰესიოდე პოემაში. ბოლო მოსაზრება კი რადიკალურად განსხვავებულ მდგომარეობას გამოხატავს პერსესის მიმართ. ანუ პერსესი პოემაში „სამუშაონი და დღენი“ არსებობს იმ მიზნით, რომ მიიღოს და გააერთიანოს პოემის დიდაქტიკური მესიჯები. ეს ინტერპრეტაცია სულაც არ ნიშნავს, რომ პერსესი არის მხოლოდ

ლიტერატურული გმირი და მოკლებულია ყოველგვარ ისტორიულ რეალობას, უბრალოდ მას ავტორი აღიქვამს, როგორც პოემის პერსონაჟს და ცდილობს დაადგინოს მისი როლი კონტექსტში. ჰესიოდემ პერსესის სახის თანდათანობითი დახვეწა გვიჩვენა იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ ხვეწს ადამიანს განათლების მიღება. რეალურად არსებობდა თუ არა ჰესიოდეს ძმა ამის დადგენას სულაც არ ცდილობენ ისინი. კლეის და შმიდტის მიდგომა ძალიან მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ ისინი არ ეყრდნობიან მანამდე არსებულ ვარაუდებსა თუ მოსაზრებებს, ისინი დასკვნის გამოტანას ცდილობენ მხოლოდ ტექსტიდან. დანარჩენი ორი მოსაზრება სუსტია, რადგანაც დაფუძნებულია დაუმტკიცებელ ვარაუდზე, რომ ჰესიოდეს მიზანი დაეწერა „სამუშაონი და დღენი“ იყო მცდელობა მისი პირადი განცდები გადაეტანა ფურცელზე.

ჰესიოდეს განზრახვაა, ასწავლოს პერსესსა და ფართო აუდიტორიას შესაბამისი სამუშაოს დროზე შესრულება.

ცნობილი ფაქტია, რომ როდესაც ჰესიოდეს მამა გარდაიცვალა, მისმა ორმა ვაჟმა მემკვიდრეობის თაობაზე დავა დაიწყეს. პერსესმა, მოისყიდა რა ადგილობრივი წარჩინებულები, მოახერხა მიეთვისებინა მეტი წილი, თუმცა მალე ის გაჭირვებაში ჩავარდა და ისევ მის ძმას მიადგა თავისი წილსაც რომ დაკატრონებოდა. ჰესიოდემ კი მას უპასუხა ამ პოემით: „პერსეს, ჩაიდე ეს გულში. მოდი, ნუ ვიკამათებთ, მტრის გასახარად. სასამართლოთი და კამათით ბევრს ვერაფერს მივალწევთ. უმჯობესია იმუშაო და მე გასწავლი შენ, რა როგორ გააკეთო“ (ჰეს. სამ. და დღ. 27–39).

ჰესიოდეს მთავარი დევიზია: მუშაობა და საქმის არგადადება. სწორედ ასეთ შემთხვევაში შეუძლია ადამიანს მიაღწიოს სასურველ შედეგს (ბერნი 1936: 35–36).

ჰესიოდე ურჩევს მის ძმას და, შესაბამისად, მკითხველს, რომ ძალიან მარტივია, იცხოვრო უღირსად. ღირსეულად ცხოვრებას კი სჭირდება დიდი ძალისხმევა და თავდადება. ძალიან რთულია „ღირსების ბილიკის“ გავლა, თუმცა ძალიან სასიამოვნოა, როცა ამ ბილიკს გადაივლი.

„ორი ბილიკის“ ცნება დღემდე გამოიყენება ლიტერატურაში. ჰესიოდე ძალიან ხშირად იყენებს სიტყვებს: „მუშაობა“, „შრომა“, „გარჯა“. ძალიან მრავალ თემაზე იძლევა ის რჩევა–დარიგებებს: მეზობლებთან ურთიერთობით დაწყებული, ქორწინებით დამთავრებული. სასოფლო–სამეურნეო დარიგებებს ყველაზე დიდი ადგილი უჭირავს პოემაში. ჰესიოდე კაცობრიობის მასწავლებელია, რადგანაც ძვ. წ.ა.

VII საუკუნიდან დაწყებული დღემდე ასწავლის ადამიანებს ცხოვრებას, ადამიანურ ურთიერთობებს. ის რჩევებს იძლევა მეგობრებთან დაკავშირებით: „მეგობარი არასოდეს არ უნდა მიიღო ძმად, ხოლო თუკი ამას მაინც გააკეთებ, არ მოატყუო, უერთგულე. თუკი მან გიმუხლთა, დაიმახსოვრე და ორმაგად გადაუხადე. ხოლო თუკი ის კვლავ მოისურვებს შეგირიგდეს, მიიღე გულით, „უბადრუკი კაცია ის, ვინც მეგობრებს წამიწუთ იცვლის” (ჰეს. სამ. და დღ. 713). ჰესიოდე მოგვიწოდებს ზომიერების დაცვისაკენ ყველა საქმეში: „ნუ გაგიცნობენ, ვით ზედმეტად პურმარილიანს, ან როგორც პურძვირს (715). საუბარშიც ზომიერების დაცვაა საჭირო: „ყველაზე სასიამოვნო - ზომიერი საუბარია” (720). ადამიანს მისი სურვილების შეზღუდვაც უნდა შეეძლოს და ის იმყოფინოს, რაც გააჩნია: „არარსებულს თუ მოინდომებ, შენი სიცოცხლე გაგიმწარდება” (367). ხელგაშლილობა კარგია, თუმცა ადამიანმა უნდა იცოდეს, ვის უნდა დაეხმაროს და ვის არა: „მიეცი მას, ვინც თავად გასცემს- ძუნწს ნურას მისცემ” (354). ჰესიოდე ასევე იძლევა რჩევა- დარიგებებს ქორწინებასთან დაკავშირებით: „ქორწინებაში საჭიროა დროის კარგად შერჩევა- ოცდაათი წელი კარგი ასაკია ამისათვის. ოთხი წელი იცნობდე ქალს, მეხუთე წელს კი დაქორწინდი მასზე, ისეთი ქალი უნდა შეარჩიო, ვინც მეზობლად ცხოვრობს და სანამ ამ ნაბიჯს გადადგამ, ყველაფერი კარგად აწონ- დაწონე” (695-705).

„სამუშაონი და დღენი” დიდაქტიკური ტიპის ნაწარმოებია, რომელიც, როგორც ავტორი აღნიშნავს, მიმართულია მისი ძმის მიმართ. თუმცა, ყველა მკითხველი, ანტიკურობიდან დაწყებული დღემდე, ამ პოემით იღებს ფართო განათლებას ცხოვრების ყველა სფეროში.

რიჩარდ მარტინი მიიჩნევს, რომ პოემის „სამუშაონი და დღენი” წაკითხვისას ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს ჰესიოდე რჩევებს აძლევდეს არა მის ძმას, არამედ მის ვაჟს ან მომავალ მეფეს ან, უბრალოდ, ნებისმიერ ახალგაზრდას – ყველა ეს ადრესატი უფრო მეტად ტიპურია მსოფლიო ლიტერატურაში (მარტინი 2004: 1).

ჰესიოდე ევროპულ ლიტერატურაში დიდაქტიკური ჟანრის ფუძემდებელია. მისი პოემა მაღალი სტილის ეპიკური ნაწარმოებია. „სამუშაონი და დღენი” იმითაა განსაკუთრებული, რომ ორმხრივი დიალოგის ფორმა აქვს, რომლისგანაც ჩვენ მხოლოდ ერთი მხარის საუბარს ვისმენთ, ხოლო მეორეს ვგულისხმობთ (არიგეტი 1975: 5-36).

„შენ არ გექნება მეორე შანსი, რომ ასე მოიქცე” (ჰეს. სამ. და დღ. 34-35).

მიტხველი ჰესიოდეს აიგივებს სიკეთის ერესთან. ჰესიოდე იყენებს ძალზედ ეფექტურ პრედიდაქტიკურ რიტორიკას რათა გადაჭრას მრჩეველ – დამრიგებლის უპირველესი ამოცანა – მსმნელი აიძულოს მოისმინოს და დაუყონებლივ შეუდგეს მიცემული რჩევების მიღება – განხორციელებას.

ჰესიოდე მიმართავს პანდორას მითს, რომელსაც უყვება ძმას და ამით მიანიშნებს პერსესს, თუ რა შეიძლება მოჰყვეს რჩევის არაფრად ჩაგდებას: ადამიანებს დიდი შრომა სჭირდებათ იმისათვის, რომ მოიპოვონ საკვები და თავი გაიტანონ. ეს იმის გამოა, რომ პრომეთემ ცეცხლი მოჰპარა ზევსს (ჰეს. სამ. და დღ. 42–48). ხოლო უფრო დიდი სასჯელი – ავადმყოფობები, ტკივილი მოდის პანდორას ყუთიდან. ეს ყველაფერი იმიტომ გავრცელდა ქვეყანაზე, რომ ეპიმეთემ არ გაითვალისწინა მისი ძმის პრომეთეს გაფრთხილება და ზევსისგან საჩუქარი მიიღო (ჰეს. სამ. და დღ. 83–89). როგორც ვიცით, პრომეთე და ეპიმეთე ძმები იყვნენ, ისე როგორც ჰესიოდე და პერსესი. ამგვარი პარალელების გავლებით, ჰესიოდე ძმას მიანიშნებს მოსალოდნელ საფრთხეზე, ძმის რჩევის არმიღების შემთხვევაში.

ჰესიოდეს პოემა ყველა მისი წინამორბედისაგან იმით განსხვავდება, რომ აქ გადმოცემულია სიბრძნე, რომელიც ემსახურება, არა მხოლოდ ჰესიოდეს ეპოქის ადამიანთა, არამედ ძვ.წ.ა. VII საუკუნიდან მოყოლებული კაცობრიობის განათლებას.⁸ პოემას უფრო სწავლების ელფერი დაჰკრავს, ვიდრე ბრძანებებისა და ინსტრუქციების გაცემის (მარტინი 2004: 4).

ჰესიოდესთან გარკვეულ სიახლეს პოეტის როლის გააზრებაშიც ვხვდებით. პოეტი იძენს ადამიანთა მასწავლებლის ფუნქციას. ეპიკოსი მხოლოდ ესთეტიკურ სიამოვნებას კი არ გვანიჭებს, არამედ გვაძლევს ცოდნას და ამით, მისი პრესტიჟი თუ საჭიროება იზრდება .

აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკა“ არგონავტების მითზე აგებული ყველაზე უფრო სრულყოფილი პოეტური ნაწარმოებია, რომელშიც თანმიმდევრულადაა დამუშავებული თქმულება ოქროს საწმისზე. პოემა გვაწვდის გარკვეულ ინფორმაციას სწავლა–განათლების შესახებ.

მედეა, მშვენიერი კოლხი ქალი, ჭკვიანი და გამჭრიახი, შეუპოვარი და ძლიერი

⁸ პოეტური ფორმით რჩევა–დარიგებების მიცემის მოთხოვნილება საკმაოდ ადრე გაუჩნდა ადამიანს. ჩვენამდე მოაღწია შუმერულმა პოემამ „შურუფგაქის დარიგებანი“, რომელიც ფართოდ ყოფილა ცნობილი. მრავალი დიდაქტიკური ნაწარმოები გვხვდება, ასევე, მესოპოტამიურ, ბაბილონურ და ეგვიპტურ ლიტერატურაში.

ნებისყოფის მანდილოსანია, ტიტანური ნებისყოფითა და შეუპოვრობით. „მედეა“ ბერძნულად „ბრძენ ქალს“ აღნიშნავს. საბერძნეთში ამ კოლხი ქალის ნამდვილი კულტი იყო, მის სახელზე ტაძრებს აგებდნენ, ლექსებს უძღვნიდნენ მას. საინტერესოა, როგორ მაილწია ამ სიბრძნეს მედეამ, რა ტიპის სწავლა-განათლება მიიღო, რამ განაპირობა მისი ასეთი დახვეწა-განვითარება?

„არგონავტიკაში“ ასახულია ქართულ მედიცინასთან დაკავშირებული მთელი რიგი მომენტები. კოლხეთი ისეთ ქვეყანადაა დასურათებული, სადაც სამედიცინო საქმიანობა და ცოდნა ემყარებოდა ახალ აღმოჩენებს, ცდებს, მცენარეთა სამკურნალო თვისებათა გამოვლენას, შხამებსა და სამკურნალო საშუალებებზე დაკვირვებას. მედეა წარმოდგენილია, როგორც სამკურნალო ხელოვნებაში უაღრესად განსწავლული ქალბატონი. მედეას სახელს უკავშირდება ისეთი ცნებები, როგორცაა „გაახალგაზრავება“ და „სისხლის გადასხმა“ (აპ. როდ. არგ. III. 843-850)⁹. მედეას ხელოვნება ზებუნებრივია. მას შეუძლია სასწაულმოქმედი წამლების დამზადება. მათ შორის აღსანიშნავია „პრომეთეს წამალი“. ვინც ამ წამლით განიბანება, მას ისარი ვერაფერს დააკლებს (აპ. როდ. არგ. III. 847-848). დღესდღეობით, მედეას სახელთან დაკავშირებული სამედიცინო საქმიანობა მსოფლიო მედიცინის ისტორიაში ცნობილია „Cura Mediana“-ს სახელწოდებით, რაც ასევე იმაზე მიუთითებს, რომ იმ ქვეყანაში, სადაც ეს იდეები ჩაისახა, სამედიცინო პრაქტიკული საქმიანობა არ შეიძლება მაღალ დონეზე არ მდგარიყო.

მედეა ემორჩილება გრძნობებს, თუმცა მედეას ახასიათებს განსჯის უნარი. კოლხი ქალი წინდახედულობას მაინც იჩენს და იასონს სთხოვს ფიცით დაუმტკიცოს, რომ არასოდეს მიატოვებს და უერთგულებს მას სიცოცხლის ბოლომდე: „ქალს უპატრონოს, უთვისტომოსა, და სირცხვილ-ნამუსს დაიცავ ჩემსას“ (აპ. როდ. არგ. IV. 88-91).

მხოლოდ მას შემდეგ, რაც იასონმა ფიცი მისცა მას, რომ ელადაში როცა ჩაიყვანდა, კანონიერ მეუღლედ შეირთავდა, მედეამ ბრძანა სასწრაფოდ გემის გაყვანა წმინდა ჭალაში, ოქროს საწმისის მოსაპოვებლად. ავტორი გვეუბნება, რომ მედეამ წინასწარ აწონ-დაწონა ყველაფერი და ამის შემდგომ მიიღო გადაწყვეტილება. „მედეამ აწონ-დაწონა ეს შეთანხმება ბრძნული გონებით“ (აპ. როდ. არგ. IV.350).

⁹ ციტატები აპ. როდოსელის „არგონავტიკიდან“ მომყავს აკაკი ურუშაძის თარგმანის მიხედვით (1975).

არგონავტები იჩენენ გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევებს. ეს ვლინდება გემის გაწყობიდან დაწყებული (აპ. როდ. არგ. I. 390-401), მათი მოგზაურობის ყველა ეტაპზე. არგონავტები გუნდური მუშაობის პრინციპებით მოქმედებენ. არის შემთხვევები, როცა ისინი ერთხმად იღებენ გადაწყვეტილებებს. თუმცა, თუკი არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, ისინი კენჭისყრას მიმართავენ.

არის შემთხვევები, როდესაც მთელ გუნდს ერთ-ერთი გმირი გამოეყოფა და გონიერებისაკენ მოუხმობს მათ. მაგალითად, ლემნოსზე არგონავტებს კუნძულზე მოხინაძრე ქალთა ალერსმა დაავიწყათ თავიანთი მისია. ამ დროს ჰერაკლემ მოუხმო მათ გონიერი საქციელისაკენ (აპ. როდ. არგ. I. 864-870). ვერცერთმა გმირმა ვერ გაბედა, გმირთაგმირისათვის თვალი გაესწორებინა ან შეპასუხებოდა. „დაშლისთანავე დაუყონებლივ გასამგზავრებლად იწყეს მზადება“ (აპ. როდ. არგ. I. 877).

არგონავტებს, ასევე, კარგად გამოსდით საქმის დანაწილება, რაც გუნდურ მუშაობას უფრო ეფექტურს ხდის: ჰერაკლემ მეგობრებს უბრძანა, მსხვერპლშეწირვის რიტუალი ჩაეტარებინათ, თავად კი ტყეში გაემგზავრებოდა ხოფის გამოსათლელად (აპ. როდ. არგ. I. 1189-1192).

არგოს წევრები ერთად იღებენ გადაწყვეტილებებს. მათ იასონი ეუბნება: „ჩვენი საქმეა საქმე საერთო, და განსჯაც უნდა იყოს საერთო“ (აპ. როდ. არგ. III.173).

არგონავტების რჩევის გარეშე, შეუძლებელი იქნებოდა იასონი მისულიყო გონივრულ გადაწყვეტილებამდე. ისინი ყოველთვის ამარაგებენ მას გონივრული იდეებით. მაგალითად, არგოსმა ურჩია მას მედეას ზებუნებრივი ძალები გამოეყენებინა მიზნის მისაღწევად (აპ. როდ. არგ. III. 475-480). პელევსი იასონს ურჩევს გამოიჩინოს სიფრთხილე და ძალ-ღონე მოიკრიბოს, თუკი სურს, რომ დაამარცხოს ცეცხლისმფრქვეველი ხარები (აპ. როდ. არგ. III. 509-510).

იასონს ირიბად ახასიათებს ავტორი, როგორც ახალგაზრდა კაცს. საერთო ხაზგასმა ახალგაზრდას ასაკზე ეპიკურ პოემას განსაკუთრებულობას სძენს. იასონის ხასიათი მაშინვე ვლინდება, როცა ის პირველად ჩნდება და ის ცდილობს დააცხროს მისი მწუხარება და დამამშვიდებელ სიტყვებს ამბობს. მისი ტაქტიკა და დიპლომატია არის შემგუებლური ადამიანის დამახასიათებელი თვისებები: მისი მიზანიც მიიღწევა გარკვეული მანიპულაციებით. მთელი პოემის განმავლობაში ხაზი ესმის იასონის საუბრის მანერას : „მასზე ჭკვიანური სიტყვებით გაიმარჯვა“ (აპ. როდ. არგ.

III. 946).

თუმცა ღმერთებმა გადაწყვიტეს იასონს დახმარებოდნენ და მედეას მისი სიყვარული ჩაუნერგეს, მაინც თვალში საცემია იასონის აქტიურობა. მან გამოიყენა გარკვეული ხერხები მედეას გულის მოსაგებად, სადაც მისი განათლებულობა გამოვლინდა. იასონი მას არგუნენტირებულად უხსნის, თუ რატომ უნდა დაეხმაროს იასონს: 1. მისი წყალობით გამარჯვებული რომ დაბრუნდება ელადაში, მთელს ელადას მოეფინება მისი დიდება. 2. მედეას წყალობით, შესაძლებელია, მამაც გმირთა დედების ურვას და დარდს ბოლო მოეღოს, რასაც ისინი უცილებლად დაუფასებენ მას; 3. თვით ჰელიოსის ასულის ნაშობმა არიადნემაც ხომ დაიხსნა სასტიკ ბრძოლაში გმირი თეზევსი და შემდგომ, გაჰყვა მას. ამის შემდეგ იასონი ავლენს ქალის ფსიქოლოგიის კაგრად ცონდნას, ის აქებს ქალის მშვენიერებას: „შენს გარეგნობას თუ ვერწმუნებით, გექნება თბილი, კეთილი გული“ (აპ. როდ. არგ. III. 1006). მედეა განსაკუთრებით მოხიბლა ამ შექებამ: „შვებით აუვსო შექებამ გული, ასწია თავი, გმირს გაუცინა“ (აპ. როდ. არგ. III. 1010). მან აიღო ჯადო-წამალი და გაუწოდა იასონს, ასევე მზად იყო გულიც ამოეგლიჯა და მიეცა ეზონის შვილისათვის, თუკი ის ამას მოისურვებდა. მედეა მოხიბლა როგორც იასონის ფიზიკური მონაცემებით, ისე მისი მჭევრმეტყველებით: „ჯერ იაზონის სილამაზითა და მერე სიტყვით მოთაფლულითა“ (აპ. როდ. არგ. III. 1141).

იასონს აშკარად ეტყობა ლოგიკის კარგად ცოდნა. ის ცდილობს, ლოგიკური მსჯელობის გზით, დაუმტკიცოს თანაგუნდელებს საკუთარი აზრის სისწორე. ის ცდილობს, მსჯელობით მოაგვაროს საქმე: „ხშირად რბილი და კეთილი სიტყვით მოგვარებულა საქმე ისეთი, რაც ქედმაღლური ქიშპით და ბრძოლით ძალზე ძნელად თუ მორიდებოდა“ (აპ. როდ. არგ. II. 188 – 190). მას სჯერა სიტყვის ძალის და ცდილობს მეფის გული „კეთილი სიტყვით“ მოინადიროს (აპ. როდ. არგ. II. 180). არგონავტებიც ამავე აზრის არიან, მათაც სწამთ, რომ მოლაპარაკებით შესაძლებელია ნებისმიერი საქმის მოგვარება და „ერთიც არავინ გამოჩენილა წინ აღდგომოდა გონივრულ განსჯას“ (აპ. როდ. არგ. III. 195). არგოსი მიმართავს თანაგუნდელებს: „ხშირად მოცდა და თავშეკავება, სჯობს განუსჯელად თავის დაღუპვას“ (აპ. როდ. არგ. III. 527).

იასონი ამ პრინციპით მოქმედებს მედეასთან მიმართებაშიც. ის ცდილობდა „ქალის გული მაამებელი სიტყვით მოეგო“ (აპ. როდ. არგ. III. 1111).

სხვადასხვა ცოდნითა და უნარით არიან გამორჩეული არგოს წევრები. ორფევსი ამშვიდებს გმირებს ჯადოსნური სიმღერით. მას აქვს განსაკუთრებული მიმზიდველობა. აპოლონიოსი მისი კატალოგის აღწერას იწყებს ორფევსზე საუბრით და ამბობს, რომ მას პირველი ადგილი ენიჭება სიმღერაში. კენტავრ ქირონის რჩევით, ის იასონმა წაიყვანა კოლხეთს სალაშქროდ (აპ. როდ. არგ. I. 24-34). „ორფევსმა მარცხენა ხელი ჩაავლო თავის ხმატკბილ კითარას” (აპ. როდ. არგ. I. 492-493).

ტიფისს ტოლი არ ჰყავდა „ამინდის მეცარს ზღვის მღელვარების გამოცნობაში” (აპ. როდ. არგ. I. 107-110). მზის და ვაარსკვლავთა სრბოლის მიხედვით, მას შეეძლო გამოეცნო მოსალოდნელი ამინდი.

მელანპუსი ფრინველთა ენის მცოდნე იყო (აპ. როდ. არგ. I. 121). არგოს წევრი იდმონი კი უცნაური უნარითაა გამორჩეული: მას ფრინველთა ფრენით შეუძლია განჭვრიტოს ბედი (აპ. როდ. არგ. I. 141-148).

აქვე გამოჩნდა მძლე პოლიდევეკე სწორუპოვარი ცხენოსნობაში (აპ. როდ. არგ. I. 148-150). ლინკევსს კი შეეძლო „თვით მიწის გულიც რომ განეჭვრიტა ყოვლის მხილველი ფხიზელი მზერით” (აპ. როდ. არგ. I. 157-159).

კითარაზე უკრავს ეაგრეს სახელოვანი შვილი, რომელიც გმირებს ართობს (აპ. როდ. არგ. I. 567-570). ასევე, გარკვეული განსწავლულობა შეინიშნება იმ ტომებში, რომელთაც ესტუმრნენ არგონავტები. ხალიბთა ტომები რკინა-ფოლადის ოსტატები არიან (აპ. როდ. არგ. II. 377). მოსინიკების ტომი კი განთქმულია სახლების მშენებლობით. მათ აქვთ შემუშავებული თავიანთი მშენებლობის სტილი, რაც გამოარჩევს მათ ყველა დანარჩენი ტომებისაგან: „მორების კოშკებს აგებენ მტკიცეს” (აპ. როდ. არგ. II. 381). მათ სახლებს „მოსინებს” უწოდებენ და სწორედ აქედან მოდის მათი სახელწოდება „მოსინიკები”. რა თქმა უნდა, ამ დონის მშენებლობა გარკვეულ საინჟინრო განათლებას (გაანგარიშებებს, პროპორციების, არქიტექტურისა და დიზაინის ცოდნას) მოითხოვს, რაც, სავარაუდოდ, მიღებული ექნებოდათ მათ.

აპოლონიოსი ახსენებს ქადესიელთა ტომს, რომელთა ქალებიც შუბის სროლაში არიან დახელოვნებულები (აპ. როდ. არგ. II. 1000).

ასევე, „არგონავტიკიდან” ვგებულობთ, რომ ხალიბთა ტომი მადანის მოპოვებითაა დაკავებული, რასაც ხორბალში ცვლიან, რითაც ისინი იკვებებიან. აქ საყურადღებოა, გაცვლა-გამოცვლის უნარ-ჩვევები, რაც ეკონომიკის დარგში კომპეტენტურობაზე მიუთითებს (აპ. როდ. არგ. II. 1005-1010).

ზოგადად, ანტიკური ეპოსის გმირები დაჯილდოვებული არიან მაღალზნეობრივი თვისებებით და ამიტომაც, ანტიკურ რომაულ საგანმანათლებლო სივრცეში ეპოსს ცენტრალური ადგილი ეჭირა. ეპიკური პოემები რომაელ პედაგოგებს უიოლებდა მიზნის მიღწევას. სწავლობდნენ რა ეპიკურ ნაწარმოებებს, მოსწავლეებში თანდათანობით ფესვს იდგამდა ადამიანური ღირსებები, რითაც შემკობილნი იყვნენ თავად პერსონაჟები. რომაელ პედაგოგებს ღრმად სწამდათ მაგალითის ძალის და ამიტომაც, ისინი თავდაუზოგავად თარგმნიდნენ ბერძნულ ეპიკურ ნაწარმოებებს და ქმნიდნენ ახალ ნიმუშებს სპეციალურად საგანმანათლებლო დანიშნულებით. თავდაპირველად ეს ეპიკური პოემები შეიქმნა იმ მიზნით, რომ ახალგაზრდა რომაელები ღირსეულ მოქალაქეებად ჩამოეყალიბებინათ, თუმცა ამ შედეგებმა, მაღალი ლიტერატურული ღირებულებების გამო, შეიძინა მსოფლიო აღიარება და დღესაც კი ემსახურება ნებისმიერი ეროვნების ადამიანის ინტელექტუალური დონის ამაღლებას.

სტაციუსმა გამოაქვეყნა „თებაიდი“ ახ.წ.ა. 92 წელს, დომიციანუსის მმართველობის ხანაში და იმედოვნებდა, რომ მოიპოვებდა წარმატებას მისი ეპიკური ნაწარმოებით და დაიმკვიდრებდა ადგილს საგანმანათლებლო სფეროში. ანტიკური ეპოქის ეპიკოსების სიაში სტაციუსი არც პირველი იყო და არც უკანასკნელი, რომელთაც საპატიო ადგილი დაიმკვიდრეს ანტიკურ საგანმანათლებლო სისტემაში (მალამუდი 1995: 194-5). სვეტონიუსის ცნობით, რომის გრამატიკული სკოლები სათავეს იღებენ ლივიუს ანდრონიკუსისა და ენიუსისაგან. ორივე მათგანი ასწავლიდა ბერძნულსა და ლათინურს არისტოკრატების ოჯახებში. ლივიუს ანდრონიკუსმა შექმნა ჰომეროსის „ოდისეას“ ლათინური ვერსია, რომელიც ჯერ კიდევ იკითხებოდა ჰორაციუსის ახალგაზრდობაში (ჰორაციუსი, ეპ. 2.1.69-71). თუმცა პირველი ლათინური ჰექსამეტრული ეპიკური ნაწარმოები იყო ენიუსის „ანალები“, რომელმაც მის ავტორს მიანიჭა Homerus alter-ის წოდება და განაპირობა რესპუბლიკის პერიოდში ენიუსის პირველობა საგანმანათლებლო სფეროში (ციცერონი. ორატ. 109; ჰორაციუსი. ეპ. 2.1. 50, სენეკა. ეპ. 108.34).

ენიუსის „ანალები“ მისი გარდაცვალების შემდგომაც გამოიყენებოდა სახელმძღვანელოდ. ძვ.წ.ა. II საუკუნის პირველ ნახევარში უკვე გამოჩნდა კომენტარები „ანალებზე“ (სკუჩი 1985: 8-9). „ანალები“ ინარჩუნებდა პირველობას

ლათინურ კურიკულუმში ადრეული პრინციპატის ხანამდე, ანუ როცა ვერგილიუსის „ენეიდა“ შეიქმნა, როგორც ნაციონალური ეპოსი (მაროუ 1956: 252; ბონერი 1977: 213-214). თუმცა, ფლავიუსის პერიოდშიც კი, დიდი რომაელი განმანათლებელი და რიტორი კვინტილიანუსი ენიუსს მოიხსენიებს, როგორც რომაული ეპიკური პოეზიის პირველ წარმომადგენელს და „ანალებს“ მიიჩნევს საუკეთესო სახელმძღვანელოდ (კვინტ. დარიგ. მჭევრ. 10.1. 88).

თავდაპირველად რომაელებისათვის ეპიკური პოეზიის დანიშნულება იყო სასწავლო პროგრამაში მისი ჩართვა. სწორედ ამ მიზნით მოხდა ბერძნული ეპოსის თარგმნა ლათინურ ენაზე. როგორც გრამატიკულ, ისე რიტორიკულ სკოლებში ეპიკური პოეზია მოიაზრებოდა მაღალი კულტურული ღირებულების მაგალითების საცავად, რომლის სრულფასოვნად დაუფლებაც ახალგაზრდებს გზას უკვლევდა მაღალი სოციალური და პოლიტიკური მწვერვალებისაკენ (მაროუ 1956; 310-312; ბოგლარი 1945: 13-45; კასტერი 1988; ჰარისი 1989). რომაელის „კულტურული კაპიტალის“ მთავარ შემადგენელ კომპონენტს წარმოადგენდა რომაული ეპოსის ცოდნა (ბორდიე 1990: 124-125).

რადგანაც ეპოსში მრავლადაა სამაგალითო პერსონაჟები, რომლებიც გამოირჩევიან სიმამაცით, ვაჟკაცობით, პატრიოტიზმის გრძნობით, ერთგულებით, თავდადებით, გონებაგამჭრიახობით და სხვა მრავალი დადებითი თვისებით, ამიტომ რომაელი მასწავლებლები ფიქრობდნენ, რომ სწორედ ეპოსის შესწავლით უნდა დაწყებულიყო ახალგაზრდა რომაელების სწავლა-განათლება, რადგანაც პერსონაჟთა საქციელი თავისდაუნებურად გადავიდოდა მოსწავლეებზე. საგმირო ეპოსი ვაჟებში მამაკაცურ ღირსებებს გააღვივებდა და მტკიცე ხასიათს ჩამოუყალიბებდა მათ (კვინტ. დარიგ. მჭევრ. 10. 1. 88).

სენეკა უფროსი გადმოგვცემს, რომ კასიუს სევერუსი, ადრეული იმპერიის პერიოდის რომაელი ორატორი, რიტორთა სკოლას გლადიატორთა სკოლას ადარებდა (სენ. კონტრ. 3.ფრ. 13). ასევე ის რიტორთა სკოლასა და სადეკლამაციო დარბაზს ადარებდა გლადიატორებისა და თეატრალურ შერჯიბრებებს (4.ფრ.1), ხოლო კვინტილიანუსი ორატორის წვრთნას სამხედრო წვრთნას ადარებს: „დაე, ორატორს ჰქონდეს ენერგიული და მამაკაცური (uirili) დგომა, რომელიც მას სასცენო ხელოვნებიდან კი არ შეუთვისებია, არამედ სამხედრო (ab armis) ხელოვნებიდან“ (კვინტ. დარიგ. მჭევრ. 1.11. 18). რომაელი ორატორები ქებით მოიხსენიებდნენ

ორატორის უფროსი სენეკას მიერ შემოთავაზებულ განსაზღვრებას: „ორატორი, არის ღირსეული კაცი (iur bonus) დახელოვნებული საუბარში ” (სენ. კონტრ. 1 ფრ. 10)¹⁰. აქედან კარგად ჩანს, რომ ადრეული იმპერიის ხანაში წარმატებული ორატორის სახეში მოიაზრებოდა უპირველეს ყოვლისა კარგი მამაკაცური თვისებების მქონე ადამიანი და შემდგომ უკვე მისი საუბრის უნარ-ჩვევები (რიხლინი 1992).

კვინტილიანუსი აღნიშნავს, რომ ჰომეროსსა და ვერგილიუსს უდიდესი წვლილი მიუძღვით ორატორების ჩამოყალიბებაში (კვინტ.დარიგ. მჭევრ. 10.1.46-51). რიტორთა სკოლებში ასევე ისწავლებოდა სენტენციები (Sententiae) (სენტენციების შესახებ დაწვრილებით იხ. სინკლერი 1995). ორატორები იზეპირებდნენ უამრავ სენტენციას, რათა საუბრის დროს გონებაში სწრაფად ამოტივტივდებოდათ დაზეპირებული ფრაზები და მათ გაბმულ მეტყველებას მეტ ელფერს ჰმატებდა. ავგუსტუსის ეპოქაში მეტად გავრცელებული იყო დეკლამაციებში „ენეიდადან” და „მეტამორფოზებიდან” ამონარიდების ჩართვა. ასევე სენეკას ცნობით, ოვიდიუსის ეპიგრამებიც მრავლად გამოიყენებოდა ორატორთა სიტყვებში (სენ. კონტრ. 7.1.27, 10,4,25).

ტაციტუსი გადმოგვცემს, რომ ვერგილიუსი, ლუკიანუსი და ლუკრეციუსი დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ ორატორთა წრეში (ტაც. დიალ. მჭევრ. შეს. 20.5-6, 23.2).

ეპიკური პოეზია რომაული განათლების სისტემაში გამოყენებული იყო, როგორც ახალგაზრდებში მაღალი ღირსებების ჩამოყალიბების საშუალება.

ვერგილიუსის „ენეიდას” პირველ ნაწილში ენეასი იჩენს მრავალ ღირსებას: თანადგომას, მეგობრობას, სიყვარულს, თავდადებას (ვერგ. ენ. I.220, 459, II.790, III.709, IV.393-95, V.869, VI.133, 332, 455, 476). ენეასის სახის უკეთ წარმოსაჩენად, მას მწერალმა დაუპირისპირა ტურნუსი, რომელიც სრულიად კონტრასტული პერსონაჟია. ის ისეთივე ძლიერი და მამაცია, როგორც ენეასი, თუმცა, ენეასისაგან განსხვავებით, მას არ გააჩნია სიბრძნე და თავდაჭერილობა. ენეასი იდეალური მეზრძოლია, თუმცა ვერგილიუსი მას წარმოგვიდგენს, როგორც იდეალურ კაცს. ის არის პოეტის თანამედროვეობის ეთიკური პირმშო. ენეასის სახელი, ასევე, მნიშვნელოვანია იმით, რომ ის არის კარგი ლიდერი. ლიდერის თემა დიდ ინტერესს

¹⁰ თარგმანი ჩემია. ვ.წ.

იწვევდა ანტიკურობაში. ძველბერძენი და რომაელი ისტორიკოსები და ბიბლიოგრაფები - ჰეროდოტესი, თუკიდიდესი, ქსენოფონოსი, პლუტარქოსი, სალუსტიუსი, ლივიუსი, ტაციტუსი, სვეტონიუსი და ამიანუსი ყურადღებას ამახვილებდნენ ინდივიდ ლიდერებზე. ასევე, პლატონი და არისტოტელეც, ისევე როგორც ისოკრატესი და ციცერონი, ლიდერის თემას განიხილავენ, როგორც ფენომენს.

პოემის „ენეიდა“ ცენტრალური ფიგურა ენეასი აღჭურვილია ყველა იმ თვისებით, რომელიც უნდა ჰქონდეს ტომის მეთაურს. იგი ხვდება, რომ ტროა დაეცა, ბრძოლას აზრი აღარ აქვს და მამას, ანქიზეს სთხოვს, რომ ტროა დატოვონ და მდგომარეობიდან გამოსავალი ეძიონ. მამა უარს აცხადებს, რომ წაჰყვებს შვილს. ენეასი არ ტოვებს მამას და, ღვთაებათა ნებით, იძულებულია სამშობლოდან გაიქცეს. მართალია, ენეასის გადმოხვეწა იტალიაში ღვთაების ნებით ხდება, მაგრამ თვით ენეასი როდია ღვთაების ბრმა იარაღი. მას შეგნებული აქვს ის დიდი მისია, რომელიც დაკისრებული აქვს საკუთარი ტომისა და შთამომავლობის წინაშე. ამიტომ ყველა მისი ნაბიჯი მიზანსწრაფული და მოფიქრებულია (თუ არ ჩავთვლით დიდოს სიყვარულს, რომელმაც კარგა ხანი მოაჯადოვა ენეასი). იგი არ ცდილობს იტალიაში ცეცხლითა და მახვილით შეჭრას. პირიქით, ეძებს მოკავშირეებს, რათა მშვიდობიანად აღასრულოს ღმერთების ნება. მაგრამ, როცა ბრძოლა აუცილებელი ხდება, ენეასი დაუნდობელია მტრების მიმართ (მაიკლი 1995: 56–57).

ენეასი კარგი ლიდერია, მას შეუძლია მისი ორატორული ხელოვნებით დაიმორჩილოს გუნდი. აღსანიშნავია მისი მოწოდებები, რომლითაც ის ამხნევებს ტროელებს და მოუწოდებს, გაჰყვანონ მას. მისი მსჯელობა არგუმენტირებულია, იმედისმომცემია და დაანახებს მათ, რომ ეს მათ გამოუვათ, რადგანაც ამგვარი გასაჭირი მანამდეც ჰქონიათ, რომელიც მათ დაუძლევიათ (ვერგ. ენ. I. 198-207).

ენეასმა მოახერხა დიდოს მოხიზვლა, რომელსაც გადაეწყვიტა, მამაკაცი არ შეყვარებოდა. დიდო იმდენად მოიხიზლა ენეასით, რომ „ღვთის ნაშობად მიიჩნია“ (ვერგ. ენ. IV. 12)¹¹. მაშინვე შეირყა დიდოს მტკიცე გადაწყვეტილება მამაკაცთან კავშირის არდამყარებასთან დაკავშირებით (ვერგ. ენ. IV. 15-19). დიდო განაცხადებს, რომ ენეასი გამორჩეული ადამიანია, ის განსაკუთრებული მამაკაცია, რომელიც

¹¹ ციტატები ვერგილიუსის „ენეიდადან“ მომყავს რომან მიმინოშვილის თარგმანის მიხედვით (1976).

სხვებს არ ჰგავს: „მხოლოდ მან შეძლო ჩემი გრძნობის შემობრუნება, / სულის აღზნება”(ვერგ. ენ. IV. 22-23).

დიდოს იმდენად მოეწონა ანქიზეს ვაჟი, რომ მზადაა დარჩენილი სიცოცხლე მასთან ერთად გაატაროს. თუმცა, ენეასს არ აქვს მასთან დარჩენის უფლება, მან ღვთაებრივი მისია უნდა აღასრულოს. ენეასის განსწავლულობა კარგად ჩანს მაშინ, როცა ის უსაბუთებს დიდოს მისი წასვლის აუცილებლობას. მისი მსჯელობა გამყარებულია შემდეგი არგუმენტებით: 1. მას არ ავიწყდება დიდოს პატივისცემა და არ უფულებელყოფს მას, პირიქით, სიკვდილის ბოლომდე ემახსოვრება: „დედოფალო, მე ვერ უარვყოფ შენს მადლს” (ვერგ. ენ. IV. 334); 2. ის ამ კუნძულზე არ მოსულა დიდოსთან დასაქორწინებლად: „არ გეგონოს, იმედი მქონდა უჩუმრად ლტოლვილს, საქორწინო შანდალს ვესწრაფე” (ვერგ. ენ. IV. 337-338); 3. ბედი არ აძლევს მას უფლებას, იცხოვროს მისი ნებით: „ბედმა რომ მომცეს ჩემი აზრით ცხოვრების ნება...” (ვერგ. ენ. IV. 340); 4. თუ არა აღასრულა დაკისრებული მისია, მამა ანქიზე მოევლინება და შეაშფოთებს ზმანებით: „მომევილინება, შემაშფოთებს ხოლმე ზმანებით” (ვერგ. ენ. IV. 353); 5. და ბოლოს, ენეასს სურს, რომ მის შვილს დაუტოვოს სამშობლო: „ასკანიუსსა, პირმშოს ძვირფასს, ხომ დავუკარგავ სანუკვარ ველებს და სამეფოს ჰესპერიისა” (ვერგ. ენ. IV. 354-355).

ენეასს დიადი გრძნობა გააჩნდა დიდოს მიმართ. თუმცა, მას მისი სულიერი სიმტკიცე არ აძლევდა იმის საშუალებას, რომ გრძნობებს აჰყოლოდა (მაიკლი 1995: 78). ანქიზეს ვაჟმა მოახერხა, დაეძლია ეს გრძნობა. ვერგილიუსი გვეუბნება, რომ ენეასი გამორჩეულია გონიერებით. ის ბრმად კი არ მორჩილებს ღვთის ნებას, არამედ, თვითონ ეძიებს პრობლემების მოგვარების ახალ-ახალ გზებს: „ბორგავდა გმირი ენეასის მკვირცხლი გონება/ სხვადასხვა გზის და ამოცანის გადასაწყვეტად” (ვერგ. ენ. IV. 285-286).

ენეასი კარგი ლიდერია. ის რჩევებით ამარაგებს ტროელებს, რომლებიც მორჩილებენ მას: „ყველამ სიამით მიიღო მისი ბრძანება და საქმეს შეუდგა” (ვერგ. ენ. IV. 294-295).

ენეასი თავადაც განათლებულია და იცის, რომ განათლებული ადამიანია საჭირო მოლაპარაკებების საწარმოებლად. მის გუნდში მრავლად არიან ორატორები, რომელთაც ის იყენებს საჭიროების ჟამს. მან მთელი რაზმიდან ასი რჩეული ორატორი გამოყო და ლატინუსთან გააზავნა (ვერგ. ენ. VII. 152-154).

ხოლო ყველაზე გადამწყვეტ მომენტში, მას თავის მჭერმეტყველებისა და გონიერების იმედი ჰქონდა. ის თავად მიეახლა მეფე ევანდერს, არკადთა მეფეს. ის ჯერ ხოტბა- დიდებით შეამკო, შემდეგ ნათესაური კავშირი მოაგონა მას (ვერგ. ენ. VIII. 127-146). ენეასმა მოახერხა მისი განსწავლულობის წყალობით, მეფე მოეჯადოვებინა და კეთილად განეწყო მის მიმართ. ანქიზეს ძე მიიპატიჟეს და ძღვენით აავსეს (ვერგ. ენ. VIII. 175-183).

ენეასს, ასევე, გააჩნია პასუხისმგებლობის გრძნობა: „სათნო ენეასს საზრუნავი არ ასვენებდა” (ვერგ. ენ. X. 217).

ამკარაა, ვერგილიუსის დაინტერესება ახალგაზრდებით: მას უყვარდა ისინი, და ისე როგორც ავგუსტუსი, ის მათში ხედავდა რომის მომავლის იმედს. „ენეიდას” გმირი მეომრები – ასკანიუსი, პალასი, ნისუსი, ევრიალუსი, ლავსუსი – არიან გმირი მეომრები. ისინი ძალიან გვანან ერთმანეთს: იდეალური ტიპის იმედისმომცემი, ამბიციური ახალგაზრდები, რომლებიც მზად არიან გაუმკლავდნენ ნებისმიერ საფრთხეს. ბუნებრივია, ახალგაზრდებში ასეთი ტიპის გმირები იწვევენ დადებით ემოციებსა და მიბაძვის სურვილს.

ვერგილიუსის „ენეიდა”, რომელიც, შეიძლება ითქვას, რომაელთა „დედაენას” წარმოადგენდა, არა მარტო მითოლოგიურ ისტორიულ-სიმბოლიკური, არამედ მორალური დატვირთვის მქონე ტექსტია. ვერგილიუსის ამ უკვდავ პოემაში მრავალი მორალური საკითხია ხაზგასმული: სახელის მოხვეჭა; რომის პოლიტიკური და სამხედრო ეთოსის ცენტრალური მნიშვნელობა; ადამიანის შესაძლებლობა - შეებრძოლოს მის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას; ადამიანის ფსიქოლოგიას, მდგომარეობასა და ქცევას შორის ურთიერთმიმართება; ადამიანური მისწრაფების პარადოქსი, ადამიანური იდეალების დეკუმანიზაცია.

ოვიდიუსის „მეტამორფოზებში” დამუშავებულია 250-მდე მითოლოგიური თქმულება. ოვიდიუსის მიერ პოეტურად დამუშავებული ყოველი მითის ფინალური ნაწილია ადამიანის გარდასახვა ახალ სულიერ სხეულად ან უსულო საგნად (მიმოხილვისათვის იხ. ურუშაძე 1980: 5–36). ასეთი გარდასახვა თეორიულად გამაგრებულია პითაგორას მოძღვრებით სულთა გადასახლების თაობაზე, რაც XV წიგნის დასაწყისშია გადმოცემული (ოვიდ. მეტ. XV. 60-73). ოვიდიუსს ამით უნდოდა ეთქვა, რომ მის მიერ მონათხრობი მხოლოდ მითში არსებული ზღაპრული ისტორიები კი არაა, არამედ მათ სერიოზული მეცნიერული დასაბუთება

მოეპოვებათ.

მინდა ყურადღება შევაჩერო „მეტამორფოზების“ VI თავზე, სადაც გადმოცემულია მითი არაქნეს შესახებ, რომელმაც სახელი გაითქვა თავისი ხელოვნებით: „თავად არაქნემ სიბეჯითით, გულმოდგინებით/ ლიდის ქალაქი დაიმკვიდრა დიდი სახელი“ (ოვიდ. მეტ. VI. 11-12)¹².

არაქნე გაწაფულია ხელსაქმეში და ამას ის აკეთებს არა მოყვარულის, არამედ პროფესიონალურ დონეზე, რაც ჩემი აზრით, აუცილებლად სპეციალური წვრთნის შედეგად აქვს მიღებული. მასთან ხშირად მიდიოდნენ ნიმფები, რომ დამტკბარიყვნენ მისი საოცარი ხელსაქმის ცქერით (ოვიდ. მეტ. VI. 14-15).

არაქნე დახელოვნებული იყო მატყლის დამუშავებასა და ქსოვაში და ამას ისე ორიგინალურად აკეთებდა, გეგონებოდათ თვით პალასი იყო მისი მასწავლებელი (ოვიდ. მეტ. VI. 18-24).

საინტერესოა ის ფაქტი, რომ არაქნე არა მხოლოდ ხელსაქმეშია დახელოვნებული, ის გონებრივადაც განვითარებულია, რაც მას ძალიან ეამაყება. როდესაც მას დედაბრის სახით პალასი გამოეცხადება და ურჩევს შეეჯიბროს პალასს, არაქნე პასუხობს, რომ არ სჭირდება სხვისი ჭკუის დარიგება, რადგანაც მასაც საკმაო ჭკუა-გონება გააჩნია და თვითონ გადაწყვეტს როგორ მოიქცეს. არაქნეს საუბარი განათლებული ქალის საუბარს მოგვაგონებს (ოვიდ. მეტ. VI. 37-41).

არაქნეს განათლება ასევე ჩანს მის მიერ მოქარგულ ნამუშევრებში, როცა ის უკვე თავისი სახით გამოეცხადებულ პალასს შეეჯიბრა ქსოვაში. გარდა იმისა, რომ მის მიერ მოქარგული სურათები ძნელი გასარჩევი იყო ნამდვილისაგან, რაშიც მისი ოსტატობა ვლინდება, არაქნე ასევე ავლენს დიდი ფაქტობრივი მასალის ფლობას. მეონიელმა ქალმა მოქარგა ევროპე და ხარი; არწივს შებმული ასტერიე; გედის ფრთით დაფარული გედი; იუპიტერმა ვით აავსო ნიქტეისი ორი ნაყოფით; ტირინთია; დანაე; როგორ მოხიბლა მწყემსმა მაკარეისი; ლიბერმა ყურძნით ერიგონე ვითარ აცდუნა; სატურნუს-ცხენმა ვით დაბადა ორთავა ქირონი და სხვა. მან ეს ყველაფერი შეასრულა ისე მაღალმხატვრულად, რომ „არც შურს ძალუძდა და არც პალასს მისი გაკიცხვა“ (ოვიდ. მეტ. VI. 129). პალასმა არაქნე მასთან გაჯიბრებისთვის დასაჯა და ობობად აქცია.

„მეტამორფოზებში“ თავისი ხელოვნებით განთქმულია დედალუსიც,

¹² ციტატები ოვიდიუსის „მეტამორფოზებიდან“ მომყავს ნ.მელაშვილის, ნ.ტონიას, ი.განაყარიძის მიხედვით (1980).

როგორც საუკეთესო მშენებელი, რაც აუცილებლად მიუთითებს მის განსწავლულობაზე. მინდა ყურადღება შევაჩერო მის გამოგონებაზე. ის ამბობს, რომ ზეცა ხსნილია და ადამიანს ძალუმს იმოგზაუროს ჰაერში: „მიწათა დამაბრკოლონ და თუნდაც წყალთა, / ზეცა ხსნილია” (ოვიდ. მეტ. VIII. 185-186).

თუმცა, მის მიერ გამოგონილი ფრენის საშუალება ზღაპრულია და რეალობას მოკლებულია მისი ეფექტური მუშაობის პრინციპი, თუმცა ფაქტია, რომ ადამიანის ჰაერში მოგზაურობის იდეა დიდი ხნის შემდგომ რეალიზებულ იქნა. დედალუსის მიერ ასეთი თამამი განცხადება ადამიანის ჰაერში გაფრენის შესახებ, შესაძლოა, დიდ მეცნიერულ მიგნებად მივიჩნიოთ, მაშინ როცა ყველა თვლიდა, რომ „ზეცად ნავარდი მხოლოდ ღმერთთა ძალუძით” (ოვიდ. მეტ. VIII. 220).

„მეტამორფოზებში” მინდა, ასევე, ყურადღება გავამახვილო პიგმალიონის ოსტატობაზე. მას სპილოს ძვლის დამუშავება შეუსწავლია და ამას პროფესიონალურ დონეზე დაუფლებია: „იმხანად სპილოს ძვალსა თლიდა, სპეტაკს, საოცარ / ხელოვანებით: სახე შექმნა ქალის უბადლო / და შეძრულ იქნა სიყვარულით მისივე ქმნილების!” (ოვიდ. მეტ. X. 247-249).

პიგმალიონის პროფესინალიზმში ვრწმუნდებით მისივე განცდებიდან. მას ვერ გაურკვევია, მის მიერ შექმნილი სპილოს ქანდაკება ნამდვილია თუ არა (ოვიდ. მეტ. X. 253-256).

წარმოუდგენელია, ამგვარად დახლოვდება სპეციალური განათლების მიღების გარეშე. ალბათ, არსებობდა სპეციალური სასწავლებელი, სადაც სხვა მრავალ ხელოვნებასთან ერთად, სპილოს ძვალზე მუშაობასაც ასწავლიდნენ შეგირდებს.

როგორც ვნახეთ, ანტიკურ ეპოქებში ყველა პირობა იყო ცოდნის შეძენისათვის; მათში ცხოვრობდნენ განათლებული ეპიკოსები, რომლებიც თავიანთ ცოდნასა და ინტელექტს დიდი დოზით დებდნენ მხატვრულ პერსონაჟებში. ეს მჟღავნდება გმირების უნარ-ჩვევებში, სხვადასხვა ტიპის ინტელექტში, მრავალ სფეროში მათი განსწავლულობით. ეს, რა თქმა უნდა, ბევრ სხვა რამესთან ერთად, მეტ ხიბლს სძენდა გმირებს. საინტერესოა, რომ მხატვრულმა პერსონაჟებმა გაუძლეს ჩვენს თამამ ექსპერიმენტს – თანამედროვე სტანდარტითა და საზომებით დაგვედგინა მათი განათლებულობის ხარისხი. სწორედ ამის გამოა, ჩემი აზრით, რომ ანტიკურმა ეპოსმა შეინარჩუნა აქტუალობა საუკუნეების განმავლობაში და დღესაც გვხიბლავენ ეპიკური პერსონაჟები მრავალი რამით, მათ შორის, თავიანთი განსწავლულობითაც.

თავი III. სწავლა-აღზრდა და ანტიკური ლირიკა

არქაიკაში ხდება მნიშვნელოვანი ცვლილებები, უპირველესად, „პიროვნების გამოღვიძება“, რასაც შედეგად მოჰყვა ლირიკის განვითარება.

ლიტერატურათმცოდნეები მიიჩნევენ, რომ ლირიკული ტექსტები უნდა დავახასიათოთ მხოლოდ ნიშანთა ერთობლიობის საშუალებით. ესენია: ა) მუსიკასთან და ცეკვასთან სიახლოვე; ბ) მეტრულ-რიტმული და ფონეტიკური სტრუქტურირება (სტრიქონი, სტროფი, რითმა ან რიტმი); გ) რელიგიური, სოციალური, პოლიტიკური ფუნქცია (ქება/ჩივილი); დ) სიმოკლე და შეკრულობა (მაგ. ე. ა. პო და ე. პაუნდი); ე) სურათოვნება (უ. კილი); ვ) ენთუზიასტური პოეტური სახე; ზ) სუბიექტურობა; თ) რეფლექსიურობა (შდრ. გორდეზიანი 2009: 168; აგრეთვე DNP 15/1, 246 შმდ.).

ამ თანამედროვე კრიტერიუმთა გათვალისწინება ბერძნულ პოეზიასთან მიმართებაში, გარკვეულწილად, პირობითი იქნება, რადგან ანტიკური ლიტერატურის სპეციალისტები ლირიკად მიიჩნევენ მთელ ბერძნულ პოეტურ პროდუქციას, გარდა ჰექსამეტრული საზომით გამართული ნაწარმოებებისა და დრამისა. მაგრამ თუ მაინც შევეცდებით ამ ნიშანთა განზოგადებას, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჩემთვის საინტერესო საკითხთან მიმართებაში ანტიკურ ლირიკას შეეძლო საკმაოდ კარგი მასალის მოწოდება. თუმცა, ისე როგორც ყველა დანარჩენ შემთხვევაში, აქ პრობლემას ქმნის: 1. ჩვენამდე მოღწეულ ლირიკულ ნაწარმოებთა ფრაგმენტულობა, რომელთა გამო, როგორც წესი, ჭირს პოეტთა შემოქმედებაზე სრული წარმოდგენის შექმნა; 2. ამ ლექსებში ბევრი საინტერესო დამუშავდებოდა, მაგრამ ისინი ვერ შემორჩნენ, რადგან მათ ახასიათებდათ მომენტალურობა. ასეთი ლექსები იქმნებოდა სხვადასხვა გარემოებებთან დაკავშირებით, იმპროვიზირებულად და მანამდე იარსებებდნენ, ვიდრე შეეძლოთ შეენარჩუნებინათ აქტუალობა. ამიტომ არავინ ცდილობდა ამ ტიპის ნაწარმოებების მყარ ფიქსაციაზე ეზრუნა. საერთოდაც, კარგა ხანს არ მიიჩნეოდნენ ამ ტიპის ნაწარმოებებს თავისი მნიშვნელობით გამორჩეულ პოეზიად; 3. მოგვიანებით, მთელ ელინურენოვან სამყაროში მოხდა პიროვნულობის და ინდივიდუალიზმის ხარისხის ამაღლება, ემანსიპირებული აზროვნების განვითარება. ასეთ ვითარებაში ადამიანთა ინდივიდუალური განცდებისა და ემოციების გადმოცემისათვის უფრო შესაფერისი

სწორედ მცირე ფორმების პოეზია აღმოჩნდა, მაგრამ ამ ჟანრში მოღვაწე ავტორები (ბერძნებიცა და რომაელებიც), როგორც ჩანს, ნაკლებად დაინტერესდნენ განათლების საკითხებით.

ამგვარად, ანტიკური ლირიკა ჩვენამდე საკმაოდ ფრაგმენტულად არის მოღწეული იმისათვის, რომ ჩემთვის საინტერესო პრობლემის ამ ჟანრში დამუშავების ხარისხი, თუკი ასეთი საერთოდ იყო, დამედგინა, მაგრამ პლატონის „კანონებში“ მოძიებულმა ფრაზამ: „გაუნათლებელ ადამიანში იგულისხმება ადამიანი, რომელიც არასოდეს ყოფილა ლირიკული გუნდის წევრი“ (პლატ. კან. 2. 653–654) მიბიძგა კვლევა–ძიება სწორედ ამ მიმართულებით წარმემართა.

ლირიკულ გუნდებს ხელმძღვანელობდნენ პოეტები და აქ მეცადინეობა უფრო მეტი იყო, ვიდრე ერთი წარმოდგენისათვის მომზადება. ამ ტიპის სწავლების ფორმა და შინაარსი მრავალმხრივი განათლების მიღების (წერა–კითხვის შესწავლის ჩათვლით) იდენტური იყო. სამწუხაროდ, ვერ მოვიპოვე ცნობები, თუ როგორ იყო კურიკულუმში ყველა ეს საგანი განაწილებული, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ლირიკულ გუნდსა და სკოლას შორის არ იყო დიდი განსხვავება (შდრ. კალამე 1997).

გუნდის ხელმძღვანელები ითავსებდნენ გუნდის ინსტრუქტორის, აკომპანიატორის, სიმღერისა და ცეკვის მასწავლებლის, საგუნდო სიმღერებისათვის ლექსების შემთხვევის ფუნქციას. ჩვენამდე მოღწეულ ალკმენეს ორ ფრაგმენტში ლირიკული გუნდის წევრი აქებს ხელმძღვანელს, რომელიც გუნდს მუსიკალურ აკომპანირებას უკეთებს – ერთ შემთხვევაში სალამურით, მეორე შემთხვევაში – ლირით (ალკმ. ფრ. 37, 38). ფრაგმენტები საკმაოდ მოკლეა, თუმცა დაზუსტებულ ინფორმაციას გვაწვდის იმის შესახებ, რომ გუნდს მუსიკალურ აკომპანირებას უკეთებდა პოეტი და მასვე ევალებოდა გუნდის ხელმძღვანელობა. ერთ–ერთ ფრაგმენტში ალკმენე გამოხატავს მწუხარებას იმის გამო, რომ ასაკი აღარ აძლევს საშუალებას, ცეკვაში აუწყოს ფეხი გოგონებს და იხსენებს ახალგაზრდობას, როცა მათთან ერთად ცეკვავდა და თან მუსიკალურ აკომპანირებასაც უწევდა გუნდს (ალკმ. ფრ. 81). ცნობილია, რომ არქილოქოსიც ითავსებდა ლირიკული გუნდის ინსტრუქტორისა და ხელმძღვანელის ფუნქციას. ის თხზავდა ლექსებს გუნდის წევრებისათვის და ცეკვავდა მათთან ერთად (ციმერმანი 1992: 20).

გამოიყოფოდა სამი ძირითადი ასაკობრივი ჯგუფი: ბავშვების, ქალწულების

და შერეული გუნდები (ბრელიხი 1969:45). გუნდის წევრები მუდმივად ემზადებოდნენ წარმოდგენების გასამართად. გუნდი რვა-თხუთმეტი წევრისაგან შედგებოდა. მამაკაცთა გუნდს ხელმძღვანელობდა მამაკაცი, ქალთა გუნდს კი – ქალი, ან მამაკაცი პოეტი, რომელსაც ქორეგოსად მოიხსენიებდნენ. ქორეგოსი აუცილებლად უნდა ყოფილიყო გუნდის წევრებზე უფროსი, ან უფრო მაღალი სოციალური მდგომარეობა ჰქონოდა საზოგადოებაში, ან ირჩეოდა მისი ფიზიკური მონაცემებისა და გარკვეული მიღწევების მიხედვით (კალამე 1997: 66–72). ლირიკული გუნდების მიზანი იყო არა მხოლოდ ის, რომ გუნდის წევრები კარგი მოცეკვავეები და მომღერლები დამდგარიყვნენ, არამედ პირველ რიგში ის, რომ სრულფასოვანი მოქალაქეები აღეზარდათ (კალამე 1997:222).

ყოველწლიურად ასობით ადამიანი იღებდა მონაწილეობას გუნდის ხელმძღვანელის შესარჩევ კონკურსში. სპეციალურად დანიშნულ მდიდარ მოქალაქეებს ევალეობოდათ მათი არჩევა. ასეთ თანამდებობაზე ინიშნებოდნენ მხოლოდ გარკვეული ოჯახის შვილები. გუნდის ხელმძღვანელობა მნიშვნელოვან ფინანსურ უზრუნველყოფასთან ერთად დიდ პრივილეგიებსაც ნიშნავდა. ეს თანამდებობა ძალიან საპასუხისმგებლო და საპატიო იყო. საზოგადოება ძალიან ინტერესდებოდა, ვის აირჩევდნენ ლოტბარად. მომღერალთა გუნდის მომზადების პროცედურები მოიცავდა: გუნდის წევრების, სარეპეტიციო ადგილის, რეპეტიციების პერიოდში საცხოვრებელი ტერიტორიისა და ქორეგოსის შერჩევას, თანხის გამოყოფას საჭიროებათა მიხედვით, კოსტიუმებისა და სხვა აქსესუარების შეძენას გუნდის წევრებისათვის.

ზოგიერთ რაიონში არსებობდა სპეციალური საკლასო ოთახები, სადაც გუნდი მეცადინეობდა. სავარაუდოდ, ხშირად არც იყო განსხვავება „ლირიკულ გუნდსა“ და „სკოლას“ შორის. ძვ .წ. ა. V-IV საუკუნეების ათენში ხშირად გუნდის მუშაობა მიმდინარეობდა ქორეგოსის სახლში, ან სპეციალურად ამისათვის გამოყოფილ ადგილებში, ქორეგიონებში.

ქალთა გუნდებისათვის პოეტები სპეციალურად წერდნენ პართენიებს (ქალწულთა სიმღერებს); პართენიები განსხვავდებოდნენ სხვა საგუნდო სიმღერებისაგან თემატიკით. ისინი სამემსრულებლო ხელოვნებითა და ქალური სინაზით გამოირჩეოდნენ. ქალები პართენიონებს ასრულებდნენ დიდ დღესასწაულებზე, რომელთაც უამრავი ადამიანი ესწრებოდა.

ანტიკურ ბერძნულ ლიტერატურაში არსებობს განათლების მეტაფორული გამოხატვა. ბერძენთა წარმოდგენაში ადამიანის განათლება მეტაფორულად ცხენის გახედვასთან ასოცირდებოდა. ისინი მიიჩნევდნენ, რომ როგორც გახედნილი ცხენი განსხვავდებოდა გაუხედნავისაგან, ისე განათლებული ადამიანი გამოირჩეოდა გაუნათლებელთა შორის. ანუ, ბერძნების აზრით, განათლების მიღებას იგივე ფუნქცია ჰქონდა, რაც ცხენის გახედვას - მოთვინიერებას (დაჭკვიანებას).

ეს მეტაფორა გვხვდება როგორც ეპოსში, ისე დრამასა და პროზაში, მაგრამ უპირატესად, ლირიკაში. ამიტომ საჭიროდ მივიჩნეე ამ თავში რამდენიმე სიტყვით აღნიშნულ საკითხს შევხებოდი. მაგალითად, ცხენს, როგორც განათლების მეტაფორას იყენებს ანაკრეონი. ჩვენამდე მოღწეულ ფრაგმენტებში ახალგაზრდა გოგონებს ანაკრეონი ადარებს კვიცებს. ამით პოეტი ხაზს უსვამს მათ „ველურობას“, დაუმორჩილებლობას, რომელთაც აუცილებლად ესაჭიროებოდათ „მოთვინიერება“, ანუ კარგი განათლების მიღება (ანაკრ. ფრ. 408, 417).

ჯერ კიდევ ჰომეროსთან გვხვდება გოგონას, როგორც მოთვინიერებელი ცხოველის სახე (ჰომ. ოდ. VI. 109, 228). ჰესიოდე აღწერს ერთ-ერთ პერსონაჟს, ბიასისს, როგორც ცხენების მომთვინიერებელს (ίμμοσ) (ჰეს. ფრ. 37.13). სოფოკლეს ტრაგედიაში „ელექტრა“ ორესტესი პროლოგში თავის გამზრდელს მოიხსენიებს, როგორც „კეთილშობილ და კარგად აღზრდილ ცხენს“ (სოფ. ელექტ. 24-25); პლურტარქოსი და ლუკიანოსი განათლების მიღების მნიშვნელობით იყენებენ სიტყვას παλιον, რაც კვიცების მოთვინიერებას ნიშნავს (პლუტ. მორ. 13). პლატონი „კანონებში“ ახალგაზრდა სპარტელებს ადარებს კვიცების ჯოგს (πάλοσς φοιβάς) და ხაზგასმით აკავშირებს ერთმანეთთან ახალგაზრდების განათლებასა და ცხოველთა მოთვინიერებას.

გოგონების შემთხვევაში, მეტაფორა - მოთვინიერება უკავშირდება როგორც განათლების მიღებას, ისე დაქორწინებას (ფრანცისი 1996: 73). ამის მაგალითი გვხვდება ჰომეროსთან. ეპიკოსი აღნიშნავს, რომ ქორწინების შემდეგ მოხდება ქალწულის „მოთვინიერება“ (ჰომ. ილ. XVIII. 432; ჰომ. ოდ. III. 229). ამ მეტაფორის მნიშვნელობა ფართოვდება და გადადის უღელზე, რომელსაც ქმარი ადგამს ქალს დაქორწინების შემდეგ (ევრ. მედ. 673; ესქ. სპარს. 542; ესქ. ქოფე. 599).

ერთი ბირთვისაგან წარმოქმნილია ორი მეტაფორული განშტოება. პირველი გამოხატავს ახალგაზრდების განათლების მიღებით სრულყოფას, რაც საჭიროა

მოზრდილთა საზოგადოებაში ჰარმონიული ინტეგრაციისათვის და მეორე – ქმრისადმი დაქვემდებარებას, რაც ქორწინების უღლით ხორციელდება. დაქორწინების შემდგომ ქალი გადადის სიყმაწვილიდან მოწიფულობაში. არტემისს, რომელიც ყმაწვილ-ქალების მოთვინიერებას ემსახურება, უკვე აღარ აქვს გავლენა დაქორწინებულ ქალებზე და იწყება ახალი პერიოდი ქალის ცხოვრებაში, როცა ეროსი და აფროდიტე წარმართავს მის გრძნობებს. ქორწინებას ქალი გამოჰყავს არტემისის მორჩილებიდან და ეროსის უღელში აბამს. როგორც დაქორწინების შემდგომ გადადის ქალი ერთი მდგომარეობიდან მეორეში, ისე განათლების მიღების შედეგად გადადის ის ერთი სამყაროდან მეორეში.

ჯერ კიდევ მითოლოგიაში ცხენ-მეტაფორას ვხვდებით ამავე დატვირთვით. ცხენის მოთვინიერების მეტაფორული გამოყენება, ერთი მხრივ, ყმაწვილების განათლების მიღების თვალსაზრისით და მეორე მხრივ, ქორწინების უღელში შებმის ასოციაციით, კარგად ჩანს ისეთ მითებში, სადაც მოქმედი პერსონაჟების სახელები შეიცავს ἵππος (ცხენი) ფუძეს. მაგალითისათვის გამოდგება პროტიდესის მითი. რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის, რომ ამ მითში ორ გოგონას ჰქვია ამ ფუძიდან წარმომდგარი სახელები *ლისიპე* და *ჰიპონოე*.

მოთვინიერების იგივე მეტაფორული მნიშვნელობა უდევს საფუძვლად პელოპსისა და ჰიპოდამეასის მითში ქორწინების სიმბოლურ გამოსახვას. ამ ლეგენდაში მოვლენები შემდეგნაირად ვითარდება: ჰიპოდამეასის მამა ოინომაოსი ცდილობს თავიდან აიცილოს წინასწარმეტყველება, რომ ის მისი სიძის მიერ იქნება მოკლული და მისი ქალიშვილის თაყვანისმცემლებს მოუწყობს შეჯიბრებას ცხენოსნობაში. ოინომაოსი ცნობილია, როგორც საუკეთესო ცხენოსანი, თუმცა მას არ ჩამოუვარდება პელოპსი, რომლის მასწავლებელი თვით პოსეიდონი იყო. იგი მასწავლებლის დახმარებით მოახერხებს დაამარცხოს სასიმამრო და ცოლად შეირთოს ჰიპოდამეასი. პელოპსი წარმოგვიდგება ცხენოსნის როლში, რომელმაც ორ შეჯიბრში უნდა გაიმარჯვოს: 1. დაამარცხოს მოწინააღმდეგე და 2. „მოათვინიეროს“ ქალიშვილი ქორწინების გზით. მნიშვნელოვანია, თუ რა ბედი ეწია ოინომაოსს: ის კვდება ეტლში, საკუთარი ცხენის მსხვერპლი ხდება. აქაც კარგად ჩანს მეტაფორის ორმაგი დატვირთვა: 1. გმირს არ ეყო განათლება - გამოცდილება, პელოპსმა დაჩრდილა იგი; 2. მან ვერ მოახერხა ცოლად შეერთო ჰიპოდამეასი.

პელოპსმა კი მოახერხა გამარჯვება მოიპოვოს ოინომაოსზე, მოიგოს

სასურველი ქალის გული და ქორწინების უღელში შეაბას ის. აქ აშკარად ჩანს, რომ მეტაფორა აერთიანებს ორ ერთმანეთთან დაკავშირებულ პროცესს. ის ასევე გვიჩვენებს, რომ საბერძნეთში ქალის განათლებისა და ქორწინების არსი ერთმანეთთან იყო გადაჯაჭვული (შდრ. ბრემერი 1987: 40-52).

ცხოველთა მოთვინიერებასთან დაკავშირებულ ამ მეტაფორას ანტიკურ ეპოქაში იყენებდნენ საგანმანათლებლო დაწესებულებათა ფუნქციების გადმოსაცემადაც. მაგალითად, სპარტაში არსებობდა საგანმანათლებლო დაწესებულებები - აგელები, რომელთა სახელწოდებაც დაკავშირებულია ცხენების გაწვრთნასთან. აგელე იყო სასწავლო დაწესებულება, სადაც ვაჟები 7 წლის ასაკში შედიოდნენ და აქ აგრძელებდნენ სწავლას სრულწლოვანებამდე.

აგელეში ვაჟებს ჰყავდათ თავიანთი ლიდერი, რომელსაც ეწოდებოდა γάρχιος, ანუ βίος γίρ. ეს სპეციფიკური სპარტული სახელწოდებაა, რაც ნიშნავს „ის, ვინც მეტაფორა ნახირს (βίოს -ს ანუ γέλ -ს)“. როგორც შანტრენი აღნიშნავს, სიტყვა γέλι მორფოლოგიურად და ეტიმოლოგიურად დაკავშირებულია სატყვასთან γωγή, რაც ნიშნავს ცხენის ხელით ტარებას (შანტრენი 1980: 108). აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ცხენის მოთვინიერება გამოიყენებოდა ბავშვებისა და მოზარდების განათლების მეტაფორად არა მხოლოდ ლიტერატურაში, არამედ, საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც.

საიდან იღებს სათავეს ეს მეტაფორა? მოთვინიერებელი ცხენის გახედვის შემდგომ გრადაციასა და გაუნათლებელი ადამიანის განათლების სამყაროში შესვლას შორის ნამდვილად ასოციაციური ძაფებია გაბმული. თუმცა ცხენის გარდა, შესაძლოა, მოთვინიერებულ იქნას სხვა მრავალი ცხოველიც. საინტერესოა, რატომ მაინცდამაინც ცხენი აირჩიეს განათლების მეტაფორად ბერძნებმა?

შესაძლებელია, რომ ეს მეტაფორა საფუძველს იღებდეს ქირონიდან. როგორც ვიცით, ქირონი (Χείρων) იყო ნახევრადკაცი - ნახევრადცხენი. კენტავრი (Κένταυρος) ეტიმოლოგიურად დაკავშირებულია სიტყვებთან „ხარის მკვლელი“, ან „მხედარი“, ან „ჩხვლეტა, ცემა, განგმირვა“. ბერძნული მითოლოგიიდან კენტავრები ცნობილი არიან, როგორც თესალიელ ცხენკაცთა მძლავრი მოდგმა, ტყისა და გამოქვაბულთა ბინადარნი.

წარმოდგენა კენტავრებზე შეიქმნა თესალიური ტომის, ცხენდაცხენ

მოთარეშე მეომრების მაგალითზე. ცნობილია, რომ ეს საშინელი არსებები „ცხენიდან არასოდეს ჩამოდიოდნენ“. ბერძნები ცხენს მხოლოდ ეტლში შესაბამელად იყენებდნენ და, სავარაუდოდ, როცა პირველად ცხენზე ამხედრებული ადამიანები დაინახეს, ცხენ-კაცებად აღიქვეს.

კენტავრებს ახსენებს ჰომეროსი და მათ უწოდებს მთის ბანჯგვლიან ბუმბერაზებს, ურჩხულებს, რომლებთან ბრძოლაც მხოლოდ კენევსის, თეზევსის, პოლიფემის მსგავს დევგმირთა თაობას შეეძლო (ჰომ. ოდ. XXI. 295). პინდაროსი (ძვ. წ. ა. 500) გარკვევით საუბრობს კენტავრებზე, როგორც ავხორც ცხენ-კაცებზე. მისი გადმოცემით, ეს ბანჯგვლიანი მთის ხალხი თავიდანვე ნადირთა სიხარბით ეტანება ღვინოსა და ქალებს.

თავდაპირველად ცხენკაცები ბინადრობდნენ თესალიაში, ეტესა და პელიონის მთაზე. მათი უმრავლესობა განადგურდა ლაპიდთა მიერ, ნაწილი კი გამევებულ იქნა ეპიროსის სამანებისაკენ. ისინი დასახლდნენ პინდოსზე. თესალიაში დარჩა მხოლოდ ერთი კენტავრი - ქირონი, რომელიც დიდი პატივით სარგებლობდა.

ცხენ-კაცების მშობლებად ცნობილი არიან მეფე იქსიონი და ღრუბელთა ქალღმერთი ნეფელე, რომელიც ზევსმა შექმნა და შეატყუა კაცს ჰერას მაგიერ. იქსიონს ეგონა, ჰერასთან იწვა, ღრუბელს კი ეხვეოდა (ბრემერი 1987:78-80).

სხვა ვერსიით, კრონოსმა ულაცის სახე მიიღო და ფილირემ მისგან გააჩინა ორმაგი ბუნების ურჩხული: „თვითონ ფილირეს ვაჟი ქირონი მთის მწვერვალიდან დაბლა დაეშვა“ (აპ. როდ. არგ. I. 554). ქირონი სიბრძნეს განასახიერებდა. სხვა კენტავრებისაგან მას განასხვავებდა სიბრძნე და გონებაგამჭრიახობა. მან დიდი ცოდნა მიიღო აპოლონისა და არტემისისაგან, რომელთაც აზიარეს ქირონი მუსიკის, ვარჯიშის, ნადირობისა თუ მისნობის ხელოვნებას. თავადაც მრავალი გმირი აღზარდა ქირონმა: ჰერაკლე, ასკლეპიოსი, აქილევსი, იასონი, ამფიარაოსი და დიოსკურები, რომლებიც შემდგომ სახელოვანი გმირები გახდნენ. მას ბრძენ კენტავროსსაც უწოდებენ, რადგანაც მუდამ ლამობდა სიკეთისაკენ წარემართა თვისტომთა ველური ზნე და ბუნება.

ქირონი ყველაზე მეტად ცნობილი კენტავრია. მისი სახელი ასოცირდება სიბრძნესთან, განათლებასთან, მასწავლებელთან, მოსწავლესთან და არ არის გამორიცხული, რომ ანტიკურობაში განათლების მეტაფორული გამოხატვა

სწორედ ქირონთან იყოს დაკავშირებული.

აქვე მინდა ყურადღება შევაჩერო ანტიკური ლირიკის ბრწყინვალე წარმომადგენელ საფოზე, როგორც პირველ ბერძენ ქალ მასწავლებელზე. საფო ძვ. წ.ა. VII-VI საუკუნეთა მიჯნის ყველაზე ცნობილი ქალია ბევრი მიზეზის გამო. უპირველესად, როგორც პირველი და შეიძლება ითქვას, ერთადერთი პოეტი ქალი ანტიკურობაში, რომელსაც ლექსთა თხზვაში მიმდევრები ბევრი ქალი ჰყავდა, მაგრამ ისინი საფოს მიმზამველობას ვერ გასცდნენ; რომლის ნიჭიც აღიარეს მაშინდელმა პოეტმა მამაკაცებმა, რაც არც თუ ადვილი იყო; რომელსაც პლატონმა „მეათე მუზა“ უწოდა. როგორც ჩანს, საფო ხელმძღვანელობდა ქალთა სასწავლებელს ძვ. წ. ა. VII-VI საუკუნეთა მიჯნაზე, ხოლო „მუზის მსახურთა სახლად“ მონათლული მისი ლიტერატურული სალონი იყო გამორჩეული, როგორც ქალთა პირველი საგანმანათლებლო კერა. ვფიქრობ, ამაზე მიგვანიშნებს შემდეგი:

1. ცნობილია რომ, საფომ მისი ცხოვრების უმეტესი ნაწილი გაატარა კუნძულ მიტილენეზე, სადაც მან თავის სახლში შემოიკრიბა ახალგაზრდა გოგონები, რომელთაც ამეცადინებდა ხელოვნების სხვადასხვა დარგში: ცეკვაში, სიმღერაში, სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტის დაუფლებაში. შესაძლოა, ეს იყო ოფიციალური სკოლა (thiasos), ან მოსამზადებელი წრე (ჰერინგტონი 1985 : 87).

ლესბოსზე და, სავარაუდოდ, საბერძნეთის სხვა ადგილებში, არსებობდა რამდენიმე ამ ტიპის სკოლა, სადაც მდიდარი ოჯახების შვილები ერთად ცხოვრობდნენ განათლებული ზედამხედველების მეთვალყურეობის ქვეშ. ისინი დიდ დროს უთმობდნენ საკულტო რიტუალების შესრულებას, რომლებიც ეძღვნებოდა სიყვარულის ქალღმერთ აფროდიტეს, სწავლობდნენ სიმღერას, ცეკვას და პოეზიას, ეცნობოდნენ სოციალური ეტიკეტის ნორმებს. აქ მათ უყალიბდებოდათ გემოვნება, ეცნობოდნენ სიყვარულის, როგორც ჭეშმარიტი გრძნობის აღქმის ხელოვნებას, ეუფლებოდნენ სხვადასხვა მუსიკალურ საკრავებზე დაკვრას, წნავდნენ ყვავილებით გირლიანდებს და, ზოგადად, ხელსაქმეს ეუფლებოდნენ (ზინსერლინგი 1973).

2. ჩვენი კვლევისათვის ძალიან მნიშვნელოვანია ფრაგმენტი, სადაც საფო ახსენებს $\mu\omicron\iota\sigma\iota\pi\acute{\omicron}\lambda\alpha\nu\ \omicron\kappa\iota\acute{\alpha}$ -ს- „მუზის მსახურთა სახლს“ (საფო. ფრ. 150 V; IG VII. 2484). ტერმინს – $\mu\omicron\iota\sigma\iota\pi\acute{\omicron}\lambda\omicron\varsigma$ აქვს ინსტიტუციონალური მნიშვნელობა, იგივე რაც, მას აქვს ძვ.წ.ა. II საუკუნით დათარიღებულ ბეოტიურ წარწერებში, რომელშიც თეატრალური

დასის მსახიობებია აღწერილი.

3. სვიდას ლექსიკონში მოყვანილია საფოს სამი მოსწავლის (μαθητριά) სახელი. იმ სურათის აღწერისას, სადაც ფილოსტრატოსი ხედავს საფოს ქოროს ქორეგოსს, რომელიც ხელმძღვანელობს ახალგაზრდა გოგონებს, რომლებიც აფროდიტეს უმღერიან, ეწოდება διδάσκαλις, ანუ მასწავლებელი (სვიდა, საფო, 250).

4. ლექსიკოგრაფოსების თანახმად, დამოკიდებულება ქორეგოსსა და გუნდის წევრებს, მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ურთიერთობის ანალოგიურია. ფრაგმენტებიდან აშკარად ჩანს, რომ გუნდის ხელმძღვანელი პოეტი ქალი იყო მასწავლებლის როლში. სვიდას თანახმად, ეს განათლება ხელმისაწვდომი იყო არა მხოლოდ ლესბოსზე მცხოვრები შეძლებული ოჯახის შვილებისათვის, არამედ იონიიდან ჩამოსულებისთვისაც (სვიდა, საფო, 253). ბერძნული ლირიკული გუნდი შედგებოდა რვა-თხუთმეტი წევრისაგან (კალამე 1997: 21–5). როგორც აღვნიშნე, ქორეგოსი აუცილებლად უნდა ყოფილიყო გუნდის წევრებზე მრავალი ნიშნით აღმატებული (იხ. კალამე 1997: 66–72). შესაბამისად, საფო, ალბათ, იყო მისი წრის გოგონებზე უფროსი, უფრო მაღალ სოციალურ საფეხურზე მდგომი, ფიზიკურად და სულიერად ლამაზი და სხვა ბევრი მონაცემით გამორჩეული.

5. საფოსთვის მიუღებელი იყო ქალის მოღვაწეობის სფერო მხოლოდ სახლის ზღურბლით ყოფილიყო შემოფარგლული. საფომ ქალთა არსებულ ცხოვრებისეულ წესებს თავისებური ბრძოლა გამოუცხადა. საფოს „მუზის მსახურთა სახლის“ დამსახურებაა ლესბოსელ ქალთა გააქტიურება და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვა.

6. საფოს მიბაძვით მისსავე სახლში (სკოლაში) იქმნება საფოს პოეტურ ქარგაზე აჭრილი ქალთა პოეზია (ელიანოსი „ჭრელ-ჭრელი ამბები“, 12, 19).

7. ჰორაციუსმა საფოს უწოდა „მამაკაცური საფო“ (ჰორ. ეპ. 1, 19, 28). ვფიქრობ, ამით რომაელმა შემოქმედმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ის ქალია, მას გააჩნია მამაკაცური აზროვნების უნარი. მაგრამ, საფოს უნდოდა დაემტკიცებინა საზოგადოებისათვის, რომ ის გამონაკლისს არ წარმოადგენდა და ნებისმიერ ქალს შეეძლო გატოლებოდა მამაკაცს, თუკი ის დაამსხვრევდა არსებულ სტერეოტიპს და შეაბიჯებდა განათლების სამყაროში. მიმაჩნია, რომ ამ მიზნითაც შექმნა მან თავისი „მუზის მსახურთა სახლი“. საფოს ღრმად სწამდა, რომ მხოლოდ განათლებას შეეძლო გამოეყვანა ქალი კარჩაკეტილობიდან და შეეცვალა

საზოგადოების მიერ აღიარებული აზრი სუსტი სქესის წარმომადგენლებზე.

8. საფოს უნდოდა დაერწმუნებინა ყველა, რომ ქალს, გარეგნული მონაცემების გარდა, გააჩნია გონება და მშვენიერი სულიერი სამყარო. საფოს სჯეროდა, რომ ქალს განათლება აძლევდა შინაგან მომხიბვლელობასა და თავდაჯერებულობას, რაც შემდგომ აისახებოდა მის გარეგნობაზე. „კალისტებში“ გამარჯვებისათვის ქალს აუცილებლად უნდა ჰქონოდა ეს შინაგანი სილამაზე, მარტო კარგი ფიზიკური მონაცემები მას არ ეყოფოდა.

9. საფოს „სახლში“ ნამდვილად შეიმჩნევა მასწავლებელი-მოსწავლის ურთიერთდამოკიდებულება. მართლაც, მასწავლებლის ტონი შესამჩნევია საფოს მიმართვებში მოსწავლეებისადმი თავის ფრაგმენტებში: „მე შენგან მოვითხოვ/ გიბრძანებ“ (ფრ. 22.9)¹³, „მოდით და იმღერეთ ეს“ (ფრ. 27.2); „ დიკეო ჩემო, უცხო ყვავილთა გვირგვინებით თმა შეიმოსე“ (ფრ. 81.4).

10. საფო 58-ე ფრაგმენტში გადმოგვცემს ბედნიერების მისებურ აღქმას: „ მე ვესწრაფვი უაღრესობას,/ ეს ბრწყინვალეობა და მშვენიერება/ მზის სიყვარულმა მარგუნა წილად”.

საინტერესოა, რა იგულისხმა საფომ სიტყვაში უაღრესობა „ἀβυσσῶν“? ეს სიტყვა წარმოსდგება სიტყვისგან „ἀβυς“, რაც ითარგმნება, როგორც, მშვენიერი, აღმატებული, გამორჩეული.” ადამიანს სწორედ რომ განათლების მიღება სძენს ამ თვისებებს. და, ალბათ, ამიტომაც საფო ცდილობდა მის ირგვლივ შემოეკრიბა ქალები, მიეცა მათთვის განათლება, გაეხადა ისინი სხვაზე აღმატებულნი, გამორჩეულნი, მშვენიერნი და ამით ბედნიერება მიენიჭებინა მათთვის. თვით საფოს მიერ დამკვიდრებული ტერმინი - *კალოკაგათია* ფიზიკური და სულიერი სილამაზის შერწყმას გულისხმობს (ტონია 1991: 47-75).

საფოს „მუზის მსახურთა სახლის“ ფუნქციონირება წარმატებული აღმოჩნდა, რაზეც მეტყველებს შემდეგი ფაქტები:

- a) ქალის თავისუფლების ხარისხი „მუზის მსახურთა სახლში“ გაცილებით უფრო მაღალი იყო ქალის თავისუფლების საერთო ელინურ მდგომარეობასთან შედარებით. ლესბოსელმა ქალებმა პირველებმა განაცხადეს პრეტენზია კუნძულის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად

¹³ საფოს ფრაგმენტები მომყავს ნ. ტონიას თარგმანის მიხედვით (1991).

ჩართვისა და მონაწილეობის მიღების შესახებ. ეს გამოიხატა კულტურული ცხოვრებით დაინტერესებაში. საფოს „სახლში“ იწყეს მუსიკალური შეჯიბრებებისა და „კალისტეხად“ წოდებული სილამაზის კონკურსების მოწყობა (ჰიმერიოსი, სიტყვ. 9, 37).

- b) ლესბოსზე მცხოვრებმა ქალებმა შეძლეს საკუთარი თავის რეალიზებისათვის ადგილის შექმნა „მუზის მსახურთა სახლის“ სახით, სადაც მათ ყოფილი პრობლემები მაღალ მატერიალურ ფიქრით ჩაანაცვლეს.
- c) „მუზის მსახურთა სახლის“ წევრები დაუპირისპირდნენ მამაკაცებს თავიანთი ცხოვრების წესით: თუკი მამაკაცები პოლიტიკური დებატებითა და ომებით იყვნენ დაკავებულნი, საფოს „სახლში“ ქალები პოეზიით ტკობას ამჯობინებდნენ.
- d) საფოს გამოუჩნდნენ მიმბაძველები, რომლებმაც შექმნეს თავიანთი სალონები და, გარკვეულწილად, გაჩნდა კონკურენტუნარიანი გარემო ქალთა განათლების სფეროში (ბოურა 1961:187).
- e) საფოს მიზაძვით, „მუზის მსახურთა სახლში“ ქალებმა იწყეს ლექსების წერა და მათ მიერ შექმნილი პოეზიის ნიმუშები ცალკე „ჟანრად“ – „ქალთა პოეზიად“ გამოჰყვეს (ჩიხლაძე 2003:106).
- f) საფომდე არსად ჩანს ქალი მასწავლებელი და, ალბათ, საფოს დამსახურება იყო, რომ თანდათანობით მომრავლდნენ ამ პროფესიის წარმომადგენელი ქალები. აღსანიშნავია, რომ აქედან მოყოლებული, დღემდე უმეტესად ქალები ეუფლებიან ამ პროფესიას.
- g) საფომ მოახერხა განათლების მიღების სურვილი გაეღვიძებინა ქალებში, რაც მეტად რთული საქმე იყო იმ დროისათვის. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მათ არც კარიერული დაინტერესება ჰქონდათ და შვილების სწავლა-განათლებასაც, ტრადიციულად, მამები იღებდნენ საკუთარ თავზე, იოლი წარმოსდგენია, რა ძალისხმევა დასჭირდებოდა საფოს, რომ ქალებისათვის განათლების მიღება ექცია შინაგან მოთხოვნილებად. ისინი მიდიოდნენ „მუზის მსახურთა სახლში“ სულიერი საზრდოს მიღების სურვილით და იმდენად დიდ დროს ატარებდნენ ერთად, რომ ეს ფაქტი გაკვირვებას იწვევდა იმდროინდელ ბერძნულ საზოგადოებაში და შესაძლოა, რომ სწორედ ამ ფაქტმა გამოიწვია საზოგადოებაში გარკვეული ქალთა

ურთიერთდამოკიდებულებისადმი ეჭვები, რაც მოგვიანებით „ლესბოსურ სიყვარულად მოინათლა” .

ამგვარად, ანტიკურ ლიტერატურაში არსებობს საფოს ფენომენი მისი ბევრი დამსახურების გამო, რომელსაც განსაზღვრავს მის დამსახურებათა საკმაოდ დიდი ნუსხა, რასაც, ვფიქრობ, უნდა შეემატოს კიდევ ერთი: საფო იყო პირველი ქალი მასწავლებელი, რომელმაც შექმნა იმ დროისათვის ერთ-ერთი ძლიერი საგანმანათლებლო კერა, რომელიც ყველა სხვა ამ ტიპის დაწესებულებისაგან იმით იყო გამორჩეული, რომ იქ ზრუნავდნენ ქალთა განსწავლულობაზე, ზრუნავდნენ სხვა ხერხებით და სხვა პროგრამით, ვიდრე ეს ხდებოდა მამაკაცებისათვის განკუთვნილ ამ ტიპის დაწესებულებებში და ამ კუთხითაც ცნობილი პოეტი ქალის მოღვაწეობა „მუზის მსახურთა სახლში” უნდა ყოფილიყო საკმაოდ წარმატებული.

მართალია, ლირიკის ჟანრში არ მოხდა განათლების თემის წარმოჩენა ტრადიციული თვალსაზრისით, მაგრამ საფოს „მუზის მსახურთა სახლი“ და ქორეგიონები (ერთგვარი სკოლები გუნდის მოსამზადებლად) წარმატებული სკოლის მოდელებად, ხოლო საფო და გუნდის ხელმძღვანელი პოეტები – საუკეთესო მასწავლებლებად შეიძლება მივიჩნიოთ.

თავი IV. განათლება ანტიკურ დრამაში

ყველაზე უფრო რელიგიურად განათლების თემა გამოიკვეთა „განათლების იარაღად“ წოდებულ ანტიკურ დრამაში, რომელსაც შეუძლია ადამიანს მრავალმხრივი განათლება შესძინოს. ის ეხმარება მოზარდს კრეატიულობის ჩამოყალიბებაში. ანტიკური დრამატურგების მიერ მსახიობების მომზადება თეატრალური წარმოდგენებისათვის შეგვიძლია საგანმანათლებლო აქტივობად მივიჩნიოთ. ამ თავში უარი ვთქვი ავტორების მიხედვით, ან ქრონოლოგიური თანმიმდევრობის პრინციპით განმეხილა დრამატურგია ჩემთვის საინტერესო პრობლემასთან მიმართებაში და საკითხები დავაჯგუფე შემდეგნაირად: დრამის საგანმანათლებლო ფუნქცია; სამედიცინო განათლება ანტიკურ დრამაში; მჭევრმეტყველი ქალები დრამაში; განათლების საკითხები და კომედიოგრაფოსები და ორატორული განათლება სენეკას ტრაგედიებში.

ანტიკური დრამის საგანმანათლებლო ფუნქცია. ტრაგიკული კათარსისის ფუნქცია უფრო დიდია, ვიდრე ზოგადად ხელოვნებასთან ზიარების სიხარული. ძლიერი ტანჯვის დათმენა ძველთაგანვე ყოველდღიური ემპირიული ცოდნით მიღწეულ ჭეშმარიტებაზე გაცილებით უფრო დიდ ჭეშმარიტებასთან მისვლის გზად ითვლებოდა. ეს იყო რაღაც ძალზე მნიშვნელოვანის შეცნობის საფეხური, რომელთან

ზიარებაც სულის მოთხოვნილებაა. უკვე ესქილესთან გვხვდება აზრი, რომელიც ამგვარი ლაკონური ფორმულის სახით გავრცელდა: „პათემატა მათემატა” - „ტანჯვათა (დათმენის) საშუალებით სწავლა (შეცნობა)”. ამან მიზიძგა, ცალკე საკითხად წარმომედგინა დრამის საგანმანათლებლო ფუნქცია. როგორც ვიცით, ადამიანებს თავსდატეხილი უბედურება უდიდეს ძრწოლას აღუძრავს, რომელიც დააფიქრებს მათ საერთოდ კაცობრიობის თავს მოვლენილი სასჯელის მიზეზებსა და არსზე, ადამიანის დიდ კანონზომიერებათა წინაშე უსუსურობაზე და და მისი ცოდნის არასრულყოფილებაზე ჩააფიქრებს. მაგრამ შესაძლოა ასეთი ტანჯვის დათმენა არც კი მოუხდეს ადამიანს ცხოვრებაში. ტრაგედია მას საშუალებას აძლევს, გარკვეული დროის განმავლობაში თანამონაწილე გახდეს ყველაზე დიდ ტანჯვათა, რომელიც ადამიანმა შეიძლება დაითმინოს, განიცადოს ძრწოლა და თანაგრძნობა მათ წინაშე. ეს კი მას ანიჭებს „ტრაგიკულ სიამოვნებას”- ღრმა შინაგან სიხარულს იმით, რომ ტრაგიკული კონფლიქტის გახსნამ განმუხტა იგი აღძრულ განცდათაგან. როგორც გმირმა, ისე მაყურებელმა, დაითმინა უდიდესი ტანჯვა, მორალურად იგი რეაბილიტირებულია. ჩემი აზრით, დრამა ანტიკურობაში განათლების მიღების საუკეთესო გზა იყო.

ანტიკურობაში არ არსებობდა სპეციალური თეატრალური მასწავლებლები და მაშინდელი დრამატურგები აუცილებლად შეითავსებდნენ მასწავლებლის ფუნქციასაც. ისინი არა მხოლოდ პიესებს წერდნენ, არამედ მუსიკას, იყვნენ თავიანთი პიესების რეჟისორები, ხშირად თვითონვე თამაშობდნენ პროტაგონისტის როლს. მაშინდელი დრამატურგები აუცილებლად მასწავლებლის ფუნქციასაც ასრულებდნენ. აქედან გამომდინარე, როგორც ჩანს, მსახიობებსაც მოეთხოვებოდათ ბევრი რამის ცოდნა, რისი შემენაც მათ თეატრში შეეძლოთ.

დრამასა და განათლებას შორის ორგანული კავშირია: მასწავლებელი აუცილებლად უნდა იყოს მსახიობი (დოილი 1993: 50). ის უნდა თამაშობდეს აუდიტორიის წინაშე, გარკვეულწილად, ყველა ლექცია, ან გაკვეთილი უნდა იყოს თეატრალიზებული, თუ გვინდა, არ იმუშაოს შვეიცარიულმა ანდაზამ: „როცა ყველას ს„ძინავს და ერთი ადამიანი ლაპარაკობს ისაა, რასაც მასწავლებლები სწავლებას ეძახიან”. ციცერონი ორატორს ტრაგედიის გმირს ადარებდა, კვინტილიანუსი ტრაგიკოსს მასწავლებლის ფუნქციებს აკისრებდა (ფანთემი 2002: 305). დრამატურგიაში ჩართვა ადამიანს უვითარებს ფიზიკურ, ინტელექტუალურ და

ემოციურ მხარეს. თეატრალურ წარმოდგენებში ჩართვა დღემდე ითვლება განათლების მიღების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტად. „თუკი გინდა გაიგო როგორები არიან ბავშვები, დააკვირდი მათ როგორ თამაშობენ, ხოლო თუკი გინდა მათ მომავალზე კარგი გავლენა მოახდინო, დაუდგი მათ პიესები” (მექსვინი 1974: 9). ანტიკურ დრამას შეემლო ადამიანისათვის მიეცა ორგანიზაციული უნარ-ჩვევები, აუდიტორიის აღქმა, რითმის შეგრძნება, სმენითი კულტურა, გარკვეული სიტყვების ერთობლიობის დაზეპირება, ენის უკეთ დაუფლება, კრეატიულობა, მორალური ღირებულებები. დრამის შესწავლის საგანმანათლებლო დანიშნულება კარგად ესმოდათ ძველ რომში (ბიჩემი 1991: 237). ტრაგედიებისა და კომედიების შესწავლა რომაული განათლების უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენდა. კვინტილიანუსის აზრით, მენანდრეს შემოქმედების შესწავლა სტუდენტებს აქცევდა ორატორებად, სოფისტები კი თვლიდნენ, რომ კომედიებს დიდი როლი შეჰქონდათ სწავლა-განათლების სფეროში. აპულიუსმა, ორატორული ხელოვნების დაუფლების მიზნით, შეისწავლა მთელი ბერძნული დრამატურგია (ბონერი 1977: 215). ასევე, ხდებოდა კომედიის გამოყენება საგანმანათლებლო მიზნით – პლავტუსის, ტერენციუსის, კეკილიუსის, აფრანიუსის შემოქმედება ჩართული იყო სკოლის პროგრამებში, მაგრამ, ძირითადად, სასკოლო ტექსტებს მაინც ტრაგედიები შეადგენდა (დოიფერტი 2002: 177-180).

უილიამ აკინსი აღნიშნავს, რომ დრამა ეხმარება მოზარდს კრეატიულობის ჩამოყალიბებაში. მისი აზრით, თუკი ბავშვები ჩაერთვებიან თეატრალურ წარმოდგენებში, შესაბამისად, ისინი ერთვებიან ქვეყნის სოციალურ-კულტურულ ცხოვრებაში (აკინსი 1981 :7).

ამასთანავე, მსახიობი, რომელიც მონაწილეობს ამა თუ იმ თეატრალურ წარმოდგენაში, არა მარტო ზეპირად სწავლობს მას, არამედ, თითქოსდა თვითონ შედის ტექსტის სიღრმეში, შეიგრძნობს მას მთელი არსებით (დოილი 1993: 54). ანტიკური დრამატურგების შემოქმედების შესწავლა და შესისხლხორცება კი ნამდვილად იმოქმედებდა დადებითად მსახიობებზე, რადგანაც დრამატურგები ყოველთვის აკეთებდნენ აქცენტებს მორალურ ღირებულებებზე (უისტონი 1998: 44), რაც მსმენელში, და უპირველეს ყოვლისა, მსახიობებში, უდაოდ, განავითარებდა მაღალზნეობრივ თვისებებს.

ანტიკური დრამატურგების მიერ მსახიობების მომზადება თეატრალური

წარმოდგენებისათვის შეგვიძლია საგანმანათლებლო აქტივობად მივიჩნიოთ. გარდა იმისა, რომ ამ პროცესში მოსწავლე, ძალაუნებურად, ეუფლებოდა დრამატურგიულ შემოქმედებას, ის ამასთანავე სწავლობდა სასცენო ხელოვნებას, რასაც ვერსად სხვაგან ვერ შეისწავლიდა. ამრიგად, ანტიკურ დრამატურგებს მასწავლებლებიც შეგვიძლია ვუწოდოთ. რასაც ვერ ვიტყვით თანამედროვე დრამატურგებსა თუ რეჟისორებზე, რადგანაც ისინი თავიანთი პიესის თეატრალურ განსხეულებას მიანდობენ მსახიობებს, რომელთაც უკვე დასრულებული აქვთ სპეციალური სასწავლებელი და მათ აღარ სჭირდებათ სასცენო ხელოვნების შესწავლა.

სამედიცინო განათლება ანტიკურ დრამაში. ანტიკურ დრამატურგიაში ვხვდებით პერსონაჟებს, რომლებიც კარგად ფლობენ სამედიცინო ხელოვნებას. ისინი ამ ცოდნას იყენებენ ან ადამიანთა დასახმარებლად, ან მათ წინააღმდეგ.

მარკ შრიფსკი ნაშრომში „ჰიპოკრატე ანტიკურ მედიცინაზე“ განიხილავს მედიცინის როლს საზოგადოების პროგრესში. მისი აზრით, ავადმყოფობა საზოგადოებაში გაჩნდა იმისათვის, რომ ადამიანებისათვის მიეცა ბიძგი განვითარებისაკენ. ავადმყოფობა გახდა მედიცინის სხვადასხვა დარგის ჩამოყალიბების მიზეზი და ამგვარად, ავადმყოფობამ დადებითი ფუნქცია შეასრულა, ზოგადად, მეცნიერების განვითარებაში. ტანჯვამ (pathos) ადამიანი მიიყვანა სწავლამდე (mathos). გონიერი ადამიანი დაფიქრდა, როგორ შეემლო ეპოვა წამალი ამა თუ იმ დაავადების განსაკურნად და იპოვა რა იგი, შემდგომ ის უკვე სხვებს უზიარებდა რჩევებს, თუ როგორ დაემარცხებინათ ავადმყოფობანი (შრიფსკი 2005: 45-49).

ყველაზე ცნობილი მკურნალი ანტიკურ ტრაგედიაში არის ევრიპიდეს მედეა, რომელიც ტრაგედიაში „მედეა“ უფრო მეტად ზიანის მომტანად წარმოგვიდგება, ვიდრე ადამიანთა ჯანმრთელობის სადარაჯოზე მდგარ მკურნალად. მედეა კვალიფიციური მკურნალია, დახელოვნებული ფარმაცოლოგიაში, ჭკვიანი და თავდაჯერებული. „ვინ მოსთვლის რამდენჯერ ჭირად მიქცევია ჩემი სახელი. კაცს თუ ჭკუა აქვს, დიდ ცოდნას არ მისცემს შვილებს, რათა ხალხის შურს განარიდოს, სხვებისაგან გამორჩეულნი. აბა, გაბედე და რაიმე ასწავლე უვიცს: უქნარად ჩაგთვლის, განა მცოდნედ, ანდა სწავლულად. ხოლო თუ ცოდნით დაჩრდილე ჭკუა-გონებით განთქმულნი და სახელმორჭმულნი, იცოდე მავნედ და ხორცმეტად მიგიჩნევს ხალხი. ასეთია ჩემი ხვედრიც: ცოტა რამ მესმის, მიტომაც ერთნი ზიზღით

მიცქერენ, მეორენი კი შენსავით მავნედ და საშიშად მთვლიან” (ევრ. მედ. 135-146). აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მედეას ნამდვილად აქვს მიღებული განათლება, თუმცა ის სწორედ ამას მიიჩნევს იმის მიზეზად, რომ შურითა და ზიზღით უყურებს საზოგადოებას.

მედეას გააჩნია კომპეტენტური მკურნალის ყველა საჭირო თვისება. თუმცა, ტრაგედიაში მედეა ძალიან იშვიათად იყენებს მის ცოდნას ჰიპოკრატეს პრინციპების დაცვით, ის სამედიცინო განათლებასა და გამოცდილებას სრულიად სხვა გზით მიმართავს - ადამიანთა საზიანოდ, მათ დასამახინჯებლად და გასანადგურებლად. უფრო მეტიც, ის თავის თავს ავნებს თავისივე ხელოვნებით.

ტრაგედია „მედეა“ იწყება იმით, რომ ძიძა და აღმზრდელი საუბრობენ მედეას შესახებ და აღნიშნავენ, რომ მედეა არის ავად. პიესის დასაწყისში მედეას მკურნალად გვევლინება მისი ძიძა. ის აღწერს მედეას მდგომარეობას და დიაგნოზს უსვამს მას - მედეა არის ავად, რაც გამოწვეულია იასონის ღალატით. მედეას ავადმყოფობა მოგვაგონებს სხვა ტრაგიკულ გმირთა ავადმყოფობის მდგომარეობას: აიასის სოფოკლეს „აიასში“ (323-325), ფედრას ევრიპიდეს „ჰიპოლიტოსში“ (275-277), ორესტესის ესქილეს „ორესტეაში“ (41). თუმცა მედეას მდგომარეობა ყველა ამ პერსონაჟთა მდგომარეობიდან იმით განსხვავდება, რომ ის უჩვეულოდ გაააქტიურა მისმა ავადმყოფობამ. მედეა არ მიირთმევს საჭმელს და წევს, თუმცა სხეულის პასიურობის პარალელურად ხდება მისი გონების გააქტიურება (ბარლოუ 1995: 132). ძიძა მიიჩნევს, რომ იასონის ღალატმა გამოიწვია მედეასა და მისი შვილების ავადმყოფობა (ევრ. მედ. 16-17).

აღსანიშნავია, რომ „იასონი“ ეტიმოლოგიურად ნიშნავს „მკურნალს“. სპენსი აღნიშნავს, რომ იასონი ადრეულ მითებში მკურნალი ფიგურა იყო. ევრიპიდე არანაირ მინიშნებას არ აკეთებს იასონის მკურნალობის უნარზე (სპენსი 2010: 57-60). პირიქით, მან არაჯანსაღი სიტუაცია შეუქმნა მის ოჯახს (ევრ. მედ. 16-17).

ძიძასაც აქვს გარკვეული სამედიცინო განათლება. მას შეუძლია დიაგნოზი დაუსვას მედეას, თუმცა მას არ ჰყოფნის კომპეტენტურობა, რომ სათანადოდ დაეხმაროს მას: ძიძას არ აქვს წამალი, რომ შესთავაზოს მედეას, არც სიმღერის განმკურნავი ძალა (ევრ. მედ. 190-204), მას მხოლოდ ისლა დარჩენია დედის გაშმაგებულ მზერას მოარიდოს მედეას შვილები (ევრ. მედ. 92). მედეა თვითონ ცდილობს უწამლოს თავს.

მედეა დახელოვნებულია ფარმაკოლოგიაში (pharmaka) (ევრ. მედ. 384-385) და მას ბადალი არა ჰყავს ამ საქმეში, თუმცა ტრაგედიაში ხაზგასმულია, ასევე, მისი ორატორული უნარ-ჩვევები. შურისძიებით ანთებული მედეა „რბილი“ სიტყვით ახერხებს კრეონის დაყოლიებას, რათა დართოს მას ნება, კიდევ ერთი დღე დაჰყოფს კორინთოში. აქ კარგად ჩანს მედეას განსწავლულობა ორატორულ ხელოვნებაში, უნარი იმისა, რომ აწარმოოს მოლაპარაკება, დაითანხმოს მოწინაარმდეგე (ზოდევერი 1991: 95-112).

ტრაგედიის დასაწყისში მედეასა და ძიძის საუბარში შეინიშნება სამედიცინო ტერმინების სიმრავლე, საიდანაც ირკვევა, რომ ისინი კარგად არიან გათვინობიერებული მედიცინაში.

აგონი მედეასა და იასონს შორის სამედიცინო იდეებზეა დაყრდნობილი (ბრემერი 1997: 84). მედეა იასონის ლალატს სამარცხვინო საქციელად მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ სირცხვილი კაცობრიობის ყველაზე დიდი დაავადებაა (ევრ. მედ. 471). ის აგრძელებს იასონის მისამართით შეურაცხყოფელ საუბარს, რათა „შვება“ მისცეს სულს და „ტკივილი“ მიაყენოს იასონს (ევრ. მედ. 473-474). მედეა ჩამოთვლის იმ სიკეთეებს, რაც იასონისათვის გაუკეთებია და ბოლოს, აგვირგვინებს ფრაზით: „მე შენ გიხსენი, გადაგარჩინე“ (ევრ. მედ. 476, 515)¹⁴. ამით მედეა ხაზს უსვამს მის კომპეტენტურობას მედიცინის სფეროში (ბარლოუ 1995: 132).

იასონის საუბრიდან ვგებულობთ, რომ მედეას ავმა საუბარმა მას ნამდვილად მოჰგვარა ტკივილი (ევრ. მედ. 524- 525). იასონი ცდილობს სოფისტური დებატების ცოდნა გამოავლინოს, თუმცა არცთუ წარმატებით ახერხებს ამას (ზონგი 1977: 30-35). ის მედეასგან მიღებულ დახმარებას აფროდიტეს უმადლის, რომელმაც გავლენა მოახდინა მედეაზე (ევრ. მედ. 548- 553).

ახლა უკვე იასონი გვევლინება ავადმყოფის როლში, მისი ხატება ცვლის მედეას ავადმყოფ სახეს ტრაგედიის დასაწყისში. თუკი მედეა თავს გრძნობდა „დამძიმებულად“ (ევრ. მედ. 809), ახლა უკვე შემსუბუქებულია როგორც მისი სხეული, ისე სული.

მედეა თავს გადაირჩენს სხვების განადგურებით, ის არაა დაინტერესებული „პაციენტთა“ განკურნებით.

¹⁴ ციტატები ევრიპიდეს „მედეადან“ მომყავს ბ.ბრევამის თარგმანის მიხედვით (1980).

მედია თავს გამარჯვებულად ჩათვლის მაშინ, როცა მიუზღო იასონს თავის საქციელის გამო (ევრ. მედ. 1362) და აღნიშნავს, რომ ეს უმსუბუქებს მას ტკივილს (ევრ. მედ. 1362). მედიცინის ენის გამოყენებით ტრაგედიაში გადმოცემულია ტკივილის გადატანა ერთი ადამიანიდან მეორეზე (ევრ. მედ. 1364).

ესქილეს პრომეთე კი სულ სხვა ტიპის მკურნალია. მკურნალი-ფილანტროპის სახე დაგვიხატა ესქილემ ტრაგედიაში „მიჯაჭვული პრომეთე“. ტრაგედიიდან ვიგებთ, რომ პრომეთემ ასწავლა ადამიანებს მალამოების დამზადება, სხვადასხვა დაავადებებთან გამკლავება. თუმცა, მედეასაგან განსხვავებით, ის ადამიანთა კეთილდღეობაზე ფიქრობს და არა საკუთარ თავზე. პირიქით, საზოგადოების ინტერესებს უმორჩილებს პირადს. უფრო მეტიც, ის საკუთარ სიცოცხლეს იგდებს საფრთხეში ადამიანთა დახმარების სანაცვლოდ. პრომეთემ ადამიანებს ასწავლა ტანჯვათაგან დახსნა, თუმცა ის უძლურია თავის თავს უშველოს და თავი დაიხსნას ზევსის მიერ მოვლენილი სატანჯველისაგან. ქორო მას ადარებს ცუდმაშვრალ ექიმს, სნებაშეყრილს, რომელსაც თავისი თავის განკურნება არ ძალუძს (ევრ. მედ. 473-475).

მედიცინის საკითხების გარდა, პრომეთემ ძალიან ბევრ ხელოვნებას აზიარა ადამიანები: სახლის აშენება აგურით, ხით ხუროობა, წელიწადის დროების გარჩევა ერთმანეთისაგან, ასწავლა რიცხვები, მისცა წიგნი, ასწავლა ხარებზე უღლის დადგმა და მათი გამოყენება სამუშაოს შესამსუბუქებლად, ხომალდების მშენებლობა, ცხენის ჯოგის ეტლში შებმა, მისნობის საიდუმლოებანი, სიზმართა ახსნა, სპილენძის, რკინის, ოქრო-ვერცხლის მოპოვება.

როგორც ვხედავთ, პრომეთე კაცობრიობის მასწავლებლად გვევლინება. ის მზადაა დაეხმაროს ყველას და სანაცვლოდ არაფერს ითხოვს მათგან. მან თავი შესწირა ადამიანთა კეთილდღეობას, ის ბოლომდე იხარჯება ადამიანთა უკეთესი მომავლისათვის.

მედეასაგან განსხვავებით, პრომეთე მზადაა დაეხმაროს სხვებს, ასწავლოს მათ, როგორ გადაირჩინონ თავი და პირადი ინტერესები საერთოდ იგნორირებული აქვს. ის იცავს ჰიპოკრატეს მთავარ კანონს „სხვების სამსახურში თავს ვხარჯავ“.

სრულიად განსხვავებული მკურნალის ტიპია ევრიპიდეს „ჰიპოლიტოსის“ პერსონაჟი ძიძა, რომელიც არაგონივრულად იყენებს ჰიპოკრატეს კანონებს.

„ჰიპოლიტოსის“ პირველი ნაწილი გაჯერებულია სამედიცინო ტექსტისათვის დამახასიათებელი ტერმინებით. ეს არის პიესა, სადაც ენა ისევე ეფექტურად

მოქმედებს, როგორც საქციელი. ფედრა იყენებს სიტყვას 'nonos', რათა ზოგჯერ აღნიშნოს ავადმყოფობა, რომელიც მან მოუტანა საკუთარ თავს თვითმკვლელობის მცდელობით (ევრ. ჰიბ. 730), ხოლო ზოგჯერ ამ სიტყვას ჰიპოლიტოსის მიმართ არსებული სიყვარულის აღსანიშნავად გამოიყენებს (ევრ. ჰიბ. 394, 405). ხოლო ძიძა კი ამ სიტყვას იყენებს ავადმყოფობის გამოსახატად. ფედრას აქვს იმედი, რომ ძიძა მას განკურნავს.

ტრაგედიაში „ჰიპოლიტოსი“ ძიძა გამოყვანილია, როგორც განსწავლული რიტორიკასა და სამედიცინო სფეროში, თუმცა მას არ აქვს საკმაო კომპეტენცია. ის არაა დარწმუნებული, შეძლებს თუ არა ფედრას განკურნებას (ევრ. ჰიბ. 189-190). ძიძა თავის დასაცავად აღნიშნავს, რომ ადამიანის მთელი ცხოვრება ტკივილიანია (odyneros) და არ არსებობს ტკივილისგან ხსნა (ponos). სიტყვა *ponos* ჰიპოკრატეს მოძღვრებაში გამოიყენება, როგორც „ყრუ, ქრონიკული ტკივილი“, ხოლო *odyneros* კი „ძლიერი ტკივილი“ (შრიფსკი 2005: 234). ჰიპოკრატესთან ტკივილის აღსანიშნავად გამოყენებული ყველაზე გავრცელებული სიტყვაა *algos*, რომელიც ტრაგედიაში ძალზედ იშვიათადაა გამოყენებული.

ძიძა უძლურია განკურნოს ფედრა, თუმცა ის ცდილობს გაამართლოს მისი უცოდინრობა და მიზეზი თვით ფედრაში ეძიოს. მისი აზრით, ფედრა მას არ აწვდის საკმაო ინფორმაციას, რის საფუძველზეც მას შეეძლება მისი დიაგნოზირება და მკურნალობა (ევრ. ჰიბ. 271). თუმცა, ძიძა იყენებს სამედიცინო ტერმინებს, იმის დასამტკიცებლად, რომ ის საკმაოდ განსწავლულია მედიცინაში. ის აღწერს ფედრას ავადმყოფის მდგომარეობას: მას საკვები არ მიუღია სამი დღის განმავლობაში, არ შეიმჩნევა გონების დაქვეითება, მაგრამ ის სპეციალურად ამბობს უარს საკვებზე, რათა სიცოცხლეს გამოესალმოს (ევრ. ჰიბ. 271-277).

ძიძა ამაყობს იმით, რომ ის არის კარგი მკურნალი, რადგანაც შენიშნა ფედრას ავადმყოფობა, რაც მისი ქმრის თვალს გამოეპარა (თუმცა ის მალევე იძულებულია აღნიშნოს, რომ თეზესი ფედრასთან არ იმყოფებოდა და ამიტომაც ვერ შენიშნა, თუ რა აწუხებდა ფედრას). ძიძა თვლის, რომ არის დაავადებები, რომელთა განკურნებაც მხოლოდ ქალებს შეუძლიათ (ევრ. ჰიბ. 293-294). ათენის საზოგადოებაში ქალები ძირითადად ქალ მკურნალებთან დადიოდნენ, მათ ეკრძალებოდათ შიშველი სხეულის დემონსტრირება მამაკაცი მკურნალისათვის. თუკი ეს მაინც მოხდებოდა, გასინჯვას აუცილებლად სპეციალური მცველები ესწრებოდნენ (დინ ჯონსი 1994: 69-

80).

ძიმა ამბობს, რომ ფედრას დაავადება „ენით გამოუთქმელია” და ასეთი დაავადების დიაგნოზირება მხოლოდ ქალი მკურნალისათვის არის შესაძლებელი. ამით ის ხაზს უსვამს ქალთა უპირატესობას მამაკაც მკურნალებზე. მისი აზრით, ქალებს შეუძლიათ უსიტყვოდ გამოიცილონ პაციენტის დაავადება.

ფედრა დარწმუნებულია, რომ მისი ავადმყოფობა არ შეიძლება გადმოიცეს სიტყვებით, რადგანაც მისი გადმოცემა ნიშნავს სირცხვილს და პატივის დაკარგვას (ევრ. ჰიბ. 352). ძიმა კი აიძულებს მას გადმოსცეს მისი ავადმყოფობის სიმპტომები, რადგანაც ის არაა წინასწარმეტყველი და ვერ ხედავს უხილავს (ევრ. ჰიბ. 269). ფიზიკური, ხილული ნიშნების არარსებობის შემთხვევაში, მედიცინა უძლურია დასვას დიაგნოზი. ძიმა აღიარებს, რომ მას არ შეუძლია გამოიცილოს ფედრას დაავადების ხასიათი. აქ კარგად ჩანს, მისი, როგორც მკურნალის არაკომპეტენტურობა. მას არ შეუძლია შეიცილოს წარსული, გაიგოს აწმყო და ივარაუდოს მომავალი.

ძიმას ეჭვი ეპარება მის ძალებში, ამიტომ პასუხისმგებლობას ფედრას განკურნებაზე აფროდიტეს აკისრებს, რადგანაც ფედრას მიერ ჰიპოლიტოსის შეყვარებაში მას მიუძღვის დიდი წვლილი.

ძიმა, რწმუნდება რა, რომ მისი კომპეტენტურობა მედიცინაში არაა საკმარისი ფედრას განსაკურნებლად, ჯადოსნურ წამალს დაუნიშნავს მას (ევრ. ჰიბ. 478). ეს ჯადოსნური წამალი მზადდება ისეთი მაგიური ინგრედიენტებისაგან, როგორიცაა საყვარელი ადამიანის თმა და მისი ტანსაცმლის ქსოვილი (ევრ. ჰიბ. 514). რა თქმა უნდა, ჰიპოკრატეს სამედიცინო პრაქტიკაში არცერთი ასეთი მედიკამენტი არ გამოიყენებოდა. ეს ისეთი მედიკამენტებია, რომლის გამოყენებასაც არცერთი გონიერი ექიმი არ მიმართავს პრაქტიკაში (შრიფსკი 2005: 103-120). ძიმა იყენებს ჰიპოკრატეს ალოპათიური მედიცინის ტერმინებს ტრაგედიის პირველ ნახევარში, ხოლო შემდეგ უკვე გადადის ჰომეოპათიური მეთოდების გამოყენებაზე, რაც გავრცელებულია ჯადოქრებში (ტეილორი 1998: 157-158).

ძიმაზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის კარგადაა გათვინობიერებული ორატორულ ხელოვნებაში და კარგად შეუძლია შეფუთოს მისი არაკომპეტენტურობა. ის ამბობს, რომ არაა ცუდი მკურნალი, უბრალოდ, არაწარმატებული აღმოჩნდა მისი მცდელობა და ისურვებდა, რომ ჰქონდეს კიდევ ერთი ცდის შანსი (704-705).

როგორც დავინახეთ, ანტიკურ დრამაში სამედიცინო განათლებით გამოირჩევიან პერსონაჟები, თუმცა ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავიანთი კომპეტენტურობის დონითა და იმით, თუ როგორ იყენებენ ისინი ამ ცოდნას. ესქილეს პრომეთე („მიჯაჭვული პრომეთე“) მკურნალი- ფილანტროფია, ევრიპიდეს მედეა („მედეა“) - ზიანის მომტანი მკურნალია, ხოლო ევრიპიდეს ძიძა („ჰიპოლიტოსი“) - გაიძვერა მკურნალის სახეა.

მჭევრმეტყველი ქალები დრამაში. ჩემს სადისერტაციო ნაშრომში ხშირად ვსაუბრობ ორატორულ ხელოვნებაზე, როგორც მაშინდელი განათლების ერთ-ერთ აუცილებელ კომპონენტზე, მაგრამ აქ შეგნებულად ვამახვილებ ყურადღებას მჭევრმეტყველებით გამორჩეულ მხოლოდ ქალ პერსონაჟებზე, რადგანაც მიმაჩნია, რომ ეს საკითხი შედარებით ნაკლებად არის შესწავლილი. დრამატურგიამ სცენაზე გამოიყვანა ემანსიპირებული ქალები, მაშინ როცა საზოგადოებაში ქალის ფუნქციები თითქმის ნულამდე იყო დაყვანილი. ერთ-ერთია ორატორული განათლების მქონე პერსონაჟები ანტიკურ დრამაში. უფრო მეტიც, ისინი მამაკაცებსაც კი უტოლდებიან თავიანთი მწყობრსიტყვაობით. ასეთები არიან ეთრა ევრიპიდეს „მავედრებელ ქალებში“, იოკასტე „ფენისეში“, ჰეკაბე „ჰეკაბეში“; კლიტემნესტრა ესქილეს ტრაგედიაში „აგამემნონი“. სამივე მათგანის სიტყვები არის სათანადოდ არგუმენტირებული და მიმართული როგორც ფართო აუდიტორიის, ისე კონკრეტული პირისაკენ. ისინი ავლენენ რიტორიკული ხელოვნების ცოდნას, რაც როგორც წესი, მხოლოდ მამაკაცებისათვის იყო ხელმისაწვდომი მაშინდელ საზოგადოებაში. მართალია, საზოგადოების დამოკიდებულება ამ ფაქტის მიმართ ნიჰილისტურია („ქალთაგან მოდის ჭორები“ ესქ. აგამემნ. 486–487)¹⁵ და მეცნიერები ხშირად აკრიტიკებენ ევრიპიდეს ქალთა არარეალური ცოდნის დემონსტრირების გამო (ფოლი 2003:275), მაგრამ თავად ფაქტი, რომ ანტიკური ტრაგედიის პერსონაჟი ქალები ფლობენ ორატორულ ხელოვნებას, მიანიშნებს ბერძენ დრამატურგთა სურვილზე, განათლება ყოფილიყო საყოველთაო და ხელმისაწვდომი.

ეთრა ევრიპიდეს „მავედრებელ ქალებში“ და იოკასტე „ფენისეში“ ცდილობენ მამაკაცებს დაუმტკიცონ თავიანთი მოსაზრებების სისწორე, თუმცა ამათგან მხოლოდ ეთრა მოახერხებს თავისი ვაჟი, თეზევსი დააჯეროს, რომ დედის აზრი

¹⁵ ციტატები ესქილეს „აგამემნონიდან“ მომყავს გ. სარიშვილის თარგმანის მიხედვით (1978).

მხედველობაში მიიღოს. მესამე, უფრო რთულ შემთხვევაში, ევრიპიდეს „ჰეკაბეში“ აგამემნონი ხვდება ბარბაროსი დედოფლის, ჰეკაბეს მიერ ჩამოყალიბებული პოზიციის მორალურ სიმაღლეს, თუმცა, თვდაპირველად, ცდილობს ეს არ აღიაროს. საბოლოოდ, აგამემნონი მაინც ჰეკაბეს მხარეს დაიჭერს.

სამივე ქალი დახვეწილი ორატორული სიტყვებით გამოდიან. მათი სიტყვები არის სათანადოდ არგუმენტირებული და მიმართული როგორც ფართო აუდიტორიის, ისე კონკრეტული პირის მიმართ. ისინი თავიანთ მოწოდებებს კანონებსა თუ წეს-ჩვეულებებზე დაყრდნობით აკეთებენ. ეს კანონები, ძირითადად, ეხება მშობლებთან, მეგობრებთან და უცხოებთან ურთიერთობას, ომის რეგულირებებს: ომში გარდაცვლილთა და ტყვეების უფლებებს, ღმერთების პატივისცემასა და რიტუალების სათანადოდ შესრულებას, დადებული ფიცის შესრულებას, სტუმართმასპინძლობისა და ურთიერთობის წესების დაცვას.

ტრაგედიაში ქალები საჯაროდ გამოდიან მეტად დამაჯერებელი სიტყვებით და მსჯელობენ მორალურ საკითხებზე, ცდილობენ საზოგადოების დარწმუნება-გადაბირებას. თუმცა, მამაკაცების დამოკიდებულება ხშირ შემთხვევაში არასერიოზულია ასეთი გამოსვლების მიმართ. მაგალითად, ესქილეს „აგამემნონში“ ქორო ქალთა საუბარს გულუბრყვილობად მიიჩნევს (ესქ. აგამ. 485–486), მაგრამ მაინც, ესქილე კლიტემნესტრას სიტყვის დამაჯერებლობას უსვამს ხაზს, როცა ის ტროას დაცემას აღწერს (ესქ. აგამემ. 351). ასევე, მინდა მაგალითად მოვიყვანო მედეას შემთხვევა, როცა ის თავის სიტყვის ძალით მოახერხებს იასონისა და კრეონის დაყოლიებას, კიდევ ერთი დღე აჩუქონ ქვეყნის დატოვებამდე. მედეამ დამაჯერებელი საუბრით მოახერხა ორი საკმაოდ გონიერი მამაკაცის გაცურება. ევრიპიდეს „ჰიპოლიტოსში“ ძიძა ახერხებს მისი დამაჯერებელი საუბრით ფედრას განადგურებას.

ქალთა ორატორული ხელოვნება კრიტიკის ობიექტად იქცა არისტოფანეს კომედიაში „ბაყაყები“ („ყველა ორატორულად აამეტყველა“ (არისტ. ქალ.სახ.კრებ.44)¹⁶; „მამამისისგან უსწავლია მჭევრმეტყველება“ (არისტ. ლისისტრ. 1125–1127).

ევრიპიდეს „მავედრებელ ქალებში“ არდასტუსი და თებეს წინააღმდეგ

¹⁶ ციტატები არისტოფანეს კომედიებიდან მომყავს ლ. ბერძენიშვილის თარგმანების მიხედვით (2004–2011).

მებრძოლი შვიდი მეომრის დედა ევედრებიან ეთრას – თებეს მეფის, თეზევსის დედას დაეხმაროს მათ გარდაცვლილთა დამარხვაში. პროლოგში ეთრა ხაზს უსვამს თებელთა მიერ ღმერთის კანონების დარღვევას (ევრ. მავ. ქალ. 19) და დიდ მწუხარებას გამოთქვამს ჭაღარა დედების მიმართ, რომელთაც დაკარგეს შვილები. ის აღნიშნავს, რომ თეზევსის გადასაწყვეტია, რა ბედი ელით მავედრებლებს, რადგანაც „ქალებს შეჰფერით კაცებს მიანდონ გადაწყვეტილებები” (ევრ. მავ. ქალ. 40–41). შემოდის თეზევსი და ეთრა თხოვს მავედრებლებს, მათი თხოვნა გადასცენ მეფეს (ევრ. მავ. ქალ. 109). ამ დროს თეზევსს ქალებიდან (რომლებიც ეთრას შემოხვევიან ორქესტრაში) ყურადღება გადააქვს არდატუსსა და მეომართა ვაჟებზე, რომლებიც ორქესტრას უკან არიან განლაგებულნი. აქ სასცენო ხელოვნებით მიღწეულია ქალისა და მამაკაცის შეხედულებებს შორის კონტრასტის ხაზგასმა, ქალები უფრო წინ არიან წამოწეული და აუდიტორიასთან უფრო ახლოს დგანან, ვიდრე კაცები (რემი 1998:124).

არდატუსი ევედრება თეზევსს, რომ შეიწყალონ ისინი, მაგრამ თეზევსი უარს უცხადებს მას (ევრ. მავ. ქალ. 155–164). თეზევსს არ სურს დაეხმაროს მათ, ვინც ღმერთისგან ბოძებული არ იკმარეს და მეტი მოინდომეს (მასტრონარდი 1986: 203–204). თეზევსი სთხოვს მავედრებლებს, რომ წავიდნენ (ევრ. მავ. ქალ. 359–361). მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ესაა მეტად უცნაური სცენა, რადგანაც, ევრიპიდესთან, როგორც წესი, მავედრებლებს პატივისცემით ეპყრობიან (მიმოხილვისთვის იხ. მერციერი 1990).

შემდეგ ეთრა ითხოვს თეზევსისაგან, ისაუბროს მისი და ათენის სახელით. თეზევსი დათანხმდება და აღნიშნავს, რომ ბევრი ბრძნული სიტყვა მოდის ქალთა ბაგეთაგან (ევრ. მავ. ქალ. 294). აქ ეთრა წარმოთქვამს გრძელ რიტორიკულად გამართულ სიტყვას (კოლარდი 1975:187–190). თეზევსი მზადაა იგნორირება გაუკეთოს პოლიტიკურ თხოვნას, სანამ დედა არ ჩაერევა. თეზევსი შეიცვლის მის აზრს. საერთოდ ცნობილია, რომ, ტრაგედიის გმირები იშვიათად იცვლიან აზრს და უფრო იშვიათად იღებენ რჩევებს (შდრ. ჯილბერტი 1995). ჩემი აზრით, ევრიპიდესს სურს ხაზი გაუსვას, რომ თეზევსს აზრი შეაცვლევინა ქალმა მისი ორატორულად დახვეწილი არგუმენტებით. ევრიპიდესთან სხვა ქალი პერსონაჟებიც გვევლინებიან ორატორებად, თუმცა უმეტესად მათ საჯარო გამოსვლებს რელიგიური ხასიათი აქვთ, ან ისინი ეხებიან ტრადიციებისა და დაუწერელი კანონების დაცვას.

პრაქსითეა ევრიპიდეს „ერისტეუსში“ გახდება ათენის პირველი ქურუმი ქალი პიესის ბოლოს, ის მანამდე აჩვენებს, რომ ღირსია ამ პატივის, რადგანაც მის პატრიოტულ - ორატორულ გამოსვლაში აღნიშნა, რომ საკუთარი ქალიშვილის სიცოცხლე შესწირა ქალაქ-სახელმწიფოს ინტერესებს და ეს პატრიოტული სიტყვა მოიწონა თვით ორატორმა ლიკურგუსმაც.

ევრიპიდეს „ფენისეში“ იოკასტე, ეთრას მსგავსად, პროლოგში წარმოთქვამს სიტყვას, სადაც ის ავლენს მაღალზნობრივ თვისებებს და წარმოგვიდგენს საკუთარ შეხედულებას ოჯახზე. შემოდის ანერვიულებული პოლინიკესი, რომელიც იოკასტეს მოუხმია (ევრ. ფენ. 261). ის ცდილობს შუამავლის როლი შეასრულოს ძმებს შორის და აარიდოს მათ თებეს წინააღმდეგ ბრძოლა. იოკასტეს აცვია სამგლოვიარო ტანსაცმელი, რათა ხაზი გაუსვას საგვარეულო წყევლას (ევრ. ფენ. 301–354). ეტეოკლესი ერთვება დიალოგში (ევრ. ფენ. 446). იოკასტე ცდილობს, დაარეგულიროს ძმათა შორის ურთიერთობა და აიძულებს მათ თვალეში ჩაჰხედონ ერთმანეთს (ევრ. ფენ. 454–464). პირველად პოლინიკესი საუბრობს. ის თავაზიანობას იჩენს საუბრისას და ამტკიცებს მის სამართლიანობას. ის აღნიშნავს, რომ ეტეოკლესი არასამართლიანად მოიქცა, რადგან მან უღალატა მის სიტყვას. პოლინიკესი მზადაა ბრძოლა ჩაშალოს, თუკი მისი ძმა კომპრომისზე წავა. სხვა შემთხვევაში ის ქალაქს შეუტევს. ქორო მოუწონებს მას გონივრულ საუბარს (ევრ. ფენ. 498). ეტეოკლესი აქ საუბრობს, როგორც სოფისტი. ის აღნიშნავს, რომ თუკი ყველა ადამიანისათვის ერთი და იმავე რამ იქნებოდა მოსაწონი, საერთოდ აღარ იარსებებდა ბრძოლები (ევრ. ფენ. 499–502). ეტეოკლესის აზრით, პოლინიკესმა არ უნდა შეუტეოს მის სამშობლოს და ის ლაჩრობად მიიჩნევს დანებებას (ევრ. ფენ. 524–25). ქორო აკრიტიკებს მის საუბარს და უსამართლობას დასწამებენ მას (ევრ. ფენ. 526–27). ამის შემდგომ იოკასტე წარმოთქვამს სიტყვას, რომელიც გამოირჩევა ორატორული ხელოვნების მაღალი დონით (ევრ. ფენ. 528–585). ის აკრიტიკებს ეტეოკლესს ამბიციურობის გამო (ევრ. ფენ. 531–32) და მოითხოვს დაცული იქნეს თანაბარუფლებიანობა, რაც აერთებს მეგობრებს, ქალაქებსა და მოკავშირეებს (ევრ. ფენ. 535–537). თანასწორობა ბუნებისგან ნაკარნახევი კანონია ადამიანებისათვის (ევრ. ფენ. 538), თანასწორობის დარღვევა სიძულვილს წარმოშობს (ევრ. ფენ. 541–45). ადამიანებს არ გააჩნიათ საკუთარი ქონება, მხოლოდ მეთვალყურეობენ იმას, რაც ღვთის საკუთრებაა (ევრ. ფენ. 555–557), სიმდიდრე წარმავალია (ევრ. ფენ. 558).

ეტეოკლესმა თებეს უსაფრთხოება უნდა დააყენოს სიმდიდრესა და ძალაუფლებაზე წინ (ევრ. ფენ. 559–67). იოკასტეს აზრით, პოლინიკესიცი დამნაშავეა, რადგანაც თავის ქალაქს უტევს (ევრ. ფენ. 568–585). აუდიტორიისათვის თანასწორობისა და თანაბარუფლებიანობის მოწოდება ხდება დემოკრატიის დაცვის მცდელობა, იოკასტე დემოკრატიული თეორიის ელემენტებს აყალიბებს მის სიტყვაში (მასტრონარდი 1994: 45–56). მისი ექსპრესიული სიტყვის მიუხედავად, იოკასტე ვერ ახერხებს ძმების დაყოლიებას, ისინი ისევ მზად არიან ბრძოლის ველზე შეერკინონ ერთმანეთს. იოკასტე თვითმკვლელობით ასრულებს სიცოცხლეს. „ფენისეში“ იოკასტეს სიტყვით გამოსვლა ხდება მხოლოდ ოჯახურ ატმოსფეროში, ეს არაა საჯარო გამოსვლა და მას მხოლოდ ქალთა ქორო ესწრება. აქ დედა ასრულებს არა მედიატორის როლს, არამედ დემოკრატიის უფლებების დამცველად და მქადაგებლად გვევლინება. ის საუბრობს გმირულად და მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ ყველა– ქალი, კაცი, ახალგაზრდა თუ მოხუცი სახელმწიფოს ინტერესებს უნდა უქვემდებარებდეს საკუთარს (ფოლი 1985: 144).

ევრიპიდეს „ჰეკაბეში“ ჰეკაბე, ყოფილი ტროას დედოფალი, ახლა კი მონობაში მყოფი, ორ მოწოდებას აკეთებს მისი ბერძენი ბატონების დასახმარებლად: 1. ის ცდილობს დაიყოლიოს ოდისევსი, რომ ჩაერიოს და თავიდან აირიდოს მისი ქალიშვილის მხვერპლშეწირვა აქილევსის საფლავზე და 2. ის სთხოვს აგამემნონს, დაჟინებით მოითხოვოს სამართლიანობის აღდგენა ბარბაროსი პოლიმესტორისაგან. პირველ სცენაში, ის ახსენებს ოდისევსს, რომ ერთხელ ის უკვე დაეხმარა ოდისევსს და ახლა სთხოვს, სანაცვლოდ შეისმინოს მისი ვედრება (ევრ. ჰეკ. 239–247). მისი აზრით, სამართლიანი იქნებოდა, რომ აქილევსს მოეთხოვა ელენეს მხვერპლად შეწირვა და არა პოლიქსენესი (ევრ. ჰეკ. 280–281). ის შეახსენებს ოდისევსს, რომ ბერძნებს ერთი და იგივე კანონები აქვთ მონებისა და თავისუფალი მოქალაქეებისთვის (ევრ. ჰეკ. 291–292). ჰეკაბე ვერ ახერხებს პოლიქსენეს გადარჩენას. ის ამტკიცებს, რომ სახელმწიფოს ინტერესები უფრო მაღლა უნდა დააყენოს ადამიანმა ვიდრე ოჯახის. მაგალითად მოიყვანს აქილევსს, რომელიც საბერძნეთისათვის დაიღუპა. ჰეკაბე მის მოთხოვნას ამყარებს სამართლიანობისა და ურთიერთობის კანონებზე, ის ახსენებს ოდისევსს ადამიანის ცხოვრების ტრაგიკულ ცვალებადობას (ევრ. ჰეკ. 282–285). იგი ცდილობს, მის გამოსვლაში წაშალოს საზღვრები ქალსა და მამაკაცს, მონებსა და თავისუფალ მოქალაქეებს, მტრებსა და

მეგობრებს შორის. მისი აზრით, არავინ იმსახურებს უსამართლო სიკვდილს (ევრ. ჰევ. 120–121).

აგამემნონთან საუბრის სცენაში, ჰეკაბე სთხოვს მას, შური იძიოს მისი ვაჟის პოლიდოროსის მკვლელობა პოლიმესტორზე. პოლიმესტორმა ჰეკაბეს ვაჟიშვილი მოკლა იმ ოქროს გამო, რაც მას ტროადან მოჰქონდა. ის ამბობს, შესაძლოა, ადამიანები მონებად იქცნენ და დაკარგონ ძალაუფლება, მაგრამ მთავარი ძალაუფლება ღმერთის ხელშია (ევრ. ჰევ. 799–800). აგამემნონს ეცოდება ჰეკაბე და პოლიმესტორის საქციელს უსამართლოდ მიიჩნევს (ევრ. ჰევ. 806–808). ის აგამემნონს ეუბნება, რომ კარგი კაცია და მან უნდა იმოქმედოს ისე, როგორც შეჰფერით კარგ ადამიანებს (ევრ. ჰევ. 844–845).

ოდისევისაგან განსხვავებით, აგამემნონი შეისმენს ჰეკაბეს ვედრებას, მას სურს რომ პოლიმესტორს მიუზღოს სამაგიერო არასამართლიანი და უღმერთო საქციელის გამო. მაგრამ მას ეშინია, ჯარმა არ დააბრალოს, რომ კასანდრას გამო იქცევა ასე, რადგანაც ჯარი პოლიმესტორს მოკავშირედ მიიჩნევდა, ხოლო ჰეკაბეს ვაჟს - მტრად (ევრ. ჰევ. 858–859). ის მზადაა დაეხმაროს ჰეკაბეს, თუკი თავიდან აიცილებს ჯარის ცილისწამებას (ევრ. ჰევ. 860–863). ჰეკაბე გაათავისუფლებს მას ამ დილემისაგან და სთხოვს მეფეს თანამონაწილეობას, როცა ის და მისი მომხრე ქალები შურს იძიებენ მასზე (ევრ. ჰევ. 866–875). ტროელმა ქალებმა დააბრმავეს პოლიმესტორი და მოუკლეს ორი ვაჟი, ამის შემდგომ ჰეკაბე ათავისუფლებს მას მოვალეობებისაგან და უჩვენებს აგამემნონს, რომ პოლიმესტორი ნამდვილად არ იყო ბერძენთა მოკავშირე (ადკინსი 1966:204).

ამ სცენებში ჰეკაბე ცდილობს აღადგინოს სამართლიანობა თავის თავისა და ოჯახისათვის. ოდისევის უარს უცხადებს ჰეკაბეს დახმარებაზე. ჰეკაბე მის პოზიციას ამაგრებს არგუმენტებით, რომლებიც არის უნივერსალური სტაბილური რელიგიური და სოციალური წყობისთვის და პოლიტიკური თანასწორუფლებიანობისათვის (კოვაკსი 1987: 80–83). ის ამ არგუმენტებზე გადადის მას შემდეგ, რაც ხვდება რომ ტრადიციული არგუმენტები ნაკლებ ეფექტურია და მის ბოლო სიტყვაში მოიყვანს ისეთ არგუმენტს, რაც ასახავს ბერძენების პოლიტიკურ ინტერესს ტრადიციული კანონების დაცვაში.

პიესაში ხაზგასმულია ჰეკაბეს მიერ ქალის შესაძლებლობების ზღვრების გარღვევა (ბარნეტი 1998:142-144). აგამემნონი გაოცებულია იმ ფაქტით, რომ ჰეკაბე

ითხოვს თვითონ იმიოს შური, რადგანაც მას არ სჯერა, რომ ქალს შეუძლია სამართიანობის დამყარება (ევრ. ჰევ. 885). ტრაგედიის ბოლოს პოლიმესტორიც გაოგნებულია, რომ მონა ქალმა მოახერხა მისი დამარცხება (ევრ. ჰევ. 1252-1253).

სამივე შემთხვევაში ქალები მოუწოდებენ მამაკაცებს მოიქცნენ სამართლიანად, ახსენებენ მათ უნივერსალურ ჭეშმარიტებას, რაც ყველა ბერძენისათვის და, საერთოდ, ყველა ადამიანისათვის უზანაესია. ეთრა და ჰეკაბე თავიანთ მოწოდებებს აკეთებენ ტრადიციებითა და ღმერთების მიერ დადგენილ კანონებზე დაყრდნობით. ესაა მიცვალებულის დაკრძალვა, მავედრებლების მიღება და ადამიანთა შორის თანასწორობა. იოკასტე, რომელიც ცდილობს ბუნებრივი თანასწორობის აღდგენას, შეეჯახება სოფისტურად მოაზროვნე ვაჟს, რომელიც ფიქრობს, რომ ადამიანური კანონები შედარებითია და დამოკიდებულია შემთხვევაზე. სამივე დედა საუბარში თავის პირად ინტერესებს კი არ წამოსწევს წინა პლანზე, არამედ მათი საუბარი მიმდინარეობს ოჯახისა და სახელმწიფოს ინტერესების გათვალისწინებით. მათი რაციონალური არგუმენტები სრულებით წარმოაჩენს მათი მოწოდებების სამართლიანობას. ეთრა და იოკასტე სახალხო ინტერესებს აყენებენ წინა პლანზე, ჰეკაბეც ცდილობს დაამტკიცოს, რომ მისი შურისძიება საზოგადოებრივი მნიშვნელობისაა და ამიტომაც ითხოვს სახალხო მხარდაჭერას.

როგორც ჩანს, ქალთა სიტყვით გამოსვლას დიდად სერიოზულობით არ ეკიდებოდნენ მამაკაცები. მაგალითად, იოკასტემ ვერ მოახერხა ვაჟების დაყოლიება. ჰეკაბემ მოახერხა მისი პოზოციის საჯაროდ გამართლება და განმტკიცება, თუმცა მან დაკარგა საუბრის უფლება გადაიქცა რა ძალდა (ჰეკაბეს დამუნჯებაზე იხ. რაბინოვიცი 1993: 109). ეთრას გამგაზავრების შემდგომ, მისი საუბარი იგნორირებულია. ევრიპიდემ ქალებს აჩვენებინა, რომ მმართველები არაადექვატურად პასუხობენ იდეალური მორალური საქციელის მოთხოვნებს.

დრამატურგიაში ქალთა სახეები არარეალურია და, შესაბამისად, მათი განათლების დონეც მოკლებულია რეალობას. ეს, ალბათ, განპირობებულია იმით, რომ ანტიკური პერიოდის დრამატურგები განიცდიდნენ განათლებული, გონიერი ქალის ნაკლებობას საზოგადოებაში. რა თქმა უნდა, უფრო საინტერესოა იმ საზოგადოებაში ცხოვრება, სადაც ცხოვრობენ არა მარტო განათლებული კაცები, არამედ ქალებიც, რომლებიც ბრმად კი არ ემორჩილებიან მამაკაცებს, არამედ არგუმენტირებულად ასაბუთებენ თავიანთ პოზიციებს, რაციონალურად

ეთანხმებიან ან ეწინააღმდეგებიან მათ. ბუნებრივია, ასეთ საზოგადოებაში ცხოვრება უფრო სასიამოვნო და აზრიანია ორივე სქესის ადამიანისათვის.

განათლების საკითხები და კომედიოგრაფოსები. არისტოფანე თავის კომედიაში „ღრუბლები“ ყურადღებას უთმობს განათლების თემას, კერძოდ კი სოფისტურ განათლებას. გაშარჟებულია სწავლების მეთოდი: „ურტყი და ასწავლე“, „გახსოვდეს, ისე გამოზარდე, ცალი ყბით საქმეს რომ მიადგეს, მეორე ყბაც აუთამამდეს, უფრო სერიოზული საქმის შესაჭმელად“; სოფისტური განათლების შედეგი – „გაღმა შედავების ოსტატის აღზრდაა“. ყოველივე ამის დრამატიზირებისათვის ის იყენებს მამა – შვილის ურთიერთობას. ხდება კონფლიქტი მამა-შვილს შორის, რაც ასოცირდება ახალსა და ძველ იდეებს (განათლებას) შორის დაპირისპირებად.

კომედია იწყება შემდეგი სურათით: მოხუცი მამა და მისი ვაჟი საწოლში არიან. ვაჟს სძინავს, ხოლო მამას არ შეუძლია დაძინება, რადგანაც ვალებზე ფიქრი არ აძლევს მოსვენებას. ის ადანაშაულებს მის ვაჟს, რომელიც გატაცებულია ცხენოსნობით და ძილშიაც კი ცხენებზე ლაპარაკობს. სტრეფსიადე კი სწორედ რომ ცხენების ყიდვა-გაყიდვამ ჩააგდო ვალებში.

სტრეფსიადეს დიდი სურვილი აქვს მისმა შვილმა ფიდიპიდემ ცხენოსნობას თავი დაანებოს, სასწავლებლად წავიდეს სოფისტებთან, ისწავლოს სოფისტური მოძღვრება და მისი წყალობით, თავი დააღწიოს მევალებს. როგორც კი ფიდიპე გამოიღვიძებს, მამა დაანახებს მას პატარა სახლს, და ეუბნება : „ეს ბრძენთა სულების საფიქრალეთია,/ აქ ცხოვრობს ის ხალხი, რომელიც ამტკიცებს,/ ცა არის ღუმელი და ჩვენ ნახშირიო./ თუ ფულს გადაუხდი უმაღლესსწავლიან/ იმგვარად ლაპარაკს, რომ გაიმარჯვებდი/ ყოველგვარ საქმეში, მტყუანიც რომ იყო“ (არისტ. ღრუბ. 94-99). ფიდიპიდეს არ მოსწონს სოფისტები, მათ სამაგლებსა და თაღლითებს უწოდებს: „ახ, ის სამაგლები, ვიცი, თაღლითები,/ გაფითრებულები, მუდამ უხამურნი,/ საბრალო სოკრატე, ან ის ქერეფონტი“ (არისტ. ღრუბ. 103-105).

სტრეფსიადე შვილს აფრთხილებს, რომ ვერ მიიღებს ის მამისეულ ქონებას, თუკი თავს არ დაანებებს ცხენოსნობასა და სოფისტების მოძღვრებას არ შეისწავლის. „ მოიცა, გაჩუმდი, სიბრიყვეს ნუ რომავ./ თუ მამისეული ქონება გადარდებს, / უნდა დაანებო თავი ცხენოსნობას“ (არისტ. ღრუბ. 105-107). მამა ევედრება შვილს, რომ წავიდეს სასწავლებლად: „ წადი, გვედრები ძვირფასო არსებავ,/ წადი და ისწავლე“ (არისტ. ღრუბ. 110-111).

სტრეფსიადე ასე ახასიათებს სოფისტებს და მათ მოძღვრებას: „ ნატიფი ხალხია, ბრძენი და კეთილი” (არისტ. ღრუბ. 102); „ამბობენ, სიტყვა აქვთ მათ თურმე ორგვარი,/ ერთი მართალი და მეორე ტყუილი,/ჰოდა, ამ ტყუილით თურმე გაიმარჯვებ/ სუყველა საქმეში, მტყუანიც რომ იყო./ და თუკი ამ ტყუილ სიტყვასაც ისწავლი,/ რაც ახლა ვალი მაქვს შენი მოხვეჭილი,/ იქიდან ობოლსაც არვის გადავუხდი” (არისტ. ღრუბ. 113-119).

სტრეფსიადე სახლიდან გაგდებით ემუქრება შვილს, თუკი ის სოფისტების მოძღვრების შესწავლაზე უარს იტყვის: „სახლიდან გაგაგდებ, ყორნებს წაუღიხარ”(არისტ. ღრუბ. 123).

სტრეფსიადე ვერ მოახერხებს შვილის დაყოლიებას, ის მაინც ცხენოსნობას ამჯობინებს სოფისტების მოძღვრებას და მამა გადაწყვეტს თვითონ წავიდეს სოფისტური მოძღვრების შესასწავლად. მოხუცებულს ეჭვი ეპარება სიბერეში რაიმე შეითვისოს, მას დაკაკუნებაც კი უჭირს კარზე და ძლივს ახერხებს ამას. მას კარს უღებს სოკრატეს ერთ-ერთი მოსწავლე, რომელსაც ეუბნება, რომ სასწავლებლად მივიდა მათ „ საფიქრელეთში”(არისტ. ღრუბ. 142). მოსწავლე მეტად გაბრაზებულია იმის გამო, რომ სტრეფსიადემ აზრი გააწყვეტინა მას.

„საფიქრელეთი”, ესაა სკოლა, რომელსაც სოკრატე და ქერეფონტი ხელმძღვანელობენ (გოლდბერგი 1976: 254–6). ის უყვება სტრეფსიადეს, თუ რას აკეთებდნენ იმ დღეს სოკრატე და სტრეფსიადე და მოახერხა სტრეფსიადეს ინტერესი გაედვივებინა : „ო, ზევს, მეუფეო, რა ღრმა აზრებია!”(არისტ. ღრუბ. 153)

მოსწავლე ცდილობს უფრო მეტად დააინტრიგოს სტრეფსიადე: „და მაშინ რას იტყვი, როდესაც მოისმენ/ სხვა აღმოჩენათა ამბებს?” მოსწავლე დაწვრილებით გადასცემს სტრეფსიადეს მსჯელობას კოლოს ბზულის წარმოშობის შესახებ. ის კიდევ რამოდენიმე აღმოჩენას გაანდობს მათ და მოახერხებს, სტრეფსიადეს „მოჯადოებას”:
„ან რა სასამართლო დააკლებს რამეს/ მას, ვინც გარკვეულა კოლოს ნაწლავებში?”(არისტ. ღრუბ. 167-168).

არისტოფანე სერიოზულ საკითხებს აშარჟებს. ჩვენ სულაც არ მოგვეჩვენებოდა უჩვეულოდ თუ ზოოლოგი დაინტერესდებოდა რწყილის ნახტომის გაზომვითა და კოლოს ბზუილის წარმოშობი მიზეზების ძიებით, მაგრამ არისტოფანე ცდილობს გამოიყენოს გარკვეული ხერხები, რომლის საშუალებითაც ახერხებს, რომ აბსურდულად მოგვაჩვენოს ეს ყველაფერი და გამოიწვიოს კომიკური ეფექტი:

დაკვირვების საგანია უმცირესი მწერები, რომელთა შესწავლა ათენელებს ტრივიალურად მოეჩვენებოდა, დაკვირვება იწყება მაშინ, როცა რწყილი ქერეფონტის თავიდან სოკრატეს თავზე გადაფრინდება. ესე იგი, ორივე სოფისტს რწყილები ჰყავს თმაში, ანუ უწესრიგობები არიან.

მოსწავლე უხასიათებს სტრეფსიადეს სხვა მოსწავლეებს. მათ თავი დაუხრიათ, რადგან: „ისინი ეძებენ მიწისქვეშ რაცაა” (არისტ. ღრუბ. 188); „სწავლობენ წიაღის საიდუმლოებებს”(არისტ. ღრუბ. 192); ისინი ცას ასცქერიან, რადგან ეს „ახალი ხერხია ასტრონომიაში”(არისტ. ღრუბ. 194); ერთი მოსწავლე მეორეზე: „მათ აკრძალული აქვთ/ ხანგრძლივად გამოსვლა და ყოფნა ჰაერზე” (არისტ. ღრუბ. 199).

სტრეფსიდე აღმოაჩენს, რომ სტუდენტები ჩართული არიან არაერთ აბსურდულ საქმიანობაში, რაც აღმოჩნდება, რომ არის გეოლოგია, ასტრონომია, გეომეტრია, და გეოგრაფია.

სტრეფსიადე შენიშნავს სოკრატეს შემალლებულ ადგილას „დაკიდულ კალათში”(არისტ. ღრუბ. 218) და გაუჩნდება სურვილი მას გაესაუბროს. სოკრატე მას ეკითხება მოსვლის მიზეზს, ის პასუხობს, რომ სწავლა წყურია, ვახში არ ასვენებს, სტანჯავენ სასტიკი მევალები და ქონებას ართმევენ. კითხვაზე, თუ საიდან შეეყარა ამდენი ვალები, ის პასუხობს: „ცხენის ღორმუცელა სენი შემეყარა./ შენ კი შემასწავლე სიტყვა იმნაირი,/ რომ არ დავუბრუნო ვალი მევალებს./ კარგად გადაგიხდი, ღმერთებს გეფიცები” (არისტ. ღრუბ. 243-246).

სოკრატე პასუხობს ამაზედ, რომ მეცნიერებაში ღმერთები არაა, თუმცა მათი ახალი ღვთაება არის ღრუბლები.

სოკრატე სტრეფსიადეს გვირგვინს დაადგამს, თავზე ფქვილს აყრის, გადაწყვეტს რა მის ზიარებას. და ამის შემდგომ უკვე ის გახდება „ყბედი და ფქვილივით ნატიფი” (არისტ. ღრუბ. 260).

სოკრატე ღრუბლებს უმადლის, რაც მათ იციან: „ მათი წყალობით გვიჩნდება აზრი, მათ ვუმადლოდეთ ლაპარაკს, ბოდვას/ სიტყვაუხვობას და თაღლითობას, ემძაკობას და მატრახაზობას” (არისტ. ღრუბ. 317-318).

სოკრატე ექიმებს უწოდებს „თითებზემრავალბეჭდიანებს”(არისტ. ღრუბ. 332), ანუ, როგორც ჩანს, მაღალანაზღაურებადი იყო ექიმის პროფესია.

სოკრატე ღრუბლებს უმადლის, რაც მათ იციან. სოკრატე აღნიშნავს, რომ ღრუბლები ხშირად კენტავრს ემსგავსებიან: „მაშ, არ იცოდი, რომ ღრუბლებმა

გამოზარდეს ბევრი სოფისტი,/ ბევრი მისანი, ბევრი ექიმი თითებზემრავალბეჭედიანი,/ დითირამების ლექსისმთხზველები და ბევრი ყალბი ვარსკვლავთმრიცხველი,/ მათ გამოკვებეს ბევრი მოცლილი, რათა უმდერონ იმათ და აქონ” (არისტ. ღრუბ. 331-334).

სოკრატე ეუბნება სტეფსიადეს: „ღრუბლებისათვის რომ შეგიხედავს, არ დაგინახავს მათში კენტავრი?/ ანდა ავაზა, მგელი თუ ხარი?” (არისტ. ღრუბ. 346).

არისტოფანე სოკრატეს მიაწერს ბევრ სხვა სამეცნიერო თეორიას, რომლებიც ჩვენთვის სიცილის მომგვრელია, თუმცა ზოგი მათგანი მაშინდელ პერიოდში რეალურად სჯეროდათ ათენელებს. ფაქტობრივად, ეს ის პერიოდი იყო, როცა ათენი მოიცვა მეცნიერულმა თეორიებმა. თუმცა იონიელმა ფილოსოფოსებმა ერთი საუკუნით ადრე დაიწყეს ბუნების შემსწავლელი თეორიების შექმნა, ათენში ძვ. წ. ა. V საუკუნეში იწყება ინტერესი ამ თეორიების მიმართ. ეს ის პერიოდია, როცა ათენში ჩამოვიდა ანაქსაგორასი.

ანაქსაგორასი ჩამოვიდა მცირე აზიიდან. მას უდაოდ შესწავლილი ჰქონდა იონიელი ფილოსოფოსების თეორიები. ის ათენში დასახლდა და პერიკლესის მეგობარი გახდა. მან შექმნა სრულყოფილი ბუნებისშემსწავლელი თეორიები. მაგალითად, ის ამბობდა, რომ მზე, მთვარე, ვარსკვლავები, არიან ქვები, მაგრამ ისინი იმიტომ ანათებენ, რომ არიან ცხელი. მან განმარტა მრავალი სტიქიური მოვლენის არსი, როგორცაა მიწისძვრა, ქარიშხალი, ჭექა-ქუხილი, ქარი (დიოგ. ლაერტ. 2.9). მისი აზრით, ჭექა-ქუხილს იწვევს ღრუბლების შეჯახება. სწორედ ამ მოსაზრებას აშარჟებს არისტოფანე, თუმცა სოკრატეს მიაწერს ამ იდეას, მაგრამ ღრუბლების შეჯახება, რომელსაც ნაზი სიო იწვევს არის მოკლედ შეჯამებული ჭექა-ქუხილის ანაქსაგორასეული ახსნა-განმარტება.

შემდგომი მეცნიერი, რომლის თეორიასაც იყენებს არისტოფანე მისი კომედიისათვის არის ჰიპონი, რომელიც ფიქრობდა, რომ ყველაფერი წარმოსდგებოდა ქარისა და ცეცხლისაგან (არისტ. ღრუბ. 95-97).

მაგრამ, არისტოფანეს ღრუბლებში სატირიზებული მეცნიერული იდეების მთვარი წყარო, ალბათ, იყო დიოგენეს აპოლონიელი(Apollonia). ის მოღვაწეობდა ძვ. წ. ა. V საუკუნეში და შექმნა თეორიები, რომლებშიც შეზავებული იყო სხვადასხვა მოაზროვნის მოსაზრებები, როგორებიც იყვნენ ანაქსიმენესი, ჰერაკლეიტოსი, ანაქსაგორასი, ლეუკიპოსი. დიოგენეს ყველაზე ცნობილი მოსაზრებაა ჰაერისა და

აზროვნების ერთმანეთთან დაკავშირება. როგორც ვიცით, როცა სუნთქვას შევწყვეტთ, ჩვენ ვწყვეტთ სიცოცხლეს. მაგრამ, დიოგენესი ამბობდა როცა ვწყვეტთ სუნთქვას, ვწყვეტთ აზროვნებას.

დაახლოებით მსგავს თეორიას ავითარებს თეოფრასტოსი. ის ამბობს რომ ადამიანი ფიქრობს სუფთა და მშრალი ჰაერის მეშვეობით, რადგანაც ტენიანობა აფერხებს აზროვნებას. სწორედ ამის გამოა, რომ ადამიანი ძილში უფრო ნაკლებს ფიქრობს, ასევე მაშინ, როცა ნასვამია ან კარგად დანაყრებულია. ადამიანიც სწორედ იმიტომაც ცხოველებზე უფრო გონიერი, რომ ცხოველები უფრო ახლოს არიან მიწასთან და ნესტიან ჰაერს შეისუნთქავენ. ასევე, ისინი უფრო ნესტიან საჭმელს ჭამენ (თეოფრ. აღთქ. შეს. 44).

ეს მოსაზრება ძალიან ჰგავს „ღრუბლებში“ 227–233 სტრიქონში მოყვანილ აზრებს, როცა სოკრატე ჰაერშია და მიწას მოშორებულია. თუმცა აქ აზრები არაა იდენტური: სოკრატე ფიქრობს, რომ აზრების ტენიანობა მიიზიდება დედამიწის მიერ, ხოლო დიოგენე კი, თეოფრასტოსის ცნობით, დედამიწის ტენიანობას მიიჩნევდა გონებისთვის საზიანოდ. თუმცა ფაქტია, რომ ორივე მათგანი ერთი და იგივე თეორიის ვერსიებია.

ნათელია, რომ „საფიქრელეთის“ მეცნიერული დოქტრინები არაა წმინდად არისტოფანეს კომიკური გამოგონება. ისინი მოიცავენ, თუმცა დამახინჯებული ფორმით, იმ თეორიებს, რომლებიც მიეწერება ანაქსაგორასს, ჰიპონს, ან დიოგენესს.

როცა სტრეფსიადე საფიქრელეთში შედის, ისეთი გრძნობა აქვს, თითქოს გამოქვაბულში შევიდა და როცა ის დაიწყებს განათლების მიღებას, მისი უგუნურება და უნიჭობა აღიზიანებს სოკრატეს. პირველი გაკვეთილი არის გრამატიკისა და მეტრის შესახებ, რომელიც არის რიტორიკის შესავალი გაკვეთილი. შემდგომ სოკრატე, ფსიქიატრის მსგავსად, სთხოვს სტრეფსიადეს სავარძელში კარგად მოეწყოს და პრობლემების შესახებ იფიქროს. თუმცა სტრეფსიადეს ფიქრები ვულგარული და აფსურდულია. როგორც ჩანს, ვერაფერს იმახსოვრებს, რასაც ასწავლიან. ამდენად, სოკრატე უარს ამბობს მას ასწავლოს რაიმე. სტრეფსიადე სთხოვს ისევ მის ვაჟს, რომ მივიდეს სოკრატესთან და შეისწავლოს სოფისტური მოძღვრება. ამჯერად ის მოახერხებს ვაჟის დაყოლიებას. ფიდიპე მართალაც კარგი სტუდენტი აღმოჩნდება და სოკრატეს მოძღვრებას კარგად შეითვისებს.

„ღრუბლებში“ არისტოფანე ყურადღებას უთმობს სამეცნიერო საგნებს,

როგორცაა, ასტრონომია, მეტეოროლოგია, ბუნებისმეტყველება, და სხვა. ის უარყოფს ღმერთს და ახალ რელიგიას იგონებს, ის არის ექსპერტი რიტორიკაში, განსაკუთრებით სუსტი არგუმენტების დამაჯერებლად წარმოდგენაში.

„ღრუბლებში“ სოკრატე არის „საფიქრელეთის“ ხელმძღვანელი და იქ განათლებას იღებს ის, ვინც თანხას გადაიხდის.

სოკრატეს კარგად იცნობდა მაშინდელი ათენის საზოგადოება და სწორედ ამიტომ აირჩია არისტოფანემ სოკრატე და განაზოგადა მისი სახე, როგორც ზოგადად სწავლული ადამიანის, და მას მიაწერა ყველა გავრცელებული თეორია. არისტოფანესთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, რომ მის მიერ დასახელებული თეორიები არა სოკრატეს, არამედ, სხვა ფილოსოფოსებს მიეკუთვნებოდა. სოკრატეს სახეში არ უნდა ვიგულისხმოთ თვით სოკრატე, ეს არის სოფისტის განზოგადოებული სახე (ნუსხაუმი 1980: 43–97). მრავალი თეორია თვით არისტოფანეს შეთხზულია, რადგანაც მას სურდა ამ კომედიას მიეღო „ფილოსოფიური დოკუმენტის“ სახე (ფიშერი 1984: 243).

დიოგენეს ლაერტიოსის ცნობით, სოკრატეს არ ჰქონია სკოლა და არც თანხას ახდევინებდა მოსწავლეებს, თუმცა სოკრატე საგანმანათლებლო მადვაწეობას ნამდვილად ეწეოდა. მის ირგვლივ ყოველთვის იკრიბებოდნენ მისი მიმდევრები, ისინი თანხის სანაცვლოდ მას საჩუქრებს უძღვნიდნენ და საკვებითა და სასმელით უმასპინძლებოდნენ, შესაბამისად, მატერიალური ინტერესი მაინც იყო, ალბათ, სოკრატეს მხრიდან (დიოგ. ლაერტ. 2.74). სხვა სოფისტებისაგან განსხვავებით, მისი სწავლების მეთოდები შემდეგნაირი იყო: ის არ კითხულობდა დამღლეულ ლექციებს. ის დასვამდა შეკითხვას და შემდეგ აუდიტორიის მხრიდან გაცემულ პასუხებს აკრიტიკებდა. არისტოფანე ამას აშარჟებს მის კომედიაში. სოკრატე სტრეფსიადეს უსვამს შეკითხვებს, მაგრამ ეს უკანასკნელი ისეთ უაზრო პასუხებს სცემს, რომ სოკრატეს უჭირს რაიმე ანალიზი გაუკეთოს მის პასუხებს (ჰაველოკი 1972: 1–18).

„ღრუბლების“ თემა რიტორიკული უნარ – ჩვევების გამოყენება საყოფაცხოვრებო დანიშნულებით.

სტრეფსიადეს მაგალითზე, არისტოფანე გვაცნობს სოფისტებს, მათ თეორიებსა და მათ სტუდენტებს. ფიდიპეს დახმარებით, სტრეფსიადეს იმედები გაუმართლდება. ჩვენ ვხედავთ სოფისტური განათლების შედეგს და ვხედავთ რიტორიკის პრაქტიკულ გამოყენებას. სოფისტების სკოლაგამოვლილი მამა უკვე

შემდეგს შვილის დაყოლიებას და სოკრატეს მიუყვანს ფიდიპიდეს. სტრეფსიადე უტოვებს სოკრატეს ვაჟს და ეუბნება: „ურტყი და ასწავლე! გახსოვდეს, როგორმე/ისე გამოზარდე, ცალი ყბით საქმეს რომ მიადგეს,/მეორე ყბაც აუთამაშდეს/ უფრო სერიოზულ საქმის შესაჭმელად (არისტ. ღრუბ. 1107-1110).

როცა მამა მოაკითხავს ფიდიპიდეს, სოკრატეს გადასცემს ტომარს, სწავლის საფასურს. ვაჟი გაფითრებული და გამხდარი გამოდის სახლიდან სოკრატეს თანხლებით. მამა ეუბნება: „გაღმა შედავების ოსტატის მზერა გაქვს” (არისტ. ღრუბ. 1176) და ძალიან მოსწონს შვილის გაყვითლებული სახე.

სტრეფსიადესმა ვერ მოახერხა აეთვისებინა ლოგიკური აზროვნების ელემენტები, ახლა კი მისი შვილის მიერ მშვენივრად იქნა დაძლეული ეს პროგრამა. მამისაგან განსხვავებით, ფიდიპე კარგად დაეუფლა სოფისტური აზროვნების ტექნიკას.

არისტოფანე ერთმანეთს უპირიპირებს სოკრატეს ინტელექტუალურ აბსტრაქციასა და ჩვეულებრივი ადამიანის მიწიერ სურვილებს, სტრეფსიადეს მაგალითზე, რომელიც შეეჯახება „საფიქრელეთის” ფილოსოფიურ შეზღუდვებს. ფიდიპე სოფისტურ მოძღვრებასა და რიტორიკას გამოცდის „რეალურ” სამყაროში, სოფისტური სკოლის გარეთ. ურთიერთმოქმედება მიმდინარეობს არა მოსწავლესა და სტუდენტს შორის, არამედ სოფისტ მოსაუბრესა და აუდიტორიას შორის. სოკრატე გაუჩინარდება და აღარ ჩანს კომედიის ბოლომდე. სოფისტებს ჰყავთ ახალი წარმომადგენელი, კომიკური პერსონაჟის ტიპი. ის არაა ფილოსოფოსი და არც სოკრატეს შეხედულებებს იზიარებს სრულიად. ფიდიპე იმდენად შორს დგას აუდიტორიისგან, რამდენადაც სტრეფსიადესგან. მისი პირველი რიტორიკული გამოსვლისთანავე ვხვდებით ჩვენ, თუ რამდენად უგუნურია ის. სტრეფსიადეს თავდაჯერებულობა აღდგენილია, ის გახარებულია, ფიქრობს, რომ ფიდიპეს ახალადნასწავლი მახვისლიტყვაობა დაეხმარება მევალებების მოგერიებაში. სტრეფსიადე დარწმუნებულია, რომ ფიდიპე მოახერხებს დაარღვიოს მოქალაქეთა თანასწორობა კანონის წინაშე და მის თანამოქალაქეებს „მუნჯ მხეცებად” გადააქცევს (არისტ. ღრუბ. 1203). ახალ ორატორთან შედარებით, დანარჩენი ათენელების საუბარი ცხოველის მეტყველების ტოლფასი იქნება. აგონში ჩვენ ვხედავთ სოფისტური მოძღვრების ტექნიკასა და სოფისტური რიტორიკის სავარაუდო შედეგებს. დემოკრატიულ ათენში, თვით დემოკრატია, რომელიც დაფუძნებულია

სიტყვის ძალაზე და საჯარო დებატების არსებობაზე, უკვე გამხდარა სიცრუისა და სიყალბის ასპარეზი (ამბროსინო 1983:34). თუმცა სტრეფსიადე მალე მიხვდება, რომ ასეთი მეტყველება აუდიტორიას არა მხოლოდ დაამუნჯებს, არამედ დააყრუებს კიდევ და უკვე უხვად დაჯილდოვებულ სოკრატესთან გარბის. ახლა უკვე მამა შვილს მიმართავს: „ცხენოსნობაზე იფიქრე; ის მირჩევნია ისევ, ცხენემა გამადატაკოს, ვიდრე აქ შვილმა მცემოს”(არისტ. ღრუბ. 1406-1407).

სტრეფსიადეს სცემს მისი ვაჟი და მამა ხსნის ცემის მიზეზს: ერთ-ერთი იყო, რომ პოეტ სიმონიდეზე შვილს უთქვამს „რა პოეტიაო ეგო” (არისტ. ღრუბ. 1362) და ესქილუა პირველი პოეტიაო. შვილი ევრიპიდეს თვლიდა ყველაზე უფრო ბრძენ კაცად. მამა არ დაეთანხმა და ამაზე ჩხუბი დაიწყო.

სტრეფსიადე თავის თავს უტყდება, რომ ამ ყველაფრით უფრო გაიუარესა მდგომარეობა, ვიდრე გაიუმჯობესა: „სულ დავილუპე მგონი”(არისტ. ღრუბ. 1440). თუ ადრე იმედს ამყარებდა სოფისტებზე, ახლა მიხვდა რომ ამით დალუპა შვილიც და თავიც დაილუპა. სტრეფსიადე მზადაა სასტიკად გაუსწორდეს სოკრატესა და მის ყველა მოსწავლეს. ბოლოს სტრეფსიადე სახლს გადაუწვავს სოკრატეს.

ფიდიპიდე კმაყოფილია სოკრატეს მასწავლებლობით, ის ამბობს: „აქამდე ცხენოსნობაზე თუ მიდგებოდა გული,/ სიტყვას ისე ვერ ვიტყვოდი არ შევმცდარიყავ სადმე”(არისტ. ღრუბ. 1401-1402).

როგორც ვნახეთ, სოფისტურმა განათლებამ გაანადგურა მამაშვილური დამოკიდებულება და სრულიად დაგვარწმუნა იმაში, რომ ფიდიპეს განათლება ვერაფერ სარგებელს ვერ მოუტანს მამას. სტრეფსიადე შეცდომას უშვებს, როცა ცდილობს თავის ვაჟში დამჯერი შვილისა და გამოცდილი სოფისტის არსი გააერთიანოს. სოფისტური რიტორიკა არაა ის, რაც შესაძლოა ტრადიციულ ჩარჩოებში იქნეს მოქცეული.

სტრეფსიადე ცდილობს გამოიყენოს სოფისტებთან მიღებული ცოდნა და ამით არისტოფანე ცდილობს დასცინოს სოფისტურ მოძღვრებასა და ამასთანავე აჩვენოს მას, თუ რა სასაცილოა კომიკური და სოფისტი ადამიანის ერთ არსებაში მოქცევა. სტრეფსიადეს სულაც არ რცხვენია იმის გამო, რომ მარცხი განიცადა სოკრატესეული განათლების მიღებისას. სანამ ის საფიქრელეთში შევიდოდა, მას უწევდა მისეული სიტყვებით მოეგვარებინა საქმე მევალეებთან, ახლა კი მას თან აქვს სოფისტური აზროვნება და დიდი იმედი მისი შვილის სახით. თუმცა ჩვენ ვხედავთ, რომ

სტრეფსიადეს მსჯელობა არადამაჯერებელი და არალოგიკურია, ის მხოლოდ სიცილს იწვევს აუდიტორიის მხრიდან. სტრეფსიადე ცდილობს მევალები სიტყვით მოიგერიოს, მაგრამ მას არ ჰყოფნის მიღებული განათლება. სტრეფსიადეს მევალებთან შეხვედრის სცენებმა დაანგრია სოფისტური თვალთმაქცობის ძალაზე წარმოდგენები და აჩვენა სიტყვის უუნარობა ჩვეულებრი ხალთა ცხოვრებაში, ანუ პრაქტიკული გამოყენებისათვის. ხალხი, რომელთაც პირადი ინტერესები ამოძრავებთ, არ უსმენენ ამ მოძღვრებას, ისინი დარწმუნებულნი არიან თავიანთ სისწორეში, ამიტომ ვერ ხერხდება მათი გადაბირება სოფისტური თვალთმაქცობით. ეს სტრეფსიადეს პრობლემა კი არაა, არამედ პრობლემა თანამოსაუბრეებშია. ჩვენ ვხედავთ, რომ მევალები მზად არ არიან დებატებისათვის, მათ საერთოდ არ აინტერესებთ რას ეტყვის მათ სტრეფსიადე, მათთვის მთავარია თანხა მიიღონ. სტრეფსიადეს შემთხვევით, ჩვენ ვრწმუნდებით, რომ სიტყვას ძალა არა აქვს.

ჩემთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით ნაკლებად საინტერესო აღმოჩნდა რომაული კომედია, თუმცა რამდენიმე სიტყვით მაინც ავლნიშნავ: რომაელი კომედიოგრაფოსის, პლავტუსის კომედიებს თანამედროვე მიუზიკლის, ვოდევილის ან ოპერეტის წინამორბედად მიიჩნევენ. მას ასრულებდნენ მსახიობები, რომლებიც ფლობდნენ ცეკვას, პანტომიმას, აკრობატიკას, ჟონგლიორობას. პლავტუსი გამოირჩევა მუსიკალური ფანტაზიით, კანტიკების და რეჩიტატივების პარტიების დამუშავებით.

მისი ენა განსაკუთრებულად მდიდარი და მოქნილია. „მუზებს რომ ლათინურად ლაპარაკი მოესურვებინათ, პლავტუსის ენით ალაპარაკდებოდნენ“. მან ასევე იცის უცხო ენა, არქაული ენა, დიალექტები და ჟარგონები, რომელთაც ხშირად იყენებს კომედიებში. პლავტუსი კომიკურ ეფექტს ახდენს ბუფონური სიტყვათქმნადობის, კალამბურების, ჰიპერბოლების, მეტაფორების, ეფექტური კონტრასტების, ალიტერაციების გამოყენებით.

„ინტელექტუალური“ ტერენციუსი - ასე მოიხსენიებენ რომაელ კომედიოგრაფოსს, ტერენციუსს. იგი წერდა რომის საზოგადოების განათლებული, მაღალი ფენებისათვის და მიზნად ისახავდა მაყურებლის დაფიქრებას, სერიოზულ და ფილოსოფიურ განსჯას.

რესპუბლიკის პერიოდში ტერენციუსის კომედიები სასკოლო განათლების პროგრამაში შევიდა და ციცერონს, ვერგილიუსსა და სალუსტიუსთან ერთად,

ავტორების „კვადრიგა“ შექმნა, რომლის გარეშეც სრულყოფილი განათლება წარმოდგენელი იყო. ციცერონი ხშირად მიმართავდა ტერენციუსის სენტენციებს: „ბუნებით ისე არიან მოწყობილი ადამიანები, სხვის საქმეებს უკეთ სჯიან, ვიდრე თავისას“; „გაუნათლებელ ხალხზე უფრო უსამართლო არაფერია, მხოლოდ იმას თვლიან სამართლიანად, რასაც თვითონ აკეთებენ“.

ორატორული განათლება სენეკას ტრაგედიებში. სენეკას ჩვენამდე მოღწეულ ტრაგედიებს გააჩნიათ საერთო სტილი. ეს არის ორატორული ხელოვნებისათვის დამახასიათებელი სტილი, რაც, ალბათ, განპირობებული იყო მაშინდელი საზოგადოების დიდი ინტერესით მჭევრმეტყველების მიმართ. მათი წაკითხვისას მკითხველი რწმუნდება, რომ სენეკა ორატორული ხელოვნების კარგი მცოდნეა. თავად სენეკა აღნიშნავს, რომ სტილს არ გააჩნია განსაზღვრული წესები, მას ადგენს საზოგადოება და არა ავტორი და ის დროის მოკლე მონაკვეთის შემდგომ ისევ იცვლება (სენ. ეპის. 114. 13).

სენეკას ტრაგედიები - „ტროელი ქალები“, „მედეა“, „ფედრა“, „ოიდიპოსი“, „აგამემნონი“, „თიესტესი“ და „ფენისე“ შესრულებულია ცოცხალი და მოქნილი ლექსით. ისინი გამოირჩევიან ღრმა ფილოსოფიური შინაარსითა და მაღალეფექტური ინსცენირებით. სენეკას ტრაგედიები ინტელექტუალურად დახვეწილ ვერბალურ და კონცეპტუალურ ჩარჩოშია ჩასმული. მათში ყველაზე მეტად იგრძნობა რიტორიკის გავლენა. ეს ეხება პერსონაჟთა მონოლოგებსა თუ დიალოგებს და, ზოგადად, ავტორის თხრობის მანერას.

ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს ანდრომაქეს შესავალი სიტყვა „ტროელ ქალებში“. აქ ის კიცხავს თანამომძმე ტყვეებს რიტორიკული ტექნიკის გამოყენებით, ის თავის იმედგაცრუებას გამოხატავს ჰიპერბოლის, პარადოქსისა და ეპიგრამის საშუალებით.

„ფრიგიელების მომტირალთა გუნდო, რატომ იგლეჯთ თმებს და რატომ ისველებთ ცრემლებით ღაწვებსა და მკერდს? ჩვენი ტანჯვა ტრივიალური იქნება, თუკი ცრემლებს შევიშრობთ. თქვენთვის ილიონი ახლა დაეცა, ჩემთვის კი დიდი ხნის წინ, როცა სასტიკმა ეტლმა კიდურებზე გადამიარა. ამ დღემ გამანადგურა. მე ვუძლებ აუტანელ ტანჯვას დამუნჯებული და გაშეშებული. მე გავექცეოდი დანაელებს და ჩემს მეუღლეს გავყვებოდი, ასტიანაქსი რომ მიშვებდეს. ის ახშობს ჩემს სიამაყეს და თავიდან მაცილებს სიკვდილს. ის მაიძულებს მშვიდად ვიყო. მან მე

მომპარა ტანჯვის საუკეთესო ნაყოფი: არაფრის შიში. ბედნიერების ყველა შანსი წართმეული მაქვს, საშინელებას კვლავ შეუძლია ჩვენამდე მოღწევა. შიში ყველაზე ძლიერია მაშინ, როცა იმედი კვდება” (სენ. ტრ.ქალ. 409- 425)¹⁷.

მედეა კი ტრაგედიაში „მედეა” ისე წარმართავს დიალოგს ძიძასთან, რომ ამ უკანასკნელის ბანალურ გამოთქმებსა და დამრიგებლობით ეპიგრამებს გარდაქმნის კონცეპტუალურ და ვერბალურ დუელში, სადაც ძიძის სიტყვები მას უკან უბრუნდება და შეპასუხებების სწრაფ მონაცვლეობას, თითქოს, მივყავართ სამყაროს „ლინგვისტურ ანექსიამდე”:

„ძიძა: გთხოვ წყნარად იყავი და გულში დაიმარხე შენი ტკივილი. ვინც დარდს გულში ჩაიკლავს, მას ამტანი სული დაეხმარება ყველაფრის დაძლევაში. ხოლო სიძულვილის გამომჟღავნება კი შურისძიების შანსს ამცირებს.

მედეა: უბრალო ტკივილს შეუძლია მიიღოს რჩევა და დაიფაროს, ხოლო დიდი შეცდომა კი არ იმალება. მე სიამოვნებით შევხვდებოდი მას.

ძიძა: შეაჩერე ეს გიჟური იმპულსი, ჩემო შვილო, თორემ შენ სიჩუმეც კი ვერ დაგიცავს.

მედეა: ბედი აშინებთ მამაცებს, ხოლო მხდალებს კი ანადგურებს.

ძიძა: გამბედაობა მაშინაა მოსაწონი, როცა ამის დროა.

მედეა: გამბედაობისთვის ყოველთვისა ხელსაყრელი მომენტია.

ძიძა: იმედი არ ჩანს ჩვენს უბედურებაში.

მედეა: ვისაც არაფრის იმედი აქვს, არაფრის რწმენას არ კარგავს.

ძიძა: კოლხები შენს გვერდით არ არიან, შენი მეუღლის ფიცი არაფერს ნიშნავს, აღარაფერი დაგრჩენია შენი გასაოცარი სიმდიდრისაგან.

მედეა: მედეა დარჩა. შენ ახლა ხედავ ოკეანესა და ხმელეთს, რკინასა და ცეცხლს, ღმერთებსა და ელვებს” (სენ. მედ. 150-167).

ტრაგედიაში „ფედრა” საინტერესოდ ენამჭევრობს თეზევსი აგონში. ის საუბარს წარმართავს სენეკასეული მაღალფარდოვნებით, მთელი რიგი რიტმებით, ალიტერაციული თანხმოვნებით, სინტაქსური გამეორებებით, ავისმომასწავებელი დიქციით, რაც გამოიხარება მტკიცე რიტმული ფრაზებით, რომლებიც კულმინაციას აღწევენ ეპიგრამებში და მკითხველს აგრძნობინებენ სიტყვის ძალას.

¹⁷ სენეკას ტრაგედიების ციტატების თარგმანი ჩემია. ვ.წ.

„ფერმკრთალო სიკვდილო და ტერანუსის გამოქვაბულო, დაწყველილთა ბალზამო, ლეთას ნაკადულო და თქვენ, უძრავო გუბეებო, გაანადგურეთ ეს უწმინდური კაცი და ჩაახრჩვეთ ის უწყვეტ ტკივილში. მოდით ველურო ურჩხულებო ზღვის სიღრმიდან, და გიწვევთ ყველას, ვისაც კი პროტევის მალავს ოკეანის ფსკერზე, რადგანაც ჩემმა ბოროტულმა ტრიუმფმა მომიყვანა თქვენთან. მე არ ვიმსახურებ სასჯელის შემსუბუქებას, რადგანაც ვარსკვლავები, ჩრდილები და ოკეანე ჩემი ცოდვებით გავაჯერე. არ დარჩა არცერთი რეგიონი, რომელიც მე არ მიცნობდეს” (სენ. ფედრ. 1201 -12).

ელიოტი აღნიშნავს, რომ „დრამის ენა ისევე ახლოსაა ორატორულ მეტყველებასთან, როგორც ჩვეულებრივი მეტყველება პოეზიასთან”. მაგრამ სენეკას ტრაგედიებზე უნდა ითქვას, რომ მათ არა მხოლოდ ასაზრდოვებს რიტორიკა, არამედ, ის განსაზღვრავს მათ უკვდავ სულს. მჭევრმეტყველება მაშინდელი საზოგადოების ინტერესების გამოძახილია. სენეკას მაღალფარდოვნება, პარადოქსები, ეპიგრამები, სათქმელის მოკლედ გადმოცემა, სისავსე, აბსტრაქცია, სიდიადე, ძალადობა - რაც გამოიხატა სენეკას ტრაგედიებში, დამახასიათებელი იყო მაშინდელი რომაულ საზოგადოების ორატორული მეტყველებისათვის, რასაც ასე ეწაფებოდნენ მაშინდელი რომაელი ახალგაზრდები.

დრამატურგიაში დეკლამაციური სტილის შემუშავებას ხელი შეუწყო იმდროინდელმა საზოგადოებრივმა ინტერესმა რიტორიკის მიმართ. სკოლებში დიდი ყურადღება ექცეოდა რიტორიკის შესწავლას. რომაელის განათლების უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენდა მჭევრმეტყველება. ავგუსტუსის ეპოქიდან მომრავლდა რიტორიკული სკოლები და დაიხვეწა რიტორიკული სავარჯიშოები და ახალგაზრდები უფრო და უფრო ინტერესდებოდნენ ორატორული ხელოვნებით. ორატორთა საჯარო გამოსვლები გადაიქცა გართობის საუკეთესო საშუალებად, ცნობილი ორატორები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ დებატებში. სენეკას მამის მიერ შესრულებულმა კონტროვერსიებმა და სუაზორიებმა, რომელიც ახ. წ.ა. 30 წელს შეიქმნა, დიდი გავლენა იქონია სენეკაზე. სტუდენტები დეკლამაციის ორ სახეობას ეუფლებოდნენ: კონტროვერსიებსა და სუაზორიებს. კონტროვესია ეს იყო სათათბირო, ხოლო სუაზორია კი საკამათო სახე დეკლამაციისა. სტუდენტები დებატების დროს ხშირად იყენებდნენ მითოლოგიურ თუ ისტორიულ პერსონაჟებს თავიანთი სათქმელისათვის რომ დამაჯერებლობა შეემატათ. რიტორიკულ

სკოლებში მოსწავლეებს ასწავლიდნენ ანტითეზებს, მორალის სასწავლებელ გამოთქმებს (loci communes), აპოსტროფის, ალიტერაციის, ტრიცოლონის, ანაფორას, ასინდეტონის, პოლიპტოტონის, figura etimologica-ს, communicatio-ს, სინონიმების, ანტონიმების, ოქსიმორების, პარადოქსების, ეპიგრამების დეკლამაციური სტრუქტურების გამოყენებას.

ჩამოყალიბდა სიტყვის მომზადებისა და ნაწარმოების შეთხზვის პროცესი, რომელიც ხუთი ეტაპისაგან შედგებოდა: პირველი ეტაპი იყო Inventio „გამოგონება“, რაც თემის დამუშავებისას გასათვალისწინებელ აზრების თავმოყრას მოიცავდა. ამ ეტაპზე კონკრეტული კითხვების - ვინ? რა? სად? როდის? როგორ? რატომ? - გამოყენებით განსაზღვრავდნენ ტექსტში გადმოსაცემ პიროვნებებს, მოვლენებს, ადგილებს, დროსა და ასე შემდეგ; მეორე ეტაპი - Dispositio „გეგმა“, რაც წინასწარ შეკრებილი აზრების გარკვეული თანმიმდევრობით დალაგებას გულისხმობდა. გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო საგანთა ბუნებრივი წყობა (ordo naturalis) მათი დროითი, სივრცითი და ლოგიკურ-მიზეზობრივი თვალსაზრისით. გასწავთრებული შთაბეჭდილების მოხდენის მიზნით შეიძლებოდა განსხვავებული, ხელოვნური წყობის არჩევაც (ordo artificialis); მესამე - Elocutio „სიტყვის, აზრის გამოხატვა“. ამ ეტაპზე უნდა შერჩეულიყო უკვე თავმოყრილი აზრების შესაბამისი ენობრივი ფორმები. შერჩეულ გამონათქვამებს ოთხი მოთხოვნა უნდა დაეკმაყოფილებინა: 1. შესაბამისობა (aptum), დღესასწაულის, მსმენელების, მოსაუბრის, სატუაციის მხრივ; 2. ენობრივი სისწორე (puritas latinitas), ანუ გრამატიკული და ლექსიკური კორექტულობა; 3. მკაფიოობა (persicuitas); 4. სტილისტური ადეკვატურობა (genus dicendi). ამ უკანასკნელისათვის უნდა შერჩეულიყო ერთ-ერთი სტილი სამთაგან, სახელდობრ დაბალი, დამოდღვრითი სტილი (genus humile), საშუალო, გასართობი სტილი (genus medium), ან პათეტიკური, ამალღებული, ემოციური სტილი (genus grand, genus submle). თითოეული სტილის გამოყენება დაკავშირებული იყო სიტყვაკაზმულ ელემენტებთან (ornatus), როგორებიცაა ჟღერადობა, ლექსიკა და წინადადების წყობა. ამ ნაწილში შედიოდა ტექსტის მხატვრული უზრუნველყოფა, სათანადო ტროპებით შემკობა; მეოთხე ეტაპი - Memoria „მეხსიერება“. ამ ეტაპზე ზეპირად უნდა ყოფილიყო ნასწავლი; და ბოლო, მეხუთე ეტაპი - Actio, prinuntiatio „გათამაშება“, „მიწოდება“ (აუდიტორიის წინაშე დეკლამირება). ამ უკანასკნელ ეტაპზე მზადდებოდა შთამბეჭდავი

პრეზენტაცია, რაშიც ხმის, სხეულის მიმოხვრის, ჟესტების, მიმიკის და სხვათა წინასწარი დასწავლა იგულისხმებოდა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სენეკას ტრაგედიები იმავე პრინციპებზეა აგებული, რაზეც რიტორიკა. ანტიკურმა რიტორიკამ დიდი როლი შეასრულა ესთეტიკისა და მხატვრული აზროვნების ჩამოყალიბებაში.

ფედრას ძიძა ტრაგედიას სენეკას ტრაგედიაში „ფედრა“ იწყებს რიტორიკის იმ ფორმით, რასაც სუაზორიებს უწოდებდნენ რიტორიკის სკოლებში.

„სიყვარული არის ღმერთი, შეთხზული ფლიდობა, და ცოდვილიანი ლტოლვა, რომელმაც უდიდესი თავისუფლების სანაცვლოდ, ვნებას მცდარი ღვთაების სახელი მისცა. ერიცინა, ვფიქრობ, მის ვაჟიშვილს სახეტილოდ უშვებს, მთელი დედამიწის შემოსავლელად, ზეცაში გადაფრენად. ის მუშაობს უიარალოდ, შიშველი ხელებით. პაწაწინა ღმერთები აქანავებენ უზენაესს. შეშლილმა გონებამ შეითვისა პატივმოყვარეობა და გამოიგონა ვენუსის ძლიერება და ღმერთის მორჩილება” (სენ. ფედრ. 195-203).

დეკლამაციური მეტყველების პოპულარობას ადასტურებს ასევე რეციტაციები ანუ სახალხო გამოსვლები (recitatio). მან დიდი როლი შეასრულა რომის საზოგადოების ინტელექტუალურ დახვეწაში და, როგორც დეკლამაციას, მასაც დიდი კრიტიკით ხვდებოდა საზოგადოება. რეციტაციები მომავალი კარიერისათვის ამზადებდა ახალგაზრდებს, ასწავლიდა მათ ვერბალურ სტრატეგიებს, ფსიქიკურ მობილიზებასა და საჯაროდ აზრების პრეზენტაციას. რეციტაციებმა შეცვალა რომაელი მკითხველისა და აუდიტორიის ვერბალური და ლიტერატურული მოდელი. სენეკამ ტრაგედიებში ორატორული ხელოვნება თეატრალურ იარაღად გამოიყენა. დეკლამაციური სტილი მის ტრაგედიებს ზედაპირულად კი არ ემჩნევა, არამედ სიღრმისეულადაა მასში ჩაწნილი. საინტერესოა, სენეკას „თიესტესში“ თიესტესის მოსაზრება ცხოვრებისა და ფუფუნების შესახებ, რაც დეკლამაციური სკოლების ძირითად თემას წარმოადგენდა: ფუფუნებით ცხოვრების გაკრიტიკება რომაული რიტორიკის ყველაზე პოპულარული თემა იყო, რაც ასევე აისახა ლიტერატურაში, კერძოდ, სენეკას ტრაგედიებში.

„დამიჯერე, მცდარ სათაურებს უდიდესი ხიბლი აქვთ; სიღარიბის შიში უსაფუძვლოა. სანამ მალლა ვიდექი, ჩემი შიში არ შეწყვეტილა; ჩემს გვერდით მყოფი ხმალიც კი პანიკაში მაგდებდა. ოჰ, რა კარგია, როცა არავის არ უკეტავ გზას და

სიამოვნებას იღებ უზრუნველი ბანკეტებისაგან. დანაშაული არ ეკარება მას, ვინც უსაფრთხოდ მიირთმევს ღარიბი კაცის მაგიდასთან; მოწამლული ფინჯნები ოქროსია. მე მაღაპარაკებს ჩემი ცოდნა: უმჯობესია ცუდი ბედი გქონდეს, ვიდრე კარგი. ჩემი სახლი არ დგას მაღალი მთის მწვერვალზე და არ აშინებს მოქალაქეებს მაღლიდან, მაღლიდან არ ბრწყინავს სპილოსძვლის ჭერი, არ მყავს მცველები, რომლებიც ჩემს უსაფრთხო ძილს უზრუნველყოფენ. არ მყავს გემები, რომ თევზაობისას გამოვიყენო, არც ტალღსაჭრელი მაქვს, რომ ზღვაზე დავბრუნდე, არც ვალი მართებს ვინმეს ჩემი, რომ საძაგელი მუცელი ამომივსოს, და არც მოსავლიანი მინდვრები მაქვს” (სენ.თიეს. 446–461).

თიესტესი მიმართავს მის ვაჟს ტანტალუსს: „ვის ურჩევნია გაჭირვება ბედნიერებას?” (სენ.თიეს. 446) და ეპიგრამის საშუალებით, რომელიც კულმინაციას აღწევს 454-ე სტრიქონში, მიდის დასკვნამდე, რომ „უმჯობესია ცუდი ბედი გქონდეს, ვიდრე კარგი” (სენ.თიეს. 454). თუმცა თიესტესი აქებს რთულ ცხოვრებას, ის იმდენად უარყოფითი სიტყვებით ამკობს, მას, რომ ფოკუსირება ხდება არა მხოლოდ შეძლებულ ცხოვრებაზე, არამედ, ღირსეულად ცხოვრებისათვის აუცილებელ ასპექტებზე. ორაზროვანია 470-ე სტრიქონის შინაარსიც, სადაც თიესტესი ამბობს: „უდიდესი ხელმწიფობაა, როცა განიცდი ხელმწიფურ ძალაუფლებას და არ ხარ ხელმწიფე” (სენ.თიეს. 470). თიესტესს მოსწონს ისეთი ცხოვრება, რომელსაც ის გმობს. „მოკრძალებული ცხოვრების შექება და მშვიდობასა და ძილზე საუბარი” (სენ. თიეს. 683) იმ ადამიანის დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა, ვინც იმსახურებს ძალაუფლებას. თიესტესის შემთხვევაში, ეს სწორედ რომ ასეა. თიესტესმა იცის, რომ მას გვირგვინი შიშის გრძნობით აავსებს, ვერ შეჭამს უშიშრად და ვერ გაუძლებს იმ ცხოვრებას, რომელიც მან მცდარად გამოაცხადა. როგორც ვხედავთ, სენეკა რიტორიკას იყენებს არა მხოლოდ ტრაგედიის ვერბალურ ორნამენტად, არამედ ტრაგიკული გმირების ხასიათების შესაქმნელად.

სენეკა ახდენს ემოციების დრამატიზირებას. ტრაგედიაში „ოიდიპოსი” ოიდიპოსის პირველ მონოლოგში წარმოდგენილია ენით გამოუთქმელი უსამართლობის შიშით ნაწამები გონების პრეზენტაცია:

„ახლაც კი ბედი რაღაცას მიმზადებს. სხვა რაზე უნდა ვიფიქრო, როცა ჭირი მუსრავს კადმუსის მოდგმას, საყოველთაო სიკვდილს გვიმზადებს და მხოლოდ მე მტოვებს. ნეტა რა უბედურებისთვის მტოვებს მე? ქალაქის ნანგრევებში,

დაუსრულებელ საფლავებში, შეუწყვეტელ ცრემლებში. ამ ხოცვა-ჟლეტაში მე ვრჩები ხელშეუხებელი– ფეხუსის მიერ დაწყევლილი. შეიძლება ჩემ ცოდვების მქონე კაცმა იცოცხლოს ჯანსაღ გარემოში? მე ხომ ჰაერიც დანაშაულით გავაბინძურე” (სენ. ოიდ. 28– 36).

საყურადღებოა ელენეს მონილოგი „ტროელი ქალების” მე–4 სიმღერაში, როცა ის შემოდის. აქ სენეკა წარმოგვიდგენს გონების ჭიდილს ადამიანის საკუთარ ბედთან:

„ ყველა ქორწინება სავსე სიკვდილითა და მწუხარებით, მკვლელობით, მწარე ტირილითა და გოდებით, სისხლითა და ქვითინით ელენეს დამსახურებაა. მე იძულებული ვარ ზიანი მივაყენო ფრიგიელებს. ჩემი ტყუილით პარისის დას დაიჭერენ, ჩემი ეშმაკობებით, მას მოკლავენ. იდეალური სიკვდილია, როცა სიკვდილის შიშის გარეშე კვდები. რატომ აყოვნებ შენს ბრძანებებს? იძულებითი დანაშაული უბრუნდება დანაშაულის ავტორს” (სენ. ტრო. ქალ. 861– 871).

ვედრას შესავალი სიტყვა საინტერესოა ამ მხრივ:

„ ოჰ, ძლიერო კრეტა, უსასრულო ზღვის დედოფალო, მისი უთვალავი გემები ყოველი სანაპიროს გასწვრივ დაცურავს, სადაც ასირიის მიწაზე ნერევსი ჭრის კორიდორს, რატომ მაიძულებ მე ამ საძულეველი სახლის მძევალი ვიყო? ჩემს მტერზე ვარ დაქორწინებული, რათა ცხოვრება ტკივილსა და ცრემლებში გავატარო? ჩემი ლტოლვილი მბრძანებელი წავიდა; თეზევსი მის ცოლს უჩვენებს ჩვეულ ერთგულებას: ის გულადად მიაბიჯებს ტბაში, რათა მისი სიღრმიდან ტახტი ამოიტანოს პატარძლისათვის. მას არც შიშის და არც სირცხვილის გრძნობა არ უშლის ხელს. მეორე დიდი ტკივილი ემატება ჩემს უბედურებას. არც ღამის სიწყნარე, არც ძილი არ მათავისუფლებს მე საზრუნავისაგან. ეტნას გამოქვაბულში ბოროტი სული იზრდება და ზვირთდება. პალასის საქსოვი დაზგა უქმად დგას და მე კი შალი ხელიდან მისხლტება. გული არ მიშვებს, რომ საკურთხევლები დაპირებული საჩუქრებით ავაგო, ან გავყვე ატიკელ ქალებს ჩირაღდნით ხელში რიტუალების მოწმედ. მე მხოლოდ ის შემიძლია, რომ გავყვე შეშინებულ მხეცებს და შუბი ვესროლო ჩემი ნაზი ხელებით. საით გაგიწევია ჩემო სულო? რატომ გაქვს ასეთი გაცოფებული სიყვარული ტყის მინდვრებისა? დედა, მე მებრალები შენ. ეშმაკმა გტაცა შენ ხელი, როცა გულითადად გიყვარდა ჯოგის ველური წინამძღოლი. მოუთვინიერებელი ჯოგის ზრდასრული წინამძღოლი, მასაც ხომ უყვარდი. რა ღმერთებმა შეაჩერეს ეს ცეცხლის ალი? ის ატიკელი ბატონიც რომ დაბრუნდებოდეს,

რომელმაც ურჩხული ჩამწყვდია მის ბნელ სახლში, შეძლებდა კი ეშველა ჩვენი უბედურებისათვის? სიყვარული არავისთვის ყოფილა იოლი, ის ცოდვილიანია ყოველთვის”(სენ. ფედრ. 85–125).

საუბარში ფედრა ჩამოაყალიბებს მის ტრაგიკულ სახეს. ავის მომასწავებელია მისი ლექსიკა, დიდებული რითმებითაა შესრულებული, ფედრას საუბრით ვხვდებით, რომ ის ტრაგიკული პიროვნებაა. მისი ენა ძალიან ფორმალურია, მასშტაბები, სტრუქტურა, ტონი, რითმი ქმნის დრამატულ სტრუქტურას. სიტყვა მორთულია ალიტერაციებითა და პროზაული ენით, მარტივი სინტაქსით. შესამჩნევია მოსაუბრის რეალისტური ხედვა: კრეტა, თეზევსი, მისი მამის უსირცხვილობა და ორგულობა, პირადი ემოციური ქაოსი, ჩვეულებრივი აქტივობების შეჩერება- რელიგიური რიტუალებისათვის თავის არიდება, ტყეებისა და ველური ბუნების მისტიური ვნება. სიტყვა სავსეა მორალური დატვირთვის მატარებელი სიტყვებით: pudor -სირცხვილი (97), malum - ბოროტი (101), castis - უმწიკვლო (107), pio - ღვთისმოსავი (108), peccare - ცოდვა (114), infando malo - უტყვი ეშმაკი (115), probis ne fandis- უტყვი დანაშაულ (126), nefas- ცოდვა (123). ტრაგედიაში დრამატიზირებულია ადამიანის მორალური და ფსიქოლოგიური მდგომარეობა. სენეკას დეკლამაციური თხრობის სტილიც ამ მიზანს ემსახურება.

საინტერესოა, მედეას ორატორული მონოლოგი საკუთარი თავისადმი მიმართული სენეკას ტრაგედიაში „მედეა“:

„თუკი ეძებ, არამზადა, გზას, თუ როგორ შეზღუდო სიძულვილი. როგორ გავძლო სამეფო ოჯახის ქორწინებაზე შური რომ არ ვიძიო? სანამ დედამიწა აბალანსებს ზევას და დედამიწა ბრუნავს, სანამ დღეები მიჰყვებიან მზეს და ვარსკვლავები ჩნდებიან ღამით, სანამ მდინარეები ჩაეშვებიან ოკეანეებში, მე არასოდეს არ გამიქრება შურისძიების წყურვილი, და ის გაიზრდება კიდევ” (სენ. მედ. 397-406).

შთამბეჭდავია ლათინური ენის ჟღერადობა, ალიტერირებული ლაბიალების, პალატალების, დენტალების, სიბილანტების, ნაზალების, გამეორებული სიტყვებისა და ფრაზების გამოყენება. სინტაქსური წყობაც ემსახურება ფსიქოლოგიური და მორალური მდგომარეობის გადმოცემას.

როგორც ვნახეთ, სენეკა მისი ტრაგედიებისათვის ირჩევს ორატორული ხელოვნებისათვის დამახასიათებელ სტილს, რითაც მან მაშინდელი საზოგადოების

გამოწვევას უპასუხა. ამით, მან ბევრად უფრო ექსპრესიული და ხალხისათვის ახლობელი გახადა მისი ტრაგედიები. მჭევრმეტყველების მიმართ ინტერესი ყველა საუკუნეში არსებობს, შესაბამისად, სენეკას ტრაგედიებიც ყველა დროში ინარჩუნებენ აქტუალობას.

თანამედროვე დასავლეთის მიერ ანტიკურ მემკვიდრეობაზე განსაკუთრებული უფლების გაცხადება მრავალი მიზეზით არის განპირობებული, ერთ–ერთი უდაოდ იქნება ასეთი – თავად დასავლეთის უკეთ გაგების მიზნით. ისინი ბერძენ და ლათინ კლასიკოსებს სწავლობენ არა იმის გამო, რომ რომ ეს ავტორები ევროპის საწყისს შეადგენდნენ, არც იმის გამო, რომ მათი შეწავლა თვითშემეცნებასა და საკუთრივ თვითდამკვიდრებას ნიშნავდა. სწორედ პირიქით, ევროპელები კლასიკოსებს ზუსტად ისევე სწავლობდნენ, როგორც სხვა მოაზროვნეებს, ყველას, ვისაც ისინი ჭეშმარიტ, მშვენიერ, ინტერესის აღმძვრელ ავტორებად მიიჩნევენ. კულტურის ერთგვარი კანონიც ეს არის: წყაროს მითვისება ნაყოფიერი მხოლოდ იქ არის, სადაც ეს დაუინტერესებლად ხდება. ჰეროდოტოსის იგავი მახსენდება: სპარსეთის მეფე დარიოსი ცდილობდა ეჩვენებინა, რომ ადამიანებს ადათი (ნომოს) მართავს, რადგან ყველას საკუთარი ადათი საუკეთესო ჰგონია. ამის საჩვენებლად მან ბერძენი და ინდოელი ტომები ერთად შეყარა და ორივე მხარეს დაკრძალვის წესების შეცვლაზე აზრი სთხოვა (ამ დროს ადათის მიხედვით, ბერძნები წვავდნენ, ინდოელები კი ჭამდნენ მიცვალებულებს). ორივე მხარისთვის ეს მიუღებელი აღმოჩნდა. მაგრამ ამ იგავში ბერძნებს ორი რამ გამოარჩევს: 1. ისინი კითხვებს წყნარად უსმენდნენ, ინდოელები კი ყვიროდნენ 2. ბერძნებს ესმოდათ, რასაც დარიოსი ინდოელებს ეკითხებოდა. ბერძნები, ისე როგორც რომაელები, საკუთარი ადათ–წესების მოყვარულნი, არავიზე ნაკლებად არ იყვნენ საკუთარი ავთენტურობის ერთგულნი. მაგრამ ისინი, სულ მცირე, უცხო ალიარებისთვის ყოველთვის მზად იყვნენ; მათ დანარჩენი სამყაროს მიმართ ღიაობა შეეძლოთ. სხვა კულტურები თარგმნადა, მათი საყოველთაობამდე ამაღლება ენის მეშვეობით შეიძლება. იქნებ, სწორედ ამ ღიაობის წყალობითაც არის, რომ მათი ნაწარმოებები დღემდე კითხვადია? თუმცა ამაზე ზედაპირული მსჯელობა მოსაწყენი და არაორიგინალური საქმეა. სათქმელი, შევეცადე, ზემოთ მეთქვა.

თავი V. განათლება ანტიკურ პროზაში

წინამდებარე თავში მიზნად ვისახავ წარმოვადგინო ანტიკური პერიოდის პროზაში როგორ აისახა განათლების საკითხები. ამ შემთხვევაში არ ვითვალისწინებ ვიწრო სამეცნიერო, ან სპეციალური ხასიათის თხზულებებს. როგორც ცნობილია, ანტიკური ლიტერატურის ისტორია მოიცავს ისეთი სახის პროზაულ შემოქმედებასაც, რომელიც, ჩვეულებრივ, ლიტერატურის ისტორიაში არ განიხილება, როგორცაა, მაგალითად, ისტორიოგრაფია, მჭევრმეტყველება და სხვა. ამას თავისი მიზეზები აქვს: ანტიკური ლიტერატურის შემთხვევაში უფრო ფართოდ ვუდგებით წერილობითი პროდუქციის ლიტერატურის თვალსაწიერში შემოტანის საკითხს, თუმცა, ამ არეში არ ხვდება მხატვრულობას სრულიად მოკლებული ნაწარმოებები. ანტიკური პროზის ნიმუშებში, თუნდაც იმავე ისტორიოგრაფიაში, მჭევრმეტყველებაში, მით უმეტეს, რომანში საკმაოდ დიდია მხატვრულობის ხვედრითი წილი (შდრ. The cambridge history of classical literature, 1985; the oxford companion of classical literature 1988.). ამას ისიც ადასტურებს, რომ როცა დღეს გამოცემენ ანტიკური მოთხრობებისა თუ ნოველების კრებულებს, მათში დიდი ადგილი უჭირავს ისტორიოგრაფოსთა, ფილოსოფოსთა და სხვა, თითქოს მხატვრულ ნაწარმოებებთან არაფერი საერთოს მქონე სფეროში მოღვაწე ავტორთა ქმნილებებში ჩართულ მოთხრობებს ან ნოველებს. მაგალითისათვის შეგვეძლო დაგვესახელებინა

ჰეროდოტოსის ნოველები. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჰეროდოტოსს კლასიკურ ფილოლოგიაში დღეს ნოველის ჟანრის მამამთავრად მოიხსენიებენ. აღარაფერს ვამბობთ პლატონის თხზულებებზე, რომლებიც, მიუხედავად მათი ღრმა ფილოსოფიური შინაარსისა, ჭეშმარიტად მხატვრული პროზის ნიმუშებია.

იმდენად მრავალგვარია პროზაული შემოქმედების ფორმები, პროზაიკოსთა დამოკიდებულება ამა თუ იმ ტიპის ინფორმაციის გადმოცემისადმი, რომ შეუძლებელია საკითხზე მსჯელობის მიზნით მივმართოთ ქრონოლოგიური კლასიფიკაციის პრინციპს. ვფიქრობ, იმ საკმაოდ დიდი ინფორმაციის განხილვისას, რომელსაც განათლების საკითხებთან დაკავშირებით ბერძნული პროზა გვთავაზობს, უმჯობესია ჩვენს ხელთ არსებული მასალა განვიხილო სამი ასპექტით: ა) ფილოსოფიური ბ) ისტორიულ-გეოგრაფიული გ) მხატვრული (რომანი) დ) ცალკე გამოვყავით საკითხი განმანათლებლები რომში და რომაელი გრამატიკოსები.

I. როგორ წარმოდგება განათლებასთან დაკავშირებული პრობლემები თეორიულ პლანში, ფილოსოფიაში. შევეხე სოკრატეს, არისტოტელეს, პლატონის, ციცერონის, კვინტილიანუსის, პლუტარქოსის შემოქმედებას. ნაშრომში განხილულია, თუ რას სახავენ ისინი განათლების მიზნად; როგორია მათ მიერ შემოთავაზებული სასწავლო პროგრამები; რა შეხედულება ჰქონდათ მათ მასწავლებელზე; რამდენად სწორად მიაჩნდათ მოსწავლეთა დასჯა თუ წახალისება; რამდენად მნიშვნელოვნად მიიჩნევდნენ უცხო ენის შესწავლას; როგორ ესმოდათ დაწყებითი განათლების მნიშვნელობა; სკოლას რა მნიშვნელობას ანიჭებდნენ; რომელ ასაკს მიიჩნევდნენ სასკოლო ასაკად; როგორ ესმოდათ თამაშის როლი განათლების საკითხებში; რას ფიქრობდნენ მუსიკის როლზე; განვიხილე ლიბერალური განათლება პლატონის „სახელმწიფოსა“ და არისტოტელეს „პოლიტიკის“ მიხედვით; ვაჩვენე ფილოსოფოსთა შეხედულება ქალთა განათლებაზე; და ბოლოს, მათ მიერ შემუშავებული მეთოდები გამოვყავი. ქვემოთ მიმოვიხილავ ამ საკითხებს დაწვრილებით.

განათლების მიზანი: სოკრატეს განათლების თეორიის ძირითადი მიზანია საკუთარი თავის შეცნობა, რადგანაც შეუცნობადი ცხოვრება არ ღირს ცხოვრებად. სოკრატეს ფილოსოფიაში განათლება და ღირსება ერთი და იგივე ცნებაა. ღირსება კარგი საქციელისაკენ უბიძგებს ადამიანს, ხოლო განათლება კი გვეხმარება შევიცნოთ ადამიანი, სამყარო და ღმერთი. რატომ გახდა სოკრატე მოდელი

განმანათლებელთათვის, რატომ ჰქონდა მას ასეთი დიდი გავლენა და რატომ აფასებდნენ მას ასე დიდად პლატონი და არისტოტელე? როგორც ჩანს, სოკრატე არ იყო თეორეტიკოსი, ის ცხოვრობდა მისი საგანმანათლებლო იდეალების თანახმად. მას ღრმად სწამდა, რომ მდიდარსა თუ ღარიბს, ახლგაზრდასა თუ მოხუცს, ბრძენსა თუ უმეცარს – ყველას ერთნაირად ესაჭიროებოდა განათლების მიღება. სოკრატესათვის განათლება სპონტანური პროცესი იყო, მას არც სკოლა სჭირდებოდა და არც ორგანიზებული სასწავლო დაწესებულება. პლატონის ცნობით, სოკრატე ყველაზე ეფექტურად მაშინ ასწავლიდა, როდესაც ბანკეტებს ესწრებოდა და საუბრობდა ღირსებაზე, სიმართლესა და მორალზე (მეირი 1960: 86).

სოკრატე პლატონის „სახელმწიფოში“ აღნიშნავს, ინტელექტუალური აღზრდა–განვითარება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სიმდიდრის მოხვეჭა. ცოდნა ადამიანს სიმშვიდეს სძენს და მღელვარებას უცხრობს. იგი ემოციურ ბალანსს ამყარებს ადამიანში. განათლება, ფილოსოფია, ეთიკა და რელიგია მისთვის არის ერთობა, რომელიც მიზნად ისახავს რაციონალური ინდივიდის შექმნას. სოკრატე დარწმუნებული იყო, რომ სამყაროში უნივერსალური წესრიგია და მას ჰქონდა განსაზღვრული მიზანი. ფილოსოფოსს არ შეეძლო ცხოვრების მექანიკურ ინტერპრეტაციას დათანხმებოდა, რადგანაც ინტელექტი და მორალი ერთი და იგივე იყო მისთვის: განათლებული ადამიანი აუცილებლად მორალურად ამდლებული იქნებოდა და მორალური ღირსებების მქონე ადამიანი აუცილებლად წარმოაჩენდა ნამდვილ ცოდნას (პლატ. სახელმ 521b).

სოკრატეს სწამდა, რომ მას ჰქონდა მისია ათენელები გაენათლებინა. „ათენელებო, მე დიდი სიყვარული გამაჩნია თქვენს მიმართ, და სანამ სული მიდგას, არ ვაპირებ შევწყვიტო სიბრძნის ძიება და არ მომწყინდება, რომ მოგიწოდოთ ნებისმიერ გზაში შემხვედრს შემდეგი სიტყვებით: „ჩემო კარგო მეგობარო, შენ ხარ ათენის მოქალაქე, ქალაქისა, რომელიც ცნობილია სიბრძნითა და ძლიერებით, არა გრცხვენიათ ამდენ დროს და ენერგიას რომ ხარჯავთ სიმდიდრის შეგროვებასა თუ დიდებისა და ძლიერების მოსახვეჭად? და საერთოდ, რომ არ ფიქრობთ სიბრძნის შეძენასა და თქვენი სულის სრულყოფილებაზე?“ და თუკი იგი ამბობს, რომ მე ვცდები და ის სწორედაც რომ ცდილობს სრულყოფის მისი სული, მე მას მაშინვე არ გავუშვებ და ჩემს გზას არ გავაგრძელებ, მას შეკითხვებს დავუსვამ და გამოვცდი, მე ყველაფერს ვიღონებ, რომ დავანახო, ყველაზე ძვირფასად რასაც მიიჩნევს, სულაც

არაა ღირებული, ხოლო, რასაც ყველაზე მცირე ყურადღებას უთმობს, ის ყველაზე მეტად ფასეულია” (პლატ. სახელმ. 376 e)¹⁸.

მე არა მაქვს სხვა საქმე, გარდა იმისა, რომ ყველა თქვენგანი - დიდი თუ პატარა დაგარწმუნოთ, რომ უფრო მეტად უნდა იფიქროთ თქვენს სულზე, ვიდრე სხეულზე და რომ დაგაჯეროთ, რომ ყოველგვარი სიკეთე მოდის არა მატერიალური კეთილდღეობისაგან, არამედ ყველა კარგი რამ მოდის სიკეთისაგან (პლატ. აპოლ. 42).¹⁹

პლატონმა შემოგვთავაზა სოკრატესეული განათლების თეორიის ახლებური ინტერპრეტაცია. პლატონისათვის განათლება მოიცავს სამყაროს შეცნობას, რომელიც უზრუნველყოფს რეალობის მეცნიერულ ინტერპრეტაციას. ყველაზე მაღალი ტიპის ცოდნა არის ფილოსოფიის ცოდნა, რომელიც რეალობას აღიქვამს, როგორც ერთ მთლიანობას (პლატ. სახელმ. 590c).

პლატონის განათლების ფილოსოფია ეყრდნობა მის პოლიტიკურ იდეალს. „სახელმწიფოში” ის აღწერს სამ კლასს: მეფე - ფილოსოფოსს, რომელიც მართავს ქვეყანას, მცველებს, რომლებიც იცავენ ქვეყანას და ჩვეულებრივ ხალხს, რომლებიც წარმოადგენენ მუშა-ხელს. პლატონისათვის განათლება, ეთიკა, პოლიტიკა და ეკონომიკა ქმნიან განუყოფელ ერთეულს, რომელიც საჭიროა იმისათვის, რომ თეორია და პრაქტიკა შეერწყას ერთმანეთს (პლატ. სახელმ. 396c- 398b).

ციცერონს მთელი სულითა და გულით სჯეროდა doctus orator-ის თეორიის. მან დაწერა „ორატორი” და „ბრუტუსი”, სადაც ის ისევ აიდილებს დახვეწილ ორატორს (ციც. ორატ. 14; ბრუტ. 322). თუმცა წიგნში „მჭევრმეტყველების შესახებ” კრასუსის სიტყვებში ყველაზე სრულყოფილადაა ჩამოყალიბებული ციცერონის წარმოდგენა მჭევრმეტყველებაზე: „ზოგს ურჩევნია ორატორი უწოდოს ისეთ ფილოსოფოსს, რომელიც მჭევრმეტყველს ამარაგებს სასაუბრო მასალით. სხვები კი უპირატესობას ანიჭებენ ორატორს, რომელიც მე განვსაზღვრე, როგორც გამაერთიანებელი სიბრძნისა და ფილოსოფოსის მჭევრმეტყველებისა. ჩემთვის სახელს არა აქვს მნიშვნელობა, რადგანაც ადამიანი ვერ დაიმსახურებს ქებას, თუკი მან ბევრი რამ იცის, მაგრამ ვერ გადმოსცემს მას; მაგრამ ვერც ის კაცი დაიმსახურებს აუდიტორიის სიმპათიას, რომელსაც მეტყველების პრობლემა არ აქვს, მაგრამ არ

¹⁸ თარგმანი ჩემია. ვ.წ.

¹⁹ თარგმანი ჩემია. ვ.წ.

გააჩნია ინფორმაცია, რომელიც მან უნდა გასცეს. მე პირადად კი, თუკი მაიმულებდით ამერჩია ამ ორიდან ერთი, აუცილებლად უპირატესობას მივანიჭებდი, ბრძენს, რომელსაც გადმოცემის უნარი არ აქვს, ვიდრე თავცარიელ მოსაუბრეს. ხოლო თუკი მკითხავდით, საუკეთესო ვარიანტი რომელია, მე გეტყვოდით, დახვეწილი, განათლებული ორატორი (doctus orator). მერწმუნეთ, ასეთი კაცი ფილოსოფოსიცაა. ამ შემთხვევაში ყველა ორატორს ესაჭიროება ფილოსოფიური განათლება, თუმცა ფილოსოფიის ცოდნა არ მოიცავს მჭევრმეტყველებას” (ციც. მჭევრ. შეს. III. 142–143)²⁰.

საქმე იმაშია, რომ არც „ფილოსოფოსი” და არც „ორატორი” არაა ადეკვატური ტერმინი ციცერონის იდეალისათვის. მხოლოდ ერთი სიტყვა გამოხატავს მის იდეალს –humanitas, ან მისი შესაბამისი ეპითეტი humanus: სიტყვა, რომელიც წიგნის „მჭევრმეტყველების შესახებ” ყოველ ფურცელზე გვხვდება (შდრ. შნაიდვეინი 1897: 31–40). კრასუსსა და სკევოლას შორის გამართულ დიალოგში, რომელიც მთელი დიალოგის პროლოგად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, ნაჩვენებია სიტყვის სრული მნიშვნელობა დამახასიათებელი ფრაზით. კრასუსი მჭევრმეტყველების პენეგირიკს გვთავაზობს, და მისი ქება–დიდება კულმინაციას აღწევს მტკიცებულებაში, რომ მჭევრმეტყველებას საუბრის ხელოვნება აკყავს უმაღლეს მწვერვალამდე, რომლითაც ადამიანი გამოირჩევა მხეცებისაგან. იყო ჰუმანური ადამიანი, ყველაზე სრული გაგებით, იყო ადამიანური სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში – ესაა ციცერონის სოციალური და ეთიკური იდეალი და მისი საგანმანათლებლო თეორიაც ამგვარვე პრინციპზეა დაფუძნებული. ციცერონი ამბობდა: „ჩვენ რომიდან უნდა ვისესხოთ ღირსებები, ხოლო კულტურა - საბერძნეთიდან” (ციც. მჭევრ. შეს. III. 137). ეს სიტყვები მოკლედ გამოხატავს ციცერონის საგანმანათლებლო თეორიას.

საყურადღებოა ციცერონის ფრაზა, რომელსაც ის სკიპიოსს ათქმევინებს ტრაქტატში „სახელმწიფოს შესახებ”. მთელი ციცერონისეული განათლების თეორია გადმოცემულია ამ ერთ ფრაზაში: „ჩვენ ყველას ადამიანებს გვიწოდებენ, თუმცა, მხოლოდ მათ შეიძლება ადამიანი ეწოდოთ, ვისაც სათანადო განათლება აქვს მიღებული” (Appellari ceteros homines, esse solos eos qui essent politi propriis humanitatis artibus) (ციც. მჭევრ. შეს. 28). ციცერონი აქვე აღნიშნავს, მოსწავლე უნდა გახდეს

²⁰ თარგმანი ჩემია. ვ.წ.

კარგი პიროვნება, როცა დაამთავრებს სწავლას. კურსდამთავრებულები უნდა იყვნენ ბრწყინვალე მოსაუბრეები და კარგი ხასიათის მქონენი. ამისათვის აუცილებელია ნიჭი, მის გარეშე ვერაფერს გახდება ადამიანი .

ალექსანდრე მაკედონელს კარგად ესმოდა, რომ განათლების მიღება მას განსაკუთრებულობას შესძენდა და გამორჩეული მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა, თუკი კარგ განათლებას მიიღებდა. „პირადად მე ვისურვებდი ვჯობნიდე სხვებს უმნიშვნელოვანეს საგანთა ცოდნით, ვიდრე ფიზიკური ძალით” (პლუტ. რჩ. ბიოგრ. ალ. მაკედ. 7)²¹.

სასწავლო პროგრამა: პროტაგორასი ასეთ სასწავლო გეგმას სთავაზობდა საზოგადოებას: „რასაც მე ვასწავლი, ესაა ადამიანის საკუთარი საქმეების მართვა, როგორ გაუძღვეს ადამიანი შინამეურნეობასა და საზოგადოებრივ საქმიანობას, როგორც სიტყვით, ისე საქმით” (პლატ. პროტ. 319). იფიქრო საღად, ისაუბრო დამაჯერებლად, პირადი ცხოვრება წარმართო დამაკმაყოფილებლად და ჩაერთო საჯარო გამოსვლებში, იყო მაშინდელ ბერძნულ საზოგადოებაში წარმატების გასაღები. გარდა იმისა, რომ ეს პოლისში სამოქალაქო ცხოვრებას აუმჯობესებდა, ამ უნარ-ჩვევებს ჰქონდა განსაკუთრებულად პრაქტიკული ღირებულება ცალკეული ინდივიდისათვის. პროტაგორასი წარმატებულად ასწავლიდა ეფექტური საუბრის ელემენტებს, რაც საფუძვლად დაედო ბერძნული განათლების მოდელს, და რაც, მოგვიანებით, განათლების ცენტრალური ნაწილი გახდა რომის იმპერიაში.

„სახელმწიფოში” პლატონი გვთავაზობს უტოპიურ განათლების სისტემას, რაც ძალიან ჰგავდა სპარტანულს. ყველას უნდა მიეღო გიმნასტიკური, გრამატიკული, მუსიკალური განათლება თვრამეტი წლის ასაკამდე.

როგორც სოკრატე ამბობს: „როგორი უნდა იყოს ჩვენი განათლება? ნუთუ რთულია ვიპოვოთ რაიმე იმაზე უკეთესი, რაც მრავალი წლის წინ მიგნებული იქნა, კერძოდ გიმნასტიკური სხეულისათვის და მუსიური სულისათვის” (პლატ. სახელ. 376e). მუსიური განათლება ხვეწს სულს, ხოლო გიმნასტიკური - სხეულს. მუსიური აღზრდა წინ უნდა უსწრებდეს გიმნასტიკურს.

ციცერონის აზრით, ფილოსოფიურ და რიტორიკულ სკოლებში მოსწავლეს უნდა მიეღო ფართო განათლება, რომელიც მას შესძენდა სიბრძნეს, პატრიოტიზმის

²¹ ციტატები პლუტარქოსის „რჩეული ბიოგრაფიებიდან” მომყავს აკაკი ურუშაძის თარგმანის მიხედვით (1975).

გრძნობას, სიმამაცეს, არისტოტელესეულ თავშეკავებულობას, მორალურ ღირსებებსა და მჭევრმეტყველებას. სტუდენტს უნდა ესწავლა იურისპრუდენცია და რიტორიკა, ფილოსოფია, ფსიქოლოგია, პოლიტიკა, ეთიკა, სამხედრო და საზღვაო ხელოვნება, მედიცინა, გეოგრაფია, ასტრონომია და ისტორია. ციცერონისთვის ორატორი იყო იგივე, რაც პალტონისათვის მეფე–ფილოსოფოსი და ზოგადად რომაელებისათვის განათლება უმეტესად ორატორულ ხასიათს ატარებდა. ციცერონს მიაჩნდა, რომ კარგი ორატორი უნდა იყოს აუცილებლად კარგი იურისტი და კვალიფიციური და დიდი გამოცდილების მქონე. ასევე, მისი აზრით, ფილოსოფიის შესწავლის გარეშე ადამიანი ვერ გახდებოდა სრულყოფილი ორატორი (ციც. მჭევრ. შეს. I. 53–57).

ფსიქოლოგია, ეთიკა, პოლიტიკა, დიალექტიკა, და ფიზიკაც კი – ყოველივე ეს უნდა შეისწავლოს ყველა ორატორმა, რადგანაც ამ ყველაფრის ცოდნის გარეშე, ორატორი ჩაიჭრება პრაქტიკულ საქმიანობაში. მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს ღრმა ცოდნა ყველა სფეროში, რათა შეეძლოს დისკუსიის გამართვა ნებისმიერ თემაზე. „სიტყვის არჩევანი, მათი სათანადო ადგილი წინადადებაში, რითმის შეგრძნება შესაძლოა ადამიანმა ისწავლოს ძალიან მოკლე დროში, მაგრამ მჭევრმეტყველება მოიცავს ფართო სფეროს, ზოგად განათლებას, რომლის გარეშე წარმოუდგენელია ორატორის მოღვაწეობა” (ციც. მჭევრ. შეს. III. 93).

ამკარად შეინიშნება „ახალი აკადემიის” (რომელიც აღდგენილ იქნა არკესილაუსისა და კარნეადესის მიერ), გავლენა ციცერონის აზრებზე. ციცერონის აზრით, განათლებული ადამიანი უნდა იყოს დახვეწილი ორატორი (doctus orator). Doctus orator ესაა ადამიანი, რომელის არსიც ორატორსა და ფილოსოფოსს აერთიანებს. ციცერონი აღიარებს, რომ მის მჭევრმეტყველებას ის უნდა უმაღლოდეს აკადემიას და არა რიტორიკის სკოლებს (ციც.მჭევრ. შეს. III. 12). კოტა, დიალოგების ერთერთი მეორეხარისხოვანი პერსონაჟი, კრასუსს საუბარს შეაწყვეტინებს შემდეგი შენიშვნით: „მე არ ვიცი, შენზე რა გავლენა ჰქონდათ სხვებს, ერთი კი ნათელია, რომ შენ მე მთელი გულითა და სულით მომაწონე აკადემია” (ციც.მჭევრ. შეს. III. 145).

ცნობილია ტერმინი ციცერონისეული „ჰუმანიზმი”. ლიტერატურა, რიტორიკა, ისტორია, იურისპრუდენცია, ფილოსოფია, – ესაა ხუთი საგანი, რომლის გარეშეც ციცერონის იდეალი doctus orator– ისა იქნებოდა არასრულყოფილი. მოგვიანებით, ციცერონმა მთელი ყურადღება გადაიტანა ფილოსოფიაზე, როგორც ადამიანის ინტელექტუალურ და მორალურ გზამკვლევეზე, და ამ გაკვეთილის

გადმოსაცემად მან გამოიყენა ნაწარმოები „ჰორტენსიუსი“. ამ ნაშრომში ერთმანეთს უპირისპირდებიან ციცერონი და ჰორტენსიუსი. ეს ჰგავს დაპირისპირებას ორატორსა (რომელსაც აკლია ციცერონის *politior humanitas*) და *doctus orator* –ს შორის. ჰორტენსიუსის ჩვენამდე მოღწეულ ფრაგმენტებში ფილოსოფიური სწავლების საძირკვლად მიიჩნევენ *artes liberales* (ციც. ჰორტ. ფრ. 23).

კვინტილიანუსი გეომეტრიას მიიჩნევს ორატორისათვის აუცილებელ შესასწავლ საგნად. „გეომეტრია ორატორს მენტალურ სავარჯიშოს წარმოადგენს, რაც მას პრაქტიკულად გამოადგება. გეომეტრიის ცოდნა აუცილებლად საჭიროა, როცა ორატორს საუბარი მოუწევს მიწის აზომვაზე ან სხვა ჩახლართულ მათემატიკურ პრობლემებზე, მას არ მოუწევს დაფიქრება რიცხვებზე“ (კვინტ.დარიგ. მჭევრ. X. 22–30).

კვინტილიანუსის ძირითადი ინტერესის სფერო არის ლიტერატურისა და რიტორიკის, ბერძნულისა და ლათინურის შესწავლა. ვაჟი ჯერ უნდა წავიდეს ბერძენი გრამატიკუსის სკოლაში (კვინტ. დარიგ. მჭევრ. I. 4.1), თუმცა მას თანადროულად უნდა ასწავლონ როგორც ბერძნული, ისე ლათინურენოვანი ლიტერატურა. გრამატიკუსის სკოლაში ტარდება გაკვეთილები სალაპარაკო ენაში (*recte loquendi scientia*), რომელიც მოიცავს კარნახს და შემოქმედებით კარნახს, ისევე როგორც გრამატიკას, და ორივე ენაზე ლიტერატურულ გაკვეთილებს (*poetarum enarratio*) (კვინტ.დარიგ. მჭევრ. I.4. 2). გრამატიკუსი მოსწავლეებს ასწავლის გამართულად საუბარს, უხსნის გრამატიკულ სირთულეებს ავტორთა ნაწარმოებების წაკითხვისას, ინტერპრეტაციას უკეთებს ისტორიულ ალუზიებს და კომენტარს უკეთებს ტექსტს (კვინტ.დარიგ. მჭევრ. I. 2. 14). კვინტილიანუსის მიერ შემოთავაზებული სასკოლო ავტორების სია მოიცავს ჰომეროსს, ვერგილიუსს, ტრაგიკოსებს, კომედიოგრაფოსებს და ლირიკოს პოეტებს (კვინტ.დარიგ. მჭევრ. I. 8. 5–7).

ლიტერატურიდან რიტორიკაზე გადასვლა უნდა მოხდეს სპეციალური მოსამზადებელი სავარჯიშოების შესრულების შემდგომ. ამ სავარჯიშოებს კვინტილიანუსი მოიხსენიებს ტერმინით პროგიმნაზმატა (*progymnasmata*). პროგიმნაზმატა მოიცავდა ასეთი ტიპის სავარჯიშოებს: მაგალითად, ვაჟებს წაუკითხავდნენ ეზოპეს ერთ – ერთ იგავა–არაკს, და მათ ევალუბოდათ გადმოეცათ მიღებული ინფორმაცია მარტივი ენით (კვინტ.დარიგ. მჭევრ. I. 9. 2). მოგვიანებით,

მას თავად უნდა დაეწერა მოთხრობა მარტივი სტილით. შემდგომი დავალება იყო პოეტური ქმნილების პროზის სტილით გადმოცემა. ხშირად მოსწავლეებს ეკითხებოდათ პასაჟები ისტორიიდან, რომელთა ინტერპრეტირება უნდა მოეხდინათ მათ, ამით ისინი ისტორიასაც შეისწავლიდნენ და მჭევრმეტყველებასაც ეუფლებოდნენ (კვინტ.დარიგ. მჭევრ. II. 4. 1–3, 15–19).

ერთ–ერთი დავალება იყო რომელიმე გამოჩენილი ადამიანისათვის ხოტბის შესხმა ან პირიქით, ბოროტი ადამიანის გალანძღვა და ორ ასეთ ცნობილ პერსონაჟს შორის შედარების გაკეთება. კვინტილიანუსი გვეუბნება, რომ სწორედ ასეთი ტიპის სავარჯიშომ მისცა პლუტარქოსს იდეა, შეექმნა მისი უკვდავი ქმნილება „პარალელური ბიოგრაფიები“ (კვინტ.დარიგ. მჭევრ. 1).

კვინტილიანუსი მიიჩნევს, რომ დეკლამაცია იყო ყველაზე გამოსადეგი სავარჯიშო ორატორისათვის. კვინტილიანუსის დამოკიდებულება ფილოსოფიის შესწავლის მიმართ ასეთია: ყველა ორატორს უნდა აინტერესებდეს ფილოსოფია, თუმცა ფილოსოფიურმა იდეალებმა კი არ უნდა გაიტაცოს ის, არამედ ორატორის თვალთ უნდა შეხედოს ფილოსოფიას. კვინტილიანუსი არ ურჩევს მის მოსწავლეებს ფილოსოფიურ სკოლებში განაგრძონ სწავლა. თუმცა, მათ აუცილებლად უნდა შეისწავლონ ფილოსოფიის სამი დარგი: დიალექტიკა, ფიზიკა და ეთიკა (კვინტ.დარიგ. მჭევრ. 2. 1-4).

პლუტარქოსის ცნობით, სპარტელ ბავშვებს ასწავლიდნენ მახვილსიტყვაობას, მოხდენილ, მოსაზრებულ და სხარტ ლაპარაკს. ლიკურგუსი მოითხოვდა ყმაწვილებისაგან მოკლე, სადა ნათქვამში ღრმა და ძლიერი აზრი ჩექსოვით, დუმილს მიჩვეოდნენ და მოსწრებული, აზრიანი პასუხის გაცემა ესწავლათ. „ლაქლაქა ადამიანის სიტყვები ფუჭი და ყოველგვარ აზრს მოკლებულია“ (პლუტ. რჩ. ბოიგრ. ლიკურგ. 19).

პლუტარქოსი აღნიშნავს: „ჩემი აზრით, ლაკედემონური სიტყვა, მიუხედავად იმისა, რომ მოკლეა, ადვილად ხვდება მიზანს და მსმენელთა გულსა და სულს სწვდება“ (პლუტ. რჩ. ბოიგრ. ლიკურგ. 19).

პლუტარქოსი კანონმდებელ ლიკურგუსს ახასიათებს, როგორც განათლებულ კაცს. მან თავი მიუძღვნა კანონების შემოღებას და წეს-წყობილების შექმნას. მისი კანონები ემსახურებოდა სახელმწიფოს გაძლიერებასა და გაჯანსაღებას. განსწავლულობა შეინიშნება მის მოსწრებულ პასუხებში. მაგალითად, ერთი კაცი

ლიკურგუსს ურჩევდა, სპარტაში დემოკრატია დაამყარეო. ლიკურგუსმა უპასუხა: „ჯერ შენ სცადე და შენს ოჯახში დაამყარე დემოკრატიაო“; ლიკურგუსს ჰკითხეს: „რატომ დააწესე ეგზომი მუნწი და უბრალო მსხვერპლშეწირვაო?“ მან მიუგო: „იმიტომ რომ, არასოდეს არ შევწყვიტოთ ღვთის პატივისცემაო“; შეკითხვაზე: „როგორ ავიცილიბთ თავიდან მტრის თავდასხმას? მისი პასუხი იყო: „, თუ ღარიბები დავრჩებით და თუ არავინ მოინდომებს სხვაზე მაღლა დადგომასო“; ან კიდევ პასუხი კედლების შესახებ: „ქალაქზე არ ითქმის, კედლები არ აქვსო, თუ მას აგურის ნაცვლად ვაჟკაცები არტყია გარსო“ (პლუტ. რჩ. ბიოგრ. ლიკურგ. 19).

შეხედულება მასწავლებელზე: პლუტარქოსის ცნობით, ალექსანდრე მაკედონელი თაყვანს სცემდა მის მასწავლებელ არისტოტელეს და მამისაგან არ ასხვავებდა მას. ის ყოველთვის იმეორებდა: „მამაჩემმა მხოლოდ სიცოცხლე მომანიჭა, არისტოტელემ კი ცხოვრების აღლოს აღება მასწავლაო“ (პლუტ. რჩ. ბიოგრ. ალ. მაკედ. 8).

სოკრატეს აზრით, მასწავლებელი ცივილიზაციის ლიდერია. ის აუცილებლად სიმართლეს უნდა ქადაგებდეს, მაშინაც კი, როცა მისი თანამედროვენი მას ეწინააღმდეგებიან. მასწავლებლის ფუნქცია, სოკრატეს აზრით, არის ადამიანის გამოღვიძება, მათი იდეების წარმართვა უკეთესისაკენ, რათა მათ შეძლონ შეცვალონ სამყარო მორალისა და გონების შერწყმის მეშვეობით (პლატ. სახელმ. 524b).

კვინტილიანუსი ასე ახასიათებს იდეალურ მასწავლებელს: „მას უნდა ჰქონდეს მშობლის მსგავსი დამოკიდებულება მოსწავლეებთან, და უნდა ახსოვდეს, რომ მას ჩააბარეს სხვისი შვილები. ის უნდა იყოს მკაცრი, თუმცა არა კუმტი; გულკეთილი და თბილი, მაგრამ არა ძალიან ფამილარული, ძალიან დიდი სიმკაცრე მას არაპოპულარულს გახდის სტუდენტების თვალში, ხოლო ზედმეტი ფამილარობა – ზიზღს მოგვრის მის სტუდენტებს. ის მუდმივად უნდა საუბრობდეს იმაზე, თუ რაა კარგი და დასაფასებელი. რაც უფრო ფრთხილად იქნება ის, უფრო მეტად დასჭირდება სტუდენტების დასჯა. მან უნდა აკონტროლოს მისი განწყობილება, რაც არ უნდა თვალის დახუჭვა მოუწიოს მას მოსწავლეთა შეცდომებზე: ის არასოდეს არ უნდა აძლევდეს თავს უფლებას, აფექტურ მდგომარეობაში აღმოჩნდეს. მისი მოთხოვნები კლასის წინაშე უნდა იყოს სერიოზული, თუმცა არა დაჟინებითი. მას უნდა შეეძლოს უპასუხოს ყველა დასმულ შეკითხვას“ (კვინტ.დარიგ. მჭევრ. I. 5–6).

კვინტილიანუსი დიდი პატივით მოიხსენიებს მასწავლებლებს, რომელნიც ასწავლიან დაბალ კლასებს და თვლის, რომ ამას უფრო დიდი ძალისხმევა სჭირდება.

„არ შეიძლება ადამიანზე ითქვას, რომ ის მასწავლებელია, თუკი მას სურვილი არ აქვს ამეცადინოს დაწყებითი კლასის მოსწავლეები და რაც უფრო კარგად ფლობს მასწავლებელი საგანს, მით უფრო კარგად შეძლებს ის დაწყებითი კლასის მოსწავლეებთან მუშაობას” (კვინტ.დარიგ. მჭევრ. II. 3. 5).

კვინტილიანუსი სვამს შემდეგ შეკითხვას: რამდენად უნდა შეეცადოს მასწავლებელი განავითაროს მოსწავლე მისი ბუნებრივი მონაცემების მიხედვით? კვინტილიანუსი დიდ ყურადღებას უთმობს ადამიანის ნიჭს და ღრმად სწამს, რომ ბუნებრივი მონაცემების გარეშე არაფერი არ გამოვა. თუკი ვაჟს არ გააჩნია ორატორული მონაცემები, მაშინ ის დაუყოვნებლივ სახლში უნდა გაიგზავნოს, მაგრამ მათ, რომლებიც დარჩებიან, უნდა იმუშაონ ბევრი, რათა დახელოვნდნენ მჭევრმეტყველებაში.

მასწავლებელი აუცილებლად უნდა იყოს ძალიან დაკვირვებულად და თუკი რაიმე შეეშლება მის მოსწავლეს, მაშინვე უნდა შეუსწოროს, თორემ ბავშვების დანარჩენ ნაწილში ეს აუცილებლად გამოიწვევს აჟიოტაჟს. მასწავლებელი უნდა იყოს იმდენად განსწავლული, რომ არ შექმნას ასეთი სიტუაცია (კვინტ.დარიგ. მჭევრ. II. 2. 4-13).

სპარტაში ვაჟების აღზრდაში ჩართულნი იყვნენ მოხუცები. ისინი ხშირად დადიოდნენ გიმნასიებში, ესწრებოდნენ მოზარდთ საბრძოლო შეჯიბრებებს და ხალისით ისმენდნენ ყმაწვილთა შორის გამართულ მახვილსიტყვაობას. ისინი თვინათ თავს ბავშვების მამებად, მასწავლებლებად და მოძღვრებად თვლიდნენ (პლუტ. რჩ. ბოიგრ. ლიკურგ. 16).

წახალისება: კვინტილიანუსი მოსწავლეთა წახალისებას სწავლა-სწავლების პროცესის აუცილებელ ელემენტად მიიჩნევს. ის ამბობს, რომ მოსწავლეთა შექებისას არც ძალიან გულუხვობაა საჭირო და არც სიძუნწე. ძედმეტად შექება მას თვითკმაყოფილების გრძნობას გაუჩენს, ხოლო თუ არ შევაქეთ სტუდენტი, მას გულგატეხილობა მოიცავს. შეცდომების შესწორებისას თავიდან უნდა ავიცილოთ სარკაზმი და შეურაცხყოფა: რადგანაც, მასწავლებლები, რომლებიც საყვედურს ამბობენ, შრომის ნაყოფიერებას ამცირებენ მოსწავლეებში (კვინტ.დარიგ. მჭევრ. II. 6-7).

კვინტილიანუსი ფიქრობს, რომ აუცილებელია მოსწავლეები კარგი აკადემიური მოსწრებისათვის დაჯილდოვებულ იქნენ (კვინტ.დარიგ. მჭევრ. I. 1. 28).

ნიშანდობლივია ასევე, კვინტილიანუსის რჩევა-დარიგებანი მოსწავლეთა წახალისების შესახებ. ის ამბობს, რომ რადგანაც მოზარდები ჩვეულნი არ არიან კრიტიკას და ეს მათ უფრო მეტად აღიზიანებთ, ვიდრე წააქეზებთ უკეთ სწავლაზე, ამიტომ უმჯობესია, თუ მასწავლებელი თავს შეიკავებს კრიტიკისაგან და კეთილგონივრულად მოექცევა მოსწავლეს (კვინტ.დარიგ. მჭევრ. I.4-8).

პლუტარქოსის ცნობით, ალექსანდრე მაკედონელის გამზრდელს - ლისიმაქოსს მაინცდამაინც განათლებული ადამიანის სახელი არ ჰქონდა, მაგრამ დიდი როლი შეასრულა ალექსანდრეს აღზრდა-განათლებაში და მისი წარმატების გასაღები იმაში მდგომარეობდა, რომ ხშირად აქებდა მას. თავის თავს ფონიქსს უწოდებდა, ალექსანდრეს აქილევსს ეძახდა, ფილიპეს კი- პელევსს (პლუტ. რჩ. ბიოგრ. აღ. მაკედ. 7). ამით მან საყოველთაო სიყვარული და მოწიფულის აღზრდის საქმეში მეორე ადგილი დაიკავა (არისტოტელეს შემდგომ).

დასჯა: კვინტილიანუსი ფიზიკური დასჯის წინააღმდეგი იყო. ის აღნიშნავდა, რომ „გაწკეპლვა დასჯის ძალიან ცუდი მეთოდია და ის განკუთვნილია მხოლოდ მონებისათვის”, და ამბობდა, რომ უნდა აკრძალულიყო ის სასწავლო პროცესში. ასევე, კვინტილიანუსი ეწინააღმდეგებოდა მასწავლებელთა მხრიდან მოსწავლეების გამორჩევასა და მიკერძოებას. მისი აზრით, მასწავლებელმა ყველა მოსწავლეზე უნდა გაანაწილოს ყურადღება და კლასის ზომაც უნდა ემსახურებოდეს ამ მიზანს (კვინტ.დარიგ. მჭევრ. I.18).

შეხედულება უცხო ენის შესწავლაზე: ციცერონი ურჩევს მშობლებს, რომ თავიანთ შვილებს ასწავლონ ლათინური სრულყოფილად, სანამ ბერძნულის შესწავლას დააწყებინებდნენ (ციც.მჭევრ. შეს. III. 2-4).

კვინტილიანუსი გვარწმუნებს, რომ „ბავშვი ლათინურენოვან გარემოში იზრდება და ის თავისთავად აიღებს სიტყვებს გარშემომყოფებისაგან, მაგრამ მას სწავლება უნდა დაუწყონ ბერძნულ ენაზე, რადგანაც მთელი განათლების სისტემა ბერძნულიდანაა ნასესხები” (კვინტ.დარიგ. მჭევრ. I. 1. 4, 12).

პლუტარქოსის ცნობით, ციცერონმა კარგად იცოდა ბერძნული ენა. მან განათლების სრულსაყოფად იმოგზაურა ათენში, აზიაში, როდოსზე. მისი მასწავლებლები იყვნენ ანტიოქე ასკანონელი (ათენში); ქსენოკლე ადრამიტიონელი, დიონისიოს მაგნესიელი და მელიპე კარიელი (აზიაში); მოლონია ძე აპოლონიოსი და ფილოსოფოსი პოსიდონიოსი (როდოსზე). აპოლონიოსმა, როცა მოუსმინა ციცერონის

სიტყვით გამოსვლას, ასეთი შეფასება მისცა: „მე ციცერონო, გაოცებული ვარ შენი ხელოვნებით და გაქვს კიდევაც, მაგრამ ელადის ბედს დავტირი; აშკარად ვხედავ, რომ შენი წყალობით რომაელთა ხელში გადადის განათლება და მჭევრმეტყველება, ეს ერთადერთი უპირატესობა, რაც დღესდღეობით მრავალ უპირატესობათაგან შემოგვრჩა” (პლუტ. რჩ. ბოიგრ. ციც. 4).

დაწყებითი განათლების მნიშვნელობა: კვინტილიანუსი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს დაწყებით განათლებას და აღნიშნავს, რომ ისე როგორც შენობის ასაშენებლად საჭიროა კარგი საძირკველი, ასევე კარგი პიროვნების ჩამოსაყალიბებლად დიდი მნიშვნელობა აქვს მის პირველდაწყებით განათლებას. „ყველას, ვისაც კი რაიმე დაუწერია ორატორულ ხელოვნებაზე პირდაპირ იწყებენ მჭევრმეტყველებით და არ აქცევენ ყურადღებას ჩვეულებრივი, ზოგადი განათლების აღწერას. ალბათ იმიტომ რომ, მათ მოსამზადებელი სწავლა ნაკლებ მნიშვნელოვნად ეჩვენებათ, ან ფიქრობენ რომ ეს მათი ინტერესის სფეროს სცილდება, ან სულაც ისინი ფიქრობენ რომ არ ღირს პოპულარიზაცია იმ მუშაობისა, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანი და აუცილებელია, თუმცა არა ხილვადია. ადამიანები ხშირად შენობის სახურავს აფასებენ, ისე რომ საერთოდ ავიწყდებათ მისი საძირკველი. ჩემი აზრით, ყველაფერი, რაც საჭიროა ორატორის წვრთნისათვის, უცხო არაა ორატორული ხელოვნებისათვის. შენ ვერასოდეს მიაღწევ მწვერვალს, თუ რაღაც დონიდან არ დაიწყე. ამიტომ, მე არ მივიჩნევ უმნიშვნელოდ იმ საგნებს, რომელთა შესწავლის გარეშე უფრო მნიშვნელოვანი საგნების შესწავლა ვერ მოხერხდებოდა. მოსწავლეები, რომლებიც კვინტილიანუსთან მივიდოდნენ, პირველდაწყებითი განათლება ოჯახში ჰქონდათ მიღებული. ის უპირატესობას ანიჭებს ძიძას, რომელიც იზრუნებს ვაჟის განვითარებაზე და ასევე შეითავსებს ე. წ. პედაგოგის (paedagogos) ფუნქციებს, რომელსაც ბავშვის სასწავლებელში ტარება ევალებოდა. მაგრამ დიდი სიფრთხილეა საჭირო მათ არჩევაში. უნდა შეირჩეს პატიოსანი, სანდომიანი ადამიანი, მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს კარგი აქცენტი (კვინტ.დარიგ. მჭევრ. I. 1. 7–8). პედაგოგი ვერ შეძლებს ვაჟის აღზრდას, თუკი ის არაა უჩვეულოდ კარგი განათლების მქონე. გაკვეთილები ბავშვს უნდა ჩაუტარდეს როგორც კი საუბარს დაიწყებს (კვინტ.დარიგ. მჭევრ. I. 4-5).

კვინტილიანუსი გვამღევეს რჩევებს, თუ როგორ უნდა ჩამოვუყალიბოთ ბავშვებს კარგი კალიგრაფია (კვინტ.დარიგ. მჭევრ. I. 2. 28). აუცილებლად უნდა

მივცეთ საზეპირო სავარჯიშოები ბავშვებს, რათა მეხსიერება დაეხვეწოთ მათ, თუმცა მასალა ძალიან ფრთხილად უნდა იყოს შერჩეული. ცნობილი ადამიანის გამონათქვამები და ანდაზები აუცილებლად უნდა ისწავლონ ზეპირად, ამასთანავე ისეთი ტექსტები, როლებიც ბავშვის ლექსიკონს გაამდიდრებს (კვინტ.დარიგ. მჭევრ. I. 35–36). ასევე, ურიგო არ იქნებოდა, თუკი ბავშვებს შეასწავლიდნენ რთულად გამოსათქმელ სენტენციებს, მათ ჩამოუყალიბდებათ დაკვირვებულად საუბრის კულტურა (კვინტ.დარიგ. მჭევრ. I. 2, 2).

სკოლის მნიშვნელობა: კვინტილიანუსი სვამს რიტორიკულ შეკითხვას, უმჯობესია სკოლაში გავგზავნოთ ვაჟი თუ კერძო მასწავლებელი დავუქირავოთ სახლში? კვინტილიანუსი ცალსახად სკოლას ანიჭებს უპირატესობას. მასწავლებელს უფრო უიოლდება მოსწავლეთა დაინტერესება სკოლაში, ვიდრე კერძოდ სახლში თუ ამეცადინებს ერთ მოსწავლეს და ყველაზე მთავარია კონკურენტუნარიანი გარემო, რომელიც სკოლაშია და რასაც ვერ შექმნის კერძო მასწავლებელი სახლში. კვინტილიანუსი ადანაშაულებს იმ მშობლებს, რომლებიც აზარმაცებენ თავიანთ შვილებს სახლში მეცადინეობით (კვინტ.დარიგ. მჭევრ. I. 2, 23–25).

მიუხედავად იმისა, რომ კვინტილიანუსი აქებს სკოლას, მისი ყურადღების მიღმა არ რჩება სასკოლო ცხოვრების საფრთხე. კვინტილიანუსი საუბრობს კლასელებს შორის შელაპარაკებაზე, ასევე იმ შემთხვევაზე, როდესაც მასწავლებელი ქმნის ხოლმე პრობლემებს.

ლიკურგუსი სპარტაში კრძალავდა ბავშვების აღმზრდელად ნაყიდი ან დაქირავებული მონა აყევანათ. მამას არ ქონდა უფლება, შვილი სურვილისამებრ აღეზარდა (პლუტ. რჩ. ბოიგრ. ლიკურგ. 16).

მანვე შემოიღო სპარტაში საჯარო სადილობის წესი, რომელსაც სისიტიებს ემახდნენ. სისიტიები მათ მეგობრობასა და ერთმანეთის სიყვარულს აჩვენებდა. სპარტელებს ხშირად ბავშვებიც დაჰყავდათ ამ ტიპის სადილებზე, როგორც თავდაჭერისა და ქცევის შესასწავლ სკოლაში. აქ ბავშვები ისმენდნენ საუბარს პოლიტიკაზე, ეჩვეოდნენ გართობას, ზომიერ ხუმრობასა და სხვისი დაცინვის ატანას. ცნობილია, რომ დაცინვის ატანა სპარტელების დიდებულ თვისებად ითვლებოდა (პლუტ. რჩ. ბოიგრ. ლიკურგ. 12).

პლუტარქოსი ციცერონის შესახებ გვეუბნება, რომ ის სკოლაში გამოირჩეოდა ნიჭით და მონდომებით და სხვა მოსწავლეთა მამები დადიოდნენ სკოლაში, რათა

დარწმუნებულიყვნენ ციცერონის ათვისების უნარსა და საზრიანობაში. შედარებით გაუნათლებელი მამები კიცხავდნენ თავიანთ შვილებს, რადგანაც ისინი ზედმეტ პატივისცემას გამოხატავდნენ ციცერონის მიმართ (პლუტ. რჩ. ბოიგრ. ციც. 2).

სასკოლო ასაკი: კვინტილიანუსი სასკოლო ასაკად შვიდ წელს მიიჩნევს, თუმცა მანამდე დაქირავებულმა ძიძამ აუცილებლად უნდა შეასწავლოს მას ბევრი რამ (კვინტ. მჭევრ. შეს. I.1, 15 –17). ის ყურადღებით ეკიდება იმ საგნებს, რომელიც ვაჟებს სკოლაში წასვლამდე უნდა ასწავლონ. ის ამბობს, რომ ყველაფერი ბავშვს უნდა მიეწოდოს ისე, რომ ის იყოს ძალიან მიმზიდველი მისთვის. და თუ ძიძა ვერ მოახერხებს რამე შეასწავლოს მას, მაინც დიდი მიღწევა იქნება თუკი ბავშვს არ შეაძულებს საგანს (კვინტ.დარიგ. მჭევრ. I. 1, 20).

თამაშის როლი: კვინტილიანუსი ასევე დიდად აფასებს თამაშის როლს ბავშვის განვითარების საქმეში და ამბობს, რომ აუცილებელია თამაშის დრო დაუტოვონ ბავშვებს, რათა ზედმეტი შრომა არ მოუწიოთ მათ დავალებების შესრულებისას (კვინტ.დარიგ. მჭევრ. I. 3, 8 – 13).

მუსიკის როლი: ანტიკურობაში დიდი ყურადღება ეთმობოდა მუსიურ განათლებას. მუსიური განათლება ხვეწს სულს, ხოლო გიმნასტიკური კი სხეულს. მუსიური აღზრდა წინ უნდა უსწრებდეს გიმნასტიკურს (პლატ. სახელმ. 376e).

პირველი წიგნის ბოლოს კვინტილიანუსი სპეციალურ თავს უძღვნის მუსიკის შესწავლას. ბერძნულ ტრადიციაზე დაყრდნობით და პითაგორას, ლიკურგუსის, პლატონისა და არისტოქსენუსის ციტირებებით, ის მიდის პრაქტიკული შეკითხვის პასუხამდე: როგორ დაეხმარება მუსიკა ორატორს? ეს მას დაეხმარება მისი ხმის მოდულირებასა და კონტროლირებაში და ჰარმონიული შესტიკულაციის ფორმირებაში (კვინტ.დარიგ. მჭევრ. I. 10, 22-30).

ლიბერალური განათლება: პლატონმა და არისტოტელემ შექმნეს განათლების სისტემა იდეალური სახელმწიფოსათვის თავიანთ ნაწარმოებებში „სახელმწიფო“ და „პოლიტიკა“. განათლების ამ სისტემის მთავარი მიზანია პიროვნების ჩამოყალიბება თავისუფალ, დამოუკიდებელ ინდივიდად, რომელიც შემდგომ გახდება ორგანიზებული, ყოველმხრივ სრულყოფილი მმართველი. ორივე ფილოსოფოსი გვთავაზობს განათლების სისტემის მათ მიერ გამოგონილ, იდეალურ მოდელს და არცერთი მათგანი არ უთმობს ყურადღებას რეალურად არსებული განათლების სისტემის აღწერას. უფრო მეტიც, ისინი არ საუბრობენ სწავლების იმ მეთოდებზე,

რომლებსაც იყენებდნენ თავიანთ სკოლებში. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ ძვ.წ.ა. V საუკუნეში ათენელი მოაზროვნენი მსჯელობდნენ ლიბერალურ განათლებაზე, თუმცა პლატონმა და არისტოტელემ ერთი საუკუნის შემდგომ შემოგვთავაზეს ამ ტიპის განათლების კონცეპტუალური გააზრება. პლატონისა და არისტოტელეს ყველაზე ძირითადი პრინციპები უდევს საფუძვლად თანამედროვე „ლიბერალური განათლების“ ცნებას. განათლებაზე მათი შეხედულებების საფუძვლიანი შესწავლა დაგვეხმარება უკეთ აღვიქვათ XXI საუკუნის „ლიბერალური“ ანუ ჰუმანისტური განათლების სფერო.

თავდაპირველად განვსაზღვროთ „არალიბერალურის“ ანტიკური გაგება, რათა უფრო მარტივად ჩავწვდეთ „ლიბერალურის“ არსს. ანტიკურ საბერძნეთში „არალიბერალური“ განსაზღვრავდა ადამიანს ან ქმედებას, რომელიც არ იყო თავისუფალი. ეს იყო ერთგვარი იარლიყი ხალხისა, რომლებიც ფულს გამოიმუშავებდნენ მუშაობით (გლოტცი 1987: 160-167; უიუდი 1989: 137-145).

არისტოტელე არალიბერალურს უწოდებს ადამიანებს, რომლებიც სხვებს ემსახურებიან გასამრჯელოს სანაცვლოდ და დასძენს, რომ არ შეიძლება მათ მართონ სახელმწიფო, რადგან მათი გონება და სული თავიანთი საქმიანობის მონად ქცეულა (არისტ. პოლიტ. III. 5, 1278a 6-11). ამის საპირისპიროდ, ლიბერალური ადამიანი არის თავისუფალი, განათლებული, დამოუკიდებელი და ნამდვილად შესაშური მმართველი. „ლიბერალური“ და „არალიბერალური“ ხელოვნების რიტორიკა და საქმიანობანი იყო არისტოკრატის მიერ შექმნილი უფრო ფართო იდეოლოგიის ნაწილი. ძვ.წ.ა. V-IV საუკუნეებში ოლიგარქებმა მხარდამჭერებთან ერთად განავითარეს ჭეშმარიტად თავისუფალი მოქალაქის კონცეფცია იმისათვის, რომ მიემართათ თავიანთი ყურადღება ექსკლუზიური მთავრობისა და ძალაუფლების მოსაპოვებლად პოლისში. ამ პერიოდში ჩვენ ვხვდებით ახალ რიტორიკასა და იდეოლოგიას, სადაც „ჭეშმარიტად თავისუფალი“ ინდივიდი დაპირისპირებული იყო იმ ადამიანებთან, რომლებსაც თავისუფალი ერქვამთ იურიდიული და სამოქალაქო თვალსაზრისით. ამ პოლიტიკური და იდეოლოგიური პროგრამის კონტექსტში განავითარეს პლატონმა და არისტოტელემ „ლიბერალური“ განათლების ცნება. თითოეული მათგანი ამუშავებს „თავისუფლების“ კონცეფციას, რომელიც უპირისპირდება პოლიტიკურ და პრაქტიკულ საქმიანობას. პარადოქსია, რომ საუკეთესო მმართველად მიჩნეულია ადამიანი, რომელიც მიაღწევს

თავისუფლების იმ რადიკალურ ფორმას, რომელშიც ის კარგი საქმეების შემსრულებელი კი არაა, არამედ „მაყურებელია კეთილ საქმეთა“ (არისტ. პოლიტ. III. 5, 1338a 9-13).

მხოლოდ ლიბერალურ განათლებას შეუძლია შექმნას უმანკო, თავისუფალი პიროვნება, რომელიც იდეალური სახელმწიფოს მმართველის როლს კარგად მოირგებს.

„სახელმწიფოში“ წარმოდგენილი განათლების სისტემა ორეტაპოვანია. პირველი ეტაპი, რომელზეც დაწვრილებითაა საუბარი II- IV თავებში, წარმოადგენს მუსიური და გიმნასტიკური განათლების შერწყმას. ეს ადრეული განათლება მრავალი თვალსაზრისით ემთხვევა ბერძნულ ტრადიციულ საგანმანათლებლო სისტემას. როგორც სოკრატე ამბობს: „როგორი უნდა იყოს ჩვენი განათლება? ნუთუ რთულია ვიპოვოთ რაიმე იმაზე უკეთესი, რაც მრავალი წლის წინ მიგნებული იქნა, კერძოდ, გიმნასტიკური სხეულისათვის და მუსიური სულისათვის“ (პლატ. სახელმ. 380e).

პლატონი მუსიურ აღზრდაში სიტყვიერებასაც გულისხმობს, მაგრამ ეს უკანასკნელი ორგვარია: ჭეშმარიტი და ყალბი. აღზრდისთვის ორივე საჭიროა, მაგრამ ყალბით უნდა დავიწყოთ. პატარა ბავშვებს თავდაპირველად თქმულებები უნდა ვუამბოთ. თქმულება, არსებითად ყალბია, მაგრამ ის ჭეშმარიტებასაც შეიცავს. აქვე, პლატონი გვთავაზობს მკაცრი ცენზურის პროგრამას. ის უარყოფს მთელ რიგ ცნობილ პოემებს იმ მიზეზით, რომ ისინი მცდარად ასახავენ ღმერთებსა თუ გმირებს. რადგანაც ბავშვობის ასაკში უყალიბდება ადამიანს ხასიათი, დაუშვებელია, რომ ამ ასაკში ისინი ისმენდნენ ისეთ თქმულებებს, რომლებიც უმეტესწილად უპირისპირდებიან იმას, რაც უნდა ჩავუნერგოთ მათ. პლატონი დედებსა და აღმზრდელებს მოუწოდებს, მხოლოდ შერჩეული თქმულებები უამბონ თავიანთ პატარებს, რათა მათი მეშვეობით უკეთესად ჩამოქნან და ჩამოაყალიბონ ნორჩების სული (პლატ. სახელმ. 496 a-c).

პლატონის აზრით, თავისი უდიერებით უდიდესი სიცრუე შეთხზა და ცილი დასწამა დიად ღმერთებს, ვინაც მოიგონა, თითქოს ურანოსს ჩაედინოს მთელი ის საშინელება, რასაც მას მიაწერს ჰესიოდე, კრონოსს კი შური ეძიოს მასზე. იგივე ითქმის კრონოსის სისასტიკესა და იმ საზარელ სანაცვლოზეც, გადმოცემით ზევსმა რომ მიაგო მას. არასწორი იქნება, თუ ამ ყველაფერს ვუამბობთ ჯერ კიდევ უნდოდ და

უფუნურ ბალებს. რად უნდა ჩავაგონოთ უმწიფარ მსენელს, რომ რაც შეიძლება სასტიკად აწამონ, თუნდაც უსამართლობისთვის მოქმედი მამა. ამაში უჩვეულო არაფერია, რადგანაც ასევე იქცევიათ თვით მაღალი ღმერთებიც. პლატონი გვეუბნება, თუ გვინდა ჩავაგონოთ მსმენელს, რომ ჩვენი თანამოქალაქენი არასოდეს აშლიან ერთიმეორეს, და რომ ეს იქნება ნამდვილი ღვთისმგმობელობა, დედაბრებიც და ბერიკაცებიც ხშირ-ხშირად უნდა უამბობდნენ თავიანთ პატარა შვილიშვილებს წინაპრების სასახელო საქმეთა ამბავს, თუმცა არც დავაჟკაცებულთ აწყენდა ამის გამეორება (პლატ. სახელმ. 502d).

ასევე, დაუშვებლად მიაჩნია პლატონს ალეგორიული ნაწარმოებების სწავლება განათლების პირველ ეტაპზე, რადგანაც ძნელია გაარჩიოს მოსწავლემ სადაა ალეგორია და სად არა. ამ ასაკში მიღებული შთაბეჭდილებანი კი უცვლელად და წარუშლელად აღიბეჭდებიან მის სულში. „აი, რატომ ვანიჭებ ესოდენ დიდ მნიშვნელობას იმას, რომ ყველა თქმულება, რომელსაც პირველად ისმენენ ბავშვები, ხელს უწყობდეს მათ სულში სიქველის გაღვივებას” (პლატ. სახელმ. 505d).

მოსწავლე გახდება ლიბერალური, თუკი ის მიზამავს ლიბერალურ ადამიანებს, მათ ქმედებებს. პლატონისეული განათლების სისტემის პირველი საფეხური უზრუნველყოფს პიროვნების ისეთი ღირსებების ჩამოყალიბებას, როგორცაა გამბედაობა, ამტანობა, ღვთისმოსაობა და ამგავრად, ათავისუფლებს ადამიანს სულის ირაციონალური ნაწილის ცდუნებისაგან. კარგი მოდელების მიზამვით მოსწავლე თავისუფლდება მანკიერებებისაგან, მისი სული ხდება ჰარმონიული. განათლების პირველ ეტაპზე აქცენტი კეთდება მოსწავლისათვის კარგი ჩვევების, კარგი ხასიათის ჩამოყალიბებაზე. მაგრამ ეს მიიღწევა არა ინტელექტუალური შესაძლებლობის სრულყოფით, არამედ კარგი მაგალითების შესწავლით და მიზამვით. მოკლედ რომ ვთქვათ, მათ კი არ უნდა განავითარონ საკუთარი იდეები, არამედ შეითვისონ და შეისისხლხორცონ გარკვეული იდეოლოგია (პლატ. სახელმ. 395a).

განათლების მეორე ეტაპი განსხვავდება პირველისაგან (პლატ. სახელმ. 502b). თუ პირველის მიზანია მიზამოს ადამიანების საქციელს, განათლების მეორე ეტაპზე პიროვნება იხვეწება ინტელექტუალურად. ის, თითქოსდა „გადის ამ სამყაროდან”. მოსწავლე ამ ეტაპზე გადადის 20 წლის ასაკში. მან ახლა უნდა ისწავლოს ის საგნები, რაც მას დაეხმარება მისი სული მიმართოს ჭეშმარიტებისაკენ. ასეთ საგნებად

პლატონი მიიჩნევს არითმეტიკას, გეომეტრიას, სტერეომეტრიასა და ასტრონომიას. 30 წლის ასაკამდე უნდა შეისწავლონ ეს დისციპლინები და შემდგომ 5 წელი უნდა დაუთმონ დიალექტიკის შესწავლას.

განათლების მეორე ეტაპი მიზნად ისახავს, დაანახოს მოსწავლეს რეალობა „სულის თვალთ“. თუკი განათლების პირველ ეტაპზე მიზნად ისახება პიროვნების გათავისუფლება სულის ირაციონალური ნაწილებისაგან, მეორე ეტაპი მას ათავისუფლებს სხვადასხვა საქმიანობისა და ფიზიკური ფენომენისაგან.

პირველი ეტაპი ითვალისწინებს სალაპარაკო-მოსმენით აქტივობებს, რაც მიმართულია ეთიკური და პოლიტიკური პრაქტიკისაკენ. ხოლო მეორე საფეხური მიზნად ისახავს ინტელექტუალური ხედვის განვითარებას. პლატონს სჯერა, რომ სახელმწიფოები მანამაღწევენ ვერ დააღწევენ თავს უბედურებას, ვიდრე მათ სათავეში არ ჩაუდგებიან ფილოსოფოსები, რადგანაც მხოლოდ ფილოსოფოსი არის მთლიანად თავისუფალი, მას ვერ აცდუნებს ფული, პატივი, პოლიტიკური ძალაუფლება და ამიტომაც, პლატონის აზრით, ფილოსოფოსის საქმიანობის გარდა, ყველა ადამიანის საქმიანობა არალიბერალურია (პლატ. სახელმ. 493 c-d).

პლატონი დაჟინებით მოითხოვს, რომ იდეალურ სახელმწიფოში ფილოსოფოსი არ უნდა შეეხოს ოქრო-ვერცხლს, არ უნდა გააჩნდეს რაიმე სახის მატერიალური ქონება და არაფერი ისეთი, რაც მას გაცვლა-გამოცვლის ტრადიციულ სისტემაში შესვლის საშუალებას მისცემდა, იქნება ეს ეკონომიკური, სოციალური თუ პოლიტიკური.

ადემიანტუსი ამ მმართველებს ადარებს „დაქირავებულ მოჯამაგირეებს“, რომლებიც მუშაობენ უცხო ქალაქისათვის. ამაზე სოკრატეს პასუხი არის შემდეგი: „დიახ, და უფრო მეტიც, ისინი მსახურობენ და გასამრჯელოს არ იღებენ სხვა მოჯამაგირეებისაგან განსხვავებით“ (პლატ. სახელმ. 420a), მაგრამ თუ მოჯამაგირე გასამრჯელოს ვერ მიიღებს, ის საერთოდ აღარაა მოჯამაგირე. მეფე- ფილოსოფოსი არის ახალი ტიპის ადამიანი: დამოუკიდებელი, „გარეშე პირი“ , რომელიც უანგაროდ ემსახურება ქვეყანას. ესაა ექსტრემალურად „განაპირა“ პოზიცია, რაც განსაზღვრავს ფილოსოფოსის თავისუფლებას.

თუმცა პლატონი იზიარებს არსებულ ტრადიციულ პრაქტიკას საგანმანათლებლო სისტემის პირველ საფეხურზე, გარკვეულწილად გადაუხვევს ხოლმე ტრადიციიდან.

პლატონის საგანმანათლებლო სისტემის II საფეხური სრულიად განსხვავდება პირველისაგან (ანასი 1981: 79-101, 217-93). როგორც ვნახეთ, პირველი საფეხური წვრთნის მოსწავლეებს, რათა მათ ჰქონდეთ დახვეწილი მსჯელობანი და კარგი ქცევები როგორც პირად, ისე საზოგადოებრივ საქმიანობაში. II ეტაპი კი პირიქით, სტუდენტებს ასწავლის, რომ ზემოდან დახედონ პოლიტიკურ და პრაქტიკულ საქმიანობებს და დიალექტურიდან უფრო მაღალ რეალობაში გადავიდნენ. პლატონი ამტკიცებს, რომ „ჭვრეტითი ხედვა” (პლატ. სახელმ. 496a-c) საბოლოოდ მიგვიყვანს ღირსეულ საქმედე პრაქტიკულ და პოლიტიკურ სფეროში. მაგრამ ეს მიიღწევა მაშინ, როცა ფილოსოფოსები დატოვებენ შთაგონების სამყაროს, ზურგს აქცევენ „სიმართლის სცენას” და შევლენ ქალაქის ბნელ სივრცეში.

განათლების II საფეხურზე ხდება გონების შთაგონება, რომ გავიდეს „ამ სამყაროდან”. ჭეშმარიტად ეს მიიღწევა მხოლოდ პერფორმაციული და აქტიური პოლიტიკური ცხოვრებიდან ჩამოშორებით. ხაზს ვუსვამთ, რომ ეს განათლება ემსახურება არა უბრალოდ რაციონალური უნარის ჩამოყალიბებას, არამედ ის უნერგავს სტუდენტებს მთელ რიგ ღირებულებებს.

განათლების მეორე საფეხურის აღწერისას (პლატ. სახელმ. 518e) პლატონი ამბობს, რომ ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ ჩვეულებრივ ქალაქებში და იქ სათანადო განათლებას ვერ იღებენ, როგორც წესი არ ითხოვენ კომპენსაციას, ხოლო იდეალურ ქალაქში კი პირიქით, ისინი იღებენ კარგ განათლებას და ვალში არიან თავიანთი ქალაქის წინაშე.

პლატონი მსჯელობს ფილოსოფიური ხედვისა და ჭვრეტის „გამოყენებითობაზე”: ესაა უფრო მეტად ჭვრეტითი, ვიდრე პრაქტიკული საქმიანობები, რომლებიც ნამდვილად გამოსადეგია. მაგალითად, სოკრატე ამტკიცებს, რომ რიცხვების კალკულაციის ხელოვნება, რა თქმა უნდა, იქნება აუცილებელი უნარი გენერლებისათვის ომში და სამხედრო სინჯებში, მაგრამ არავინ ცდილობს მის უფრო კონკრეტულ გამოყენებაზე იფიქროს, ესაა „გონების მიმართვა რეალობისაკენ” (პლატ. სახელმ. 522b-c).

გეომეტრია იქნება სასარგებლო სამხედრო წვრთნებისათვის, მაგრამ მისი უდიდესი სიკეთე არის მოამზადოს სული კარგი ხედვისათვის (პლატ. სახელმ. 526a). როცა გლავკონი ამტკიცებს, რომ ასტრონომია გამოსადეგი იქნება ნავიგაციისა და სამხედრო ხელოვნებისათვის, სოკრატე პასუხობს: „შენ აშკარად შიშობ, ხალხთა

უმრავლესობამ შესაძლოა იფიქროს, რომ შენ მათ სთავაზობ გამოუსადეგარ სწავლებას” (პლატ. სახელმ. 527c).

თუმცა ფილოსოფოსი მისი ჭეშმარიტი არსით არის სიმართლის „მჭვრეტელი“. რეალობის საღმრთო სპექტაკლის მისეული თეორია მას აიძულებს იყოს ბრძნული საქმის „შემსრულებელი“ კარგ ქალაქში განუსაზღვრელი ვადით. „შემსრულებლის“ როლი ქვეყნის მართვასა და დაცვაში არ თრგუნავს ფილოსოფოსის თავისუფლებას, რადგანაც ის „ურიგდება“ და ურთიერთობს მხოლოდ მის ტოლებთან და „საღმრთო“ რეალობასთან. მხოლოდ რადიკალურად თავისუფალ ბრძენ ფილოსოფოსს აქვს ნება და შესაძლებლობა, მართოს სახელმწიფო. პლატონის მიერ შემოთავაზებული განათლების მეორე საფეხური მოითხოვს, რომ სტუდენტებმა მიაღწიონ რადიკალურ თავისუფლებას, რაც პარადოქსია, მაგრამ დაფუძნებულია იმ რეგიონის გაუფასურებაზე, რომელიც მათ უნდა მართონ. ესაა ლიბერალური განათლება ელიტარული ქალებისა და კაცების მცირე რიცხვისათვის - განათლება, რომელთან შედარებითაც ყველა სხვა სახის სწავლება გამოდის გამოუსადეგარი (თუუ 2001: 123).

არისტოტელეს აზრით, ადამიანს მხოლოდ მაშინ შეიძლება ეწოდოს თავისუფალი, როცა ის არსებობს მხოლოდ თავის თავისთვის და არა სხვისთვის. ასეთი კი მხოლოდ ფილოსოფოსია. არისტოტელე დასძენს, რომ ადამიანი, რომელიც სხვისთვის არსებობს, არის მონა, ხელფასის-მამიებელი, და შესაბამისად, ის ვერ იქნება კარგი მმართველი (არისტ. პოლიტ. VII. 3, 1325a21-3).

არისტოტელეს „პოლიტიკაში“ წარმოდგენილია ლიბერალური განათლების ორი მიზანი. პირველი, ესაა ღირსეული მოქალაქის აღზრდა, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ქვეყნის მართვაში. იგი ზღვარს ავლებს ლიბერალურსა და არალიბერალურს შორის და მიიჩნევს რომ არალიბერალურ ანუ გასამრჯელოს-სანაცვლო საქმიანობას შეუძლია ზიანი მიაყენოს ადამიანის გონებას. არისტოტელეს მიერ შემოთავაზებული სასწავლო გეგმა მოიცავს წერა-კითხვას, ხატვას, გიმნასტიკასა და მუსიკას.

წერა-კითხვა აუცილებელია რაიმე სახის საქმიანობის საწარმოებლად, ხატვა იმისათვის უნდა ისწავლოს ადამიანმა, რომ აღიქვას ჭეშმარიტი მშვენიერება. გიმნასტიკა - სხეულის სიჯანსაღისათვის, მუსიკა კი თავისუფალი დროის სიამოვნებით გასატარებლად. არისტოტელეს აზრით, ახალგაზრდებმა

ინსტრუმენტზე დაკვრა იმისათვის კი არ უნდა ისწავლონ, რომ კარგი შემსრულებლები და პროფესიონალი მუსიკოსები გამოვიდნენ, არამედ იმისათვის, რომ იყვნენ კარგი მსენებლები მომავალში და სხვისი შესრულების შემფასებელნი (არისტ. პოლიტ. VII. 3, 1327a 22-3).

რომელია თავისუფალი საქმიანობანი? არისტოტელე ამ კითხვას სვამს VII წიგნში, სადაც ის ღირსებას ჰყოფს სამ კატეგორიად: 1) ღირსება მიმართული მხოლოდ მოუცლელობისაკენ; 2) ღირსება მიმართული მოცალეობისაკენ და 3) ღირსება მიმართული ორივე მათგანისაკენ. შემდგომ კი დასძენს: „ძალა და სიმტკიცე მიმართულია მოუცლელობისაკენ, ფილოსოფია - მოცლილობისაკენ და თავდაჭერილობა და სამართალი კი ორივესაკენ” (არისტ. პოლიტ. VII. 15, 1334a 22-25)²². სამწუხაროდ, არისტოტელე არ იძლევა იმ პრინციპების ახსნა-განმარტებებს, რომლის თანახმადაც ის აკეთებს ამგვარ დაყოფას, მაგრამ ის ნამდვილად გვთავაზობს ერთგვარ მინიშნებებს. უპირველესად არისტოტელე „ფილოსოფიას” ღირსებას უწოდებს - ღირსებას, რომელიც მიმართულია მოცალეობისაკენ.

არისტოტელეს ორგვარი ახსნა – განმარტება არის ურთიერთგამომრიცხავი. ის მარტივად უარყოფს არგუმენტს, რომ მუსიკა არის გამოუსადეგარი და არა აუცილებელი საქმიანობა. არისტოტელეს პოზიცია ასეთია: მუსიკა არის ზუსტად ის აქტივობა მოცალეობის ჟამს, რაც უყალიბებს ადამიანს ღირსების გრძნობას. მუსიკა არ არსებობს „მუსიკისთვის”, არამედ ის არსებობს პრაქტიკული ღირსების შესაქმნელად, რაც პოლიტიკოსისათვის ძალიან აუცილებელია ფაქტობრივად, არა გვაქვს მინიშნება ტექსტში, რომ არისტოტელე არ ეთანხმებოდეს ძველებს, რომელთაც ის მოუწოდებს დაუმოწმონ სერიოზული საქმიანობის არსებობა, რომელსაც მისდევენ მხოლოდ ამ საქმიანობის გამო (არისტ. პოლიტ. VII. 15, 1334a 22-25). როგორც ვხედავთ, ასეთ საქმიანობას ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს არისტოტელე.

„პოლიტიკაში” ორი სახის განათლებაა განხილული. ლიბერალური განათლება მიზნად ისახავს მოქალაქეთა ღირსების ჩამოყალიბებას და პრაქტიკულ-პოლიტიკურ „შესრულებას”, ან ის მიზნად ისახავს წააქეზოს ისეთი აქტივობები, რომლებიც სრულიად „გამოუსადეგარი” და არაპროდუქტიულია. პირველი მათგანი არის არისტოტელეს „ჭემმარტი” შეხედულება და ის სრულიად არ იღებს მხედველობაში

²² თარგმანი ჩემია. ვ.წ.

მეორეს. ნიკოლსი აღნიშნავს, რომ არისტოტელე „მოცალებას“ აიგივებს „კეთილგონიერებასთან“ და ამიტომაც მუსიური აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს „თავისუფალი დროის სასიამოვნოდ გატარებას“, აუცილებლად „ხელს უწყობს კეთილგონიერების ჩამოყალიბებას“ (ნიკოლსი 1992: 160). ამიტომაც, არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ მუსიკა არსებობს მხოლოდ „მუსიკისთვის“, რადგანაც ის ემსახურება კეთილგონიერებას, რომელიც შემდგომ გამოიწვევს კარგ საქმიანობებს პრაქტიკულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ნიკოლსი ასკვნის, რომ „მუსიური“ აქტივობა გზას უხსნის პოლიტიკურ აქტივობას“. მუსიკა არის ცენტრალური ელემენტი განათლებაში, რადგანაც ის ხელს უწყობს მორალური და ინტელექტუალური ღირსების ჩამოყალიბებას (ხასიათი და განსჯის უნარი), რაც პოლიტიკაში ჩართვის საშუალებას იძლევა (ნიკოლსი 1992: 162). ნიკოლსი განათლების საბოლოო მიზნად სახავს პოლიტიკურ საქმიანობებში ღირსეულად ჩართვას. სრულიად უარყოფილია ის მოსაზრება, რომ სტუდენტები მუსიკას უნდა მისდევდნენ, როგორც არაუტილიტარულ, გასართობ საქმიანობას.

არისტოტელე განათლების ორ სრულიად განსხვავებულ მიმართულებას გვთავაზობს „პოლიტიკის“ VIII თავში. ჩვენ ორივე მათგანი სერიოზულად უნდა მივიღოთ, მიუხედავად მათ შორის დიდი სხვაობისა. ფაქტობრივად, ეს სხვაობა ნათლად ჩანს. ის გვიჩვენებს, რომ არისტოტელე იზიარებდა განათლების ორ იდეოლოგიას. პირველი ეს იყო ტრადიციული, დაფუძნებული შესრულებასა და კარგი მოდელების იმიტაციაზე მუსიური აქტივობების გზით (რაც პლატონის საგანმანათლებლო სისტემის მსგავსია სწავლების პირველ საფეხურზე) და მეორე, ახალი პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს სტუდენტები აქციოს კარგისა და მშვენიერის „მჭვრეტელად“ და „შემფასებლად“. განათლების პირველი მიმართულება მიზნად ისახავს პრაქტიკული და პოლიტიკური აქტივობების განვითარებას, ხოლო მეორე მიმართულია არაუტილიტარული აქტივობებისაკენ განკუთვნილი მოცალების ჟამისათვის.

ასევე, არისტოტელე ორი სახის თავისუფლებაზე საუბრობს „პოლიტიკაში“: ერთი ადამიანს საშუალებას აძლევს თავისუფალ და თანატოლ ადამიანებზე იბატონოს და მოერიდოს მონურ საქმიანობებს, ხოლო მეორე დაფუძნებულია აქტივობაზე, რომელიც არის სრულიად „გამოუყენებელი“ და არაპროდუქტიული და არასოდეს ისახავს მიზნად რაიმე კონკრეტულს. ანუ ესაა „საქმიანობა

საქმიანობისთვის”.

მეორე ტიპის თავისუფლება უფრო რადიკალურია, ვიდრე პირველი, მაგრამ არისტოტელე ორივეს მიიჩნევს თავისუფლების ჭეშმარიტ სახეებად. ლიბერალური განათლების მიზანი კი ორივე სახის თავისუფლების მიღწევაა.

„ლიბერალური განათლება” იყო სადაო საკითხი ძვ.წ.ა. IV საუკუნის ათენში. არც პლატონი და არც არისტოტელე გვთავაზობს სრულყოფილ ახსნა - განმარტებას, თუ რას მოიცავს ის. ორივე მათგანი გვთავაზობს განათლების სხვადასხვა სახეს, რაც მიზნად ისახავს პრაქტიკული და მჭევრმეტყველობითი ღირსების ნაზავის შექმნას. პლატონი უპირატესობას ანიჭებს ფილოსოფიურ განათლებას, რაც აისახება ჭეშმარიტი სიბრძნის მიღებასა და რადიკალური თავისუფლების მიღწევაში, რაც ფილოსოფოსს საშუალებას მისცემდა, იყოს მიუკერძოებელი და არანაირი პირადი ინტერესები არ გააჩნდეს პოლიტიკურ და საერთოდ ამქვეყნიურ საქმეებში.

არისტოტელე ისეთ განათლებას ანიჭებს უპირატესობას, რომელიც პრივილეგიას აძლევს თავისუფლებას, როგორც პოლიტიკურ, ისე მოცალეობის ჟამის საქმიანობაში.

პლატონიცა და არისტოტელეც ცდილობენ თავიანთი განათლების პროგრამის მიზნად დასახონ „მჭვრეტელობის” მიღწევა. ეს იწვევს გარკვეულ პრობლემებს ორივე მათგანის საგანმანათლებლო პროგრამაში, რადგანაც ორივე ცალსახად განიზრახავს ღირსეული მოქალაქისა და მმართველის შექმნას „კარგი” ქალაქისათვის.

ამგვარად, პლატონისა და არისტოტელეს ზემოთგანხილულ ნაწარმოებებში წარმოდგენილია მოქალაქეთა აღზრდის ორგანიზება, როგორც სახელმწიფოს სტრუქტურაში ადამიანის ადგილის განსაზღვრის საშუალება. როგორც ვნახეთ, ისინი ლიბერალურ განათლებას მიიჩნევენ საუკეთესო საშუალებად იდეალური მმართველის აღსაზრდელად.

პლატონი გვთავაზობს ორსაფეხურიან განათლების სისტემას. არისტოტელეს მიერ შემოთავაზებულ განათლების სისტემაში ცალკეული ეტაპები არ გამოიყოფა. პლატონი ცენზურას აწესებს პროგრამით გათვალისწინებულ ტექსტებზე, რათა მოსწავლეებს მხოლოდ იდეალური გმირები ჰყავდეთ მიბაძვის ობიექტად. არისტოტელე განათლების უდიდეს დანიშნულებად ადამიანში ღირსების ჩამოყალიბებას მიიჩნევს.

ორივე ფილოსოფოსი ლიბერალური განათლების მთავარ მიზნად სახავს

ადამიანის გათავისუფლებას ყოველგვარი შეზღუდვებისაგან, ანუ ადამიანი ლიბერალური განათლების მიღების შემდგომ არის სრულიად თავისუფალი, დამოუკიდებელი. მათი აზრით, მხოლოდ ასეთ ადამიანს შეუძლია იყოს როგორც იდეალური მცველი, ისე იდეალური ქვეყნის იდეალური მმართველი.

პლატონისა და არისტოტელესეული განათლების მთავარი კონცეფციები უდევს საფუძვლად თანამედროვე „ლიბერალური განათლების“ სისტემას. განათლებაზე მათი შეხედულებების საფუძვლიანი შესწავლა დაგვეხმარება უკეთ აღვიქვათ XXI საუკუნის „ლიბერალური“ ანუ ჰუმანისტური განათლების ძირითადი პრინციპები.

ქალთა განათლება: პლატონი „სახელმწიფოში“, ისე როგორც „კანონებში“ დაჟინებთ მოითხოვს, რომ განათლება უნდა მიიღონ როგორც მამაკაცებმა, ისე ქალებმა. ორივე სქესის წარმომადგენლებმა უნდა მიიღონ ერთი ტიპის განათლება, მათ შორის სამხედრო წვრთნა. ნაკლებად სავარაუდოა, რომ პლატონი რეალურ ცხოვრებაში ფრთას ასხამდა ამ მოსაზრებას, თუმცა, ფაქტია, რომ აკადემიის წევრებს შორის იყო ორი ქალბატონი ლასთენეია და აქსიოთეა, „რომლების მამაკაცის ტანსაცმელს ატარებდნენ“ (დიოგ. გამოჩ. ფილოს. ცხოვრ. და აზრ. 129).

ეს კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ პლატონს მოსწონდა სპარტანული შეხედულებები. რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, მისი შეხედულებები დიდი მოწონებით არ სარგებლობდა იმ პერიოდის ქალებში. მაგრამ პლატონის თანამედროვე მამაკაცებში ამ მოსაზრებას ნეგატიური შედეგი ჰქონდა, მათ ღრმად სწამდათ, რომ ქალები გონებრივი განვითარებით ბევრად ჩამორჩებოდნენ მამაკაცებს და არ ჰქონდათ სათანადო უნარი შეესწავლათ ის მასალა, რაც მამაკაცებისთვის იყო განკუთვნილი.

პლატონს მიაჩნდა, რომ ქალსა და მამაკაცს უნდა მიეღოთ ერთი ტიპის განათლება; რომ კაცების მსგავსად ქალებმაც უნდა მიიღონ განათლება, რათა გახდნენ მმართველები და ფილოსოფოსები. ეს რევოლუციური განცხადება იყო იმ დროისათვის და თანამედროვეთა მხრიდან დიდი კრიტიკა გამოიწვია (მეიერი 1960: 93).

პლუტარქოსის ცნობით, ბავშვთა აღზრდა ლიკურგუსს კანონმდებლის უდიდეს და უკეთილშობილეს საქმედ მიაჩნდა. მან სპარტელი ქალების გაჯანსაღების მიზნით, სირბილი, ჭიდაობა, შუბისა და დისკოს ტყორცნა დაუწესა,

რათა მათ სხეულში ჩასახული ნაყოფი ძლიერი და ღონიერი ყოფილიყო (პლუტ. რჩ. ბოიგრ. ლიკურგ. 14).

ფილოსოფოსთა მიერ შემუშავებული მეთოდები: „სოკრატეს მეთოდი“, რომელიც, სავარაუდოდ, პროტაგორასის მიერ იყო შემუშავებული, განათლების სფეროში აღიარებულ იქნა საუკეთესო მეთოდად (შდრ. ტეილორი 1953).

დიალოგის ფუძემდებლად ანტიკური ფილოსოფიის გვირგვინი სოკრატე გვევლინება, რომელიც სააზროვნო სამყაროში მაშინ გამოჩნდა, როცა აზროვნება ეპოქის მიერ წამოჭრილ პრობლემებს ერკინებოდა. სოკრატემ ადამიანებს „მიულწვეელი ცოდნის იდეალი“ დაუსახა. ამ გზით ხდება „გონების მიყვანა ერთად შეგროვებული და განხილული ინდივიდუალური შემთხვევებიდან მათი ზოგადი მეცნიერების გაცნობიერებამდე“ (გათრი 1983: 92). სოკრატული დიალოგი არაა მიმართული კამათში გამარჯვებულის გამოვლენაზე. იგი ჭეშმარიტების ძიებაა და ამავე დროს ღირსების საქმეა: „კაცი უნდა ცდილობდეს საამისოდ მოემზადოს და ამ საქმისადმი განსაკუთრებული მზრუნველობა გამოიჩინოს, რადგან ადამიანი სწორედ ამ გზით ხდება საუკეთესო პიროვნება, ღირსეული წინამძღოლი და მსჯელობაში უბადლო მოკამათე (ქსენ. მოგ. სოკრ. 139).

უფრო კონკრეტულად, სოკრატე სვამდა შეკითხვებს, მოჰყავდა დამხმარე და საწინააღმდეგო არგუმენტები, კრიტიკულად განიხილავდა მოსწავლის არგუმენტებს, ცდილობდა მთელი კლასი ჩაეხილათ დისკუსიაში, მოსწავლეს უბიძგებდა დაეკავშირებინა სხვადასხვა მასალიდან მიღებული ცოდნა და დასკვნა საკუთარ არგუმენტებზე დაყრდნობით გამოეტანა.

დღესაც დიდი პოპულარობით სარგებლობს ეს მეთოდი თანამედროვე განათლების სფეროში.

II. ისტორიულ-გეოგრაფიული მიმართულება. ჰეროდოტოსის „ისტორიაში“ ვლინდება ავტორის ერუდიცია. ის იცნობს ჰომეროსის „ილიადას“ (ჰერ. ისტ. II. 116-117), „ოდისეას“ (ჰერ. ისტ. II. 116, IV.29). ჰეროდოტოსი ახსენებს ჰომეროსის ეპოსის გმირებს (აგამემნონს, მენელაოსს, ელენეს, პარისს, პრიამოსს, ჰექტორს) არა მხოლოდ სახელით, არამედ მთელი ეპიზოდის შესახებ მსჯელობით (ჰერ. ისტ. II. 23, 53, 116, 117; IV. 29, 32; V. 67; VII. 161).

ჰეროდოტოსი ახსენებს ნახევრად მითიურ პოეტებს - ლიკიელ ოლენსა (ჰერ. ისტ. IV. 35) და მეთიმნელ არიონს (ჰერ. ისტ. I. 23-24). ის ასევე მოიხსენიებს

დიდაქტიკოს პოეტს, ჰესიოდეს, რომელსაც ჰომეროსის თანამედროვედ მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ მან მოუწესრიგა ბერძნებს რელიგიური საკითხები.

ბერძენ ლირიკოს პოეტთაგან ჰეროდოტოსი ახსენებს საფოს, როგორც პოეტს, მაგრამ ამჯერად მას ოჯახურ ამბებთან დაკავშირებით იმოწმებს (ჰერ. ისტ. II. 135), ალკეოსს (ჰერ. ისტ. V. 95) და სიმონიდეს კეოსელს (ჰერ. ისტ. V. 102).

ჰეროდოტოსი ასევე იცნობს ბერძენ დრამატურგებს. ის ეკამათება ესქილეს, რომელმაც არტემიდე დემეტრეს ასულად გამოიყვანა (ჰერ. ისტ. II. 156). სოფოკლეს ანტიგონე (სოფ. ანტ. 905 შმდ.) და ინტაფერნესის მეუღლე (ჰერ. ისტ. III. 119) ერთსა და იმავე აზრს გამოთქვამენ ძმის მიმართ დამოკიდებულების შესახებ (როდესაც დედ-მამა აღარ არის ცოცხალი, ქალი ამჯობინებს ყველა სხვას - ქმარს, შვილს- ძმას) ის ასევე იცნობს ბერძნულ მითებს, „ისტორიაში“ ახსენებს ორესტესის, აგამემნონის, ოიდიპოსის სახელებს (ჰერ. ისტ. I. 67, 68; IV. 149; V. 60).

III. მხატვრული რომანი. ლონგოსის რომანმა „დაფნისი და ქლოა“ ჩემი ყურადღება მიიყრო იმ თვალსაზრისით, რომ ნაწარმოებში აღწერილია მწყემსთა ცხოვრება. საინტერესოა, განათლების ელემენტების აღმოჩენა საზოგადოების ამ ნაწილში.

მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ მწყემსებმა იციან წერა-კითხვა. ავტორი გვეუბნება, რომ დრიასი და ლამონი დაფნისსა და ქლოას ასწავლიდნენ წერა-კითხვას (ლონგ. დაფნ. და. ქლო. I. 8).

მწყემსები ასევე ფლობენ სამედიცინო განათლების ელემენტებს. როდესაც დორკო ძაღლებმა დაკბინეს, ის ნაკადულთან მიიყვანეს, ნაკბენი მობანეს, თელის მწვანე ქერქი დაღეჭეს და ზედ წაუსვეს (ლონგ. დაფნ. და. ქლო. I. 21).

დედობილი ქლოას აჩვენდა ხელსაქმეს: „ასწავლიდა მატყლის ჩეჩას, თითისტარის ტრიალს და ნიადაგ ქორწინებას ახსენებდა” (ლონგ. დაფნ. და. ქლო. III. 4).²³

მწყემსები ფლობენ ცეკვისა და სიმღერის უნარს, თანაც საკმაოდ კარგად. დრიასი ცეკვავს პროფესიონალურად. მან ცეკვით გამოხატა მევენახეთა მუშაობა. აჩვენა როგორ ჭრიან ყურძნის მტევნებს, როგორ მიაქვთ კალათები, მტევნებიდან ტკბილს როგორ წურავენ, კასრებში როგორ ასხამენ და ბოლოს, როგორ სვამენ მაჭარს. „ეს ყველაფერი დარიასმა ისე ლამაზად და მკაფიოდ გამოხატა, თითქოს მონათხრობი

²³ ციტატები ლონგოსის „დაფნისი და ქლოადან” მომავს ი. ქავყარაძის თარგმანის მიხედვით (1970).

მათ თვალწინ მოხდაო: ვაზი, საწნახელი, კასრები, და თვითონ დრიასი მაჭარს მართლაც სვამსო”. როგორც ჩანს, მან ახალგაზრდებს ასწავლა ცეკვა. „ახალგაზრდები წამოხტნენ და ლამონის მთელი ზღაპარი ცეკვით გამოხატეს. დაფნისმა პანის როლი ითამაშა, ქლოამ- სირინქსისა” (ლონგ. დაფნ. და. ქლო. II. 36). დაფნისმა და ქლოამ მწყემსებისაგან შეისწავლეს ასევე, სიმღერა და სალამურზე დაკვრა.

„დაფნისი და ქლოას” მიხედვით მწყემსების განათლებულობის დონეზე თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება ვთქვათ, რომ მათ იციან წერა-კითხვა, ცეკვა, სიმღერა, მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკვრა, ქალები, ასევე, ხელსაქმეს უეფლებიან.

ჰელიოდოროსის „ეთიოპიკამ” ჩემი ყურადღება მიიპყრო იმიტომ, რომ რომანის პერსონაჟები ახდენენ ანტიკური ავტორების ციტირებებს. ისინი იცნობენ ანტიკურ ეპოსს, დრამატურგიას, გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს და ასაბუთებენ მათ, იციან უცხო ენა (კნემონმა იცის ეგვიპტური ენა. ის კიდევ თარჯიმნობს) (ჰელ. ეთ. I. 37).

ეგვიპტელი მოხუცი ეუბნება კნემონს: „ახლა კი ვიზრუნოთ სტომაქზე, რომელსაც ჰომეროსმა უბედურების სათავე შეარქვა, როცა ნახა, ვით მიიქცევს თავისკენ ყოველს” (ჰელ. ეთ. I. 64)²⁴.

როცა კნემონს ეკითხება თეაგენე, უამბოს მისი ამბავი, ის პასუხობს: „ჯერ დამაცალე, რათა გწადიან მშფოთვარედ შეჭრა, ვითარცა იტყვიან ტრაგიკოსნი. უადგილო იქნებოდა თქვენს უბედურებაშ ჩამერთო ჩემი საკუთარი უბედურება, როგორც ეპიზოდი” (ჰელ. ეთ. I. 24).

ქარიასი იცნობს ჰესიოდეს შემოქმედებას, ის ამბობს: „არც ისე შეუქცევია ზურგი მართლმსაჯულებას ჩვენთვის, ვითარცა იტყვის ჰესიოდე- თუ ცოტა ხნით რაიმე გამოეპარა მას, ამით შურისგებას დროებით გადადებს მხოლოდ, ნიადაგ მრისხანე თვალებით დასცქერის იგი ბოროტმოქმედს” (ჰელ. ეთ. I. 30).

კალასირიდი ასე ახასიათებს ერთ-ერთ ვაჟს: „შემოვიდა ჭაბუკი, ჭემმარიტად აქილევსური სულისა. აქილევსს მოგაგონებდათ მზეერაც და ოსტატობაც მისი” (ჰელ. ეთ. II. 76).

კნემონი იცნობს ჰომეროსის შემოქმედებას, თუმცა კალასირიდს გამუტყდება,

²⁴ ციტატები ჰელიოდოროსის „ეთიოპიკიდან” მომავს გ. სარიშვილის თარგმანის მიხედვით (1972).

რომ ვერ სწვდება ეპიკოსის პოემების სიღრმეებს : „მე ჰომეროსის ლექსთმეტყველება მისწავლია და თუმც მის გარეგნულ აზრს ვიგებ, ღვთაებრივს, შიგმდებარეს ვერ ვწვდები. ამაზე ეგვიპტელი მოხუცი პასუხობს: „იგი ხომ ეგვიპტელი იყო და საღვთო სწავლა ჰქონდა მიღებული. მან თავის სიტყვებში იდუმალი აზრი ჩააქსოვა, შეცნობა კი მათ მიანდო მისი, ვისაც ამის თავი აქვს” (ჰელ. ეთ. III. 88). კნემონს უკვირს, რომ ჰომეროსს ეგვიპტელად მოიხსენიებს მოხუცი და სთხოვ, აუხსნას რას გულისხმობს. კალასირიდი დარწმუნებით ეუბნება, რომ ჰომეროსი ეგვიპტელია და „შესაძლოა სულაც სიბრძნის კარნახით ჩაიდინა, რომ თავისი სამშობლო დაგვიმალა და ამით ყველა ქვეყანას თავისი შვილობა დააჩემებინა. კნემონიც ეთანხმება: „ამ ვაჟკაცის პოეზიაში შეზავებულია ეგვიპტური საიდუმლოებანი, რაც სრულიად ბუნებრივია მისთვის” (ჰელ. ეთ. III. 90).

რომანში უხვადაა წარმოდგენილი მისნობა, ასტროლოგია, ნაირგვარი ცრურწმენები, რამაც ესოდენ გავრცელება ჰპოვა ჰელიოპოლისის ეპოქაში.

ბერძნული ენა რომანში წარმოდგენილია სხვადასხვა ეროვნების (სპარსელები, ეთიოპები) მოწინავე კულტურულ ადამიანთა საერთაშორისო ენად, ხოლო რომანის ბერძენი გმირები ამყარებენ კონტაქტს ციტატებით ჰომეროსიდან, ევრიპიდედან. რომანში გვხვდება რემინისცენციები ბერძნული მხატვრული, ისტორიოგრაფიული, საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო ძეგლებიდან, მითოლოგიური და ლიტერატურული მოტივები. კნემონ-დემენეტეს და თეაგენე-არსაკეს ეპიზოდებში გამოყენებულია მითი იპოლიტესა და ფედრას შესახებ, ხოლო ქარიკლესა მამის მიერ მსხვერპლად შეწირვის სცენა წარმოადგენს აგამემნონის მიერ იფიგენიას მსხვერპლშეწირვის იმიტაციას (ჰელ. ეთ. I. 25-27).

IV. ა) განმანათლებლები რომში. რომაული ლიტერატურის მნიშვნელოვანი სფეროა ე. წ. ტექნიკური ლიტერატურა, რომელიც მიანიშნებს რომაელთა განსაკუთრებულ ინტერესზე ფაქტებისადმი და მათ დიდ სურვილზე, ამ ფაქტების შესახებ მაღალი ხელოვნების ენით მოესმინათ და წაეკითხათ რაც შეიძლება დაწვრილებითი ინფორმაცია. ამ ტიპის შრომების შინაარსი სრულიად განსხვავებული იყო ერთმანეთისაგან. განსხვავდებოდნენ ისინი ფორმითაც. განათლებული რომაელები ნაკლებად იხიბებოდნენ დეტალებით. ისინი ინტერესდებოდნენ ამა თუ იმ სფეროზე ზოგადი, საინტერესო, მათთვის მისაწვდომ და ადვილად აღსაქმელ ენაზე მიწოდებული ინფორმაციით. სწორედ ეს იყო ამ ტიპის ლიტერატურის დანიშნულება

და ძირითადი მნიშვნელობა.

შედარებით ახალი ტიპის მოცულობითი ნაშრომი, რომელიც გამოჩნდა ამ პერიოდის რომაულ ლიტერატურაში, არის ენციკლოპედია, რომელშიც ერთად იყო თავმოყრილი სხვადასხვა დისციპლინები.

ცალკეული დისციპლინების შესახებ ნაშრომებით შედარებით დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლები დაინტერესდნენ; კანონებზე წერდნენ არისტოკრატები; ენციკლოპედიებზე, როგორც წესი, მუშაობდნენ მაღალი კლასის წარმომადგენლები.

სამეცნიერო კვლევა–ძიება, ჩვეულებრივ, ბერძენთა პრეროგატივა იყო. რომში წმინდა თეორიული მეცნიერებები იყო იმ ადგილის სიამაყის მიზეზი, სადაც ისინი გამოიყენებოდა. ეს შრომები რომში ატარებდნენ ელინისტური პერიოდის მეცნიერების დაღს, ისინიც კი, რომლებშიც შედარებით ცვლილებები შეიმჩნეოდა. ლათინური ტექნიკური შრომები უმეტესად, ნაწარმოები იყო, თუმცა გამონაკლისებიც გვხვდებოდა. ყველაზე მნიშვნელოვანი მათ შორის სუფთა რომაული წარმოშობის იურისპრუდენცია იყო.

რომაელთა ინდივიდუალობა კარგად გამოჩნდა იმ წიგნებშიც, რომლებიც მიეკუთვნა სოფლის მეურნეობას (კატო, ვარონი, კოლუმელა და სხვები); სერვინგი (გრამატიკოსები); არქიტექტურა (ვიტრუვიუსი), მინერალოგია და მეტალურგია (პლინიუსი); აკვედუკის (ბელარი, ხარხიდა) შენობები (ფრონტინუსი).

ძალიან ბევრ სფეროში ლათინური ტექსტები არის მნიშვნელოვანი წყარო ჩვენი ცოდნისათვის პოსტ-ალექსანდრიულ პერიოდში, მათი ავტორების მაღალი კომპეტენციის გამო.

მიუხედავად იმისა, რომ რომაული რიტორიკა და გრამატიკა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ბერძნულ მჭევრმეტყველებასთან, იგი მაინც ახერხებს საკუთარი ტრადიციის შექმნას (ვარონიდან მოყოლებული მაინც). რასაც თავის რიტორიკული ხასიათის შრომებში უდიდესი რომაელი ორატორი ციცერონი გადმოსცემს, არის იმ უდიდესი ცოდნის მონაპოვარი, რაც მან ამ სფეროში მოიპოვა თავისი აქტიური მოღვაწეობით და რომელიც გახადა მთლიანად თავისი, მისეული.

რომაული ტექნიკური ხასიათის შრომებისათვის ძალიან სპეციფიკურია ზედმიწევნითობა მეცნიერების ამა თუ იმ სფეროში. პირველი იყო იურისპრუდენცია.

შემდეგ მალევე განვითარდა სოფლის მეურნეობა. სენატმა მიიღო

გადაწყვეტილება, ეთარგმნათ კართაგენელი მარგოს ნაშრომი ამ სფეროში. რესპუბლიკის პერიოდიდან რომში გამოჩნდა კატოსა და ვარონის, ხოლო ძვ. წ.ა. აპირველ საუკუნეში კოლუმელას წიგნები.

სერვინგის ხელოვნების ცოდნა მნიშვნელოვანი იყო ბანაკების აგებისთვის, სამხედრო შენაერთებისთვის, და ზოგადად, მიწის ლოკალიზებისთვის. პირველად ამ საკითხებს ნაშრომი მიუძღვნა ვარონმა.

რომაული ცივილიზაციის საბაზისო ოსტატობა – არქიტექტურა გაგვაცნეს რესპუბლიკის პერიოდში ფუფიციუსმა და ვარონმა, ავგუსტუსის დროს – ვირტუვიუსმა, ადრეული იმპერიის ეპოქაში – ფრონტინუსმა. ამ შრომებშივე მოექცა საათებისა და საომრო ნაგებობების შესახებ ინფორმაცია.

გეოგრაფიაში ვარონმა მშვენიერი ნაშრომი მიუძღვნა ხმელთაშუაზღვის ქვეყნებს, განსაკუთრებით, იტალიას. კატონი, კეისარი და სალუსტიუსი ხშირად უთმობდნენ ადგილს თავიანთ არა გეოგრაფიული ხასიათის ნაშრომებში გეოგრაფიულ ინფორმაციებს. მოგზაურობაზე გაამახვილა ყურადღება სტატიუს სებოსუსმა. და მაინც, პირველი სერიოზული ნაშრომი ლათინურ ენაზე ამ სფეროში ეკუთვნის პომპონიუს მელასს (ძვ.წ.ა. I საუკუნე).

კატონმა მოგვცა გარკვეული წარმოდგენა მედიცინაზე, ხოლო იმპერიის პერიოდში ბერძნულ სამედიცინო მეცნიერებას ლათინური ელფერი შესძინეს კელსუსის (ძვ.წ.ა. I საუკუნე) ენციკლოპედიამ და მოგვიანებით, სხვა ავტორების შრომებმა.

საბუნებისმეტყველო მეცნიერება განვითარდა რომში, რესპუბლიკის პერიოდში, ნიგიდიუს ფიგულუსის მიერ.

მათემატიკისა და ასტრონომიის შესახებ ინფორმაციას ვპოულობთ ვარონთან, რომელიც ეყრდნობოდა ბერძნულ წყაროებს. მანამდე რომში იყო მოყვარული (კონსული, ძვ.წ.ა. 166წ.) სულპიცეუს გალუსი. რაც შეეხება ოპტიკასა და არითმეტიკას, იგი დიდი ხნის განმავლობაში იყო იგნორირებული რომაულ ლიტერატურაში. მუსიკას შრომები მიუძღვნა მხოლოდ ვიტრუვიუსმა. ამ მხრივ მდგომარეობა შეიცვალა გვიან ანტიკურობაში.

განსხვავებას ტექნიკურ და ფაქტობრივ წიგნებს შორის ქმნიდა ის, რომ ისინი სხვადასხვა აუდიტორიისთვის იყო განკუთვნილი. ფაქტობრივი წიგნების ავტორები დიდ ძალ-ღონეს ხმარობდნენ, რათა მიეღწიათ მოთხოვნილი ლიტერატურული

ფორმისათვის.

სისტემური სახელმძღვანელოები გათვლილია ექსპერტებზე, ან სტუდენტებზე (Institutiones). კატოს გამოკლებით, ტექნიკური ავტორები იყენებენ შედარებით მარტივ, ადვილად მისახვედრ სტრუქტურას. ნორმაა წყაროების განსაკუთრებული, პედანტური სიზუსტით მითითება.

მასალის დაყოფა არის სისტემური. მოდელი სხვადასხვა დისციპლინებისთვის უნდა იყოს უზრუნველყოფილი რიტორიკის დიდაქტიკური ჩარჩოთი (Fuhrmann, LG 184). მასალა იყოფოდა ჟანრებად, კლასებად, სახეობებად, ტიპებად, გვარებად, ქვეთავებად და ა.შ. თავიდან განცხადებული მკაცრად იყო შემდეგ დაცული და შესრულებული. ამას განსაკუთრებით ვაწყდებით ვარონთან, ვიტრივიუსსა და კელსუსთან. ზოგჯერ ავტორები მასალას ყოფენ თემების მიხედვით (აპიკიუსი, ფრონტინუსი).

ცალკეული დისციპლინებისთვის სპეციალური სტრუქტურა იყო მიღებული. მედიცინა ირჩევდა a capite ad calcem-ს (თავიდან ფეხის წვერებამდე), როგორც ეს არის კელსუსთან, სკრიბონიუს ლარგუსთან, პლინიუსის შესაბამის თავებში. გეოგრაფიაში გამოიყენებოდა ხერხი, რომელსაც ეძახდნენ „დედამიწის ირგვლივ შემოვლას“. ასეთი რამ ბუნებრივი იყო იმ ხალხისათვის, რომელსაც ჰქონდა ზღვა, როგორც, მაგალითად, ბერძნებს. რომაელებმა მიბადეს მათ. ბერძნებისაგან განსხვავებით, რომაელებმა გოგრაფიული ტიპის შრომებში მეტი ყურადღება დაუთმეს დედამიწის ფიზიკურ შესწავლას.

წინასიტყვაობებში ავტორები ცდილობდნენ აეხსნათ თავიანთი თემის მნიშვნელობა და სირთულეები, მეთოდი, სტრუქტურა. ვარონმა თხრობისათვის აირჩია დიალოგის ფორმა მკითხველთან სასაუბროდ, კოლუმელამ - თავისუფალი საუბრის სტილი.

Institutiones -ისაგან დამოუკიდებლად უნდა გამოვყოთ სასკოლო წიგნები, კომენტარები ლიტერატურის ადრე გამოცემულ წიგნებზე და სპეციალური ტერმინოლოგიის შემცველი ლექსიკონები.

ენციკლოპედია, რა თქმა უნდა, გათვლილი იყო უფრო ფართო წრისათვის. ენა და სტილი ამ ტიპის შრომებში ექვემდებარებოდა დიდაქტიკურ მიზნებს. მთავარი მოთხოვნა იყო სიცხადე. მიუხედავად ამისა, ტექსტებში ამ მხრივ მაინც ვპოულობთ განსხვავებებს: კელსუსი წერს შესაშური სითამამით, ცოცხლად,

მსუბუქად, მათემატიკური დახვეწილობითა და ელეგანტურობით; კოლუმელა არის მარჯვე, მარდი, მსუბუქი, ზოგჯერ ზედმეტადაც. ვარონის სტილი განსხვავდება შრომიდან შრომამდე. De re rustica-ში იგი წერს ფრთხილად, ყურადღებით, მაგრამ იგივეს ვერ ვიტყვით De lingua latina-ზე. აქ იგი მიჰყვება გრამატიკოსთა ტრადიციულ გამოცდილებას. პლინიუსი ნაშრომებში ოსტატურად აქსოვს მთელს თავის ერუდიციას, წერს დიდი ხელოვნებით. კატო უფროსი ხშირად აძლევს თავს „მოშვების“ უფლებას და წერისას იყენებს სასაუბრო, ჩვეულებრივ მეტყველებაში მიღებულ ფრაზებსა და სიტყვებს. შესაბამისად, ამის წყალობით, გარკვეული წარმოდგენა შეგვიქმნა სასაუბრო, ვულგარული ლათინურის შესახებ და კარგ წყაროდ გამოდგება ამ ტიპის ლათინურის შესწავლისას.

ავტორების მიერ შემოთავაზებული ლიტერატურული განსჯა დამოკიდებულია მკითხველთა იმ წრეზე, ვისთვისაც ესა თუ ის შრომა იწერება. მაგალითად, საკითხში სრულიად გაუცნობიერებელი ადამიანებისთვის ავტორი შეგნებულად უნდა ეცადოს გათავისუფლდეს სტილისტური დეფექტებისაგან, რომელსაც გამოიწვევს მისი მასალა. მელასის აზრით (ძვ.წ.ა. I ს.), საგნის (მაგალითად, გეოგრაფიის) სიმძნელის გამო ამ ტიპის შრომებში აღარ რჩება ადგილი მჭევრმეტყველებისთვის: *impeditum opus et facundiae minime capax* (რთული შრომა არ ტოვებს ადგილს მჭევრმეტყველებისათვის). აქ, შესაძლოა, იგულისხმება ის, რომ ავტორმა გეოგრაფიული ხასიათის შრომებში უნდა მოიხსენიოს უამრავი საკუთარი სახელი.

იმ შემთხვევაში, თუ ნაშრომი განკუთვნილია სპეციალისტებისათვის, ავტორმა შეიძლება აღარ იდარდოს რიტორიკის გამო. პალადიუსი (V ს.) კარგად გამოხატავს ამ ტიპის ტექნიკური ნაშრომის ხასიათს.

ზოგჯერ ავტორები აქებენ და ადიდებენ მათ მიერ შერჩეულ სფეროს. კატო De agricultura-ს შესავალში უფრო მეტ დროს მიწათმოქმედების მორალურ მხარეს, ვიდრე არსებით საკითხებს. კოლუმელა წუწუნებს იმის შესახებ, რომ ტექნიკისა და სკოლების სიმრავლის მიუხედავად არ არიან მასწავლებლები და მოსწავლეები, მიუხედავად სოფლის მეურნეობის უდიდესი მნიშვნელობისა. ფირმიკუსი ხედავს *mathesis*-ში (ასტროლოგია) იმ ცოდნას, რომელიც ადამიანს ხდის თავისუფალს.

ვეგეტიუსი (IV ს-ის ბოლო) საკმაოდ სულგრძელია, რათა მისი დარგი - ვეტერინარული მედიცინა ჩაეთვალიათ დაქვემდებარებულად ადამიანის

მედიცინისათვის. ბალბუსი, რომელიც შესაძლოა, მოღვაწეობდა ტრაიანეს დროს, აღნიშნავს ტოპოგრაფიული ხელოვნების მოკრძალებულობას, მაგრამ მოგვიანებით ამატებს, რომ საკმარისია რომაელმა ფეხი დაადგას მტრის ტერიტორიაზე, რომ ტოპოგრაფია მისთვის იძენს ფასდაუდებელ მნიშვნელობას, რათა ააგონ სამხედრო შენობები, ბანაკები, ხიდები, გაზომონ მდინარეების სიღრმე, მთების სიმაღლე. ომიდან დაბრუნების შემდეგ მან უფრო საფუძვლიანად შეისწავლა ეს დისციპლინა, რათა შეექმნა სერიოზული თეორიული ბაზა.

ზოგი ავტორი ამა თუ იმ დისციპლინას წარმოადგენდა უფრო დიდი რაკურსით, ვრცელ კონტექსტში. ციცერონი მოითხოვდა ორატორისაგან ფართო განათლებას, ვიტრუვიუსი - არქიტექტორისაგან. შესაძლოა, დარჩეს შთაბეჭდილება, რომ ისეთი მნიშვნელოვანი დისციპლინა, როგორც, მაგალითად ფილოსოფიაა, უფრო დამცირებული იყო სხვა დისციპლინებთან, მაგალითად, რიტორიკასთან შედარებით, მაგრამ ექსპერტები იყვნენ საკმაოდ ჭკვიანები იმისათვის, რომ არ მოეთხოვათ ზედმიწევნითი ცოდნა, არამედ მხოლოდ საბაზისო ცოდნაზე ამახვილებდნენ ყურადღებას. გვიან ანტიკურობაში მოხდა მეცნიერების იერარქია. ბოეთიუსისათვის, *De institutiones arithmetica*-ს შესავალში კვადრივიუმის დარჩენილი მეცნიერებები დაქვემდებარებული არიან არითმეტიკას, და არითმეტიკა, თავის მხრივ, ექვემდებარება ფილოსოფიას.

ლუკრეციუსი და ციცერონის მოღვაწეობის ბოლოს, რომელიც ავტორები მოითხოვდნენ ეწერათ ძნელ რთულ საკითხებზე (*obscura*) უფრო ნათლად.

ვინმე აგენიუსის *Commentum de agrorum qualitate*-ში (შესაძლოა, V ს.) ავტორის მიზანია, რაც შეძლება ნათლად ითქვას სათქმელი (*plano sermone et lucido*), უფრო დამაჯერებლად და გასაგებად, ვიდრე ამას აკეთებდნენ ადრე (*ea quae a veteribus obscuro sermone conscripta sunt apertius et intellegibilius exponere*) (ავხსნათ უფრო მარტივად და ნათლად, ვიდრე ამას აკეთებდნენ ძველი ავტორები, რომლებიც წერდნენ გაუგებარი და ბუნდოვანი სტილით).

სტილში ვეგეტიუსი ეძებს შუალედს მჭევრმეტყველებასა (როგორც კოლუმელასთან) და ლიტერატურული სტილის არარსებობას (როგორც ქირონთან) შორის. მისი მიზანია სისავსისა და სიმოკლის გაერთიანება (*plene ac breviter*).

ვეგეტიუსი ასევე ხაზს უსვამს ტექნიკური შრომების დიდ მოთხოვნადობას, მასალის ნათლად, გამჭვირვალედ ორგანიზებისა და მიწოდების აუცილებლობას.

მათთვის, ვინც არ დაინტერესდებოდა წიგნის თავიდან ბოლომდე წაკითხვით დავისთვისაც საინტერესო მხოლოდ ცალკეული ადგილები იქნებოდა, პლინიუსმა დაამატა შინაარსის დეტალური სია, თან აღნიშნავდა, რომ მისმა წინამორბედმა ვალერიუს სორანუსმა (ძვ.წ.ა.100) ეს უკვე მანამდე გააკეთა.

ბევრი ტექნიკური ნაშრომის ავტორი ამტკიცებდა სარგებლიანობის უპირატესობას სილამაზეზე: *Qui difficultatibus victis utilitatem iuvandi praetulerunt gratiae placendi* (ქებას იმსახურებს ის, ვინც სიძნელეების გადალახვას ამჯობინებს სიამოვნების მიღებას, *Plin. Nat. Praef. 16*). საბედნიეროდ, მიუხედავად ამისა, სილამაზე ამ ავტორებთან მთლიანად უარყოფილი არ იყო.

ტექნიკურ შრომათა ავტორების მიზანია დაეხმარონ ხალხს თავიანთი წიგნებით. ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია ვარონი. მაგრამ შემდეგი გარემოებაც არანაკლებ მნიშვნელოვნად მიმაჩნია:

საბერძნეთში ერთი ექსპერტი ორიენტირებულია მხოლოდ ერთ, გარკვეულ, ან რამდენიმე მომიჯნავე სფეროზე. ასეთი მოვლენა - ინდივიდუალური ავტორი ემნიდეს ენციკლოპედიას, არ არის ცნობილი. ცნება *enkuklios paideia* ბერძნულისაგან წარმოდგება, მაგრამ ენციკლოპედიის, როგორც ჟანრის განვითარება მოხდა რომში.

რომაელებმა ისესხეს ბერძნული კულტურა, როგორც თავისთავად სრულყოფილი რამ, და ამან შთააგონა რომაელები შეექმნათ ამ ტიპის შრომები. რომაული ლიტერატურის საწყის ეტაპზე პირველი ავტორების მოღვაწეობა მრავალმხრივი და მრავალფეროვანი იყო. ლათინური ენციკლოპედია სწორედ ასეთ ნიადაგზე აღმოცენდა. კატოს დაკარგული დიდაქტიკური შრომები მთლიანობაში ატარებდნენ ენციკლოპედიურ ხასიათს, მოიცავდნენ რა სოფლის მეურნეობას, მედიცინას, რიტორიკას, და შესაძლოა, სამხედრო მეცნიერებასაც კი.

ძალიან ცოტა რამეა ცნობილი ვარონის *Disciplinarum libri*-ს შესახებ. ვარაუდობენ, რომ ეს იყო გარკვეული ტიპის ენციკლოპედია, რომელიც მოიცავდა მედიცინასა და არქიტექტურას. მიუხედავად ამისა, ვარონის შრომები ფასდება მაინც, როგორც ენციკლოპედიური. ადრეული იმპერიის ეპოქაში კელსუსმა დაწერა ენციკლოპედია. მისგან, სამწუხაროდ, მხოლოდ ის ნაწილია შემორჩენილი, რომელიც მედიცინას ეხებოდა.

გვიან ანტიკურობაში ფილოსოფოსებმა ავგუსტინემ და ბოეთიუსმა, აგრეთვე მასწავლებლებმა, როგორებიც იყვნენ მაგალითად, კასიოდორუსი და ისიდორესი,

ანტიკური განსწავლულობა შუა საუკუნეებს შემოუნახეს.

ბ)რომაელი გრამატიკოსები. ძვ.წ.ა. II ს.-ის შუა რიცხვებიდან რომში სწრაფად გავრცელდა კერძო გაკვეთილები გრამატიკაში. ახალგაზრდა რომაელები სახლში მეცადინეობდნენ ე.წ. ლიტერატორების (litterator, grammatistes) დახმარებით წერა-კითხვაში. ისინი იყვნენ გრამატიკოსების წინამორბედნი არა მხოლოდ ბერძნული და ლათინური ენების გრამატიკის შესწავლაში, არამედ აგრეთვე პოეტური ტექსტების ახსნაში. ასე რომ, ტერმინი „გრამატიკოსი“ ნიშნავს ფილოლოგს, ან კლასიკურ სწავლულს. უმაღლესი საფეხური იყო რიტორთან სწავლება, პროზის კომპოზიციის გაცნობა, მეტყველების დახვეწა და სიტყვის წერის ოსტატობის დაუფლება (დიონისიოს თრაქსესი, რემიუს პალემონი, კრატეს მალოსელი, ლ. ელიუს სტილო პრეკონინუსი და სხვები). რესპუბლიკის პერიოდის იმ ავტორთა შორის, რომლებიც შეეხნენ გრამატიკის პრობლემებს, შეიძლება დავასახელოთ: აქციუსი, ლუკილიუსი, პორციუს ლიკინუსი და ქ. ვალერიუს სორანუსი, რომელიც ასევე წერდა ლექსებს. Grammatici ძალიან საჭირონი იყვნენ რომში, როგორც მასწავლებლები. უფრო მეტიც, მათ აქტივობას ჰქონდა დიდი ზეგავლენა მშობლიური ლათინური ლიტერატურის დაცვის თვალსაზრისით. დაახლოებით ძვ.წ.ა. 100 წელს, სწორედ გრამატიკოსებმა გამოსცეს ნევიუსისა და ენიუსის ეპიკური შემოქმედება.

დიონისიოს თრაქსესი (ძვ.წ.ა. II ს.) არისტარქოსის მოსწავლე, იყო გრამატიკის ავტორი, ასევე რემიუს პალემონი (ძვ.წ.ა. პირველის ს.), რომელიც რომში ძალიან ცნობილი იყო. დიონისიოსი მუშაობდა რომთან მჭიდრო კავშირების მქონე კუნძულ როდოსზე. თუმცა მის წიგნებში უარყოფილი იყო სტილი და სინტაქსი. ამაში, სამწუხაროდ, მას შემდეგმც ბევრი მიმდევარი ჰყავდა.

უძველესი რომაელი პოეტები კარგად ერკვეოდნენ გრამატიკაში და ზოგადად, ფილოლოგიაში, თუმცა, ამბობენ, რომ რეალური იმპულსები ფილოლოგიური სწავლებისადმი, როგორც იყო, მაგალითად, რომში (Suet.gramm.2), მოვიდა კრატეს მალოსელისგან, როცა ის იყო დედაქალაქში ენიუსის გარდაცვალების შემდგომ პერიოდში. ფართო ინტელექტუალური ჰორიზონტის განვითარებამ, როგორც ჰქონდა, მაგალითად, აქციუსს, განამტკიცა პერგამონის ზეგავლენა. ალექსანდრიელი სწავლულების ტექნიკური სიმკაცრისა და წესების ზუსტი დაცვისაგან განსხვავებით ეს მეთოდი ხშირად იყო რომში სიამაყის მიზეზი.

უძველესი პერიოდის ყველაზე მნიშვნელოვანი გრამატიკოსი იყო ლ. ელიუს სტილო პრეკონინუსი (L. Aelius Stilo Praeconinus). ის იყო წარმოშობით რაინდი,

ლანივიუმიდან (დაახლ. ძვ.წ.ა. 154-90). ის თავის მეგობრებს აძლევდა რჩევებს ლათინურ ლიტერატურასა და რიტორიკაში. დაახლოებით ძვ.წ.ა. 100 წელს იგი ახლდა ქ. მატელუს ნუმიდიკუსს გადასახლებაში, როდოსზე. შესაძლოა, ამ კუნძულზე შეხვდა კიდევ დიონისიუს თრაქსესს. სტილომ გააკეთა უძველესი რომაული ლინგვისტური ძეგლის კომენტირება (Carmen Salaire, 12 დაფის კანონი). მანვე პირველმა მიაქცია ყურადღება პლავტუსს. როგორც მოსალოდნელი იყო, მასზე ზეგავლენა მოახდინეს სტოელებმა. მან გადმოიტანა ბერძნული ლინგვისტიკის მეთოდები ლათინურად. მისი აზრით, ენის სწავლა არ შეიძლებოდა გამოყოფილი ყოფილიყო საგნებისადმი მისი მიმართებისაგან. სტილომ დიდი ზეგავლენა მოახდინა თავის მოსწავლე ვარონზე, აგრეთვე ციცერონზე, ვერიუს ფლავუსზე და პლინიუს უფროსზე.

რესპუბლიკის პერიოდის იმ ავტორთა შორის, რომლებიც შეეხნენ გრამატიკის პრობლემებს, შეიძლება დავასახელოთ: აქციუსი, ლუკილიუსი, პორციუს ლიკინუსი და ქ. ვალერიუს სორანუსი, რომელიც ასევე წერდა ლექსებს. ვოლკაციუს სედიგიტუსმა შექმნა ექსცენტრული კანონები კომიკოსი პოეტებისათვის. შემდგომ იყვნენ: ოქტავიუს ლამპადიო, სისენა, სევიუს ნიკანორი, ავრელიუს ოპილიუსი, მ. ანტონიუს გნიფო (კეისრისა და ციცერონის მასწავლებელი), ქ. კოსკონიუსი, სანტრა, ოქტავიუს ჰერსენუსი. ისინი ღიად საუბრობენ რომაელთა ღირსებების შესახებ და მათთვის მთავარი რომაელთა *res publica litterarum* იყო. სწორედ მათი დამსახურება იყო, საუკუნეების განმავლობაში რომ შენარჩუნდა კლასიკური განათლების ლინგვისტური წვრთნის მაღალი სტანდარტი. უფრო მეტიც, მათ დააკავშირეს პოეტების განსწავლული კითხვა ისეთ საგნებთან, რომლებიც აუცილებელი იყო ტექსტში მოყვანილი ფაქტების გასაგებად, როგორცაა გეოგრაფია, ისტორია, ასტრონომია, და ფილოსოფია. მათ დაიმსახურეს ნდობა და მოიპოვეს კარგი რეპუტაცია ლათინური ენის აღწერილობისათვის, პოეტების ტექსტების დაცვისა და შემონახვისათვის, იმ პოეტებისიც კი, რომლებიც მის დროში ჯერ კიდევ არ იყვნენ აღიარებული. მათი დიდი დამსახურებაა, რომ ჩვენ ანტიკური ტექსტების დიდ ნაწილს ვიცნობთ. რომ არა გრამატიკოსთა მონდომება, ტექსტების ნაწილი სამუდამოდ დაიკარგებოდა შთამომავლებისათვის. მათი ღვაწლი დევს იმაშიც, რომ ჩვენ ვიცნობთ ძველი ლათინურ ტექსტების ფრაგმენტებს. მოგვიანებით, რიტორიკამ კომენტარებშიც კი შეაღწია, მაგრამ გრამატიკოსების მიერ დაჟინებით მოთხოვნილი ფაქტებისადმი დამოკიდებულება კიდევ დიდხანს ახდენდა ავტორებზე ზეგავლენას.

ამგვარად, პროზაში შეიძლება მოვინახოთ გამაერთიანებელი ნიშანი, რომელიც მრავალ აქ ჩამოთვლილ წყაროს ახასიათებს. ეს არის ჩემთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით ფაქტოლოგიური ინფორმაციის მოწოდება და საუკეთესო შემთხვევაში, მის მიმართ ავტორის დამოკიდებულების გამოხატვა (ეს უპირატესად ეხება ისტორიულ-გეოგრაფიულ მიმართულებას). განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ჩემთვის საინტერესო საკითხის თეორიულ პლანში, ფილოსოფოსთა ნააზრევის გაცნობა. ანტიკურმა რომანმა ბევრი რამ იმეძვიდრა წინა ჟანრებისაგან, გააერთიანა მრავალი, სხვა ჟანრისათვის სპეციფიკური ნიშანი და განათლების პრობლემები თვისობრივად ახალი სახით წარმოადგინა. ამდენად, ანტიკურმა პროზამ განათლების განვითარების ძალზე ლოგიკური ხაზი აჩვენა.

თავი VI. ანტიკური ელემენტები განათლების თანამედროვე სისტემაში

სადისერტაციო ნაშრომის თემატიკის განსაზღვრის დროს დაგვეხმარა შემდეგი: მიუხედავად საგანმანათლებლო სივრცეში არც თუ დიდი ხნის მუშაობისა, მივაქციე ყურადღება იმ მსგავსებებს, რომელიც არსებობს განათლების თანამედროვე და ანტიკურ სისტემებს შორის, რომლის გაცნობაც სხვადასხვა ტექსტებსა და წყაროებზე მუშაობისას მიხდებოდა. ინტუიციის დონეზე დადგენილმა მსგავსებამ თავისი რეალური გამოვლენა თემის კვლევისას მიიღო. აღმოჩნდა, რომ მსგავსია ძალიან ბევრი რამ. რადგან ჩემთვის ყველაზე ცნობილი განათლების სისტემა ქართულ სივრცეში მოქმედი იყო, შევეცადე, ანტიკური ელემენტების თანამედროვეობაში არსებობა უპირატესად სწორედ მის მაგალითზე დამედგინა. რა თქმა უნდა, შეიძლება შემთხვევით თანხვდომასთანაც გვექონდეს საქმე, მაგრამ კვლევისას აღმოვაჩინეთ არა უბრალოდ ცალკეულ ელემენტთა თანხვდომა, არამედ მსგავს ელემენტთა ისეთი რაოდენობა, რომელიც საშუალებას გვაძლევს ვილაპარაკოთ მსგავსებათა მთელ სისტემაზე. ეს მსგავსებები მეტად ხილული რომ გამეხადა, ამ თავში უარი ვთქვი სადისერტაციო ნაშრომისათვის ტრადიციულ თხრობით ფორმაზე და შევეცადე, პარალელები სქემატურად წარმომეჩინა. ანტიკური განათლების ინფორმაციის შემცველი ყოველი ელემენტი წარმოვადგინე გარკვეული წინადადებების სახით და შემოვიტანე არაბული ნუმერაციით; ხოლო წინადადებები, ინფორმაციით თანამედროვე განათლების სისტემაზე, ჩავსვი ჩარჩოში. დავაფიქსირე დაახლოებით 40–მდე მსგავსება:

1. ანტიკურ რომში ბერძენი მასწავლებლები ჩამოჰყავდათ ათენიდან, რათა ბავშვებისათვის მათ ესწავლებინათ ბერძნული ენა და ლიტერატურა.

არც ისე დიდი ხნის წინ საქართველოს ყველა ქალაქსა თუ სოფელში ჩამოიყვანეს ინგლისურენოვანი მასწავლებლები ახალგაზრდებისათვის ინგლისური ენის უკეთ შესასწავლად.

2. ანტიკურ ეპოქაში თითქმის ყველამ იცოდა ერთი უცხო ენა, უპირატესად, ლათინური ბერძნებმა და ბერძნული – რომაელებმა. ბერძნული ენის უკეთ დაუფლების მიზნით რომაელები ბერძენ ძიძებს ქირაობდნენ შვილებისათვის.

დღესდღეობით, თუნდაც ერთი უცხო ენის ცოდნის გარეშე, წარმოდგენელია თანამედროვე სამყაროსთან კომუნიკაცია.

3. მიუხედავად ამისა, რომაულ საზოგადოებაში ხშირად ილაშქრებდნენ ბერძნული ენის ბატონობის წინააღმდეგ.

ჩვენს სინამდვილეშიც მიმდინარეობს მუდმივი დებატები ინგლისური ენის გაბატონების, უცხოელი მასწავლებლების შემოყვანის და უცხო ენის პატარაობიდანვე სწავლებასთან დაკავშირებით.

4. ანტიკურ ეპოქაში ჩვეულებრივი ამბავი იყო ახალგაზრდების სასწავლებლად საზღვარგარეთ გაგზავნა (ათენში, რომში, ალექსანდრიაში, სიცილიაში და სხვა). რომელი ახალგაზრდები მიემგზავრებოდნენ საბერძნეთში სასწავლებლად და პირიქით.

დღეს სწავლის დონის საზღვარგარეთ ამაღლება ჩვეულებრივი ამბავია

5. რომაელთა ნოვაციაა უცხო ენაზე გადმოცემული იდეების გაგების უნარი პატარაობიდანვე გამოემუშავებინათ მოსწავლეთათვის. რომაულ სკოლაში ძირითადი საგანი იყო ბერძნული ენა და ლიტერატურა და სადაო საკითხი იყო, ჯერ

ბერძნული უნდა ესწავლებინათ თუ ლათინური.

უცხო ენის სწავლება თანამედროვე სკოლებში სხვადასხვა დროს იწყებოდა სხვადასხვა კლასიდან. რამდენიმე ხნის წინ კი საქართველოს სკოლებში უცხო ენის შესწავლა პირველი კლასიდანვე დაიწყო.

6. საკითხზე მუშაობისას ჩემი ყურადღება მიიპყრო ანტიკურობაში მშობელთა განსაკუთრებულმა დაინტერესებამ, შვილებს მიეღოთ კარგი სწავლა-განათლება (მაგალითად, ჰორაციუსის, ოვიდიუსის მშობლები).

შესაბამისად, ამ თემაზე მუშაობის დროს ჩემთვის უკვე უფრო გასაგები გახდა თანამედროვე მშობელთა ზოგჯერ ზღვარგადასული მონდომება, მისცენ შვილებს კარგი და მრავალმხრივი განათლება.

7. ანტიკურ რომში, შვილების განათლების საკითხებს მამები იღებდნენ საკუთარ თავზე. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ განათლება მამაკაცების პრეროგატივა იყო.

თანამედროვეობაში კი მამებთან ერთად დედებიც აქტიურად არიან ჩართული შვილების განათლების საკითხში.

8. რომში დაწყებითი სკოლის სახელწოდება იყო ludus, რაც ქართულად თამაშს ნიშნავს.

დღესდღეობით დაწყებითი სკოლის მასწავლებლებს უტარდებათ ტრენინგები, რათა მათ შეძლონ ხალისით, თამაშ-თამაშით შეაყვარონ ბავშვებს სწავლა, წიგნი და სასწავლო პროცესი

9. ანტიკურ ეპოქაში მოსწავლეებს ხშირად აჯილდოებდნენ წახალისების მიზნით სხვადასხვა პრიზებით, სიგელებით.

დღეს მუდმივად ხდება საუკეთესო მოსწავლეთა დაჯილდოება კომპიუტერებით, სიგელებით, ფულადი პრემიებით.

10. შეჯიბრების პრაქტიკა ანტიკური პერიოდიდან იღებს სათავეს. საბერძნეთსა და რომში ტარდებოდა შეჯიბრებები სხვადასხვა უნარებში და გამარჯვებულები ჯილდოვდებოდნენ. ხშირად ჯილდოს სახელმწიფოსაგან იღებდნენ. ახალგაზრდები ეჯიბრებოდნენ, ხატვაში, ლირაზე დაკვრასა და ზოგად განათლებაში.

დღეს ხშირად იმართება ტურები, ოლიმპიადები, რათა უფრო მეტი იყოს მოსწავლეთა მოტივაცია

11. ძველ რომში მასწავლებლები ცდილობდნენ გამოეყენებინათ, რა თქმა უნდა, მაშინდელი ტექნოლოგიური მიღწევების გათვალისწინებით, სხვადასხვა თვალსაჩინოებები. მაგალითად, არსებობს, *tabula Iliaca*, რომელზეც გამოსახულია რომის საკლასო ოთახის კედლები მითოლოგიური და ისტორიული პასაჟებით მორთული.

დღეს გაკვეთილებისა თუ ლექციების უფრო მეტი ექსპრესიულობისათვის პედაგოგები იყენებენ სხვადასხვა თვალსაჩინოებებს: ფოტოებს, პოსტერებს, რუკებს, აუდიო და ვიდეო მასალას.

12. ბერძნებს სჯეროდათ, რომ „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია“ და დიდი ყურადღებით ეკიდებოდნენ ფიზიკურ აღზრდას.

თანამედროვე განათლების სისტემაში შეინიშნება სპორტისადმი განსაკუთრებული ინტერესი და განათლების პროგრამაში მისი აქტიური ჩართვა.

13. სპარტის სკოლებში ხდებოდა მოსწავლეთა ფიზიკური გასინჯვა-შემოწმება.

დღევანდელ სკოლებში მუდმივად ხდება მოსწავლეთა სამედიცინო შემოწმება. მათ უტარდებათ აცრები, სხვადასხვა ტიპის ვაქცინაციები.

14. ანტიკურ საბერძნეთში დასტურდება სპეციალური და პროფესიული სასწავლებლების არსებობა, სადაც ხდებოდა მედიკოსთა, ხუროთმოძღვართა, ხელოსანთა და სხვათა მომზადება.

ბოლო ხანებში გაიზარდა საზოგადოების ინტერესი პროფესიული სასწავლებლების მიმართ. საქართველოც განიცდიდა პროფესიული სასწავლებლების ნაკლებობას და დღესდღეობით ვხედავთ, რომ მომრავლდა ასეთი ტიპის სასწავლებლები.

15. ანტიკური საბერძნეთის სკოლებში არსებობდა საბჭოები, რომელთაც ევალებოდათ ფინანსების ადმინისტრირება, მასწავლებელთა დანიშვნა, სკოლის მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარება.

თანამედროვე სასწავლო დაწესებულებებში არსებობს სამეთვალყურეო საბჭოები, რომელთაც ევალებათ სასწავლებლების ფუნქციონირებისათვის აუცილებელი საკითხების მოგვარება.

16. ანტიკურ რომში სკოლას ფინანსური მხარდაჭერა ჰქონდა როგორც სახელმწიფოს, ისე სპონსორების მხრიდან. კურსდამთავრებულები ცდილობდნენ თავიანთი სკოლებისათვის გარკვეული შეწირულობანი გაეკეთებინათ.

დღესაც გვაქვს ამის მაგალითები. კურსდამთავრებულები ქმნიან სპეციალურ ფონდებს სასწავლებლების დასაფინანსებლად. ევროპის ერთ-ერთი უნივერსიტეტის ხეივანი მოფენილია ფილებით, რომლებზედაც დაწერილია იმ სტუდენტთა სახელები, ვინც რაიმე შეწირულობა გაუკეთა უნივერსიტეტს. ასე, რომ ეს ადამიანები არა მარტო ეხმარებიან უნივერსიტეტს, არამედ თავიანთ სახელსაც უკვდავყოფენ.

17. ანტიკურ რომში კერძო პირებს არ შეეძლოთ სკოლის გახსნა ავტორიზაციის გავლის გარეშე.

დღესაც უმაღლესი სასწავლო დაწესებულები მუდმივად გადიან აკრედიტაციას.

18. ანტიკურ სკოლებში წიგნების რაოდენობა შეზღუდული იყო და მასწავლებლები ხშირად კარნახობდნენ მოსწავლეებს და აწერინებდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ, დღეისათვის საშუალო თუ უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკებს აქვთ მდიდარი სასწავლო ფონდი, სტუდენტთა და მოსწავლეთა

გაზრდილი კონტიგენტის გამო, წიგნების რაოდენობა დღესაც ვერ აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას. მოსწავლეებსა თუ სტუდენტებს ხშირად უწევთ ქსეროასლების გადაღება.

19. განათლების ყველა კერა ანტიკურ საბერძნეთში, რომში, ალექსანდრიასა თუ ანტიოქიაში იწყებოდა ბიბლიოთეკის შექმნით.

განათლების ახალმა რეფორმამ პირველ მოთხოვნად დააყენა უმაღლეს სასწავლებლებში ბიბლიოთეკების მოწესრიგება. ცალკე ფონდი გამოიყო მათ გასამდიდრებლად.

20. ცნობილია, რომ ანტიკურ საბერძნეთში ღარიბი სტუდენტები ღამეებს ათენებდნენ მუშაობაში, რათა შეგროვებული თანხა სოფისტებისათვის გადაეხადათ და მათ ლექციებს დასწრებოდნენ. მდიდარი, არისტოკრატიული ოჯახების შვილებიც არ თაკილობდნენ ფიზიკურ შრომას. მაგალითად, ცნობილია, რომ სოკრატე ხელოსნად მუშაობდა ახალგაზრდობაში. ასევე ცნობილი ფაქტია, რომ ანტიკურ საბერძნეთში ახალგაზრდები წისქვილში მუშაობით გამოიმუშავებდნენ თანხას.

თანამედროვე სტუდენტების ნაწილი დღე-ღამის გარკვეულ პერიოდში მუშაობს, რათა თანხა გამოიმუშაონ და ოჯახებს დაეხმარონ სასწავლებლის თანხის დაფარვაში.

21. სოფისტი პროტაგორასი თავის თავს „ღირსების“ მასწავლებელს უწოდებდა, რადგანაც მან სახელი მოიხვეჭა, როგორც გამორჩეულმა მასწავლებელმა, პოპულარობით სარგებლობდა მისი ლექციები და მთელს საბერძნეთში პატივისცემით მოიხსენიებდნენ მას.

საქართველოში არა მარტო გამორჩეულ მასწავლებლებს, არამედ ზოგადად, თავისი საქმიანობით სახელგანთქმულ ადამიანებს „ღირსების ორდენით“ აჯილდოვებენ.

22. ანტიკურ რომში დიდი ყურადღება ეთმობოდა ესეების წერას, რაც აუცილებლად ლაკონური და არგუმენტირებული უნდა ყოფილიყო.

დღეს სტუდენტებსა თუ მოსწავლეებს ხშირად ავალებენ ესეების წერას. თითქმის ყველა ტიპის გამოცდაზე საჭიროა ესეს დაწერა, რადგანაც ესეში კარგად ვლინდება

მოსწავლის აზროვნება, აზრის ლაკონურად გადმოცემისა და არგუმენტირების უნარი.

23. ანტიკურ რომში სასწავლო პროგრამაში ჩართული იყო შემოქმედებითი კარნახების წერა. მაგალითად, ეზოპეს იგავ-არაკებს წაუკითხავდა მასწავლებელი მოსწავლეებს მხოლოდ ერთჯერ და მათ ევალუბოდათ შინაარსი დაეწერათ.

დღევანდელი მასწავლებლები აქტიურად იყენებენ შემოქმედებით კარნახებს სასწავლო პროცესში. უფრო მეტიც, ხშირად გამოცდებზე ხდება მოსწავლეთა აზროვნებისა და წერის კულტურის შემოწმება შემოქმედებითი კარნახის მეშვეობით.

24. ანტიკურ სამყაროშიც მასწავლებლები განსხვავდებოდნენ კვალიფიკაციისა და ხარისხის მიხედვით, განსხვავდებოდა მათი ხელფასებიც. ცალკეული კომუნისა და დასახლების წარმომადგენლები ცდილობდნენ მოეწვიათ ცნობილი და გამორჩეული მასწავლებლები.

საქართველოში ამ ბოლო პერიოდში დაიწყო მასწავლებელთა სერტიფიცირება, მათი ხელფასის განსაზღვრა კვალიფიკაციის მიხედვით. სკოლა მით უფრო პრესტიჟულია, რაც მეტი სერტიფიცირებული მასწავლებელი ჰყავს.

25. ანტიკურ პერიოდში მასწავლებელთა ხელფასი მცირე იყო და მას განსაზღვრავდა მოსწავლეთა რაოდენობა. მასწავლებლებს კონკურენციის პირობებში უწევდათ მუშაობა და დიდ ძალისხმევას იჩენდნენ, რომ მოსწავლეები შეეგროვებინათ.

საქართველოშიც მასწავლებლის ხელფასი დღემდე არცთუ სახარბიელოა და მას განსაზღვრავს მოსწავლეთა რაოდენობა. თითოეულ მოსწავლეზე გამოყოფილია გარკვეული თანხა, ანუ თითოეულ ბავშვს გააჩნია საკუთარი ვაუჩერი. სკოლა, სადაც უფრო მეტი ბავშვია, შესაბამისად მეტი ვაუჩერი აქვს და მისი ბიუჯეტიც დიდია. ამიტომ, სკოლის დირექტორი და მასწავლებლები ცდილობენ სწავლების საუკეთესო ხარისხი შესთავაზონ მოსწავლეებს, რათა გაზარდონ მოსწავლეთა კონტიგენტი. უმაღლეს სასწავლებლებში ხშირია შემთხვევები, როდესაც ჯგუფში არ არის მოსწავლეთა საკმაო რაოდენობა, მასწავლებლის ხელფასი მცირდება ნახევრამდე ან

მეოთხედამდე იმის მიხედვით, თუ რამდენი მოსწავლეა ჯგუფში.

26. ანტიკური რომის სკოლებში სპეციალურად გამოყოფილი იყვნენ მონები, რომელთაც ევალებოდათ მოსწავლეთა დასჯა.

მათი სახემეცვლილი ფორმა შეიძლება იყოს საქართველოს სკოლებში მომუშავე მანდატურები, რომელთაც ცოტა ხნის წინ ჰქონდათ არა მხოლოდ მოსწავლეთა დასჯის, არამედ მასწავლებელთა გაკონტროლების ფუნქციაც. თუმცა, დღეს მათ ეს ფუნქცია აღარ აქვთ და მხოლოდ მოსწავლეთა ქცევის გაკონტროლება ევალებათ.

27. ანტიკურ პერიოდში ერთადერთი ხელსაწყო, რაც მათემატიკის სწავლებისას შეეძლო მასწავლებელს გამოეყენებინა იყო საანგარიშო აბაკუსი.

აბაკუსი დღევანდელ სკოლებშიც აქტიურად გამოიყენება. დაწყებით კლასებში მასწავლებელი ანგარიშს ასწავლის მოსწავლეებს აბაკის გამოყენებით (ჯინჯიხაძე 2011: 45).

28. როლურ თამაშებს გამოიყენებდნენ რიტორთა სკოლებში, სადაც 3–4 წლის განმავლობაში სტუდენტები ლიტერატურას სიღრმისეულად სწავლობდნენ. ასეთ სკოლებში ავარჯიშებდნენ მოსწავლეებს მჭევრმეტყველებაში. ამისათვის რომელიმე მასწავლებლები გარკვეულ როლებს უნაწილებდნენ მოსწავლეებს, მათ უნდა გაეკეთებინათ საკუთარი პოზიციის დაცვის ინსცენირება.

როლური თამაშები ერთ ერთი ყველაზე შემოქმედებითი მეთოდია თანამედროვე განათლების სისტემაში. იგი დიდი მოწონებით სარგებლობს მოსწავლეებში და ენთუზიაზმით აღავსებს მათ. როლური თამაშების დროს, მასწავლებელი ავალეს მოსწავლეებს, რომ აირჩიონ რომელიმე პერსონაჟი, სიუჟეტი, 10 წუთიანი სცენა, რომელშიც გადმოსცემენ თავიანთ დამოკიდებულებას მოცემულ საკითხთან დაკავშირებით.

29. ანტიკურ რომში გრამატიკოსთა სკოლებში სწავლის პროცესში ჩართული იყო ინსცენირებული სასამართლო პროცესები. აქვე ხდებოდა მოსწავლეებში პოლიტიკური აზროვნების ჩამოყალიბება.

დღესაც ხდება სასწავლო პროცესში სასამართლო კაზუსების ჩართვა. ასევე, უმაღლეს სასწავლებლებში არსებობს საგანი პოლიტოლოგია, რაც, ძნელი სათქმელია რამდენად ეფექტურად, მაგრამ ემსახურება სტუდენტთა პოლიტიკური არზოვნების განვითარებას.

30. ანტიკურ პერიოდში სამხედრო განათლება სავალდებულო იყო ვაჟებისათვის.

თანამედროვე სკოლებსა თუ უმაღლეს სასწავლებლებში ასწავლიან საგანს სამოქალაქო თავდაცვა, რომელიც სამხედრო განათლებას აძლევს ახალგაზრდებს.

31. თანამედროვე სტანდარტი რომ მივუსადაგე ანტიკური ეპოსის გმირებს, აღმოჩნდა, რომ მათ მიერ მიღებული განათლება იმავე უნარ-ჩვევებს უვითარებდა მათ, რასაც თანამედროვე განათლება ავითარებს ახალგაზრდებში. ეპოსის გმირებს ყველა ის უნარ-ჩვევა გააჩნიათ, რაც თანამედროვე განათლებულ ადამიანს.

განათლების სისტემის ერთ-ერთ სიახლედ შეიძლება ჩაითვალოს სწავლა განათლებასთან დაკავშირებული ასეთი მიდგომა: „სწავლა ნიშნავს არა ინფორმაციის შეძენას, არამედ ინფორმაციის შეძენასთან ერთად, უნარ ჩვევებისა და დამოკიდებულების განვითარებას“. სწორედ ეს პრინციპი დაედო საფუძვლად თანამედროვე საგნობრივი პროგრამების სტანდარტებს.

32. ანტიკურ საბერძნეთში ახალგაზრდები ლირიკულ გუნდებში იყვნენ გაერთიანებული, რომელთაც პოეტები ხელმძღვანელობდნენ და სადაც მათ ცეკვას, სიმღერას, წერა-კითხვასა და სპორტის სხვადასხვა სახეობებს შეასწავლიდნენ.

ამ ბოლო დროს მომრავლდა ამ ტიპის წრეები, სადაც მშობლები თავიანთ შვილებს აერთიანებენ, რათა ერთ ადგილზე დაეუფლონ ხელოვნების სხვადასხვა დარგს: ცეკვას, სიმღერას, მხატვრულ კითხვას, სასცენო მოძრაობებსა და სხვა. გუნდში ჩართულობას აქვს მრავალი დადებითი მხარე. ისე როგორც ანტიკურ პერიოდში, ახლაც მშობლები ფიქრობენ, რომ მათ შვილებს ჩამოუყალიბდებათ მრავალი უნარ-

ჩვევა, როგორცაა ხმის შეწყობა, გუნდში მუშაობის პრინციპებს შეეჩვევიან, რაც მათ მომავალში ცხოვრებაში გამოადგებათ. ასევე, მომრავლდა სპორტული სკოლები, სადაც სპორტის გარდა სხვა დისციპლინებსაც ასწავლიან.

33. ანტიკურობაში არ არსებობდა სპეციალური თეატრალური სასწავლებლები, უნდა ვივარაუდოთ, რომ მაშინდელი დრამატურგები აუცილებლად ითავსებდნენ მასწავლებლის ფუნქციასაც. მათ სათანადო დონემდე უნდა მოემზადებინათ მსახიობები, რათა მათი წარმოდგენა უფრო ექსპრესიული ყოფილიყო.

დღესაც კი მრავალი მშობელი აერთიანებს მის შვილებს დრამატულ წრეებში, რათა დაეუფლოს პლასტიკას, მეტყველებას, ცეკვას, სიმღერას, გაეცნოს პიესებს.

34. ანტიკურ ეპოქაში თეატრს ჰქონდა განსაკუთრებული მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან. თეატრი იყო ერთი დიდი სკოლა, სადაც ადამიანები ბევრ რამეს სწავლობდნენ. თეატრს დიდი როლი ენიჭებოდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მას შეეძლო მოეგო ომი (ესქილეს „სპარსელები“), შეეცვალა ცნობილი პიროვნებები მათ ნაკლზე მითითებით (არისტოფანეს კომედიები) და სხვა.

დღეს თეატრის საგანმანათლებლო ფუნქცია ნაწილობრივ სხვადასხვა ტიპის უნივერსიტეტებმა გადაინაწილეს, თუმცა მას დარჩა საზოგადოებრივ ცხოვრებაში დიდი როლის შეტანის ფუნქცია. დღეს სახელმწიფო ნაკლებადაა დაინტერესებული თეატრით, თუმცა იმედია, მალე გაიზრდება სახელმწიფოს მხარდაჭერა თეატრის მიმართ.

35. ანტიკური დრამატურგიის შესწავლამ გვიჩვენა, რომ ტრაგედიისა და კომედიის პერსონაჟები დახელოვნებულები არიან ორატორულ ხელოვნებაში. ცნობილია, რომ რეალურ ცხოვრებაში იმ პერიოდის ბერძენი და რომაელი მამაკაცები ნამდვილად დიდი ინტერესით ეუფლებოდნენ მჭევრმეტყველებას, ხოლო დრამატურგებმა სცენაზე გამოიყვანეს მჭევრმეტყველი ქალები, რომლებიც მამაკაცებსაც კი უტოლდებიან სიტყვამახვილობით.

ორატორული ხელოვნების შესწავლა აუცილებელია დღევანდელი საზოგადოებისათვის ისე, როგორც არასდროს. თუნდაც იმიტომ რომ, უჩვეულოდ

მომრავლებულ პოლიტიკოსების ხალხთან საუბარს ჰქონდეს უფრო დამაჯერებელი ელფერი. დღესდღეობით ორატორული ხელოვნება ისე აქტიურად არ ისწავლება, როგორც ანტიკურ ეპოქაში, თუმცა აღსანიშნავია, რომ საქართველოში ამ ბოლო ხანს გაიხსნა რამდენიმე ორატორული აკადემია.

36. ანტიკურ დრამაში ასევე გამოიკვეთა, რომ პერსონაჟებს აქვთ სამედიცინო განათლება. და მედიცინის სფეროში განსწავლულია არა მხოლოდ მაღალი ფენის წარმომადგენლები, არამედ ძიძებიც. ეს კი შესაძლოა ნიშნავდეს, რომ სამედიცინო განათლებას საერთო სახალხო ხასიათი ჰქონდა.

არცთუ დიდი ხნის წინ სამედიცინო განათლება ელემენტარულ დონეზე სავალდებულო საგნად იყო საქართველოს სკოლებსა და უნივერსიტეტებშიც. ყველა სპეციალობის სტუდენტი ეუფლებოდა პირველადი სამედიცინო დახმარების ელემენტებს.

37. ანტიკურ საბერძნეთში არსებობდა სოფისტური სკოლები, რომლის მიზანი იყო სტუდენტთა „გაღმა შედავებაში“ დაოსტატებაზე.

დღეისათვის ასეთი სკოლები აღარ არსებობს, თუმცა საზოგადოებაში არ გამქრალა ადამიანები, რომლებიც ხელმძღვანელობენ „გაღმა შედავების“ მეთოდით.

38. სოკრატემ განავითარა მეთოდი, რაც მოიცავს შემდეგს: სტუდენტი იმდენსავე ენერგიას ხარჯავს ლექციაზე, რასაც მასწავლებელი. მასწავლებელი მოსწავლეებს უსვამს შეკითხვებს და ცდილობს თავად მიიყვანოს ისინი სწორ პასუხამდე. მასწავლებელს არა აქვს მზა პასუხები, იგი პრობლემურ კითხვებს სვამს და მოსწავლეებს სთხოვს, დაფიქრდნენ. კითხვები შესაძლოა ზოგადი იყოს: რას ფიქრობთ ამ საკითხზე? როგორია თქვენი პოზიცია? მასწავლებელი ცდილობს ისე გამოიყენოს კითხვების დასმის მეთოდი, რომ ბავშვები პრობლემის გადაწყვეტამდე თვითონ მივიდნენ.

თანამედროვე განათლების სისტემაში ძალიან დიდი აქცენტები კეთდება სტუდენტზე ორიენტირებულობაზე და სწავლის პროცესში სტუდენტთა

ჩართულობაზე. ჯანსაღი სასწავლო გარემოს უზრუნველსაყოფად ყველაზე ოპტიმალური და ეფექტურია კლასის მართვის დემოკრატიული სტილი, რაც გულისხმობს მოსწავლეთა აქტიურ თანამონაწილეობას სასწავლო პროცესების დაგეგმვასა და განხორციელებაში, მათი დამოუკიდებლობის და პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარების ხელშეწყობას. სოკრატეს მეთოდი დიდი პოპულარობით სარგებლობს თანამედროვე განათლების სისტემაში.

39. პლატონმა და არისტოტელემ შექმნეს განათლების სისტემა იდეალური სახელმწიფოსათვის თავიანთ ნაწარმოებებში „სახელმწიფო“ და „პოლიტიკა“. განათლების ამ სისტემის მთავარი მიზანია, პიროვნების ჩამოყალიბება თავისუფალ, დამოუკიდებელ ინდივიდად. ორივე ფილოსოფოსი ლიბერალური განათლების მთავარ მიზნად სახავს ადამიანის გათავისუფლებას ყოველგვარი შეზღუდვებისაგან, ანუ ადამიანი ლიბერალური განათლების მიღების შემდგომ არის სრულიად თავისუფალი, დამოუკიდებელი. მათი აზრით, მხოლოდ ასეთ ადამიანს შეუძლია იყოს როგორც იდეალური მცველი, ისე იდეალური ქვეყნის იდეალური მმართველი. პლატონისა და არისტოტელესეული განათლების მთავარი კონცეფციები უდევს საფუძვლად თანამედროვე „ლიბერალური განათლების“ სისტემას. განათლებაზე მათი შეხედულებების საფუძვლიანი შესწავლა დაგვეხმარება უკეთ აღვიქვათ XXI საუკუნის „ლიბერალური“ ანუ ჰუმანისტური განათლების ძირითადი პრინციპები.

40. რომში დიდი ყურადღება ეთმობოდა ტექნიკურ განათლებას. ანტიკურ პერიოდში რომში შეიქმნა რომაული ლიტერატურის მნიშვნელოვანი სფერო ე. წ. ტექნიკური ლიტერატურა.

დღესდღეობით დიდი ყურადღება მიექცა ტექნიკურ საგნებს. მაგალითად, საქართველოში იმ რამდენიმე სპეციალობათა შორის, რომელიც დააფინანსა სახელმწიფომ, აღმოჩნდა საინჟინრო და ტექნიკური დარგები.

როგორც ვნახეთ, ჩემმა მცდელობამ, გარკვეული პარალელები გავავლო ჩემთვის საინტერესო საკითხთან მიმართებაში ანტიკურობასა და თანამედროვეობას შორის, შედეგი გამოიღო. ჩამოთვლილი ელემენტების ნუსხა კიდევ შეიძლება გაგვეგრძელებინა, მაგრამ, ვფიქრობ, ჩამოთვლილიც საკმარისია იმისათვის, რომ

ვამტკიცოთ – განათლების თანამედროვე სისტემა გაჯერებულია ანტიკურობიდან ნასესხები ელემენტებით: საბერძნეთისა და რომის რეალურ ცხოვრებაში გამოკვეთილი განათლების ელემენტები და ანტიკურ ლიტერატურულ წყაროებში მოძიებული ელემენტების დაფიქსირება თანამედროვე განათლების სისტემაში მრავლად შეიძლება.

მას შემდეგ, რაც პირველ თავში შევქმენი ზოგადი წარმოდგენა ძველი საბერძნეთისა და რომის განათლების შესახებ, მეექვსე, დამამთავრებელ თავში, შევეცადე დამეფიქსირებინა პარალელები ანტიკურობისა და თანამედროვე განათლების სისტემებს შორის. რა თქმა უნდა, შეიძლებოდა ეს გაგვეკეთებინა ისევ ლიტერატურულ (ამჟამად თანამედროვე) წყაროებზე დაყრდნობით, მაგრამ ეს 1. ძალიან შორს წაგვიყვანდა, ხოლო ჩემს თემას ამ თვალსაზრისით თუნდაც უზოგადესი სურათის შექმნის პრეტენზიაც კი ვერ ექნება; 2. ამ შემთხვევაში აუცილებლად გამოიკვეთება განათლების ანტიკურობისაგან განსხვავებული ძალიან ბევრი ელემენტი, რომელიც ასევე ქმნის თანამედროვე განათლების სისტემას; 3. ვფიქრობ, თემის პრაქტიკულ მნიშვნელობასაც ზრდის სწორედ ცხოვრებასთან და არა ლიტერატურასთან პარალელების გავლება, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ ლიტერატურა ცხოვრებაა, უფრო სწორად ცხოვრების მიბაძვა (არისტოტელე). რა თქმა უნდა, ჩემი სადისერტაციო ნაშრომი, თემიდან გამომდინარე, საკითხს იკვლევს ანტიკურ ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით და შრომის უდიდესი ნაწილი სწორედ ამას ეძღვნება, მაგრამ ნაშრომის პირველ და დამამთავრებელ თავად განათლების სისტემის ელემენტებზე ორ სხვადასხვა ეპოქაში (ანტიკურსა და თანამედროვეობაში) თუნდაც უზოგადესი გამოტანა კარგად შეკრავს სადისერტაციო ნაშრომს.

ანტიკური ეპოქის განათლების სისტემიდან განათლების თანამედროვე სისტემამ იმდენი რამ იმემკვიდრა და შეინარჩუნა, რომ შეიძლება თამამად ვამტკიცოთ: განათლება ანტიკურობიდან მოყოლებული დღემდე ერთი უწყვეტი პროცესია. შევეცადე, მეჩვენებინა საოცრად დიდი პერიოდით დაშორებული ეპოქების განათლების სისტემებს შორის თანხვედრა. რასაკვირველია, ახალ ეპოქას ახალი ინტერესები მოაქვს, თუმცა ფაქტია, რომ არ იკარგება ის, რაც ფასეული და უნიკალურია.

დასკვნა

ამ მონაკვეთში შეჯამებულია ნაშრომის ძირითადი დებულებები. ჩემი კვლევის უმთავრესი მიზანი იყო გამერკვია, როგორ აისახა ანტიკურ ლიტერატურულ წყაროებში ანტიკური განათლება და როგორ იმეძკვიდრა იგი განათლების თანამედროვე სისტემამ.

ჩატარებული კვლევისა და ანალიზის შედეგად დადგინდა: მსოფლიო ლიტერატურის ერთ–ერთი პოპულარული, განათლების თემა ანტიკურ მხატვრულ ლიტერატურაში ჩამოყალიბდა სრულყოფილად და იგი რეალიზაციის საკმაოდ მრავალფეროვან ფორმებს გვიჩვენებს. შეიძლება ვთქვათ, რომ მან ანტიკურ ლიტერატურაში ასახვა ჰპოვა როგორც ინდივიდუალური პერსონაჟების, ასევე საერთოდ საზოგადოების დონეზე, როგორც თეორიული მსჯელობის, ისე კონკრეტული უნარ–ჩვევების გამოვლენის სახით.

განათლების თემის სიუჟეტურად ხორცშესხმის პროცესში ავტორები მიმართავდნენ ან თემაზე ზოგად მსჯელობას, ან ამ თემისათვის დამახასიათებელი ელემენტების ინტენსიფიკაციას.

ანტიკურ საბერძნეთსა და რომში განათლების შესახებ ზრუნვა ერთი ხანგრძლივი უწყვეტი პროცესი იყო, რომელიც მუდმივად იცვლებოდა, ახლდებოდა და დროისა თუ საზოგადოების ადეკვატური ხდებოდა. განათლების კონცეფცია აქ გულისხმობდა ფიზიკურად და სულიერად სრულყოფილი ადამიანის აღზრდას. განათლების საკითხებში სახელმწიფოს ჩართულობა ძალიან დიდი იყო –ინვენტარის

შემდინიდან ფინანსების ადმინისტრირებამდე, მრავალფეროვანი სასწავლო პროგრამების დადგენამდე და მასწავლებელთა ხელფასების განსაზღვრამდე.

ანტიკურ საბერძნეთსა და რომში შექმნილი განათლების მრავალგვარი კონცეფციების შესწავლა ნათელს ხდის, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების ამ სფეროს ანტიკურ საზოგადოებაში. საბერძნეთმა უდიდესი გავლენა იქონია რომში განათლების სისტემის ჩამოყალიბებაზე, მოგვიანებით კი ორივემ ერთად განსაზღვრეს მთელი ევროპული განათლების ძირითადი კონცეფციები.

ანტიკურ ლიტერატურაში განათლების საკითხების დამუშავებას ყველა ძირითადმა ჟანრმა მიმართა და ყველა შემთხვევაში იგი დამუშავდა ამა თუ იმ ჟანრის სპეციფიკიდან გამომდინარე. ეპოსში მართალია, ეს თემა ტრადიციული ფორმით არ მუშავდება, არც სიტყვა „განათლება“ სადმე ნახსენები, მაგრამ იმ ეპოქების გათვალისწინებამ, რომლებშიც ეპიკოსები ცხოვრობდნენ და თავად იღებდნენ განათლებას, დიდად განსაზღვრა მათი პერსონაჟების განსწავლულობა, რომელიც ჩნდება სხვადასხვა ინტელექტუალურ დონეზე. ესენია: ლინგვისტურ-ჰუმანიტარული, ლოგიკურ-მათემატიკური, მხედველობით-გრაფიკული, ფიზიკურ-კინესთეტიკური, სმენით-მუსიკალური, ინტერპერსონალური და ინტრაპერსონალური ინტელექტი.

ლირიკულ პოეზიაში, ჩვენამდე მოღწეული ნაწარმოებების გათვალისწინებით, ძალზე აქტიურად შემოვიდა ლიტერატურაში განათლების პრობლემები. საფო იყო პირველი ქალი მასწავლებელი, რომელმაც შექმნა იმ დროისათვის ერთ-ერთი ძლიერი საგანმანათლებლო კერა; ხოლო ლირიკული გუნდები, თავისი მრავალმხრივი პროგრამებით, გარკვეულწილად, სასკოლო დაწესებულების ადეკვატური იყო.

ყველაზე უფრო რელიეფურად განათლების თემა გამოიკვეთა „განათლების იარაღად“ წოდებულ ანტიკურ დრამაში, რომელსაც შეუძლია ადამიანს მრავალმხრივი განათლება შესძინოს. ჩვეულებრივ, ანტიკურ ტრაგედიაში თემები და მოტივები დაკავშირებულია ტრაგედიისათვის დამახასიათებელ ვნებათღელვასთან, რასაც ვერ ვიტყვით განათლების თემასთან დაკავშირებით, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგადად ტანჯვის გზით ცოდნის შეძენის ესქილესეულ განმარტებას („პათემატა მათემატა“). დრამის პერსონაჟებს აქვთ

მრავალმრივი ცოდნა და ფართო სპექტრი (არა ყოველთვის ტანჯვის გზით მიღებული), სამედიცინო განათლებიდან დაწყებული მჭევრმეტყველებით დამთავრებული.

ანტიკურმა ტრაგედიამ სცენაზე ასახა ქალთა არალეალური ცოდნა, რაც მოგვიანებით გააშარჟა ძველმა ატიკურმა კომედიამ (არისტოფანემ). აქვე კომიკურ ფერებში წარმოდგა ე.წ. სოფისტური განათლების „გაღმა შედავებისა“ და „შავის თეთრად წარმოჩენის“ მანკიერი მხარეები.

ელინისტური ეპოქიდან მოყოლებული რომაულმა ტრაგედიამ და კომედიამ, არსებითად, განაგრძეს ბერძნული დრამის ტრადიციები. თუმცა, პლავტუსთან უფრო მეტად განათლების თემის პრევალირების, ხოლო ტერენციუსთან – მელოდრამატული ინტერპრეტაციების ცდები გვაქვს.

ანტიკურმა პროზამ შემოგვთავაზა განთლების თემის მეტამორფოზების სხვადასხვა დონე, რომელიც შეესაბამებოდა ამა თუ იმ ეპოქის სოციალურ კონტექსტს. ფილოსოფოსებმა შექმნეს განათლების სისტემა იდეალური სახელმწიფოსათვის. განათლების ამ სისტემის მთავარი მიზანია პიროვნების ჩამოყალიბება თავისუფალ, დამოუკიდებელ ინდივიდად, რომელიც შემდგომ გახდება ორგანიზებული, ყოველმხრივ სრულყოფილი მმართველი. ფილოსოფოსები გვთავაზობენ განათლების სისტემის მათ მიერ გამოგონილ, იდეალურ მოდელს და არცერთი მათგანი არ უთმობს ყურადღებას რეალურად არსებული განათლების სისტემის აღწერას. უფრო მეტიც, ისინი არ საუბრობენ სწავლების იმ მეთოდებზე, რომლებსაც იყენებდნენ თავიანთ სკოლებში. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ ძვ.წ.ა. V საუკუნეში ათენელი მოაზროვნენი მსჯელობდნენ ლიბერალურ განათლებაზე, თუმცა პლატონმა და არისტოტელემ ერთი საუკუნის შემდგომ შემოგვთავაზეს ამ ტიპის განათლების კონცეპტუალური გააზრება. მათი აზრით, მხოლოდ ლიბერალურ განათლებას შეუძლია შექმნას თავისუფალი პიროვნება. პლატონისა და არისტოტელეს ყველაზე ძირითადი პრინციპები უდევს საფუძვლად თანამედროვე „ლიბერალური განათლების“ ცნებას. განათლებაზე მათი შეხედულებების საფუძვლიანი შესწავლა დაგვეხმარება უკეთ აღვიქვათ XXI საუკუნის „ლიბერალური“ ანუ ჰუმანისტური განათლების სფერო. რომაულ პროზაში ე.წ. ტექნიკური ლიტერატურის ავტორებმა და გრამატიკოსებმა გაამდიდრეს სკოლები სახელმძღვანელოებით სხვადასხვა სფეროებში.

ანტიკური ეპოქის განათლების სისტემიდან განათლების თანამედროვე სისტემამ იმდენი რამ იმეფიდრა და შეინარჩუნა, რომ შეიძლება თამამად ვამტკიცოთ: განათლება ანტიკურობიდან მოყოლებული დღემდე ერთი უწყვეტი პროცესია. ჩვენამდე მოღწეული ლიტერატურის ანალიზმა დაგვანახა: ანტიკური ეპოქის სხვადასხვა პერიოდისა თუ ჟანრის მწერლები სახიერად აჩვენებენ, რა პრიორიტეტები იკვეთება და ქრება დროდადრო განათლების სისტემაში, მაგრამ, როგორც ჩანს, ყოველთვის დაგვჭირდება დიდი ჰუმანისტების ნააზრევთან მიბრუნება; და მანამ იქნებიან მათი თხზულებები ჩვენ სამაგიდო წიგნად, სანამ კაცობრიობა საბოლოოდ არ აირჩევს განვითარების სწორ გზას.

ანტიკური განათლება არის პროექტი უნივერსიტეტებისა და უნივერსიტეტებისათვის. ეს არის პასუხი ყველა გამოწვევაზე, ეს არის დევიზი: საგანმანათლებლო სტრუქტურებისა და პროგრამების შემუშავება მრავალფეროვნებისა და ავტონომიის საფუძველზე; ზოგადი და დარგის სპეციფიკური კომპეტენციების გამოყენება; ფოკუსირება კომპეტენციებზე. ფაქტია, რომ ანტიკური მწერლობის პერსონაჟებს აქვთ მრავალმხრივი უნარ-ჩვევები, უნარები და შესაძლებლობები მთელ სისტემასთან მიმართებაში; არიან კრიტიკული და ტვითკრიტიკული, აქვთ ეთიკური პასუხისმგებლობის გამოხატვის, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, ახალ სიტუაციასთან შეგუების, სწავლის, პრობლემის გადაჭრის, ხარისხზე ზრუნვის, გუნდთან მუშაობის, ანალიზისა და სინთეზის უნარები; მათ შეუძლიათ მრავალფეროვნებისა და მულტიკულტურალიზმის პატივისცემა; არიან წარმატებულები, ინიციატიურები და შეუძლიათ წარმატების გაზიარება. ეს ყველაფერი ის არის, რასაც განათლების თანამედროვე სისტემა, მაგალითად თუნინგი ჰქვია.

დღეს უნივერსიტეტი გვაწვდის არა განათლებულ, არამედ უნარ-ჩვევების მქონე ინდივიდს, რომელსაც შეუძლია საბაზრო კონიუნქტურის გამოცნობა. „ცოდნა“ წარმოადგენს პროდუქტს, რომელიც კარგად უნდა გაიყიდოს. ადამიანი მაინც მთავარია. ის უნდა გაიყიდოს კარგად და ამა თუ იმ უნივერსიტეტის ბრენდად იქცეს. განათლებული ადამიანი აღიზრდება ნაციონალურ უნივერსიტეტში. მან უნდა იცოდეს ნაციონალური კულტურა, მაგრამ ასევე აუცილებლად კარგად უნდა იცოდეს კულტურის ანტიკური და ქრისტიანული სათავეები.

მნიშვნელოვანია იმ უწყვეტობის ჩვენება, რომელიც ანტიკურობიდან იღებს

სათავეს. შევეცადე, იერერქიულად შემექმნა შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის კვლევათა ველი, სადაც ცენტრალური პოზიცია ანტიკურ სამყაროს უკავია.

არ არსებობს ნეიტრალური ცოდნა. ნებისმიერი ცოდნა ტენდენციურია, ხოლო ნებისმიერი დისკურსი სხვადასხვა ძალთა ურთიერთმიმართების შედეგია. ფაქტობრივი სიზუსტე არაა მნიშვნელოვანი. მთავარია მიმართება. ანუ მკვლევარის მოტივები და მიზნები – თუ რა მიმართება აქვს ცოდნასთან მას, ვინც ცოდნას იყენებს. თანამედროვე უნივერსიტეტი ამის განხორციელების ადგილია.

